K 18 409/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი

მასალები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
ნ. ბერძენიშვილის სახელობის გათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი

მასალები

ვ. შამილაძე

მესაქონლეობა საქართველოში

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1986

9(ᲪᲠᲡ) + 9.02.7(Ს)(=99.562.1) + 636.9
1. საქართველოს ისტორია
2. მესაქონლეობა, საქართველო

63.5(2Г)
ᲛᲐ 582

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალები ქართველი ხალხის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგის — მესაქონლეობის შესახებ. მესაქონლეობის ფორმათა განვითარების ისტორიული პროცესისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპების დახასიათებასთან ერთად ნაშრომში შეტანილია მესაქონლეობის საკვები ბაზის, კერძოდ სათიბებისა და საძოვრების დახასიათება. ცალკეა წარმოდგენილი მთური, მთაბარული (ტრანსჰუმანსე), ბარული და მომთაბარული მესაქონლეობის ფორმები, მესაქონლეობის მარშრუტები და პარალელური სამეურნეო ბაზები. შეძლებისდაგვარად დადგენილია მესაქონლური კულტურის ყველა ამ ელემენტის გავრცელების არეები, სიხშირე და მასშტაბები XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისისათვის. კვლევის ეს შედეგები წარმოდგენილია სამეცნიერო კარტოგრამების, ტაბულებისა და ილუსტრაციების სახით.

სარედაქციო კოლეგია:

ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე (მდივანი), ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა (მთ. რედაქტორი), გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე.

ტომის რედაქტორი: ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე

Ч 18.409
Н
604

სპეგ-2000
შემოწმებულია

საქ. სსრ ა. შარვაშიძის
სახ. სამ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

Ა 0508000000 / Ნ 607(06)—86 175—85 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალები ქართველი ხალხის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგის — მესაქონლეობის შესახებ. ამ რიგის ნაშრომის მიზნის, ამოცანებისა და სტრუქტურის შესახებ სათანადოდაა ხაზგასმული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის პირველ მონაკვეთში, რომელიც ასევე ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს — მიწათმოქმედებას მიეძღვნა[1]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რამდენადაც საქმე არა უშუალოდ ატლასს, არამედ საატლასე მასალებს ეხება, ჩვენ შევეცადეთ საქართველოს მესაქონლეობის ცალკეულ საკითხებზე შედარებით ვრცელი მონაცემები მოგვეტანა, ისე როგორც ეს ბოლო პერიოდში კავკასიის სხვა რეგიონების ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასებისადმი მიძღვნილ ნაშრომებშია წარმოდგენილი[2].

მესაქონლეობის ფორმათა გენეზისისა და განვითარების პროცესებს საქართველოში წინამდებარე კრებულში ცალკე ნარკვევი მიეძღვნა, სადაც ნათლადაა ნაჩვენები მეურნეობის ამ დარგის ადგილი და როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. შევეხებით მხოლოდ რამდენიმე ზოგად მონაცემს, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს ამიერკავკასიისა და საქართველოს მესაქონლეობის დაწინაურებული მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში — XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში.

ოფიციალური მონაცემებით გასული საუკუნის 80—90-იან წლებში ამიერკავკასიის მთიანი მოსახლეობის 40%-მდე ცხოვრების ძირითად საზრდოს მესაქონლეობიდან იღებდა[3]. ამ პერიოდში ამიერკავკასია მსოფლიო მესაქონლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა. არასრული სტატისტიკური მონაცემებით აქ აღრიცხული იყო 1900 000 მსხვილფეხა საქონელი, დაახლოებით 5 000 000 ცხვარი და 770 000 ცხენი. საერთოდ ამიერკავკასიის შედარება მესაქონლეობით განვითარებულ ევროპის ქვეყნებთან ფრიად საგულისხმო ფაქტებს იძლეოდა. 100 სულ მცხოვრებზე მსხვილფეხა საქონლის რაოდენობით ამიერკავკასიას ეჭირა მეოთხე ადგილი გერმანიასთან და შვეიცარიასთან ერთად, ცხენის რაოდენობით მეორე ადგილი, ხოლო ცხვრის რაოდენობით—პირველი დანიასთან ერთად[4]. მსხვილფეხა საქონლის ძმავე შეფარდებით ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხები უსწრებდნენ ევროპის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც იყო დანია, სერბია, საბერძნეთი შოტლანდია, შვეიცარია, ჰოლანდია, ნორვეგია და ა. შ[5]. ამ მონაცემებით ამიერკავკასია მთლიანად საქონლის რაოდენობით ევროპული ქვეყნებიდან მეორე ადგილზე იდგა და მხოლოდ დანიას უთმობდა პირველ ადგილს[6].

ამიერკავკასიის მესაქონლეობის ამ დაწინაურებულ მდგომარეობას სხვა რეგიონთა შორის მნიშვნელოვან ფონს უქმნიდა საქართველოს მესაქონლეობაც. 1884 წლის კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით თბილისის გუბერნიაში აღრიცხული იყო დაახლოებით 500 000 მსხვილფეხა საქონელი, 1 909 000 ცხვარი და 80 000 ცხენი. ქუთაისის გუბერნიაში შესაბამისად 150 000 მსხვილფეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონელი, 128 500 ცხვარი და 40 000 ცხენი[7]. ამ მაჩვენებლების მიხედვით საერთოდ საქართველოში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა აღწევდა ერთ სულამდე, ცხვრის 2 020 000, ხოლო ცხენისა 120 000 სულამდე[8]. თუ გავიანგარიშებთ იმ გარემოებას, რომ აღრიცხვისა და სტატისტიკის მასალებში არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ყველა კუთხე, აგრეთვე მასში არ შესულა მონაცემები ჯორის, სახედრის, თხისა და ღორის რაოდენობის შესახებ, მაშინ საქართველოს მესაქონლეობის ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაიზრდება.

მესაქონლეობის ეს განსაკუთრებული როლი საქართველოს სამეურნეო-კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მეურნეობის ამ დარგის წარმოჩენას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის თვალთახედვით ფართო მასშტაბის მიზნებს უსახავს. კერძოდ, მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტების კარტოგრაფირება გულისხმობს მეურნეობის აღნიშნული დარგის ფორმებისა და სისტემების განლაგებისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენასა და დადგენას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მესაქონლეობის გავრცელების არეების, ხვედრითი წონისა და მასშტაბების, ძირითადი და სეზონური პარალელური სამეურნეო ბაზების ბუნებრივი რესურსებისა და მათი ტერიტორიულ-მეურნეობრივი ურთიერთდამოკიდებულების, სამეურნეო ნაგებობების, საქონლის ჯიშებისა და მესაქონლეობის წარმოების ის უმთავრესი თავისებურებები, რაც საფუძვლად უდევს მეურნეობის ამ დარგის ამა თუ იმ ფორმისა და მისი ქვესახეების სტრუქტურისა და ტიპოლოგიური სახესხვაობის განმსაზღვრელ ნიშნებს.

კლასიფიკაციისა და კარტოგრაფირების გარკვეულ პრინციპებს გულისხმობს საქართველოს მესაქონლეობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევა და ანალიზიც, რაც მიზნად ისახავს მეურნეობის ამ დარგის გაძღოლის სამეურნეო-ორგანიზაციული და ეკონომიკური მხარეების წარმოჩენას. კერძოდ, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შრომის ორგანიზაციის კოლექტიური და ინდივიდუალური ფორმების, თანაბარუფლებიანობის პრინციპსა და დაქირავებულ შრომაზე აღმოცენებული ამხანაგობა-გაერთიანებათა ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურისა და დაქირავება-ექსპლოატაციის პირობების ძირითადი ტიპოლოგიური თავისებურებების გამოვლენა და დადგენა, რაც ასევე დაკავშირებულია და განსაზღვრავს მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმისა და ქვესახეების სპეციფიკურ ნიშნებს.

საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული გარემო, რომელიც ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონიდან თუ უდაბნოსმაგვარი ველებიდან მაღალმთიან ალპურ ზონამდე ხშირად ერთი ხეობის ფარგლებშია წარმოდგენილი, ქვეყნის ბარის, შუამთისა და მთიანეთის სამეურნეო კომპლექსებს მრავალფეროვან ხასიათს აძლევდა, სადაც მესაქონლეობას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ბარული და მთური მესაქონლეობის, ტრანსჰუმანსესა და მომთაბარეობის ყველა ის ფორმა და ქვესახე, რომლებიც დამახასიათებელია არა მარტო საერთოდ კავკასიის, არამედ ზოგადად მსოფლიოს სხვა მთიანი ქვეყნებისათვისაც. ასეთ ვითარებაში საატლასე მასალის სრულყოფილი გამოვლენის, ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და კარტოგრაფირების მიზნით საველე და კამერალური მუშაობა წარიმართა ბარის, შუამთისა და მთიანეთის ვერტიკალურ ზონებში, სადაც მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმისა და მათი ქვესახეების ლოკალური მრავალფეროვნების, მიწათმოქმედებისა და მეურნეობის სხვა დარგებთან მა-

თი შეხამებისა და შეთანაწყობის სტრუქტურულად რთული სამეურნეო-კულტურული კომპლექსებია წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მესაქონლეობის ამ თავისებურებათა კვლევა და გაშუქება ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის დონეზე მეცნიერულად გამართული მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ატლასის მასალების ამ მონაკვეთში შესული ნაშრომები დაწერილია საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ტრადიციულად მომდინარე შედარებით-ისტორიულსა და რეტროსპექტრული რეკონსტრუქციის მეთოდებზე დაყრდნობით, ხოლო პირველადი ინფორმაციის მიღებისას გამოყენებულია უშუალო საველე დაკვირვება, რაც თავის მხრივ შესასწავლი ობიექტისადმი კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდით მიდგომას გულისხმობს[9].

საველე-ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევის აღნიშნული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა შესასწავლი მოვლენების სრული აღწერა მატერიალური, სოციალური და სულიერი მხარეების გათვალისწინებით, მათი კულტურულ-ისტორიული და სოციალური ფუნქციების გახსნა და განვითარების პროცესთა ზოგადი კანონზომიერებების, აგრეთვე ლოკალური გარემო პირობებით განპირობებული სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა და დადგენა, რაც ასე აუცილებელია ატლასში წარმოდგენილი საკითხების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა და კარტოგრაფირების პროცესში. ეთნოგრაფიული მასალების ანალიზმა ისტორიული, არქეოლოგიური, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, პალეოზოოლოგიური, ზოოტექნიკური და სხვა მომიჯნავე დარგთა მეცნიერული მონაცემების შუქზე, რაც ფართოდაა გამოყენებული კვლევის პროცესში, შესაძლებელი გახადა ცალკეული მოვლენებისა და ფაქტების ისტორიული გზების გაშუქებაც. და მიუხედავად იმისა, რომ საატლასე მასალის კარტოგრაფირება ძირითადად ორი ისტორიული პერიოდით — XIX ს. მეორე ნახევრითა და XX ს. დასაწყისითაა წარმოდგენილი, კვლევა-ძიების ქრონოლოგიური ჩარჩოების გაფართოებამ ხელი შეუწყო მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გენეტიკურ კავშირურთიერთობათა აღქმას და იმ თავისებურებათა წარმოჩენას, რაც დამახასიათებელი იყო მათი განვითარება-გენეზისის უმთავრეს საფეხურებზე.

საქართველოს მესაქონლეობის შესასწავლად მრავალფეროვანი წყაროები არსებობს. შეუძლებელია დავასახელოთ საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წყარო, რომელშიც არ იყოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაცემები ქართული მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. ისინი დაწყებული ძველასირიული, ურარტული, ანტიკური, ბიზანტიური თუ ძველქართული წერილობითი წყაროების, აგრეთვე საარქივო მონაცემების ჩათვლით, ატლასის მასალების სათანადო მონაკვეთებში იქნება მიმოხილული და მითითებული.

საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მესაქონლეობის შესწავლა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში დაიწყო. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მესაქონლეობის საკითხებზე მნიშვნელოვანი მონაცემები ქვეყნდებოდა მრავალწლიან პერიოდულ გამოცემებში: „Труды Кавказского общества сельского хозяйства“, „Кавказское хозяйство“ და „Кавказское сельское хозяйство,“ ხოლო 80-იანი წლებიდან ისეთ კრებულებში, როგორიც იყო „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края“ (I-VII тт., Тифлис, 1885—1889 гг.) „Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского

края“ (I-V тт., Тифлис, 1887—1888 гг.) და „Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе“ (I-IV тт., Тифлис, 1887-1899 гг.). ამ კრებულებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და გეოგრაფიული საზოგადოებების ანგარიშებსა და დანართებში დაბეჭდილი ცალკეული წერილები და სტატიები შეიცავდნენ მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების მესაქონლეობის წარმოების ხერხებსა და საშუალებებზე, სამეურნეო-ბუნებრივ რესურსებზე, შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებსა და საქონლის ჯიშებზე და ა. შ. ანალოგიური საკითხებია განხილული ქართული პერიოდული პრესის („მეურნე“, „სასოფლო გაზეთი“, „მოსავალი“, „გუთნის დედა“ და სხვ.) ფურცლებზე გამოქვეყნებულ ავტორთა წერილებშიც.

ი. ანდრონიკოვის, ა. ქალანთარისა და ქ. ვერმიშევის ზემოთ მითითებულ გამოკვლევებთან ერთად ცალკე უნდა აღინიშნოს ვ. გეევსკის, პ. ვარავინის, ი. ბახტაძისა და ა. ნატროევის ნაშრომები, რომლებშიც მთლიანად კავკასიის თუ მისი ცალკეული კუთხეების მიხედვით თავმოყრილი და განზოგადებულია მასალები და მონაცემები, შეკრებილი თვით ამ ავტორთა მიერ ან გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნულ მასალებსა და ანგარიშებში[10]. ქართული მეცხვარეობის შესახებ რიგ ზოგად დებულებას იძლევა აგრეთვე მ. მაჩაბელი თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებშიც[11].

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის თავისებურებები, რაც დიდ გავლენას ახდენდა მეურნეობრივი ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაზე, ხალხის სამეურნეო კულტურის კვლევა-ძიების საქმეში კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების შესწავლის უაღრესად ფართო პროგრამას მოითხოვს. ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიექცა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის დაარსების პირველი წლებიდანვე, როცა ის-ის იყო ისახებოდა ქართველი ხალხის სამეურნეო-მატერიალური თუ სულიერი კულტურის შესწავლის ამოცანები. ამ საკითხების კვლევა-ძიებასთან ერთად მკვლევართა ერთი ნაწილი სპეციალურად ეხებოდა საქართველოს მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცალკეულ მხარეებს, რაც ასევე სათანადო პუბლიკაციებში აისახა[12]. ეს ნაშრომები გამოყენებული და მითითებულია ატლასის მასალების სათანადო მონაკვეთებში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გამოკვლევები, რომლებიც შესრულდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის სპეციფიკის გათვალისწინებით[13], აგრეთვე მონოგრაფიები და ცალკეული სტატიები, რომლებშიც შესწავლილია აჭარის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, ქვემო ქართლის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთის, მესხეთ-ჯავახეთისა[14] თუ სხვა მეზობელი და მომიჯნავე კუთხეების მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის კულტურულ-ისტორიული თავისებურებები[15].

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ამ შედეგებთან ერთად ატლასის მასალებში ფართოდ აისახა არქეოლოგიური[16], ეკონომიკურ-გეოგრაფიული[17] და სასოფლო-სამეურნეო[18] მეცნიერებათა მონაცემები, რომელთაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული პროცესების განვითარებისა და გენეზისის, აგრეთვე მისი თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ქართულ-კავკასიური მესაქონლეობის საკითხები უცხოელ მკვლევართა ყურადღებასაც იპყრობს, რომლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის რიგი თეორიული ასპექტების შესწავლის საქმეში[19].

ატლასის მასალების ძირითადი წყაროა ჩვენს მიერ 1959—1979 წწ-ში საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებსა და სამეცნიერო მივლინებების დროს შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემები, რომელთა უმრავლესობა გადატანილია საკართოტეკო ბარათებზე. არქიტექტურული ანაზომები და ჩანახატები შესრულებულია საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მხატვარ-არქიტექტორების ჯ. მიქელაძის, ვ. ბახტაძისა და გ. ჟვანიას მიერ, ხოლო სქემები და რუკები შეადგინა კარტოგრაფმა ლ. ზაუტაშვილმა. წინამდებარე მონაკვეთში შესული ფოტოსურათები და სლაიდები, გარდა ერმაკოვის კოლექციის რამდენიმე სურათისა, ეკუთვნის ავტორს.

ასეთია ზოგადად ატლასის მესაქონლეობის მონაკვეთის ის მეთოდოლოგიური პრინციპები და წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რომლის საფუძველზეც აქ წარმოდგენილია მასალები, კარტოგრამები და ცხრილები საქართველოს მესაქონლეობის ფორმებისა და სისტემების, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ქვესახეების, საკვები ბაზის, მარშრუტების, პარალელური სამეურნეო ბაზებისა და სხვა საკლასიფიკაციო კომპლექსების შესახებ. საქართველოს მესაქონლეობის სხვა საკითხები და თემები ანალოგიური გამოცემის მეორე მონაკვეთისათვისაა გათვალისწინებული, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესშია. მეორე ნაწილის გამოცემით დასრულდება ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც საფუძვლად დაედება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მესაქონლეობის მონაკვეთს.

ლიტერატურა და შენიშვნები:

[1] საქართველოს ისტორიულ ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, თბ., 1980.

[2] Б. А. Калоев, Земледелие народов Северного Кавказа, М., 1981; В. П. Кобычев. Поселения и жилище народов Северного Кавказа в XIX—XX вв. М., 1982.

[3] Всеподданнейшая записка главноначальствующего гражданской частью на Кавказе 1882—1890 гг., Тф., 1890, с. 34.

[4] Х. А. Вермишев, О скотоводстве на Кавказе в связи с пастбищным вопросом, МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 86.

[5] И. З. Андроников, Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, т. V, ч. I Тф., 1888, с. 171.

[6] იქვე, გვ. 172.

[7] А. А. Калантар, Состояние скотоводства на Кавказе, МУКЛЗПИСК, т. II, Тф., 1890 , с. 5.

[8] იქვე, გვ. 5.

[9] გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, „მიმომხილველი“, თბ., 1926; მისივე, Этнографическое исследование в Грузинской ССР СЭ № 4, 1948; მისივე, Принципы и метод полевой этнографической работы, СЭ № 4, 1957; А. И. Робакидзе, К некоторым спорным вопросам этнографического изучения нового быта, СЭ № 2; 1952; Т. А. Жданко. В. Ю. Крупянская, Л. Н. Терентьева, Об организации и методике полевых этнографических исследовании, СЭ № 3, 1956; Г. Г. Громов, Методике этнографических экспедиции, М., 1966; С. Н. Артановский, О сравнительно-историческом и структурном методе в этнографии, «Методологические вопросы общественных наук», Л., 1968 და სხვ.

[10] В. Н. Геевский, О состоянии скотоводства в верховиях рек Терека и Белой Арагви, МУКЛЗПИСК, т. I, Тф., 1887; П. С. Варавин, Летние и зимние пастбища Закавказского края, СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2, Тф., 1888 И. Я. Бахтадзе, Кочев-

ники Закавказского края, СМИЭБГКЗК, т. III, ч. 2. Тф, 1888; А. Н. Натроев, Количество скота и пастбищные места Тифлисской губернии, ТКОСХ, № 7—8, 1888; Ал. Ивлев, О крупном рогатом скоте в Тифлисской губернии, ТКОСХ, № 7—8. 1891.

[11] М. С. Мачабели, Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, Тф., 1987.

[12] გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ., I, 1947; ა. რობაქიძე, მოდგამი როგორც ესქპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, „მიმომხილველი", II, თბ., 1951, თ. ჩიქოვანი, მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", I, თბ., 1961; ი. კვიციანი, სვანთა განსახლების ძველი ფორმებისა და „ლაბავის" სისტემის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 69, № 8, 1973; Н. А. Брегадзе, Из истории народной зоотехники, იქვე, 88, № 2, 1977 და სხვ.

[13] ვ. შამილაძე, ცნებისათვის „მთური მესაქონლეობა", „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები", თბ., 1967; მისივე, მთური მესაქონლეობის საკითხისათვის საქართველოში, მაცნე, № 3, 1968; მისივე, К вопросу о характеристике альпийского скотоводства в Грузии, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები", I, თბ., 1971; მისივე, К вопросу о формах скотоводства Грузии, მაცნე, № 4, 1976; მისივე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", V, თბ., 1977; მისივე, ბარული მესაქონლეობის საკითხისათვის საქართველოში, იქვე, VI, თბ., 1978; მისივე, მომთაბარეობის აღმოცენებისა და განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ კავკასიაში, იქვე, VIII, თბ., 1979; მისივე, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии. Тб., 1979; მისივე, О некоторых вопросах классификации и терминологии скотоводства Кавказа, СЭ, № 3, 1982; ნ. თოფურია, რძის პროდუქტები საქართველოში. „ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და კულტურა", თბ., 1964; მისივე, საქონლის საზაფხულო და საზამთრო სადგომები დასავლეთ საქართველოში, მსე, XV, 1967; М. К. Гегешидзе, К истории вьючного транспорта Грузии, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები", თბ., 1968 და სხვ.

[14] ა. კაცაძე, მეცხვარეობის ისტორიიდან საქართველოში, მსე, VIII 1951; ვ. ითონიშვილი, მესაქონლეობა სამგორში, საქ. სახ. მუზ. მოამბე, XXIII, 1962; ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში, I, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები", თბ., 1964; მისივე, შრომის ორგანიზაციის ფორმები აჭარის მესაქონლეობაში, ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტ. შრომები, III, 1964; მისივე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969; მისივე, მესაქონლეობა სამეგრელოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", II, თბ., 1974; მისივე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, იქვე, III, თბ., 1975; მისივე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, იქვე, IV, თბ., 1976; დ. პავლიაშვილი, მეცხვარეობა ქიზიყში, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები", თბ., 1964; მ. მაკალათია, მასალები მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის ხევსურეთში, იქვე; მისივე, მსხვილფეხა მესაქონლეობა თუშეთში, „მასალები თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის", თბ., 1967; მისივე, მესაქონლეობა მესხეთში, „მესხეთ-ჯავახეთი", თბ., 1975; ბ. გამყრელიძე, მთიულეთის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მთიულური ორხელაობა), КЭС, III, .Тб., 1973; მისივე, სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში", სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა", I, თბ., 1971; ნ. კახიძე, მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში, იქვე; თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობა ქვემო ქართლში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, № 3, 1974.

[15] Ц. Н. Бжания, Скотоводческое хозяйство в Абжуйской Абхазии, Тр. Абхазск. инст. языка, лит. и истории, XXVIII, 1957; მისივე, Из истории хозяйства Абхазов, Сухуми 1962; Ю. И. Мкртумян, Формы скотоводства и быт населения в армянской деревне второй пол. XIX в. СЭ, № 4, 1968; მისივე, К изучению форм скотоводства у народов Закавказья, «Хозяйство и материальныя культура Кавказа в XIX—XX вв.», М., 1971; მისივე, Формы скотоводства в Восточной Армении (вторая пол. XIX — начало XX вв.), «Армянская этнография и фольклор. Материалы и иследования», 6, Ереван, 1974; Т. Б. Тургиев, О скотоводстве у алан. СОНИИ, «Материалы по арх. и древней истории Северной Осетии», 2, Орджоникидзе, 1969; Б. В. Гамкрелидзе, Из истории скотоводства в Ингушетии, КЭС, II, Тб., 1968; მისივე, Система скотоводства в горной полосе Северной Осетии, მაცნე, № 3, 1975; З. Д. Гаглоева, Скотоводство в прошлом у осетин, მსე, XII—XIII, თბ., 1963; С. Х. Асятилов, Хуторская система и формы ведения животноводства у аварцев в XIX—начале XX в., Уч. зп. ИИЯЛ, XVI, 1966; მისივე, Историко-

ეროვნული ბიბლიოთეკა

этнографические очерки хозяйства аварцев (XIX—первая пол. XX в.), Махачкала, 1967; А. Х. Зафесов, К вопросу разведения крупного рогатого скота в Адыгее в XIX в., Уч. зап. Адигейской НИИ, IV, 1965; Т. Ф. Аристова, Курды Закавказья. Историко-этнографический очерк. М., 1966 და სხვ.

[16] Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, XXIII, 1955; Т. А. Бунятов, Земледелие и скотоводство в Азербайджане в эпоху бронзы, Баку, 1957; А. А. Формозов, К истории древнейшего скотоводства на юге СССР, Тр. Московского общества испытателей природы, XLVIII, 1972; Н. В. Арутюнян, Земледелие и скотоводство Урарту, Ереван, 1964; В. Г. Котович, О хозяйстве населения горного Дагестана в древности, СА, № 3, 1965; Г. А. Лордкипанидзе, Животноводство и промыслы античной Колхиды, СА, № 1, 1967 და სხვ.

[17] В. П. Христианович, Горная Ингушия. К материалам по экономике альпийского ландшафта, Тр. Сев.-Кавказск. ассоциации НИИ, № 36, 1928; И. И. Куров, Г. Г. Бадирян, Некоторые вопросы географии пастбищного хозяйства республик Закавказья, «Вопросы географии», № 10, 1948; გ. ქვირიკაძე, მთარაჭის ალპური მეურნეობა, ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., VI, 1946; ნ. ნიჟარაძე, აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., III, თბ., 1959 და სხვ.

[18] И. И. Калугин, Исследование современного состояния животноводства Азербайджана, тт. I—IV, Тифлис-Баку, 1929—1930; А. З. Тамамшев, Исследование современного состояния животноводства Армении, Тф., 1930; მისივე, Крупный рогаты скот Армении в прошлом и настоящем, Ереван, 1947; М. Д. Рчеулишвили, Материалы к изучению грузинской овцы, «Материальная культура эпохи Шота Руставели», Тб., 1938; მისივე, Отгонное овцеводство Грузии и пути его улучшения, Тб., 1957; მისივე, К истории овцеводства Грузии, Тб., 1953; А. А. Рухкян, Овцеводство Армянской ССР и пути его качественного улучшения, Ереван, 1948.

[19] Xavier de Planhol, Vie pastorale Caucasienne et vie pastorale Anatoliene „Revue de geogr. alpine ", XLIV, 2, 1956; S. Berezowski, Problemy geografiercne pasterstwa wedrownego, „Pasterstwo Tatr Polskich i Podhala", I, Wroclaw-Krakow-Warszawa, 1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესაქონლეობის ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპები

კულტურისა და ყოფის უმთავრეს ელემენტთა და მოვლენათა კლასიფიკაცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის პრინციპების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. საატლასე მასალის კლასიფიკაციის საფუძვლად მიჩნეულია საგნებისა და მოვლენების დამახასიათებელ თავისებურებათა ისეთი კომპლექსი, რომელშიც სრულყოფილადაა ასახული მათი ტიპოლოგიური სახესხვაობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა, სოციალურ-კულტურული არსი[1]. ამ ნიშნების მიხედვით საატლასე მასალის ტიპოლოგიის პრინციპი არსებითად განსხვავდება ეთნოგრაფიული მასალის კლასიფიკაციის პრინციპებისაგან, რომლის დროსაც საგნები და მოვლენები ცალკეულ კლასებად და ჯგუფებად ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვითაა დაჯგუფებული ამ კლასებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირის აუცილებელი წინაპირობის გარეშე.

ატლასში წარმოდგენილი საგნებისა და მოვლენების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად ურთიერთგანმსაზღვრელ, სისტემურ ნიშანთა კომპლექსის აღებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ამ შემთხვევაში ტიპოლოგია თვალნათლივ წარმოაჩენს არა მარტო მოცემულ კომპლექსში შემავალი ნიშნების ურთიერთობას, მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობის ხასიათს, არამედ მთლიანად აღებულ ამ კომპლექსის კავშირს კულტურისა და ყოფის სხვა კომპონენტებთან, საერთოდ გარემოსთან[2].

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ცალკეულ ელემენტთა და მოვლენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის სისტემური ხასიათისა და სტრუქტურული ერთიანობის აუცილებლობა არსებითი ნიშნების გამოვლენასა და დადგენას მოითხოვს მესაქონლეობის ფორმათა განსაზღვრის პროცესშიც. და რამდენადაც მეურნეობის ფორმათა აღმოცენებისა და ჩამოყალიბების პროცესი საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონზომიერების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს და წარმოების წესის ძირითადი ნიშნებითაა განპირობებული, მათი ტიპოლოგიური სახესხვაობის არსებითი ნიშნებიც მატერიალური დოვლათის წარმოების თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. ცხადია, ლაპარაკია საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ დონეზე კონკრეტული ბუნებრივ-ისტორიული გარემოს ლოკალურ-რეგიონალური პირობების გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან, მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების პროცესში ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოსა და საწარმოო ძალთა განვითარების თავისებურებებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ დარგის წარმოების პროცესში დამყარებულ ადამიანთა ურთიერთობას, ტრადიციულ საწარმოო გამოცდილებებსა და შრომით ჩვევებს.

მესაქონლეობის ფორმათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ამ სისტემური კომპლექსიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმსაზღვრელ,

ფორმაშემქმნელ კრიტერიუმებს, კერძოდ დასახლებისა და სეზონური სათიბ-საძოვრების ტერიტორიულ განლაგებასა და მათ მეურნეობრივ ურთიერთობასა და აქედან გამომდინარე საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმის ორგანიზაციულ გაძღოლასთან იყო დაკავშირებული[3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და კავკასიის ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოში ამ პროცესის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია მკვეთრად გამოხატული ზონალობა, როგორც გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენდა საზოგადოების სოციალურ ორგანიზაციაზე. ამრიგად, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ნიშნები მეურნეობის ამ დარგის სამეურნეო-კულტურულ ასპექტებთან ერთად სოციალური ორგანიზაციის კომპონენტებსაც შეიცავს და გარკვეულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესწავლისა და განსაზღვრის თვალსაზრისითაც[4].

მესაქონლეობის სამეურნეო-ორგანიზაციული გაძღოლის ყველა სხვა პარამეტრი, კერძოდ საქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლი, საკვების დამზადება და კვების რეჟიმი, პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების ექსპლოატაციის ფორმები და ა. შ. განსაზღვრულია ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ნიშნებით და ასახავს მესაქონლეობის ცალკეულ ფორმათა და ქვესახეობათა დამახასიათებელ თავისებურებებს[5].

სხვადასხვა რეგიონებსა და ბუნებრივ ისტორიულ ზონებში შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალები და სპეციალური ლიტერატურის მონაცემები[6] სრულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს მესაქონლეობის სტრუქტურულად სრულყოფილი ფორმებისა და სისტემების შესახებ. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გამოვლენილი და დადგენილი მესაქონლეობის ფორმებიდან ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის წინამდებარე მონაკვეთში წარმოდგენილი იქნება მთური, მთაბარული, ბარული და მომთაბარე მესაქონლეობა.

მესაქონლეობის ფორმათა განმსაზღვრელი ძირეული კრიტერიუმების გამოვლენის, შესწავლისა და კლასიფიკაციის თვალსაზრისით ყურადღება გამახვილებულია მთური მესაქონლეობის რიგ დამახასიათებელ კომპონენტებზე. მიჩნეულია, რომ ალპური მეურნეობა აერთიანებს წარმოების ორ მნიშვნელოვან ელემენტს—სახნავ მიწას ბინადარი დასახლებებითა და საზაფხულო საძოვარს დროებითი დასახლებითა და სეზონური გამოყენებით. მთური მესაქონლეობის ძირითადი თავისებურებებიც ამ ორი სისტემური კომპონენტის ტერიტორიული და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებებითაა ახსნილი[7].

კლასიფიკაციის პროცესში მხედველობაშია მიღებული ალპური საძოვრების ტერიტორიული განლაგება ზღვის დონიდან, რაც ალპების სხვადასხვა ვერტიკალურ-ლანდშაფტური ზონებიდან, მესაქონლეობის წარმოების თვალსაზრისით, სამი ძირითადი ზონალური საფეხურის (წინა ალპები, ანუ მაისის საძოვრები, ქვედა ალპების ოლქი და ზედა ალპები) გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს საფეხურები გამოყენებულია არა მარტო ჯოგისა და მომსახურე პერსონალის სეზონურ-ზონალური მოძრაობის, არამედ სხვადასხვა ჯიშის, ასაკისა და დანიშნულების საქონლის გასარეკადაც[8].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის გუბერნია

I. სოხუმის ოკრუგი

საპოლიციო უბნები:

1. სოხუმი-გულრიფში
2. გაგრა-გუდაუთა
3. ონაშჩირე
4. გალი

II. ლეჩხუმის მაზრა

5. ტვიში-ჭრებალო
6. ცაგერი-ლენტეხი
7. მესტია

III. ზუგდიდის მაზრა

8. ზუგდიდი
9. წალენჯიხა
10. ხობი

IV. სენაკის მაზრა

11. აბაშა-სამტრედია
12. მარტვილი-კურზუ
13. ახალი სენაკი

V. რაჭის მაზრა

14. ონი
15. ამბროლაური

VI. შორაპნის მაზრა

16. შორაპანი
17. საჩხერე
18. ჭალუტა
19. თერჯოლა
20. ხარაგაული

VII. ქუთაისის მაზრა

21. ქუთაისი
22. ტყიბული
23. ვანი-ბაღდადი
24. დაბლა-გომი
25. ხონი-წყალტუბო

VIII. ოზურგეთის მაზრა

26. ოზურგეთი
27. ლანჩხუთი
28. ჩოხატაური

IX. ბათუმის ოლქი

29. ხულო
30. ქედა
31. სარფი
32 ჩურუკ-სუ-ბათუმი

ტფილისის გუბერნია

X. გორის მაზრა

საპოლიციო უბნები:

33. ბორჯომი
34. გორი-კასპი
35. სურამი-მიხაილოვო
36. ქარელი
37. ცხინვალი-ჯავა-ოქონა

XI. ახალქალაქის მაზრა

38. ახალქალაქი
39. ბოგდანოვკა

XII. ახალციხის მაზრა

40. აბასთუმანი
41. ასპინძა
42. ახალციხე

XIII. ბორჩალოს მაზრა

43. კასუმლო
44. შულავერი-ბორჩალო-ეკატერინენფელდი
45. დმანისი-ალექსანდრესგილფი

XIV. ტფილისის მაზრა

46. ტფილისი-საგარეჯო
47. ელისავეტინსკოე
48. გარდაბანი

XV. დუშეთის მაზრა

49. დუშეთი-ყაზბეგი
50. მცხეთა
51. ახალგორი

XVI. თიანეთის მაზრა

52. შუაფხო-ბარისახო
53. თიანეთი
54. ახმეტა-ომალო

XVII. თელავის მაზრა

55. ყვარელი
56. თელავი

XVIII. სიღნაღის მაზრა

57. ლაგოდეხი
58. კაპრეთი
59. სიღნაღი
60. ცარსკოე-კოლოდეცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ოლქი

ცენტრი—ქ. გორი

I. ბორჯომის რაიონი — ცენტრი — ქ. ბორჯომი
II. გორის „ „ ქ. გორი
III. კასპის „ „ ს. კასპი
IV. ხაშურის „ „ ქ. ხაშური

კახეთის ოლქი

ცენტრი—დ. გურჯაანი

1. გურჯაანის რაიონი — ცენტრი — დ. გურჯაანი
2. თელავის „ „ ქ. თელავი
3. ლაგოდეხის „ „ დ. ლაგოდეხი
4. სიღნაღის „ „ ქ. სიღნაღი
5. ყვარლის „ „ ს. ყვარელი

ტფილისის ოლქი

ცენტრი—ქ. ტფილისი

I. აღბულახის (თეთრი წყაროს) რაიონი — ცენტრი ს. აღბულახი
II. ბაშქინჩეთის რაიონი — ცენტრი ს. ბაშქინჩეთი
III. ბორჩალოს „ „ ს. სარვანი
IV. გარე-კახეთის „ „ ს. საგარეჯო
V. დუშეთის „ „ ქ. დუშეთი
VI. ერწო-თიანეთის „ „ ს. თიანეთი
VII. ლუქსემბურგის „ „ ქ. ლუქსემბურგი
VIII. მანგლისის რაიონი — ცენტრი — ქ. ტფილისი. — ს. მანგლისი
IX. მცხეთის „ „ მცხეთა
X. ტფილისის „ „ ქ. ტფილისი
XI. წალკის „ „ ს. ბარმაქსიზი
XII. ხევის „ „ ს. ყაზბეგი

ქუთაისის ოლქი

ცენტრი—ქ. ქუთაისი

1. ამბროლაურის რაიონი — ცენტრი ს. ამბროლაური
2. ბაღდადის „ „ ს. ბაღდადი
3. ვანის „ „ ს. ვანი
4. ზესტაფონის „ „ ქ. ზესტაფონი
5. ონის „ „ ქ. ონი
6. ოკრიბის „ „ ს. ოკრიბი
7. სამტრედიის „ „ ქ. სამტრედია
8. საჩხერეს „ „ ს. საჩხერე
9. ქუთაისის „ „ ქ. ქუთაისი
10. ჩოლურის „ „ ს. ქველიერი
11. ჩხარის „ „ დ. ჩხარი
12. ცაგერის „ „ ქ. ცაგერი
13. ჭიათურის „ „ ქ. ჭიათურა
14. ჭრებალოს „ „ ს. ჭრებალო
15. ხორაგოულის „ „ ს. ხორაგოული
16. ხონის „ „ ქ. ხონი

ახალქალაქის მაზრა

ცენტრი—ქ. ახალქალაქი

I. ახალქალაქის რაიონი—ცენტრი ქ. ახალქალაქი
II. გორელოვკის „ „ ს. გორელოვკა

ახალციხის მაზრა

ცენტრი—ქ. ახალციხე

1. ადიგენის რაიონი — ცენტრი — ს. ადიგენი
2. აწყურის „ „ ს. აწყური
3. ახალციხის „ „ ქ. ახალციხე
4. ტოლოშის „ „ ს. ტოლოში

ზემო სვანეთის მაზრა

ცენტრი—ს. მესტია

ზემო სვანეთის მაზრა—ცენტრი — ს. მესტია

ზუგდიდის მაზრა

ცენტრი—ქ. ზუგდიდი

I. ზუგდიდის რაიონი — ცენტრი — ქ. ზუგდიდი
II. ჩხოროწყუს „ „ ს. ჩხოროწყუ
III. წალენჯიხის „ „ ქ. წალენჯიხა
IV. ხობის „ „ ს. ხობი

ოზურგეთის მაზრა

ცენტრი—ქ. ოზურგეთი

I. ლანჩხუთის რაიონი—ცენტრი—ს. ლანჩხუთი
II. ოზურგეთის „ „ ქ. ოზურგეთი
III. ჩოხატაურის „ „ დ. ჩოხატაური

სენაკის მაზრა

ცენტრი—ქ. ახალ-სენაკი

I. აბაშას რაიონი — ცენტრი — ს. აბაშა
II. მარტვილის „ „ ს. მარტვილი
III. სენაკის „ „ ქ. ახალ-სენაკი

აფხაზეთის ასსრ

ცენტრი — ქ. სოხუმი

I. გაგრის მაზრა — ცენტრი — ქ. გაგრა
II. გალის „ „ დ. გალი
III. გუდაუთის „ „ ქ. გუდაუთა
IV. კოდორის „ „ ქ. ოჩამჩირე
V. სოხუმის „ „ ქ. სოხუმი

აჭარის ასსრ

ცენტრი — ქ. ბათომი

1. ბათომის რაიონი — ცენტრი — ქ. ბათომი
2. ქედის „ „ ს. ქედა
3. ქობულეთის „ „ დ. ქობულეთი
4. ხულოს „ „ ს. ხულო

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი

ცენტრი — ქ. ცხინვალი

1. ახალგორის რაიონი — ცენტრი — ს. ახალგორი
2. ცხინვალის „ „ ქ. ცხინვალი
3. ჯავის „ „ ს. ჯავა

საზაფხულო საძოვარი, როგორც მთური მესაქონლეობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, აღნიშნული მეურნეობის განსაზღვრის მხოლოდ ერთ მხარეს მოადგენს. კლასიფიკაციის პროცესში გათვალისწინებულია საკ[illegible] მხარეც, კერძოდ, ძირითად დასახლებათა როლი მთურ მესაქონლეობაში. თუ ალპური საძოვრები სეზონური დასახლებებით მთური მესაქონლეობის ზაფხულის პერიოდს მოიცავს, მაშინ ზამთრობით საქონელი ძირითად ბაზებში ბრუნდება და ბაგურ კვებაზე გადადის. ეს გარემოება ქმნის ორგანულ კავშირს წარმოების ამ ორ ელემენტს შორის, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მიწათმოქმედებაზე დაფუძნებულ ძირითად სამეურნეო ბაზებისა და საზაფხულო საძოვრების სეზონური მესაქონლური მეურნეობის სახითაა წარმოდგენილი. მთური მესაქონლეობის ამ ორი ელემენტის ურთიერთობაში თვალნათლივ ჩანს სეზონური მესაქონლური მეურნეობის დამოკიდებული ხასიათი ძირითად დასახლებებთან[9].

მთური მესაქონლეობის განმსაზღვრელ ტიპოლოგიურ კრიტერიუმთა შორის არანაკლები მნიშვნელობა აქვს სეზონურ დასახლებებში საქონლისა და რძის მეურნეობის გაძღოლის ორგანიზაციულ ასპექტსაც. ხაზგასმულია, რომ საქონლის სეზონურ ადგილმონაცვლეობის პროცესში გამორიცხული იყო მოსახლეობის ქოჩადმავლობა თუ მიგრაცია. ასეთ ვითარებაში სეზონურ ალპურ მეურნეობას ოჯახის ერთეული წევრები და სასოფლო სათემო მენახირეები უძღვებიან. მაშინ როდესაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლად, ძირითად დასახლებებში რჩება და დაკავებულია სამიწათმოქმედო სამუშაოებით და საქონლის საზამთრო საკვების დამზადებით. ეს კომპონენტი აპირობებდა აგრეთვე ალპური მეურნეობის კომპლექსურ ხასიათს, რაც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შერწყმულ, სიმბიოზურ განვითარებაში იყო ასახულია[10].

ამრიგად, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით მ თ უ რ ი||ა ლ პ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს შ თ ა ვ ა რ ი დ ა მ ახ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ნ ი შ ნ ებ ი ა ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო დ ა ს ა ხ ლ ე ბ ებ ი ს ა დ ა გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ი მ ა ღ ლ ე ზ ე მ დ ებ ა რ ე ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ს ა ძ ო ვ რ ებ ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო-გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ზ ა მ თ რ ო ბ ი თ ს ა ქ ო ნ ლ ი ს ბ ა გ უ რ ი კ ვ ებ ი თ, ს ა ქ ო ნ ლ ი ს ჯ ო გ ი ს ა დ ა მ ო მ ვ ლ ე ლ ი პ ერ ს ო ნ ა ლ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი დ ა ნ ა ლ პ უ რ ი ს ა ძ ო ვ რ ე ბ ი ს ა კ ენ დ ა, პ ი რ ი ქ ი თ, ა ლ პ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ზ ო ნ ა ლ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი, მ ი ს ი ს ე ზ ო ნ უ რ ო ბ ა დ ა ს ა მ ე უ რ ნ ე ო-ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ებ ა ძ ი რ ი თ ა დ დ ა ს ა ხ ლ ე ბ ებ თ ა ნ[11].

მ თ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს პ რ ო ც ე ს ს ი ში ამ ზოგად ნიშნებთან ერთად ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის სპეციფიკის თვალსაზრისით გამოიყო ის ლოკალური თავისებურებანი, რომლებიც მეურნეობის ამ ფორმის ვარიაციულ ქვესახეობებს დაედო საფუძვლად. შესაბამისად, მთური მესაქონლეობის კომპლექსებიდან საქართველოს მთიანეთში წარმოდგენილია გ ა დ ა რ ე კ ვ ი თ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ლ ა ბ ა ვ ი|| საბოსლოს ტიპის ორმოსახლეობითა (ორხელაობა||ორგანობა) და შ ი ნ ა ა ლ პ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა[12].

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მ თ ა ბ ა რ უ ლ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. ტ რ ა ნ ს ჰ უ მ ა ნ ს ე ს სახელწოდებითაა ცნობილი[31]. მიჩნეულია, რომ მესაქონლეობის ეს ფორმა ხასიათდება როგორც ალპური,

ასევე მომთაბარე მესაქონლეობის ნიშნებით და მეურნეობის ამ ორი ფორმის გენეზისის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. მართალია, ტრანსჰუმანსეს წარმოებისას საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს შორის მუდმივად ადგილმონაცვლე საქონლის ჯოგი და მომვლელი პერსონალი დაკავშირებულია მთავარ დასახლებასთან, მაგრამ თუ ალპური მეურნეობისას ეს კავშირი ტერიტორიულიცაა, რამდენადაც საქონელი და მომვლელი პერსონალი ზამთრობით დასახლებებში ბრუნდება და იქ რჩება, ტრანსჰუმანსეს პირობებში იგი მხოლოდ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს[14].

ძირითად სამეურნეო ბაზებში საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობის გამორიცხვა და დაბლობის ზამთრის საძოვრების ფართო გამოყენება ტრანსჰუმანსეს ძირეულად განასხვავებს მთური მესაქონლეობისაგან. მეორე მხრივ, ტრანსჰუმანსეს დროს საქონელი წლის განმავლობაში საძოვარზეა გარეკილი, მაგრამ მომთაბარეობისაგან განსხვავებით ჯოგსა და მომვლელ პერსონალს მჭიდრო სამეურნეო-ორგანიზაციული კავშირი აქვთ ძირითად დასახლებასთან, სადაც მოსახლეობა დასაქმებულია სამიწათმოქმედო მეურნეობით და თავისი ეკონომიკური პოტენციალით განსაზღვრავს მესაქონლეობის განვითარების დონეს[15]. თუ ალპური მეურნეობისას ძირითად დასახლებებში ზაფხულის დიდ ნაწილს საქონლის საზამთრო საკვების დამზადებას უთმობენ, მთაბარული მესაქონლეობის რეგიონებში მთელი სამეურნეო საქმიანობა მხოლოდ მიწათმოქმედებას ხმარდება.

ტრანსჰუმანსეს ეს ორმხრივი თავისებურებანი იმ ძირეულ კრიტერიუმებს ეხება, რომლებიც მესაქონლეობის ამ ფორმას ტიპოლოგიურად განასხვავებს ალპური და მომთაბარე მესაქონლეობისაგან. ამრიგად, ტ რ ა ნ ს ჰ უ მ ა ნ ს ე ს მ თ ა ვ ა რ ი დ ა მ ახ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ნ ი შ ნ ებ ი ა ს ა ქ ო ნ ლ ი ს ჯ ო გ ი ს ა დ ა მ ო მ ვ ლ ე ლ ი პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ს მ უ დ მ ი ვ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა ს ა ზ ა მ თ რ ო, ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო-ს ა შ ე მ ო დ გ ო მ ო დ ა ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ს ა ძ ო ვ რ ებ ზ ე, რ ო მ ლ ი ს დ რ ო ს ა ც ს ა ქ ო ნ ლ ი ს მ ო ვ ლ ა-პ ა ტ რ ო ნ ო ბ ი ს წ ლ ი უ რ ი ც ი კ ლ ი დ ა ნ ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ა დ გ ა მ ო რ ი ცხ უ ლ ძ ი რ ი თ ა დ დ ა ს ა ხ ლ ებ ებ ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ებ უ ლ ი ა ქ ვ თ მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო-ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი გ ა ძ ღ ო ლ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ებ ი[16].

ტრანსჰუმანსეს ვარიაციული ქვესახეებიდან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში შეტანილია ა ღ მ ა ვ ა ლ ი, შ უ ა ლ ე დ ი დ ა დ ა ღ მ ა ვ ა ლ ი ტ რ ა ნ ს ჰ უ მ ა ნ ს ე ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ებ ი, რომლებიც გამოვლენილი და შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში[17].

სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის უმთავრესი კრიტერიუმები უდევს საფუძვლად ბარული მესაქონლეობის დეფინიციასაც. მთური და მთაბარული მესაქონლეობის მოძრავი, ადგილმონაცვლე ფორმებისაგან განსხვავებით ბარული მესაქონლეობის სათიბ-საძოვრები და სხვა გასადევარი ძირითად დასახლებებთან ერთად ერთიან ტერიტორიულ და სამეურნეო-ორგანიზაციულ კომპლექსებს ქმნის[18].

ბარის შედარებით რბილი კლიმატის პირობებში საქონლის ჯოგი სასოფლო მენახირის ზედამხედველობით თითქმის მთელი წელი გარეკილია სასოფლო საძოვრებზე, მოსავალაღებულ ყანებსა და ნაწვერალზე, ტყიან-ბუჩქნარ საგარგულებზე და ა. შ. ზამთრის განსაკუთრებით სუსხიან დღეებში საქონელს მიერეკებიან სოფლად და ყანისპირებში გამართულ გომებში და დროებით

К 18.709
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჰყავთ ბაგურ კვებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბარული მესაქონლეობისას საქონელი სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტერესების შესაბამისად ზეზირად მოძრაობს ერთი საძოვრიდან თუ სავარგულიდან მეორეზე, იგი მაინც გამოირჩევა მესაქონლეობის წარმოების ბინადარი ხასიათით[19].

ამრიგად, ბარული მესაქონლეობის ზოგად ტიპოლოგიურ ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ ბარის სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის აუცილებელი საქონლის ჯოგისა და ცხვრის ფარების სეზონური მონაცვლეობა სასოფლო მენახირეთა ზედამხედველობით დასახლებათა სახნავ-დაანეულ სავარგულებზე, მათ მიმდებარე სოფლის შინაგან საძოვრებზე, ახლომდებარე ტყეებსა და სხვა გასადევარზე, ზამთრობით სოფლად ან სოფლის ახლომდებარე ბოსლებსა და კარვებში ბაგური კვების გათვალისწინებით[20].

ბარული მესაქონლეობის ვარიაციული ქვესახეობიდან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში წარმოდგენილი იქნება ე. წ. დამხმარე მესაქონლეობისა და საკარვო მეურნეობის სტრუქტურული სახესხვაობანი. ბარული მესაქონლეობის ორივე ამ ქვესახეობის მთავარი დანიშნულება ბარის სამიწათმოქმედო მეურნეობის მუშა ძალითა და მეწველი საქონლით უზრუნველყოფა იყო. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ჯოგებისა და ფარების ადგილმონაცვლეობით ბარის სახნავ-სათესი ნაკვეთების განოყიერებას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარში სპეციალური სისტემის სახით იყო ჩამოყალიბებული[21].

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში მესაქონლეობის დასახელებულ ფორმათა გვერდით განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მომთაბარეობას. მართალია, მომთაბარე მესაქონლეობა თავის დროზე ჩვენს ქვეყანაში ეკზოგენური ელემენტების მოძალებასა და შემოჭრას უკავშირდება და არსებითად განსხვავდება აბორიგენული მოსახლეობისათვის დამახასიათებელი მთური, მთაბარული და ბარული მესაქონლეობის ტრადიციული ფორმებისაგან. მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით მისი იგნორირება საატლასე მასალებში გაუმართლებელი იქნება. მესაქონლეობის ეს ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მომთაბარეობის ტიპოლოგიური ნიშნები ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად ნათლად ჩანს მეურნეობის ამ ფორმის სპეციფიკურ თავისებურებათა შედარებით-ისტორიული ანალიზის შუქზე. დადგენილია, რომ მესაქონლეობის ამ ფორმას საერთოდ არ გააჩნდა ძირითადი დასახლებები. საქონლის მესაკუთრე მოსახლეობა მუდმივად მომთაბარეობდა ჯოგებით, მოძრავი საცხოვრებლითა და ქონებით საზაფხულო, საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრებს შორის. მეურნეობის აღნიშნული ფორმის დროს მესაქონლეობის ორგანიზაციული გაძღოლის თავისებურებები ქოჩადმავალი ცხოვრების წესით იყო განსაზღვრული[22].

მესაქონლეობის ფორმათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პროცესში მომთაბარე მესაქონლეობის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობის მოხეტიალე, ნომადური ხასიათია მიჩნეული, რომელიც გამორიცხავს რამდენადმე მკვიდრ ბინადრობასა და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებას[23].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მომთაბარეობა ადგილობრივი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებიდან თავისებურებებით განისაზღვრა. განსხვავებით ველის ქვეყნებში აღმოცენებული ე. წ. მერიდიანული (თაბუნების ჩრდილოეთიდან სამხრეთით და უკან მოძრაობით) თუ ციკლური (თაბუნების ჭებისა და ოაზისების ირგვლივ მოძრაობით) სისტემებისა, სხვა მთიანი ქვეყნების ანალოგიურად მომთაბარეობა საქართველოში ბარის საზამთრო საძოვრებიდან მთის საზაფხულო საძოვრებისაკენ და პირიქით, ვერტიკალური ადგილმონაცვლეობის სახით ჩამოყალიბდა[24].

ქოჩადმავლობის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური სახესხვაობებიდან ატლასის მასალებში წარმოდგენილი იქნება მისი ისეთი გარდამავალი ქვესახეობა, როგორიცაა ნახევრად მომთაბარული მესაქონლეობა, ანუ პოლუნომადიზმი. ნახევრად მომთაბარეობის ძირითადი ნიშანი, რომელიც საზამთრო საძოვრების ზონაში დასახლებისა და სამიწათმოქმედო ბაზების გაჩენას გულისხმობს, ქოჩადმავალი მეურნეობიდან ბინადარი მეურნეობის ფორმებზე გადასვლაა, თუმცა იგი ნაწილობრივ ჯერ კიდევ ადგილმონაცვლე ცხოვრების წესზეა დაფუძნებული[25]. მომთაბარეობის ეს ქვესახეობა დამახასიათებელი იყო ევროპისა და აზიის მოძრავი მესაქონლეობის განვითარების ხანგრძლივი პროცესისათვის და მისი საბოლოო ფორმირება მოხდა იქ, სადაც მომთაბარეებს დასახლებისა და ბინადარი მეურნეობის მოწყობის პირობები გააჩნდათ.

ასეთია მესაქონლეობის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალებში წარმოდგენილ მთურ, მთაბარულ, მომთაბარე და ბარულ მესაქონლეობის ფორმათა ცნებების განსაზღვრას. საქართველოს მესაქონლეობის ფორმათა აქ მოცემული კლასიფიკაცია, რომელიც მრავალწლიანი საველე ეთნოგრაფიული და კამერალური მუშაობის შედეგია, მომავალი კვლევა-ძიების პროცესშიც მოითხოვს დახვეწასა და სრულყოფას. თუ მესაქონლეობის ფორმათა განმსაზღვრელი არსებითი ნიშნები ძირითადად ჩამოყალიბებულია, ცალკეულ ფორმათა ვარიაციული ქვესახეების შემდგომი კვლევა ახალ ტიპოლოგიურ თავისებურებებს წარმოაჩენს, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მესაქონლეობის სპეციფიკური მრავალფეროვნების სრულყოფილი გამოვლენა და დადგენა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის ინტერესების გათვალისწინებით.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ალ. რობაქიძე, ვ. შამილაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში კულტურის ელემენტების კლასიფიკაციისა და სამეურნეო-კულტურულ ტიპოლოგიასთან მისი მიმართების საკითხისათვის, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, X, თბ., 1983, გვ. 10.

2. Я. В. Чеснов, О принципах типологии традиционно-бытовой культуры, «Проблемы типологии в этнографии», М., 1979.

3. ალ. რობაქიძე, ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23; В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 58.

4. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

5. იქვე, გვ. 60.

6. მესაქონლეობის ფორმათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა და ვრცელი ანალიზი იხ. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 40—48; 50—58. წინამდებარე მასალებში მოყვანილია მხოლოდ ძირითადი წყაროები და ლიტერატურა.

7. J. Frodin, Zentraleuropas Alpwiztschaft, II, Oslo, 1940, s. 11, S. Berezowski, Problemy geografierzne pasterstwa wedrownego, „Pasterstwo Tatr Polskich i Podhala", I, Wroclaw-Krakow — Warscawa, 1959, S. 83.

8. R. Schatzwann, Schweizevische Alpwirtschaft, Aarau, 1859 — 1863, s. 16; F. Stebler, Alp und Weidewirtschaft, Berlin, 1903, s. 21—22; A. Struby, Die Alp und Weidewirtschaft in der Schweiz, „Schweizerische Alpstatistik", Solothurh, 1914, s. 24—25 და სხვ.

9. P. Arbos, La vie pastorale dans les Alpes Francaises. Bull. Soc. Sciente de L'Iserre, 43, Grenoble, 1922, p. 13; J. Frojdin, დასახ. ნაშრ., გვ. 18—19.

10. H. Boesch, Nomadizm, Transhumanz und Alp wirtschaft, „Die Alpen", XVII, 1951, S. 203—207; S. Bernezowski, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

11. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 43.

12. იქვე, გვ. 44.

13. ტერმინი Transhumance — ცხვრის გადარეკვა საზაფხულო საძოვრებზე (Французско-русский словарь, М., 1967, с. 804) ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში (მიულერი, ფროდინი, ბოეში, ბერეზოვსკი და სხვ.) გამოყენებულია მესაქონლეობის ისეთი ფორმის აღსანიშნავად, რომლის დროსაც წლის სხვადასხვა სეზონში საქონელს, განსაკუთრებით კი ცხვარს, მიერეკებიან დაბლობიდან მთის საძოვრებზე და, პირიქით, მწყემსების ზედამხედველობით. აღსანიშნავია, რომ ვებსტერის ინგლისური ენის მესამე ახალ ინტერნაციონალურ ლექსიკონში ტრანსჰუმანსედაა გაგებული მთიან ქვეყნებში ქოჩადმავალი მესაქონლეობაც (Websters Third New Jnternational Dictionary of the Englisch language, 1961, 2428), რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება მესაქონლეობის აღნიშნული ფორმის ძირითად ნიშნებს.

14. E. Muller, Die Herdenwanderung im Mittelmergebiet (Transhumance), Petermanns geografische Mittelungen, 84, Gotha, 1938, s. 365; S. Berezowski, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

15. J. Frodin, დასახ. ნაშრ., გვ. 351—353; L. Foldeş, Vorwort. Wiehzucht und Hirtenleben in Ostmittelewropa. Ethnografische Studien (VHOES), Budapest, 1961, s. 6—7.

16. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

17. იქვე. გვ. 46—47.

18. L. Foldeş, დასახ. ნაშრ., გვ. 6; I. Balogh, Formen der extensiven Viehhaltung auf den Puszten von Debreccen, VHOES, 1961, s. 465—502.

19. I. Balogh, დასახ. ნაშრ., გვ. 467—468; L. Foldeş, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

20. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

21. იქვე, გვ. 49.

22. J. Berque, Introduction. „Nomads and nomadizm in the Arid Zone", ISSJ, UNESCO, XI, №4, 1959, p. 481; S. Berezowski, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

23. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

24. იქვე, გვ. 47—48.

25. S. Berezowski, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესაქონლეობის ფორმათა ისტორიული განვითარების პროცესი

საქართველოს მესაქონლეობის საწყის ფორმებზე არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა, თუმცა დღემდე პრობლემის ეს მხარეც სუსტადაა შესწავლილი[1]. მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, რაც ცხოველთა მოშინაურებასა და მესაქონლეობის აღმოცენებასაც გულისხმობდა, კავკასიაში ნეოლითის ეპოქას უკავშირდება[2].

მწარმოებლური მეურნეობის უადრეს ეტაპებზე კავკასიაში გარკვეულ წარმოდგენას იძლევა გეობოტანიკური მონაცემებიც. კულტურულ მცენარეთა განსახლების რვა პირველადი კერიდან ცალკე გამოჰყოფენ წინააზიურსაც, რომელიც მოიცავს ჩრდილო-დასავლეთი ირანის, მცირე აზიისა და სამხრეთ კავკასიის მთიან რაიონებს[3]. დადგენილია, რომ ველურად მზარდი ხორბლეულის მრავალფეროვნება (პური, ჭვავი, ქერი, ფეტვი, ასლი და სხვ.), ადგილობრივი ფლორის სხვა რელიქტურ სახეებთან ერთად, მცენარეულის კულტივაციის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა უნდა ყოფილიყო, რაც საფუძვლად დაედო პრიმიტიული მიწათმოქმედების აღმოცენებას[4]. ჯერჯერობით ასევე არაპირდაპირი მონაცემებით შეიძლება მსჯელობა კავკასიაში ცხოველთა მოშინაურების საწყის ეტაპებზეც. არქეოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიჩნეულია, რომ გარეულ ცხოველთა მოშინაურება კავკასიაში მიწათმოქმედების ადრეულ ეტაპებზე უნდა მომხდარიყო[5]. მსგავსად ჩვ. წ-მდე VII ათასწლეულის წინა აზიის ცნობილი ძეგლებისა (ჯანი-სური, ჯარმო, ტელ-შიმშარა და სხვ.)[6], პრიმიტიული მიწათმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობის არსებობას ამიერკავკასიაში გამოვლენილ ადრენეოლითურ ძეგლებზეც ვარაუდობენ[7], რომელთა მეურნეობა უშუალო კავშირში უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მონადირე-შემგროვებელთა განვითარებულ ეკონომიკურ ბაზასთან[8].

მესაქონლეობის აღმოცენების დამოუკიდებელ გზებზე უნდა მიუთითებდეს კავკასიაში მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალაც. აღსანიშნავია აქ შემონახული გარეული თხისა და ცხვრის, აგრეთვე ხარის—ე. წ. ტურის (Bos primigenius Boj, Bos tsochoceros Boj) ველური სახეობანი[9], რომლებიც ძროხეულისა და ცხვრის აბორიგენული წარმომავლობის უტყუარ საბუთს უნდა წარმოადგენდეს[10].

კავკასიის მთიანეთის რთული სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა ნეოლითულ ადამიანს. მთის შეზღუდული ტერიტორია მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შემდგომი განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ადრე ენეოლითამდე მთის მოსახლეობა განსახლდა დაბლობში, სადაც ნიადაგის ხელოვნური მორწყვის პირობებში საფუძველი ჩაეყარა ბინადარი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებას[11].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიაში ბარის მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ბინადარი კომპლექსები გარკვეულად ჩანს ძვ. წ. V—IV ათასწლეულის ქიულ-თეფესა და შულავერ-შომუ-თეფეს, აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძეგლთა კულტურულ-ფენებში[12]. საქართველოს ბარში ამ კულტურის სინქრონული ძეგლები წარმოდგენილია შულავერის, არუხლოსა და იმირის გორის ნასახლარებზე[13], ხოლო მთისძირის და შუამთის ძეგლებიდან აღსანიშნავია წოფი, კიკეთი[14], აბელია და თეთრი წყარო[15]. აღნიშნული ნასახლარების ოსტეოლოგიური მასალა აშკარად გვიჩვენებს, რომ მესაქონლეობა აქ გულისხმობდა საქონლის ჯოგებს, რომლის დასაცავად ადამიანს გამოყენებული ჰყავდა ძაღლიც[16].

კავკასიის უძველეს მოსახლეობაში წარმოებითი მეურნეობის უმთავრესი დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გენეზისისა და განვითარების საკითხები რთულ ეთნო-კულტურულ პროცესებთანაა დაკავშირებული. მხედველობაში რომ არ მივიღოთ თანამედროვე ლინგვისტურ მეცნიერებაში ჯერ კიდევ ჰიპოთეზად მიჩნეული საერთო კავკასიური ერთობის რთული პრობლემა, ბევრი რამ გაურკვეველია საკუთრივ ქართველ ტომთა ეთნიკური ერთიანობისა და საერთო ფუძეენის ადრეული გენეზისის შესახებაც. ამ მხრივ სადღეისოდ გამოვლენილი ლინგვისტური, ისტორიულ-არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები საკმაო საბუთს იძლევიან იმისა, რომ უკვე V—IV ათასწლეულებში ქართველ ტომთა ძირითად საცხოვრისად ამიერკავკასიის ცენტრალური ოლქები და დასავლეთ ამიერკავკასიის გარკვეული ტერიტორია ვიგულისხმოთ[17]. აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოებითი მეურნეობის განვითარება-გენეზისის ადრეული პროცესების გაშუქების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთო-ქართველურ ფუძეენაში დაცული მცენარეებისა და ცხოველების სახელები, რაც ქართველურ ენებში არსებული კანონზომიერი დერივატების მიხედვით ჯერ კიდევ ფუძეენის დიფერენციაციის დაწყებამდე (დაახლოებით ძვ. წ. III—II ათასწლეულის მიჯნა) უნდა იყოს აღმოცენებული[18]. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ფუძეენიდან მომდინარე მესაქონლეობის (დჯა [თხა], ვაც —, მატყლ—, ფურ—, ჯამლ— [ტყავი], ჯან—[ხარი], ძაღლ—, ყვერ—, [ს] ძე [რძე], ყველ — და ა. შ.), მიწათმოქმედების, მეფრინველეობისა და მეურნეობის სხვა დარგებთან დაკავშირებული ტერმინებიც.

ფუძეენაში წარმოდგენილი ფლორისა და ფაუნის რელიქტური სახეები დამახასიათებელი ჩანს ძველი კავკასიის, პირველ რიგში კი მისი მთიანი ზოლის ბუნებრივ-ეკოლოგიური გარემოსათვის, რაც ამ პერიოდში ქართველურ ტომთა კავკასიის მიწა-წყალზე დიდი ხნის ცხოვრების უტყუარ საბუთს უნდა წარმოადგენდეს[19]. ცხადია, ამ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ჩასახული და განვითარებული წარმოებითი მეურნეობის ადრეული დარგებიც, კავკასიის სხვა კუთხეების მოსახლეობასთან ერთად, ქართველ ტომთა სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობის ადრეულ საფეხურებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ქვემო ქართლის ენეოლითური სამოსახლოების შესწავლიდან ირკვევა, რომ ჩვ. წ-მდე V—IV ათასწლეულში აქ მოსახლე ტომთა მიერ ათვისებულია მდინარისპირა ველები და გორაკ-ბორცვიანი შემაღლებები, თუმცა ინტენსიური ცხოვრების კვალი ყველაზე მეტად ბარის ბინადარ დასახლებებში ჩანს[20]. მეურნეობის დამჯდარ ხასიათზე მიუთითებს აგრეთვე ნასახლართა ძვლოვანი მასალები, რომლებიც ასევე ბინადრული ტენდენციის მქონე მსხვილფეხა საქონელს ეკუთვნის[21]. საერთოდ, შულავერ-შომუ-თეფეს ძეგლებისათვის დამახასიათებელია განვითარებული მესაქონლეობა[22], რაც იმის სა-

ფუძველსაც კი იძლევა, რომ აქ მოსახლე ტომთა ეკონომიკური ბაზა მიწათ-მოქმედებაზე მეტად მესაქონლეობას დაუკავშირდეს[23].

ძნელია აღვადგინოთ მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ამ კომპლექსების კონკრეტული სურათი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბინადარი ბ ა ზ ი ს მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ადრეულ ეტაპებზე საქონლის საკვებად სამიწათმოქ-მედო კულტურების ანარჩენებთან ერთად ფართოდ იქნებოდა გამოყენებული დასახლების ახლომდებარე საძოვარ-სავარგულები და გასადევარი, რაც უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენებას. ჯერ კიდევ არაა დადგენილი იცოდა თუ არა აღმოსავლეთ საქართველოს ენეო-ლითის მოსახლეობამ ნიადაგის ხელოვნური განოყიერება[24]. მიჩნეულია, რომ დასახლებათა ირგვლივ ტყის მასივების განადგურება შესაძლოა დაკავშირე-ბული იყოს გამოფიტული სახნავ-სათესისა თუ სათიბ-საძოვარის დაგდებასა და ახალი ნაკვეთის მომზადებასთან, რაც იმ პერიოდშიც ტყის მოწვა-მოახოების გზით ხდებოდა[25].

ბოლო პერიოდის არქეოლოგიურ ლიტერატურაში ქვემო ქართლის ენეო-ლითური მოსახლეობის მრავალი კულტურულ-ისტორიული მონაპოვარი ასე-ვე მესაქონლეობის განვითარების აუცილებლობითაა ახსნილი. ძნელია დავე-თანხმოთ მოსაზრებას თითქოს აქაურ ნამოსახლართა სარწყავი სისტემები იმ-თავითვე სათიბების მოწყობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მართა-ლია, მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენების სპეციფიკა მოითხოვდა თივის გარკვეულ მარაგს, მაგრამ ამ პერიოდის ქვემო ქართლში სათიბი მეურნეობის მნიშვნელობა გადაჭარბებულად უნდა იყოს შეფასებული. თუ საკვლევი რე-გიონის გეო-კლიმატური და ეკოლოგიური პირობები ჩვენამდე ძირითადად უცვლელი დარჩა, მაშინ წინამდებარე მასალებში წარმოდგენილი საქართვე-ლოს ბარული მესაქონლეობის სისტემის გაცნობა გვარწმუნებს, რომ თივის ასეთი რაოდენობის მომარაგება მესაქონლეობის გასაძღოლად არ წარმოად-გენდა აუცილებლობას[26].

სათიბი მეურნეობის წარმოება რთულ პროცესებთან იყო დაკავშირებუ-ლი, რის გამოც მოსახლეობა იშვიათად აწყობდა ხელოვნურ სათიბს. სხვა სა-კითხია ე. წ. ყ ო რ უ ღ ე ბ ი ს მოწყობა, რაც ზაფხულობით ნაზარდი თივის დაცვასა და ადგილზევე აუღებლად გამოყენებას გულისხმობდა. ამ მხრივ მეს-ხეთ-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და იორ-ალაზნის აუზის დაბლობის ყორუღე-ბის სისტემა უაღრესად საყურადღებო ჩანს, სადაც ზაფხულობით რწყვის გა-რეშეც თივის გარკვეული მარაგი გროვდებოდა.

წარმოებითი მეურნეობის ძირითადი დარგების გენეზისის ანალოგიური პროცესები უნდა იყოს დამახასიათებელი დასავლეთ საქართველოს ბარის ენეო-ლითური დასახლებებისთვისაც. მართლაც, დასავლეთ ამიერკავკასიის გვიან-ნეოლითური და ენეოლითური მეურნეობის საფუძვლად მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც მიიჩნევენ[27], მაგრამ ბოლო დროს ეს კანონზომიე-რებაც ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული. ის გარემოება, რომ დასავლეთ ამიერ-კავკასიის ამ პერიოდის ძეგლებზე ძვლოვან მასალებს ვერ ვხვდებით მესაქონ-ლეობის განვითარებას აქ თითქოს საერთოდ უნდა გამორიცხავდეს. ამ მოსაზ-რების მიხედვით ხორცზე მოთხოვნილება აქ მონადირეობას უნდა დაეკმაყოფი-ლებინა, ხოლო მესაქონლეობის სხვა პროდუქტების კომპენსაცია — მიწათ-მოქმედებას აენაზღაურებინა[28].

მიჩნეულია, რომ დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობის განვითარე-ბის ხელის შემშლელი პირობა საკვები ბაზის შეზღუდულობა უნდა ყოფილი-

ყო. სამიწათმოქმედო კულტურების — ღომის, მჭადისა და ფეტვის ღეროების გამოუსადეგრობას საქონლის საკვებად, აგრეთვე ნოტიო კლიმატსა და ტყის დიდ მასივებს, თითქოს ხელი უნდა შეეშალა სათიბ-საძოვრების მოწყობასა და მესაქონლეობის აღმოცენებისათვის[29].

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს არგუმენტები არც რეალურ სინამდვილეს ასახავს და არცაა საკმარისი ამ რეგიონის ნეოლით-ენეოლითის მესაქონლეობის უარსაყოფად. ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ფენებში ძვლოვანი მასალების ნაკლებობა ნაწილობრივ აქაური ნიადაგის სინოტივითა და სიმჟავითაა ახსნილი, მეორეც, უკანასკნელ ხანებში ამ მხრივაც იჩინა თავი სიახლემ. საკმარისია დავასახელოთ დარკვეთის ეხის ნეოლითურ ფენებში (IV ფენა) აღმოჩენილი შინაური საქონლის დიდძალი ძვლოვანი მასალა[30], რაც ამ ეპოქაში დასავლეთ ამიერკავკასიის მესაქონლეობის უტყუარი საბუთია.

მესაქონლეობის განვითარებისათვის აქ არც ტყის მასივებს უნდა შეეშალა ხელი. პირიქით, ცნობილია, რომ ტყეში ანაკაფი ხის ფოთლოვანი ტოტები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ფართოდ გამოიყენებოდა მესაქონლეობის ადრეულ ეტაპებზე[31], რაც ჩვენშიაც ასევე ტრადიციული ხასიათის მატარებელი ჩანს. ამ მხრივ საყურადღებოა აქ გავრცელებული ტყიური მეცხვარეობისა და მესაქონლეობის ფორმები, რომლებშიც ნათლად ჩანს კოლხეთის ზღვისპირა ტყეებისა და აგვართას კომპლექსების მნიშვნელობა საზამთრო საძოვრებად და სადაც გარეკილი იყო არა მარტო ბარის, არამედ შუამთის მოსახლეობის ურიცხვი ჯოგები[23].

და ბოლოს, თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს ბარული მესაქონლეობის ტრადიციები შემდგომ ეპოქებშიც გრძელდებოდა, ხოლო გარკვეული ფორმების სახით მან XIX ს. მეორე ნახევრამდეც მოაღწია, მაშინ ნეოლით-ენეოლითის ბინადარი მესაქონლეობის კომპლექსები დაახლოებით ისეთივე მასშტაბებით განისაზღვრება, როგორიც თანამედროვე პირობებში შემოგვრჩა. ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოს ბარის საძოვარ-სავარგულები ბინადარი მესაქონლეობის გასამართავად საკმარისი უნდა ყოფილიყო და მესაქონლეობის აღმოცენებასა და გენეზისს საწყის ეტაპებზე ვერ დააბრკოლებდა.

ენეოლითის ხანის ამიერკავკასიის ბარის ბინადარი მესაქონლეობის შემდგომი განვითარების გზებზე არაერთი ვარაუდი გამოითქვა, მაგრამ მეურნეობის ამ დარგის გენეზისის ძირითად ეტაპებზე არსებითი ხასიათის შეხედულებები ადრე ბ. პიოტროვსკის მიერ იყო წამოყენებული. ავტორის აზრით, ადრებრინჯაოს ხანაში ბარიდან მთისკენ მოსახლეობის მოძრაობისათვის მესაქონლეობის განვითარებას უნდა შეეწყო ხელი, მაშინ როდესაც საქონლის გაზრდილი ჯოგებისა და ცხვრის ფარების გასამართავად არ იქნებოდა საკმარისი ენეოლითის ხანის ბარის საძოვარ-სავარგულები და გასადევარი[33]. ამ პროცესს ბ. პიოტროვსკი სამართლიანად უკავშირებს მეურნეობის ახალ ფორმას, რაც ფაქტიურად მ თ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს სამეურნეო კომპლექსების აღმოცენებას გულისხმობდა[34].

მესაქონლეობის დაწინაურება და მეურნეობის ახალ ფორმაზე გადასვლა ენეოლითის ხანის ბარის მოსახლეობის საწარმოო ძალების ზრდით იყო გამოწვეული. სპილენძის მეტალურგიის აღმავლობა, ტომთაშორის ურთიერთობის გაზრდა და საერთო ცვლილებები სოციალურ ორგანიზაციაში, აგრეთვე მოსახლეობის მკვეთრი რიცხობრივი ზრდა ახალი სამეურნეო სავარგულების ათვისებას თხოულობდა, რაც ხელს უწყობდა მთიანი ხეობების ფართო ათვისებას[35]. ამ პროცესების დაჩქარების მძლავრი სტიმული იყო აგრეთვე სავაჭ-

რო-სააღებმიმცემო კავშირების ახალი აღმავლობა აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებთანაც[36].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ამიერკავკასიის მთიანი რაიონების ინტენსიურ ათვისებას ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებს უკავშირებენ, რომელთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი დებულება გამოითქვა. ძვ. წ. III ათასწლეულის კავკასიასა და მახლობელი აღმოსავლეთის მომიჯნავე რაიონებში ფართოდ გავრცელებულ ამ კულტურას მკვლევრები სხვადასხვა ეთნიკურ (იბერიულ-კავკასიური, ხურიტული და სხვ.) ერთობას უკავშირებენ.

გამოთქმულია არაერთი მოსაზრება მტკვარ-არაქსის კულტურის ინდოევროპული ტომების კუთვნილების შესახებაც, მაგრამ ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კულტურის მატარებელ ტომთა შორის განსაკუთრებული ადგილი ქართველურ ტომებს ეთმობა[37]. მართალია, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომებში ინდოევროპულ ტომთა გავლენები მთლიანად არაა გამორიცხული, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა ჯერ კიდევ საერთო-ქართველურ ფუძე ენაში ინდოევროპულ ენობრივ გავლენებსა და ამ პერიოდში მომხდარ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ეთნო-კულტურულ ცვლილებებს[38]. მაგრამ ამ კულტურის მეურნეობრივი ხასიათი არ იძლეოდა სხვადასხვა ტომთა და ხალხთა ფართო მიგრაციების შესაძლებლობას, რის გამოც მტკვარ-არაქსის კულტურა ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში მომხდარ მიღწევებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული[39].

სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შინაგან ფაქტორებს უნდა გამოეწვია მტკვარ-არაქსის კულტურის ტომთა ფართო განსახლება მთიან რაიონებშიც. ბარის სამოსახლოების ნაწილობრივი მიტოვება აქაური კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების შეცვლითა და ურწყავი მიწათმოქმედების კრიზისითაა ახსნილი[40], რასაც მთიან ხეობათა ახალი სამეურნეო-კულტურული დაწინაურება მოჰყვა. ამ პროცესების შედეგად ადრებრინჯაოს გვიან საფეხურზე და შუაბრინჯაოს ხანაში საქართველოს შუამთაში საფუძველი ჩაეყარა მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული, სიმბიოზური კულტურის აღმოცენებას. მეურნეობის ამ ორი დარგის შეთანაწყობასა და მათ დაწინაურებას ხელს შეუწყობდა ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს პერიოდში გამოყენებული მარტივი სახვნელის გაუმჯობესება და ხარის გამოყენება სახვნელსა და სატრანსპორტო საშუალებებში[41].

შუამთის სიმბიოზური მეურნეობის საწყის ეტაპებზე მესაქონლეობა მიწათმოქმედების გვერდით ვითარდებოდა. მსხვილფეხა მესაქონლეობისთვის შუამთაშიც სოფლისპირა საძოვარ-სავარგულები უნდა გამოეყენებინათ. ასეთ პირობებში საქონელი არ სცილდებოდა სათემო ტერიტორიას. მიჩნეულია, რომ აღნიშნული ხანის ზოგიერთ ნამოსახლარზე (თეთრიწყარო, ამირანის გორა) აღმოჩენილი გადაუხურავი და შემოზღუდული ნაგებობები საქონლის სადგომს უნდა წარმოადგენდეს. ამირანის გორის ერთ-ერთ უბანზე ასეთი შემოზღუდული ადგილი ნასოფლარის ცენტრშია განლაგებული[42], რაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით პარალელს უნდა პოულობდეს საქართველოს მთიანეთში დამოწმებულ სამენახირეოს პრაქტიკასთან. როგორც ცნობილია, იგი სოფლად და საზაფხულო საძოვრებზე დასახლების ცენტრში განლაგებულ ქვის ან ხის შემოზღუდულ, გადაუხურავ ნაგებობას წარმოადგენდა და ღამღამობით ჯოგის ქურდების მიერ დატაცებისა თუ ნადირის თავდასხმისაგან დაცვის მიზნით სათემო საქონლის შესარეკად იყო გამოყენებული. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ადრებრინჯაოს ხანის დასახლებებზე შეგვიძლია ვიგულისხმოთ სათემო

გაერთიანების ჯოგისა და მისი გაძღოლის გარკვეული სისტემა მ ე ნ ა ხ ი ر ე ო ბ ი ს ინსტიტუტის მარტივი ფორმების სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობის ბინადარი ხასიათის მეცხოველეობისადმი, ადრებრინჯაოს ხანის საქართველოს შუამთაში ადგილი უნდა ჰქონოდა გარეკვითი მესაქონლეობის მარტივი ფორმების აღმოცენებასაც, რაც წვრილფეხა საქონლის მომრავლებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული[43]. ადრეული ბრინჯაოს ხანაში გარეკვითი მეურნეობის აღმოცენების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად სამოსახლეობისაგან განცალკევებით აღმოჩენილი ყორღანული სამარხებია მიჩნეული. მესაქონლეობის ამ ფორმის აღმოცენებას ჯერ კიდევ ბარის ენეოლითური დასახლებების მობილური ხასიათის პირობებში უნდა ჩაყროდა საფუძველი[44]. ეს ტრადიციები ადრებრინჯაოს შუამთის სამოსახლოებზეც გაგრძელდა, სადაც მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული განვითარება სეზონური მესაქონლეობისათვის ახალი საძოვრების ათვისებას მოითხოვდა. აქაური საძოვრები კი ძირითადად ტყეების გაკაფვის და ახოს აღების ბაზაზე უნდა გაფართოებულიყო[45]. როგორც ჩანს, ეს პროცესი უნდა ასახავდეს მთიანეთში ლ ა ბ ა ვ ი||ს ა ბ ო ს ლ ო ს ტიპის სამეურნეო ბაზების აღმოცენებას, რომლებიც სწორედ დასახლებიდან მოშორებით ტყეში სათიბ-საძოვრებისა და სათესი მიწების მოწვა-მოახოებას გულისხმობდა და, სადაც სეზონურად მიერეკებოდნენ საქონლის გარკვეულ ნაწილს. ცხადია, ლაბავი||ხაბოსლოს ტიპის სამეურნეო ბაზები უნდა ყოფილიყო ალპური საძოვრებისა და სეზონური გადარეკვითი მესაქონლეობისაკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელსაც მომდევნო პერიოდში შუამთის მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული განვითარების პროცესში დასრულებული სახე უნდა მიეღო.

საქართველოსა და ამიერკავკასიის შუამთის მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული კომპლექსების საბოლოო ჩამოყალიბება გადარეკვითი მესაქონლეობის განვითარებული ციკლით, შუაბრინჯაოს ხანასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოსახლეობის თანდათანობითი ზრდის პირობებში მიწათმოქმედების გაფართოება და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის გამრავლება, შუამთის დასახლების ირგვლივ თუ სეზონურ ბაზებში ველარ გაიმართებოდა, ახალი საძოვრები კი ამჯერად მხოლოდ ალპური მდელოები შეიძლებოდა ყოფილიყო..

შუაბრინჯაოს ხანის შუამთის მოსახლეობისათვის, რომლებსაც ათვისებული ჰქონდათ მთიან ხეობათა ზედაწელი და მიახლოებული იყვნენ ალპურ მდელოებს, ეს აღმოჩენა დიდ სიძნელესთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ასე უნდა აღმოცენებულიყო საქართველოსა და კავკასიაში მთური, ალპური მეურნეობის თვისობრივად ახალი ქვესახეობა — მ თ უ რ ი გ ა დ ა რ ე კ ვ ი თ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთიანეთის სამეურნეო-კულტურული და სოციალური განვითარების პროცესში. გადარეკვითი მესაქონლეობის გამოჩენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მთიანეთის მესაქონლეობის შრომის ორგანიზაციის უმთავრესი ფორმების (სათემო მ ე ნ ა ხ ი რ ე ო ბ ა, მ ე მ თ ე ვ რ ო ბ ი ს ინსტიტუტი, საქონლის გაბარების სხვადასხვა სახე — დ ა ბ მ ა, გ ა ბ ა რ ე ბ ა, დ ა ზ ი ა რ ე ბ ა და ა. შ.) აღმოცენება, პირველი ალპური სეზონური ნაგებობანი (ჯ ა რ გ ვ ა ლ ი, ქ ო ხ ი, გ ო მ ი, კ ა რ ა ვ ი, ქ ა რ თ ა და ა. შ.), რომლებიც მომდევნო ეპოქებში უკვე ჩამოყალიბებულ სახეს იღებენ.

ალპური საძოვრების სეზონური გამოყენების პროცესში მოსახლეობას ყურადღება უნდა მიექცია მთამაღალის მდიდარი რესურსებისათვის, რომე-

ლიც შუა ბრინჯაოს ხანაში მელითონეობის დაწინაურებასთან ერთად ამოუწურავ შესაძლებლობას იძლეოდა მესაქონლეობის განვითარების თვალსაზრისითაც. ეს უნდა გამხდარიყო მთამაღალის ზოლის მუდმივი დასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. მთამაღალის ინტენსიური ათვისება, რაც შუა-ბრინჯაოს დასასრულს შეინიშნება[46], ამ ზოლში შუამთის მოსახლეობის თანდათანობით ზრდითა და განსახლებით უნდა ავხსნათ. მთამაღალის ბუნებრივი რესურსების ათვისება და მისი პროფილის განსაზღვრა მესაქონლეობის ხაზით მთური მესაქონლეობის მეორე ძირითადი ქვესახეობის — შ ი ნ ა ა ლ-პ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს აღმოცენებას გულისხმობდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა აგრეთვე შესაბამისი სამეურნეო კომპლექსების ჩამოყალიბებაც.

შუაბრინჯაოს ხანის საქართველოს მთიანეთის ათვისება და სამეურნეო-კულტურული დაწინაურება მრავალი ფაქტორით იყო განსაზღვრული. შუამთის მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა, მეურნეობის ახალ ფორმათა და სისტემათა ძიება, მელითონეობისა და ხელოსნობის განვითარება, ეთნოკულტურული ურთიერთობანი ძველაღმოსავლურ სამყაროსთან და ა. შ. ამ პროცესის ძირითად მამოძრავებელ ძალადაა მიჩნეული, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ადგილი მესაქონლეობის გაზრდა-განვითარების აუცილებლობასაც ეთმობა[47]. მთამაღალის ათვისებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული აგრეთვე იმ ურთიერთობის გააქტიურებაც, რომელიც ცენტრალური კავკასიის უღელტეხილის გადასასვლელებით მთიანეთის მოსახლეობას ქედსიქითა მეზობელ ტომებთან ჰქონდა დამყარებული და რაც გვიანბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობის ინტერესების თვალსაზრისითაც იქნა გამოყენებული. მიუხედავად ამისა, მთური მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობათა მაქსიმუმი შუაბრინჯაოს დასასრულისათვის უკვე ამოწურული იყო. მართალია, მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული განვითარება და მასთან დაკავშირებული მთური მესაქონლეობა ამ პერიოდში მაღალ საფეხურს აღწევს, მაგრამ მას არ შეეძლო იმ დიდი სოციალურ-კულტურული ძვრების გამოწვევა, რაც შუაბრინჯაოს ხანის საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოჩნდა.

მთის შეზღუდულ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებში კავკასიის ალპური მესაქონლეობის განვითარება გარკვეულ ზღვარს გულისხმობდა. მთიანი ქვეყნების ზოგადი კანონზომიერება — საზაფხულო და საზამთრო საკვები ბაზის დისპროპორცია — შეუძლებელს ხდიდა დიდი ჯოგების უზრუნველყოფას საზამთრო საკვების მარაგით. კავკასიური მესაქონლეობის შემდგომი განვითარება მთის შეზღუდული გეოგრაფიული გარემოს გადალახვას მოითხოვდა, რაც დღის წესრიგში სვამდა მაღალმთიანი საზაფხულო და დაბლობის საზამთრო საძოვრების თანმიმდევრული და რაციონალური გამოყენების აუცილებლობას[48].

ამრიგად, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ კავკასიის ტომებმა პირველად დაიწყეს საქონლის ჯოგების სეზონური გადარეკვა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაბლობისა და ველების საზამთრო საძოვრებზე, რის მეოხებითაც საფუძველი ჩაეყარა მანამდე უცნობი, თვისობრივად ახალი ფორმის — მ თ ა ბ ა რ უ ლ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს, ანუ ტ რ ა ნ ს ჰ უ მ ა ნ ს ე ს აღმოცენებას[49]. შუამთისა და მთის ზონიდან დაწყებული ეს პროცესი საქართველოსა და კავკასიაში, პირველ რიგში, ტრანსჰუმანსეს შ უ ა ლ ე დ ი და დ ა ღ მ ა ვ ა ლ ი ქვესახეობების შექმნასა და ჩამოყალიბებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საქართველოში მთაბარულ მესაქონლეობასთან დაკავშირებული პროგრესი პირველ რიგში თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელ ტომებში უნდა ასახულიყო. საკითხი თრიალეთის კულტურის ტომთა ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში გადაწყვეტილად ითვლება. მართალია, ამ კულტურის ცალკეული ელემენტი აღნიშნულ პერიოდში უცხო ეთნიკურ ერთეულთა აქტიურ გავლენებზეც მიუთითებს, მაგრამ თრიალეთელ ტომთა ძირითადი მასა ადგილობრივი კავკასიური, პირველ რიგში კი ქართული მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, რომელიც ამა თუ იმ დამპყრობთა პოლიტიკური ჰეგემონობის მიუხედავად მოსულ ელემენტს საბოლოოდ ასიმილაციის ობიექტად აქცევდა[50]. ამ გარემოებაზე მეტყველებს ბოლო პერიოდის არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემებიც თრიალეთის კულტურის წინამორბედ მტკვარ-არაქსისა და მომდევნო კულტურებთან უშუალო გენეტიკური კავშირის შესახებ, რაც არ იძლევა ამ კულტურათა შორის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების რაიმე საფუძველს[51]. ეჭვს გარეშეა, რომ თრიალეთის ყორღანული კულტურის გენეზისიც, მტკვარ-არაქსის კულტურის ანალოგიურად, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურულ მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული.

შუაბრინჯაოს ხანაში ტყის თანდათანობით შემცირება და მთისწინა და მთის ზოლის დაწინაურება ხელს უწყობდა მეცხვარეობის განვითარებასა და თრიალეთის მაღალმთიანი ზოლის ინტენსიურ ათვისებას საზაფხულო საძოვრებად[52]. მეცხვარეობის აღმავლობას ამჯერად მთა ეეღარ დაიტევდა და თრიალეთელი ტომები თავიანთ ფარებს ქვემო ქართლისა და იორ-ალაზნის საზამთრო საძოვრებზე მიერეკებიან, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს პერიოდში ჩანს გამოყენებული[53]. სავარაუდოა, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა დაწყებულიყო მთიულეთის, ფშავისა და ერწო-თიანეთის, რამდენადმე მოგვიანებით კი მთათუშეთისა და ხევის მეცხვარეობის განვითარება და იორ-ალაზნის აუზის საზამთრო საძოვრების ფართო გამოყენებაც, თუმცა ცენტრალური კავკასიის სამხრეთი კალთების კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების სირთულის გამო ეს პროცესი შუა ბრინჯაოს ხანისათვის ისე აშკარად არ გამოკვეთილა.

მეცხვარეობის დაწინაურებისა და მთაბარული მესაქონლეობის განვითარების შესახებ გარკვეულ სურათს იძლევა დასავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც. რიონის სათავეებში გამოვლენილი სამთამადნო წარმოება აქაურ საზაფხულო საძოვრებზე მოიალაფე მეჯოგე-მწყემსების სამეურნეო-კულტურულ საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული[54]. გამორიცხული არ არის ისიც, რომ ამ პერიოდში მეცხვარეობის განვითარებისათვის გამოყენებულიყო ჩრდილოეთ კავკასიის სტეპების საზამთრო საძოვრებიც. სამეურნეო-კულტურული კავშირები მოსაზღვრე ქედიქითა რაიონებთან, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, სრულიადაც არ გამორიცხავს ამ საძოვრების სარგებლობას მათ მიერ ასეთ შორეულ ხანაში[55].

შუაბრინჯაოს ხანის საქართველოს სამეურნეო-კულტურული და სოციალური დაწინაურება სხვა ფაქტორთა გვერდით პირველ რიგში მეურნეობრივ ცვლილებებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მთიანეთის ფარგლებიდან გამოსული მთაბარული მესაქონლეობა საქონლის გაზრდილი ჯოგებისა და ცხვრის ფარების სახით, ხელს შეუწყობდა სიმდიდრის დაგროვებას გარკვეულ პირთა ხელში, რომლებიც საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქ-

ტებთან ერთად ფართო ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას გააჩაღებდნენ მელითონეობისა და ხელოსნობის ნაწარმითაც. შუაბრინჯაოს ხანის გვაროვნული არისტოკრატიის აღმოცენებაში მთაბარული მეცხვარეობის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ მთურ მესაქონლეობას, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ასეთი სოციალური ძვრები გვიან, განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიც კი არ მოუცია. ნ. ბერძენიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა მეცხვარეობის ადგილსა და როლზე ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაწინაურების საქმეში. „...ადრე, და განსაკუთრებით ქალაქობის წინა დროის „ქართლს“ (— ქართლს, მცხეთას, წიწამურს), უეჭველია სოფლის მეურნეობიდან პირველ რიგში მესაქონლეობა უნდა ჰქონოდა განვითარებული. ხოვლეგორის გათხრები (და ბევრგან სხვაგან) იმას უცილობლად მოწმობენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის მეურნეობაში ცხვარს ჯერ ისევ ენეოლითიდან მოკიდებული და, განსაკუთრებით, ბრინჯაოს ხანაში“ — წერდა იგი[56]. მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მთაბარული მეცხვარეობა-მესაქონლეობის აღმოცენებას, რასაც იგი მეურნეობის ამ დარგში მომხდარ დიდ პროგრესულ მოვლენებს უკავშირებდა. „გარკვეული ხანისათვის კი გვგონია, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — რომ ქართლის მეურნეობა (მეცხვარეობა-მესაქონლეობა) მთაბარული უნდა ყოფილიყო. ეს იყო დიდი ტეხილი მეურნეობის ამ დარგის განვითარებაში, განვითარება იქამდე რაციონალური, რომ მან გაუძლო საუკუნეებს, სხვადასხვა ფორმაციებს და mtuatis mutandis ჩვენს დრომდე მოაღწია. ეს იყო მონოკულტურის საბოლოო დაძლევა და ბიკულტურის გამარჯვება: მეცხოველეობის განვითარება მიწის მოქმედებასთან შეთავსების გზით ერთ მეურნეობაში... ქართლის მოსახლეობა საუკუნეთა დიდ სიღრმეში აღწევს თავს მეურნეობის ცალსახეობას... და ორსახოვანი მეურნეობის მტკიცე მიმდევარი ჩანს“[57].

ნ. ბერძენიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანის და ქართლის ბარის სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებს და უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე (ბედენი, თეთრი წყარო, სარკინეთი, სამთავრო) დაყრდნობით თრიალეთის ყორღანული კულტურის მატარებელი ტომების საცხოვრისს ქართლის ბარის ნამოსახლარებს უკავშირებდა. „თრიალეთის ყორღანების კულტურა უეჭველ კავშირში იმყოფება სამთავროს სამაროვნით წარმოდგენილ კულტურასთან და რას შეიძლება გულისხმობდეს ასეთი კავშირი ბარსა და მთას შორის თუ არა „ყიშლაღ“ — „იალაღის“ მეურნეობით თანამშრომლობას?“ — წერდა იგი[58]. მკვლევარი მიუთითებდა „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ცნობაზე, რომლის მიხედვითაც თრიალეთ-ჯავახეთის ზეგანის გამოყენებას ქართლის ბარის საზაფხულო საძოვრებად ახ. წ-ით IV ს. ხანგრძლივი ტრადიციები უნდა ჰქონოდა[59].

უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა გათხრებმა თვალნათლივ დაადასტურეს ნ. ბერძენიშვილის ეს შეხედულება და კიდევ უფრო გააფართოეს თრიალეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების არეალი. ივრისპირეთისა და ალაზნის ველზე გამოვლინდა მეურნეობის საინტერესო კომპლექსები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობა დაწინაურებულ მიწათმოქმედებასთან ერთად ასევე განვითარებული მესაქონლეობისათვის საზამთრო საძოვრებად ფართოდ იყენებდა იორ-ალაზნის აუზის ველებს, ხოლო საზაფხულოდ —თრია-

ლეთის ზეგანს[60]. საქართველოს ამ ორ ისტორიულ პროვინციას შორის მთა-ბარულ მეცხვარეობაზე აღმოცენებული სამეურნეო-კულტურული ერთეული ბი, რომელმაც თავისი რაციონალური ფორმისა და შინაარსის წყალობით თა-ნამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფამდე შემოინახა თავი, განვითარება-გენეზი-სის თავისებურებებით მტკიცედ იყო დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ძირეულ მომენტებთან.

შუაბრინჯაოს ხანაში დაწყებული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური პროგრესი შემდგომში ახალი ეპოქალური ძვრების პირობებში გაგრძელდა. გვიან ბრინჯაოს ხანაში, მეორე ათასწლეულის მეო-რე ნახევრიდან, აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მცხოვრე-ბი ტომები ტოვებენ თავიანთ საცხოვრისს და ბარს უბრუნდებიან, რაც სხვა ფაქტორებთან (კულტურული ურთიერთობის შეწყვეტა წინა აზიასთან, მშვი-დობიანობის პერიოდის დასასრული და სხვ.) ერთად ადგილობრივი მეურ-ნეობის კრიზისითაა ახსნილი.

მიჩნეულია, რომ თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტუ-რის დაცემის „მთავარი მიზეზი მაინც მეურნეობის კრიზისი უნდა იყოს: შეუ-საბამობა პრიმიტიულ მიწათმოქმედებასა და მზარდ მესაქონლეობას შორის. ზედაპირული მიწათმოქმედება და შუა ბრინჯაოს ხანის ტომების დასახლება მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემცველ ტერი-ტორიაზე ქმნის კონიუნქტურას უკანასკნელის მძლავრი განვითარებისათვის. მესაქონლის მწყემსური ბუნება სძლევს მიწათმოქმედის ლტოლვას ბინადარი ცხოვრებისაკენ და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს აღმოსავლეთ საქართვე-ლოსა და ამიერკავკასიაში მცხოვრები ტომები კვლავ ტოვებენ ძველ საცხოვ-რისს“[61]. ბარის ხელახალი ათვისების პროცესს შემდგომში ინტენსიური მი-წათმოქმედების განვითარებას უკავშირებენ, რომელსაც ამჯერად საბოლოო უპირატესობა უნდა მოეპოვებინა მესაქონლეობასთან შედარებით. ამასთან პარალელურად მიმდინარეობდა ეკონომიკური ცენტრების გადანაცვლება მთიდან ბარში, რაც საბოლოოდ ადრეფეოდალურ ხანაში დასრულდა[62].

აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირისა და ბარის ზოგიერთი ტერიტო-რიის ხელახალი ათვისება გვიანბრინჯაოს დასაწყისშიც მესაქონლეობის ინ-ტერესებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ალაზნის აუზის, ივრისპირების, ყარაიასა და გარდაბნის საზამთრო საძოვრები და მათი შემოგარენი კვლავ მესაქონლეთა დასახლებებით იფარება[63], მაგრამ ამ პერიოდში ხის, ხოლო მოგვიანებით რკინის სახვნელის გამოყენებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ბა-რის სამიწათმოქმედო მეურნეობის საბოლოოდ დაწინაურებაში. ამ პროცესის დაჩქარებას ხელი შეუწყო მთისძირისა და ბარის ძირითადი ტერიტორიების ინტენსიურმა გასარწყავებამ, რომელიც სწორედ გვიანბრინჯაოსა და ადრე-რკინის პერიოდს ემთხვევა[64].

სამეურნეო-კულტურული ცენტრების ბარში გადანაცვლებასთან ერთად მთა არ დაცლილა. მთიან ხეობებში, სადაც მიწათმოქმედებისა და მთური მე-საქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, მოსახლეობა აგრძელებდა ცხოვრებას. ამავე დროს აქ ადრე აღმოცენებული მთაბარული მესაქონლეო-ბა ამ პერიოდისათვის საბოლოოდ უნდა გამოყოფოდა მთურ მესაქონლეობას. ამ საფეხურზე მთაბარობას, გარკვეულ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებ-თან ერთად, გააჩნდა მთიდან ბარში და პირიქით, გადასარეკი მუდმივი მარ-შრუტები[65], მწყემსური ორგანიზაციის გარკვეული ფორმები (ო კ ა თ უ რ ი, მ ო ნ ა რ ე ო ბ ა და ა. შ.)[66], მეცხვარეთა სადგომები და დროებითი ნაგებო-

ბანი (ბ ი ნ ა, კ ა რ ა ვ ი, ჯ ი ხ უ რ ი, ბ ა კ ი, ა რ ხ ა ჯ ი, ა გ ვ ა რ ა, მ ა-
რ ა კ ა, ფ ა რ ე ხ ი და ა. შ.) და სხვ., რომლებიც კარგადაა შემონახული
მეცხვარეობის თანამედროვე კომპლექსებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მეორადი ათვისების პროცესებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული აგრეთვე ბარული მესაქონლეობის გვერდით აქ აღმოცენებული მეცხვარეობაც. მესაქონლეობით და მეცხვარეობით დაწინაურებულ ტომებს ამ პერიოდში უკვე ეჭირათ ბარის დიდი ნაწილი — ივრის სანაპირო, ელდარის, ყარაია-გარდაბნის ველები, აგრეთვე ალაზნის ველის განსახლება და ა. შ. მეურნეობის სამიწათმოქმედო მიმართულების გამო აქ მოსახლე ტომთა ფარები ზაფხულობით ალპურ საძოვრებზე უნდა გადაერეკათ, რაც საფუძველს ჩაუყრიდა მთაბარული მესაქონლეობის, ანუ ტრანსჰუმანსეს ახალი ქვესახეობის — ბ ა რ უ ლ ი, ა ღ მ ა ვ ა ლ ი მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ი ს საბოლოოდ ჩამოყალიბებას. როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანაში ამ პროცესებს საბოლოოდ უნდა განესაზღვრათ ბარის სამეურნეო პროფილი და მიმართულება, რაც საფუძველს ჩაუყრიდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარული მესაქონლეობის იმ რთული სისტემის (კ ა ლ ო, ბ ე რ ა, მ ე კ ა რ ვ ე ო ბ ა და ა. შ.) აღმოცენებასა და ჩამოყალიბებას, რომელიც ანტიკური ხანის განვითარებული გუთნითი მიწათმოქმედების პირობებში შემდგომ დაიხვეწა და მეტ-ნაკლები ცვლილებებით თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფამდე შემოინახა თავი.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ქართველ ტომთა სამეურნეო-ეკონომიური და სოციალური დაწინაურების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ხევის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებას. ხევების ლოკალური კულტურების აღმოცენებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მეურნეობრივ ფაქტორს[67], მაგრამ ამ ერთეულის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესში ამ ფაქტორის ადგილისა და როლის შესახებ კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. როგორც ჩანს, აქ განსაკუთრებული როლი მესაქონლეობას უნდა ეთამაშა. თუ ხევის მთამაღალის საძოვრები მთური მესაქონლეობისათვის იყო გამოყენებული, ტრანსჰუმანსე ბარის საზამთრო საძოვრების ათვისებასაც მოითხოვდა. ამ ორ მეურნეობრივ ერთეულს შორის გამავალი მეცხვარეთა თუ მესაქონლეთა მარშრუტები მთლიანად ხევის ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და ხელს უწყობდა მის სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ შეკავშირებას. ამ პროცესში დიდი როლი უნდა შეესრულებინა ცხენის გამოჩენასაც[68], რომელსაც აღნიშნული პერიოდიდან განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეჭირა მესაქონლეობაში.

ძვ. წ. 1 ათასწლეულის დასაწყისში, ევრაზიის ველებში ნომადიზმის აღმოცენებასა და მომთაბარე ხალხების „დიდ გადასახლებებთან" დაკავშირებით, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას სერიოზული საფრთხე შეექმნა. ამიერიდან მ ო მ თ ა ბ ა რ ე მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ელემენტები კავკასიაშიც იჩენს თავს.

თუ ბარული და მთური მესაქონლეობა, აგრეთვე ტრანსჰუმანსე კავკასიის სპეციფიკურ გეოკლიმატურ და ეკოლოგიურ პირობებში შეიქმნა და მტკიცედ დაუკავშირდა ბინადარი მოსახლეობის სამიწათმოქმედო ყოფას, კავკასიური ნომადიზმის აღმოცენება სულ სხვა ისტორიული გზებით იყო განსაზღვრული. არქეოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემები დამაჯერებელ საბუთს იძლევიან იმისა, რომ მომთაბარე მესაქონლეობა არ აღმოცენებულა კავკასიის სინამდვილეში. მომთაბარე კულტურის აღმოცენების კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებიდან გამორიცხულია არა მარტო ამიერკავკასია, არამედ ჩრდილო კავკასიის მთიანეთის მიმდებარე ველები სტავროპოლშჩინის ჩრდილო ტაიგებისა და დაღესტნის ასსრ ნახევარუდაბნოს ტერიტორიის ჩათვლით. აქ მოპოვებული მატერიალური კულტურის ნაშთები, რომლებიც სკვითურ-სარმატულ კულტურულ წრესაც გულისხმობს, მიჩნეულია ადგილობრივი მოსახლეობის სამიწათმოქმედო ყოფის უტყუარ საბუთად[69].

VIII ს. 30-იან თუ 20-იან წლებში სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიიდან კიმერიელთა დიდი მასა წინა აზიას შემოესია[70]. აბორიგენებთან პირველი, არცთუ ისე რეგულარული კონტაქტების შემდეგ VII — VI სს. მიჯნაზე ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობისა და წინამთების მოსახლეობამ პირველად იგემა მომთაბარეთა მობილური ურდოების გამანადგურებელი ძალა[71]. ურარტუსა და კაპადოკიაში შეჭრამდე ველის მომთაბარენი ასეთივე დარტყმებს აყენებდნენ ამიერკავკასიის სამეფოებსაც[72].

ისტორიულ მეცნიერებას გააჩნია ზოგიერთი მონაცემი კიმერიულ-სკვითური ტომების წინა აზიისა და ამიერკავკასიის სტეპურ და მთაგორიან რაიონებში დასახლების შესახებაც[73]. მაგრამ ჯერჯერობით კიმერიულ-სკვითური ეთნიკური ელემენტის მიგრაციის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მიჩნეულია, რომ ჩვენში სკვითური ტიპის იარაღები და სხვა საგნები მომთაბარეთა წინა აზიაში ლაშქრობის გზით, ტომთაშორის არსებული ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობით ან კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე სკვითური მოსახლეობის კომპაქტური მასების დამკვიდრებით უნდა გავრცელებულიყო[74]. ცხადია, კიმერიელ-სკვითთა დიდი მიგრაციებისას ჩვენში მომთაბარეთა გარკვეული ტომებიც შემოსახლდებოდნენ, მაგრამ ამიერკავკასიის დაწინაურებულ სამეურნეო-კულტურულ პირობებში ველის მომთაბარეთა ეს პირველი შემოტევა მოკლე დროში კიმერიულ-სკვითური ტომების სრული ასიმილაციით უნდა დასრულებულიყო.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ქართველ ტომთა უძველესი გაერთიანებების — ნაირის მთიანი ქვეყნების, დიაოხისა და კოლხას სამეურნეო-კულტურული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ძველასირიულ და ურარტულ წერილობით წყაროებში[75]. დიაოხთა გაერთიანების შესახებ ცნობებს ძველბერძნული წყაროებიც იძლევიან[76]. ნადავლის მასშტაბები, რომელიც ხელთ უგდიათ ქართველ ტომებში მოლაშქრე დამპყრობლებს პირუტყვის სახით ამ გაერთიანებათა მთური მესაქონლეობის მაღალ დონეზე მეტყველებს. ამასთან ერთად, წყაროებში მითითებული ცხვრის ურიცხვი ფარები, რომელთა გამოკვება მარტო მთიან ხეობებში საეჭვოა, ამ ქვეყნებში მთაბარული მეცხვარეობის განვითარებაზეც უნდა მიუთითებდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაირის ქვეყნების, განსაკუთრებით კი დიაოხისა და კოლხას პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება ამ პერიოდში უკვე გულისხმობდა ქვეყნის მთისა და ბარის სამეურნეო-ეკონომიკურ კომპლექსთა მტკიცე ერთიანობას.

ქართველ ტომთა ადრეული გაერთიანებების სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის დამახასიათებელი ეს პროცესები ჩამოყალიბებულ ხასიათს ატარებს ანტიკურ კოლხეთში. ბერძენ-რომაელ მოგზაურ-მკვლევართა ცნობების მიხედვით ჩანს, რომ ანტიკური კოლხეთი ბარისა და მთის სამეურნეო კომპლექსებად იყოფოდა. ბარის მოსახლეობა მიწათმოქმედება-მემინდვრეობას მისდევდა, რომელიც მარცვლეულთან ერთად სელისა და კანაფის მოყვანასაც გულისხმობდა. აქ განვითარებული ჩანს მებაღეობა-მევენახეობა და მეთევზეობაც[77].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლხეთის მთიანი ზოლის მკაცრი კლიმატური პირობები საგრძნობლად ზღუდავდა მიწათმოქმედებას. ასეთ პირობებში მოსახლეობას მარცვლეულის სხვა აუცილებელი საგნები ბარიდან შეჰქონდა. სამაგიეროდ მთა მდიდარი იყო მესაქონლეობით, რომლის პროდუქტები მრავალფეროვანი სახით გადიოდა ბარის სავაჭრო ცენტრებში.

ბერძენ მწერალთა ცნობების მიხედვით ჩანს. რომ მესაქონლეობას გარკვეული ხვედრითი წონა გააჩნდა კოლხეთის ბარშიც. ქსენოფონტეს ცნობით, ბარში მისდევდნენ როგორც მიწათმოქმედებას, ასევე მეცხოველეობას. მას კოლხეთში მრავლად უნახავს ძროხები, ხარები, ღორები და ცხვრები. კოლხებს ბერძნებისათვის საჩუქარიც მსხვილფეხა საქონლის სახით მიურთმევიათ[78]. ანტიკურ კოლხეთში მსხვილფეხა საქონელს და კერძოდ გამწევ ძალას დიდი მოთხოვნილება უნდა ჰქონოდა განვითარებული გუთნითი მიწათმოქმედებისათვის, რაც საფუძვლად დაედო ხარის კულტის ობიექტად ქცევას[79]. ამაზე მეტყველებს არგონავტების ლეგენდის ადრეული ვერსიებიც. რომელთა მიხედვითაც ბერძენ მოგზაურებს კოლხეთის ბრწყინვალე სამეფო კარზე უნახავთ ხარის ბრინჯაოს ქანდაკებები, აგრეთვე სახნისი ფოლადის მთლიანი ნაჭრისაგან და ა. შ. ამ თქმულებაში ზღაპრულ სიუჟეტებთან ერთად ისტორიული სინამდვილეც უნდა იყოს ასახული, რომელშიც ნათლად ჩანს ქართველი ტომების სამეურნეო ყოფისა და კულტურის მაღალი დონე[80].

კოლხეთის ბარში განვითარებული ჩანს ძეძროხეობაც. ფსევდო-არისტოტელეს ცნობა კოლხური ძროხის მაღალი საბონიტეტო თვისებების შესახებ[81] ადგილობრივ მოსახლეობაში ძროხეულის მომშენებლობის მაღალ დონეზე უნდა მეტყველებდეს. სხვათა შორის, იმავე ანტიკური წყაროებით ბერძენ მოახალშენეებს სხვა სავაჭრო საქონელთან (ხე-ტყე, თაფლი, ცვილი, დამარილებული თევზი, პური, ლითონი, სელის ნაწარმი და ა. შ.) ერთად[82] პონტისპირა ქვეყნებიდან, კერძოდ კოლხეთიდან პირუტყვიც გაუყვანიათ[83]. ცხადია, ასეთ პირობებში ძროხეულის მომშენებლობის საქმე კოლხეთში მაღალ დონეზე უნდა მდგარიყო.

ანტიკური ხანის კოლხეთში განვითარებულ დარგად გამოიყურება მეცხვარეობაც. ბერძენ-რომაელ მწერალთა პირდაპირი ცნობების გარდა, ზოგიერთი მკვლევარი ლეგენდას ოქროს საწმისის შესახებ ბერძნულ მეტროპოლიებში ძველკოლხური ცხვრის მატყლის გატანას უკავშირებენ[84]. უფრო მეტიც, ცნობილი ევროპული ნაზმატყლიანი ცხვრის — მერინოსის წარმომავლობა მკვლევართა უმრავლესობას წინა აზიურ-ანატოლიური ცხვრის ჯიშებიდან გამოჰყავს, ხოლო რ. ლაიდაკერისა და კ. გუნტერის აზრით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ, კოლხეთი ნაზმატყლიანი ცხვრის ერთ-ერთ ადრინდელ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს[85]. სპეციალური კვლევით დადგენილია ძველ კოლხეთში ნაზმატყლიანი ცხვრის მომშენებლობის მაღალი კულტურა, რომელიც ძვ. წ. VIII—VII სს. შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენების იმპორტის ერთ-ერთ მთავარ საგნად ქცეულა. მოტანილია არაერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ბერძენ მოახალშენეებს კოლხეთიდან საბერძნეთსა და რომში გაჰყავდათ კოლხური ცხვრის მწარმოებლებიც. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძველკოლხური ცხვარი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო იტალიური და სიცილიური ნაზმატყლიანი ცხვრების ფორმირების პროცესში, მომდევნო პერიოდში ესპანეთში უნდა შეეყვანათ, სადაც იგი საფუძვლად დაედო ესპანური მერინოსების მაღალკულტურული თვისებების საბოლოო ჩამოყალიბებას[86].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი გაერთიანებების ანალოგიურად მთისა და ბარის სამეურნეო ერთიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა შეკავშირების საქმეშიც. „საქართველოს ტალურგიამ, თრიალეთ-მცხეთა-არმაზის მეურნეობითმა თანამშრომლობამ მესაქონლეობაში, ბარულმა მიწის მოქმედებამ (პლუს ხელოსნობა) და დიდმა საბაჟომ შეუქმნეს მცხეთა-არმაზს განსაკუთრებული უპირატესობანი"[87] — წერს ნ. ბერძენიშვილი. ძირთადად ამ ფაქტორებით იყო განპირობებული ქართლის სამეფოს დედაქალაქის სამეურნეო-კულტურული დაწინაურება[88]. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები თრიალეთის გარდა, მთიანეთის სხვა კუთხეებსაც მოიცავდა. სამწუხაროდ, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ამ კავშირების შესახებ წყაროების უქონლობის გამო მსჯელობა ძნელდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთიანეთის გვიანდელ ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი ცნობები აქვთ დაცული ანტიკური ხანის ავტორებს. ჩანს, რომ მთიელ ტომებთან ურთიერთობა სახელმწიფო მესვეურთა პოლიტიკის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენდა, რამდენადაც ჩრდილო კავკასიის ველებში მომთაბარე ტომებს მუდამ შეეძლოთ გამოეთარეშათ სამხრეთის მდიდარ ქვეყნებში[89]. ამ პერიოდში კი იქ, მართლაც მნიშვნელოვანი ძვრები ხდებოდა. ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ჩრდილო კავკასიის ველებზე დაწინაურებული მომთაბარე სარმატებისა და ალანების[90] პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენებს განიცდიდნენ არა მარტო წინამთიანი, არამედ მთიანი მოსახლეობაც, რომლებიც მომთაბარეებთან ერთად თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიის ბარის მოსახლეობას[91].

სტრაბონის ცნობიდან ჩანს, რომ იბერიამ მთიანეთის ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებული მოსახლეობა ერთ სამეფოში გააერთიანა, რომლის პოტენციალი სამეურნეო-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ჯერ კიდევ იბერიის სამეფოს ადრეულ ეტაპებზე სახელმწიფოს პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური დაწინაურება ბარისა და მთიანეთის ერთიანობაზე იყო დამოკიდებული, რომლის სიმტკიცე მომდევნო ეპოქებში ყოველთვის განსაზღვრავდა საქართველოს საერთო ძლიერებას.

სტრაბონი მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა იბერიის ბარისა და მთის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებაც. მისი ცნობით, ქართლის სამეფოს დაბლობზე უფრო მშვიდობიანი მიწათმოქმედნი ცხოვრობენ, რომლებიც არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნებისაა, მთიანი მხარე უჭირავს და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე[92]. საქონლით მდიდარ მომთაბარე სკვითებისა და სარმატების სამეურნეო ყოფის ანალოგია სტრაბონთან იბერიის მთიელებში მესაქონლეობის ფართო მასშტაბებზე უნდა მიუთითებდეს. ეჭვს არ იწვევს, რომ სამხრეთი და ცენტრალური კავკასიის მდიდარი რესურსები იბერიის სამეფოშიც განვითარებული მესაქონლეობისათვის იყო გამოყენებული. მთიელთა მესაქონლეობის პროდუქტები აქაც მიწათმოქმედებით, მევენახეობა-მებაღეობითა და ხელოსნობით დაწინაურებულ ბარის სავაჭრო ცენტრებში (მცხეთა, ურბნისი, კასპი, ოძრხე და სხვ.) საღდებოდა. ცხადია, ქართლის სამეფოს პოლიტიკური გაძლიერება და მთისა და ბარის ვრცელი ტერიტორიების გაერთიანება გარკვეული სტიმული უნდა ყოფილიყო დიდი მასშტაბის მეცხვარეობის აღმავლობისათვის. სამწუხაროდ, წერილობითი წყაროე-

ბის სიმცირის გამო, აღნიშნულ პროცესებს შეიძლება თვალი გავადევნოთ მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ეპოქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული საქართველოს პოლიტიკური აღმავლობის პროცესში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის ინტერესებს. ქართლის სამეფოს წარმატებითი ცდები იბერიის მთიელთა დამორჩილების მიზნით, შესაბამისი საზამთრო საძოვრების ხელში ჩაგდებასაც ითვალისწინებდა. სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ამ გარემოებასაც უნდა გამოეწვია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იორ-ალაზნის აუზის ისტორიული პროვინციების გაერთიანების აუცილებლობა, რომელიც აქ მდებარე საზამთრო საძოვრებს ქართლის სამეფოს ფარგლებში მოაქცევდა.

ახ. წ. IV ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება წარმატებით დაგვირგვინდა[93]. მართალია, ამ პროცესის დაჩქარებას მეორე მხრივ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გამავალი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების აუცილებლობაც იწვევდა, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მაინც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების ძიება გახლდათ. დადგენილია, რომ სწორედ ამ პერიოდიდან (IV ს. I ნახევარი) უჯარმის ქალაქად ქცევასა და მის აღმავლობაში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა მესაქონლეობას და საკუთრივ მეცხვარეობას. ქართლის სამეფოში მომხდარი ამ დიდი მოვლენის შესაფასებლად მოტანილი ჯუანშერის რამდენადმე მოგვიანო (V ს. II ნახევარი) ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასალმა ბრძანა უჯარმის გაფართოება და ჩათვალა იგი „სიმარჯვედ... ნადირთა და ცხოვართათვის"[94]. მიჩნეულია, რომ გორგასალის უჯარმაში დაჯდომა განპირობებული იყო არა მარტო პოლიტიკური და სტრატეგიული, არამედ ეკონომიკურ-მეურნეობრივი თვალსაზრისითაც[95]. ქართლის სამეფოს ამ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრილობით იყო განპირობებული აგრეთვე უჯარმის-ხევის ქალაქის მტკიცე კავშირი რუსთავის — ველის ციხე-ქალაქთან, რომელიც ივრისპირეთის გაგრძელებაზე ყარაია-მტკვრისპირეთის საზამთრო საძოვრების გასაღებს წარმოადგენდა. ივრის ხეობის ბუნებრივ-ეკონომიკური მთლიანობის ამ აუცილებლობამ უჯარმა და რუსთავი ერთ ეკონომიკურ ერთეულად აქცია[96] და მნიშვნელოვანი როლი დააკისრა ქართლის სამეფოს სამეურნეო-კულტურულ და პოლიტიკურ დაწინაურებაში.

ამ პროცესებში მთიანეთის მესაქონლეობის ადგილი და როლი უარყოფილია ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში ბარის ინტენსიურმა გასარწყავებამ და გუთნითი მიწათმოქმედების დაწინაურებამ შეცვალა ურთიერთობა მთასა და ბარს შორის. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მესაქონლეობის წამყვანი როლი არაა უარყოფილი, მაგრამ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შედეგად შეზღუდულ საძოვრებზე და გასადევარზე იგი თითქოს მიწათმოქმედებას შეერწყო და მხოლოდ ბინადარი ხასიათი მიიღო. ამ დებულების თანახმად, ბარის ინტენსიური მეურნეობა ვერ ეგუება მომთაბარე მესაქონლეობას, რის გამოც მესაქონლენი მთებში უნდა ჩაკეტილიყვნენ და იქაური სათიბ-საძოვრების ხარჯზე განევითარებინათ მესაქონლეობა[97]. აქედან გამომდინარე მიჩნეულია, რომ სწორედ გვიანანტიკურ ან ადრეფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მჭიდრო დასახლება და ამ ხეობების საბოლოოდ ჩამოყალიბება, აქედან მოკიდებული კი ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა გამუდმებული ზრუნვა მთისა და ბარის შესაყარის ციხეებით გასამაგრებლად, რამდენადაც მთიანეთის მეცხვარეობას

ყოველთვის ახასიათებდა მომთაბარეობის პერსპექტივა და ხელსაყრელ პირობებში უტევდა ბარს[98].

ქართველ მთიელთა ბარის საძოვრებისაკენ სწრაფვის ასეთი ფასიათის ექსპანსიად მიჩნევა, ეფიქრობთ გადაჭარბებულია. მით უფრო დაუშვებელია ამ პროცესის გაივლება საქართველოში ველის მომთაბარეთა შემოსევებთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ქართულ ფეოდალურ მეურნეობას სულ სხვა პოზიციებიდან უტევდა, მის მოსპობასა და ჩვენს ქვეყანაში ველის მომთაბარეობის დამკვიდრებას ლამობდა. ქართული მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მაღალკულტურული ნიშნები სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ბინადარი სამიწათმოქმედო ცხოვრების პირობებში მისი განვითარება ქვეყნის მთისა და ბარის ბუნებრივი რესურსების რაციონალური შეთანაწყობით იყო განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ფართო მასშტაბის მეცხვარეობის მოწესრიგებას ზოგჯერ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ზრუნვაც სჭირდებოდა, მაგრამ არც ასეთი ზემოქმედების გარეშე ქცეულა იგი ბარის ინტენსიური მიწათმოქმედების დამანგრეველ ძალად.

ქართლის სამეფოს აღმავლობის ისტორია გვიჩვენებს, რომ იგი ძირითადად მთისა და ბარის კომპლექსების ერთიანობაზე იყო აღმოცენებული, რომელშიც მთაბარულ მეცხვარეობას განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა. მაგრამ ამ სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის წონასწორობას საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხური სჭირდებოდა. მართალია, თავდაპირველად მთა უტევდა ბარს და დროდადრო არბევდა კიდეც მას[99], მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების გარკვეულ საფეხურზე ქვეყნის მთასა და ბარს შორის წონასწორობა დამყარდა. ისინი ამ საზოგადოების წარმოებაში ერთმანეთს ავსებდნენ, რამდენადაც „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი; უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ“[100]. ქართლის სამეფოში ეს პროცესები სათანადოდ იყო მომზადებული. „სახელმწიფოდ ორგანიზებული ბარი ახერხებს მთის შეკავებას, მის დამორჩილებას. „ვახტანგ გორგასალი“ კონდესირებული „ბარია“ და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა“[101].

მთისა და ბარის საძოვრების დაკავშირებამ და ამ ორ კომპლექსს შორის მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ნაწარმის გაცვლა-გასაღების აუცილებლობამ და არა მთიელთა ექსპანსიის საშიშროებამ წარმოშვა საქართველოს ზემოთ აღნიშნული ქალაქების აღმოცენება, რომლებიც ბარის წარმონაქმნ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ როგორც სავაჭრო ცენტრები მთიელთათვისაც საჭირო პუნქტებს წარმოადგენდნენ. მართალია, მთიანეთისათვის ამ პროცესს არ მოუცია მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტი, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისათვის იგი გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა[102].

მთისა და ბარის მშვიდობიანი სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის აუცილებლობა ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი თვალსაზრისითაც. საყოველთაოდ ცნობილია ფეოდალური საქართველოს მეურნეობის ის თავისებურება, რაც ადვილად გასატან და ამდენად მოუშლელ სარწყავი სისტემის ბაზაზე აღმოცენებულ ქართულ მევენახეობა-მებაღეობის სიცოცხლისუნარიანობასთან იყო დაკავშირებული. კახთა მეფის ელჩის ხატოვანი გამოთქმა XVII ს. რუსეთის მეფის კარზე — „Иверия хорошая страна, она скоро устроятся“ — ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ამ მოუშლელობასა და ადვილად აღსადგენლობაში, აქედან კი საქართველოს დამპყრობელთა წინაშე გაუტეხლობაში გამო-

იხატებოდა[103]. ხომ არ შეიძლება ამ მხრივ გარკვეული ადგილი საქართველოს, განსაკუთრებით კი მისი მთიანი ნაწილის მესაქონლეობასაც დავუთმოთ?

ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ველის მომთაბარეთა შემოსევების შედეგად კულტურული სოფლის მეურნეობის დაცემისა და დაქვეითების პირობებში, მაშინ როდესაც მოსახლეობას უძნელდებოდა რთული და განვითარებული სამეურნეო დარგების აღდგენა, დროდადრო სწრაფ აღორძინებას განიცდიდა შედარებით ადვილად გასაძღოლი მესაქონლეობა[104]. სავარაუდოა, რომასეთი ძნელბედობის ჟამს ჩვენი ქვეყნის ბარის მეურნეობის სწრაფი აღდგენა მთური მესაქონლეობის ბაზაზე უნდა მომხდარიყო, რომელიც მთიან ხეობებში მტრის შეუღწევლობის გამო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებად იყო ღაზარალებული. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფეებს ბარის დარბევა-აოხრების გამო, ზოგჯერ მოძალებულ მტერთაგან ქვეყნის „გამოხსნა“ ასევე მთური მესაქონლეობის მარაგიდან გაღებული ძღვენითა თუ ხარკით უხდებოდათ.

ძნელი დასაჯერებელია ზემოთ მოტანილი მოსაზრება იმის შესახებაც, თითქოს ბარის ინტენსიური გასარწყავებისა და გუთნითი მიწათმოქმედების დაწინაურების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს დარჩენილი საძოვრები მხოლოდ ბარული მესაქონლეობისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საქმე იმაშია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარს, კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების თავისებურებათა გამო სამიწათმოქმედო კულტურებისათვის აუცილებელი ფართობის გვერდით, ყოველთვის გააჩნდა გარკვეული ტერიტორია, რომელიც მხოლოდ დიდი მასშტაბის მთაბარული მეცხვარეობისათვის იყო გამოსადეგი.

გასული საუკუნის ბარული მესაქონლეობის კომპლექსების დახასიათებისას ჩანს, რომ ეს ტერიტორიები და აქაური სასოფლო საძოვრების ნაწილიც კი მთიანეთისა თუ ბარის მთაბარულ მეცხვარეობას ეჭირა. საქართველოს ბარის სამეურნეო პროფილი საუკუნეთა მანძილზე მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ინტერესთა შეხამების მაღალკულტურულ ფორმად ჩამოყალიბდა, სადაც მეცხვარეობის ინტერესებისათვის ბაღ-ვენახების გარკვეული ტერიტორიებიც კი იყო გამოყენებული. რა თქმა უნდა, ეს პრაქტიკა გამორიცხავდა ფარების თვითნებურ გარეკვას და ბარის მეურნეობის შევიწროებას. პირიქით, ნაწვერალთან და მოსავალაღებულ ყანებთან ერთად ცხვრის ფარების დაყენება ბაღ-ვენახებში ძველ საქართველოში გარკვეულ სისტემას გულისხმობდა და ნიადაგის განოყიერების ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა.

ადრეფეოდალურ ხანაში შექმნილი მტკიცე ეკონომიკური ბაზა ქართლის სამეფოს საუკუნეების მანძილზე შემორჩა. არაბთა შემოსევების მიუხედავად, კახეთისა და ჰერეთის ეკონომიკური დონე ჯერ კიდევ ძლიერი ჩანს[105]. IX—X სს. არაბული წყაროები წანარების (კახეთის) სამთავროს მეურნეობის მხრივ დაწინაურებულად მიიჩნევენ, მაგრამ ფაქტიურად ქართლის სამეფოს ეკონომიკური ძლიერების შერყევა VIII ს. მეორე ნახევრიდან იწყება. აბასიდების რეჟიმის გაძლიერებას დაემთხვა ადრეფეოდალურ სამთავროთა ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ, რამაც მოშალა ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური მთლიანობა. კვლავ გართულდა ჰერეთის საზამთრო საძოვრების გამოყენების შესაძლებლობა, რომელსაც მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა კახეთის სამთავროსთან. გარე ფაქტორთა შორის არანაკლები ლახვარი იყო ხაზართა შემოსევები ჩრდილოეთ კავკასიიდან[106], აგრეთვე იმ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების დაქვეითება, რომელთაც ადრე ხელი შეუწყვეს ქართლის სამეფოს აღმავლობას. ყოველივე ამის შედეგად IX ს. ბოლოს უჯარმა საბოლოოდ კარგავს თავის

მნიშვნელობას. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი უჯარმიდან ჩრდილოეთით ინაცვლებს, ჯერ ბოჭორმაში, ხოლო IX ს. დასაწყისშიც ოთხთა ნეთში, რომელიც ქართლიდან ერწო-თიანეთში, აქედან კი შიგა კახეთში. გა- მავალ მნიშვნელოვან საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა და აახლოებდა არაგვის, ივრისა და ილტო-ალაზნის ხეობათა ეკონომიკურ ცენტრებს[107].

საქართველოს მთისა და ბარის სამეურნეო-კულტურულ განვითარებას ახალი საფრთხე შეექმნა XI ს. მეორე ნახევრიდან, მაშინ როდესაც საქართველო ერთბაშად სელჩუკ მომთაბარეთა ძლიერი პოლიტიკური გარემოცვის პირობებში აღმოჩნდა[108]. სისტემატურ შემოსევებსა და აოხრებასთან ერთად საქართველოს მეურნეობა მძიმედ დაზარალდა ქვეყნის აღმოსავლეთისა და სამხრეთის ველებზე სელჩუკთა ინტენსიური შემოსახლებით. დავით აღმაშენებლის ,ისტორიკოსის ცნობით, „ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა. რომელთა შინა ზამთარის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემებისა მათისა არა იყო რიცხვ და აქუნდა ცხოკრება სანატრელი. ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა, თანა იწყიან სვლა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისაცა ჰქონდეს შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყვავილოვანთა, და ესოდნენ დიდი იყო ძალა მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა იქი არსო“[109].

სელჩუკთა ურდოებისაგან შევიწროებულ ქართველ მოსახლეობას გადაშენების საფრთხე ელოდა. ასეთი მძიმე ვითარების გამო ინტენსიური მეურნეობის დარგები თანდათან იშლებოდა. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოჴრდა ქუეყანა და ტყედ გადაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისთა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჴრებათასა“[110]. დიდ თურქობას სავალალო შედეგი უნდა მოჰყოლოდა მესაქონლეობის დაკნინების თვალსაზრისითაც, მით უმეტეს, რომ ქართლ-კახეთისა და მესხეთ-ჯავახეთის საზამთრო და საზაფხულო საძოვრები მტერს ეპყრა ხელთ, ხოლო მთისა და ბარის სამეურნეო კულტურული კავშირები საფუძვლიანად იყო მოშლილი.

დავით აღმაშენებლის მიერ სელჩუკთა საბოლოო გაძევების შემდეგ ამ ადგილებში კვლავ ფეხი მოიდგა ქართულმა ინტენსიურმა მეურნეობამ[111]. გლეხური მეურნეობის მომაგრებასთან ერთად სათანადო პირობებში შეიქმნა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის, რაც უკვე არაბთა შემოსევების პერიოდიდან არსებითად იყო მორყეული. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ის ფრაგმენტული ცნობები, რომლებიც მთიელ მეცხვარეთა აღმოსავლეთ საქართველოს, ბარის საძოვრებზე ხელახალი გასვლის ცდებს შეეხება. ამ წყაროების მიხედვით თუშეთი ჯერ კიდევ XI საუკუნის დასაწყისში წურუქეთის საერისთავოდან პანკისის საერისთავოში შეუყვანიათ[112]. რასაც სხვა პოლიტიკურ მოსაზრებასთან ერთად თუშების კახეთის ბარის საძოვრებით დაინტერესებაც უნდა გამოეწვია[113]. ცხადია, მთისა და ბარის სამეურნეო-ეკო-

ნომიკურ კავშირებს და რაციონალურად მოწესრიგებულ მსხვილ და წვრილ მეჯოგეობა-მეცხვარეობას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა XII ს. ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებასა და გაძლიერებასთან ერთად. ამ ნიშნულ პერიოდში მესაქონლეობასთან ერთად დაწინაურებული ჩანს ბიზანთმოქმედება, მეხილეობა, განსაკუთრებით კი მევენახეობა და მეღვინეობა. მაღალ დონეზე ავიდა სელის წარმოება, ინტენსიური მეაბრეშუმეობა, მებამბეობა და მეურნეობის სხვა დარგები[114]. მეურნეობის ამ დარგებისა და მათ შორის მესაქონლეობის აღმავლობამ შექმნა საგარეო და საშინაო ვაჭრობის გაზრდა-გაფართოების პირობები. XI—XII სს. საქართველო თითქმის ხუთმილიონიანი მოსახლეობით, განვითარებული ბარისა და მთის მეურნეობით ფართო საგარეო სავაჭრო ურთიერთობაშიც იყო ჩაბმული[115].

ცნობილი გეოგრაფის ზაქარია ალ-კაზვინის (1203 — 1283 წწ.) მონაცემებით, ამ პერიოდში საქართველოს დედაქალაქიდან გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი მატყლი, აბრეშუმი, ხალიჩები, სხვადასხვაგვარი ბეწვეული, გაჰყავდათ სწრაფმავალი ცხენები და ჯორები და ა. შ.[116]. საშინაო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პურეულს, ზეთს, ღვინოს, მატყლს, ცვილს, თაფლს, ცხენს, ჯორს, ხარს, ძროხას და ა. შ.[117].

თურქ-სელჩუკები საქართველოში ველის მომთაბარეობის მხოლოდ დასაწყისი იყო. XIII—XV სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებს გამუდმებით უტევდნენ მონღოლთა და თურქმანთა ურდოები, რომლის შედეგადაც ფეოდალური საქართველოს მოწინავე პროვინციები არაერთხელ აღმოჩნდა ველის მომთაბარეთა უღელქვეშ. განსაკუთრებით დაზარალდა აღმოსავლეთ საქართველოს მოწინავე მხარეების კულტურული მეურნეობა, კერძოდ მტკვრისა და იორ-ალაზნის ნოყიერი და მოსავლიანი ველები, რომლებიც ქართლის ცხოვრებაში არაერთხელაა მოხსენებული თურქმან-მონღოლთა „საზამთრო“ და „საზაფხულო სადგურად“[118]. ცხადია, ქვეყნის ასეთი კატასტროფის გამო მოშლილი იყო არა მარტო ბარული ინტენსიური მეურნეობა და კერძოდ მესაქონლეობა, არამედ მთაბარული მეცხვარეობაც, რომელმაც ველის მომთაბარეობის მომძლავრების გამო დაკარგა ისტორიული ჰერეთისა და ლორის უმდიდრესი საზამთროები და უკიდურესად შეეზღუდა იორ-ალაზნის აუზისა და მტკვრისპირეთის სხვა საძოვრებზე გასვლის საშუალებანი.

XVI ს. აღმოსავლეთ საქართველოში დამყარებული შედარებით მშვიდობიანობის პერიოდში ბარის ინტენსიური მეურნეობის აღდგენასთან ერთად ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს მთიანეთის მესაქონლეობა-მეცხვარეობის განვითარებისათვისაც. სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული გვიანფეოდალურ ხანაში თუში მეცხვარეების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის საძოვრების ინტენსიური გამოყენება, რასაც, პირველ რიგში, აქამდე გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთის კახეთის ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ მოქცევამ შეუწყო ხელი. ლევან კახთა მეფემ „აღიღო ალაფი დიდი და მოვიდა გრემს: არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღა რა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხვარნი მათნი უვნოდ მძოვარიყვნენ კახეთს და მისცა შესწირულობა ლაშას ჯვარს თიანეთს შინა და მიერითგან მისცემდნენ ლაშქარსა და ბეგარასა“[119]. როგორც აქედან ჩანს, ლევან კახთა მეფეს მთიელები დაუთანხმებია კახეთის საძოვრების გამოყენების სანაცვლოდ ეძლიათ ჯარი და ბეგარა, რაც შექმნილ ვითარებაში ხელს აძლევდა როგორც თუშ მეცხვარეებს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას.

სამწუხაროდ, საქართველოს ბარისა და მთის სამეურნეო ურთიერთობის აღდგენას არც ამჯერად ეწერა ხანგრძლივი მშვიდობიანი განვითარება. უკვე იმავე XVI ს. თურქმანი დამპყრობლები ყიზილბაშური ირანის მფარველობით შეიცვალა, რომელიც კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგა საქართველოს [illegible] მორჩილებასა და აქ ყიზილბაში მომთაბარეების შემოსახლებას. ყიზილბაშ-თურქმანთა შემოტევამ საშიში ხასიათი მიიღო შაჰ-აბასის (1587—1629 წწ.) მმართველობის პერიოდში, რომელმაც საქართველოს საკითხის გადაჭრა ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობით განიზრახა. მართალია, შაჰ-აბასმა თავისი განზრახვა ვერ შეასრულა, მაგრამ მომთაბარეთა შემოსახლება და განმტკიცება საქართველოს ტერიტორიაზე საბოლოოდ მხოლოდ ამჯერად განხორციელდა. ქართლმა სამუდამოდ დაკარგა ბამბაკი და ტაშირი, აგრეთვე სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მდიდარი ხრამ-დებედისა და მტკვრის ჭალები, სადაც მკვიდრად ჩამოსახლდნენ ბორჩალუს, დემურჩი-ასანლუსა და სხვ. მომთაბარე თურქმენები[210]. ისტორიული საქართველოს ამ უძველს პროვინციებში საბოლოოდ განმტკიცდა ლორე-ბამბაკის, შორაგალის, შამშადილუს, ყაზახის, ბოჩალუს, ბაიდარისა და დემურჩი-ასანლუს სახანო-სასულტნოები თურქმანულ-ყიზილბაშური მომთაბარე მოსახლეობით[121].

შაჰს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი კახეთის მოსახლეობის შეცვლა მომთაბარე თურქმანებით. ამ მიზნით შაჰმა კახეთი ჩამოართვა ქართლის მეფე როსტომს, იგი ყიზილბაშ სელიმ ხანის სამფლობელოდ გამოაცხადა და მასვე დაავალა ქვეყნის დასახლება თურქმან-ყიზილბაშთა მომთაბარეებით. ხანმა კახეთში დიდი რაოდენობით შემოიყვანა თურქმანთა ურდოები, რომლებმაც ძირითადად იერისპირეთისა და ალაზნის მდიდარი და ნოყიერი ველები დაიჭირეს[122]. შაჰ-აბასის გამიზნული პოლიტიკის წყალობით იყო აგრეთვე კაკ-ენისელის თათრებით დასახლება. ხოლო ჭარ-ბელაქანში ლეკი „მოახალშენეების“ ჩამოსხდომა, რომელთა აბრაგობამ საბოლოო ლახვარი ჩასცა კახეთ-ჰერეთის გადარჩენილ ქართულ მოსახლეობასა და მის კულტურულ მეურნეობას[123]. მომთაბარეთა ჩამოსახლებით კახეთის სამეფოს საბოლოოდ ეცლებოდა ხელიდან ბარის ნოყიერი ველები, ხოლო ჭარ-ბელაქანის დაღესტნელთ მტრობა გზას უღობავდა მთის საზაფხულო საძოვრებისაკენ.

შაჰ-აბასის ყიზილბაშური პოლიტიკა მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხელში ჩაგდებასაც. საყურადღებოა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთს შაჰის პოლიტიკით გამოწვეული განსაცდელისაგან თავის დასაღწევად რუსეთის პოლიტიკური დახმარებაც კი უთხოვიათ[124], ხოლო 1659 წ. აქტიური მონაწილეობა მიუღიათ კახეთის გაერთიანებულ აჯანყებაში, რომელსაც ბახტრიონის განთავისუფლება და კახეთში ჩამოსახლებული თურქმანი მომთაბარეების განადგურება მოჰყვა. აქედან მოყოლებული თუში მეცხვარეები სწრაფად აფართოებენ თავიანთ გავლენას კახეთის საზამთრო საძოვრებზე, რაც საფუძვლად დაედო მეცხვარეობის ახალ აღმავლობას. „არამედ კახეთის თუშნი ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა ვინაჲთგან აქუთ ზაფხულსა თჳსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა — მჯარესა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“ — წერდა ვ. ბაგრატიონი[125]. როგორც ჩანს, მეცხვარეობის განვითარების ინტერესები ამჯერადაც პოლიტიკურ სფეროში გამოვლინდა და განსაზღვრა თუშთა მორჩილება კახეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი[126].

1659 წლის აჯანყების შედეგად ყიზილბაში მომთაბარეები ერთიანად განიდევნა კახეთიდან, მაგრამ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე კახეთ-ჰერეთის მომიჯნავე სახანო-სასულტნოებში, აგრეთვე ქართლის ზოგიერთ

პროვინციაში შაჰ-აბასის მიერ თუ ადრე შემოსახლებული მომთაბარეები შემორჩნენ საქართველოს მიწა-წყალს. ველის მომთაბარეთა მრავალსაუკუნოვანმა შემოტევებმა საქართველოში საბოლოოდ გვიანფეოდალურ ხანაში ძალიან კიდა ფეხი. ამიერიდან მომთაბარეთა ყოფა ფეოდალური საქართველოს ინტენსიური მეურნეობის უშუალო მეზობლად იქცა, მაგრამ მან ვერ შეძლო ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში იმ საბედისწერო როლის შესრულება, რაც მას საქართველოს მეზობელი სომხეთისა და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის მიმართ უკვე მოეხდინა[127].

XVI ს. დასაწყისიდან გარეშე მტერთა შემოსევების გააქტიურებამ დიდი ნგრევა მოუტანა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებასაც. 1579 წ. ოსმალეთმა ყიზილბაშურ ირანთან მეტოქეობაში სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ მიიტაცა და აქ ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დააარსა[128]. XVI ს. 90-იან წლებში სამცხე-საათაბაგოში დამპყრობლები გულმოდგინედ შეუდგნენ ოსმალური მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობისა და მართვა-გამგეობის შემოღებას[129]. ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას მძიმე უღლად დააწვა ოსმალთა საგადასახადო სისტემა, რის გამოც გლეხობა მასიურად ტოვებდა მამაპაპურ მიწა-წყალს[130]. ადგილობრივი მეურნეობისათვის განსაკუთრებით საშიშ ვითარებას ქმნიდა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიებზე ოსმალოთა მიერ ქურთული ტომების შემოსახლება[131], რომელთა ჯოგური მეურნეობა შეუთავსებელი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიურ მეურნეობასთან.

სამხრეთ საქართველოში ოსმალთა მომძლავრებით საქართველოს მესაქონლეობამ ერთბაშად დაკარგა სამხრეთ კავკასიონის, კერძოდ თრიალეთის, მესხეთ-ჯავახეთის, აჭარა-ახალციხისა და არსიანის, აგრეთვე კოლა-არტაანისა და კარჩხალის უმდიდრესი საზაფხულო საძოვრები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთაბარული და მთური მესაქონლეობისათვის. ფაქტიურად მოიშალა ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანიდან მომდინარე აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის ის სამეურნეო კომპლექსები, რომელიც განპირობებული იყო იორ-ალაზნის აუზისა და მტკვრისპირეთის საზამთრო და თრიალეთ-ჯავახეთის საზაფხულო საძოვრების სამეურნეო-ეკონომიკური მთლიანობით.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვა ფეოდალური საქართველოს ეკონომიკური მთლიანობის დარღვევას მაშინ, როდესაც მესაქონლეობით დაწინაურებული სამხრეთ საქართველოს მოწინავე პროვინცია — მესხეთ-ჯავახეთი XVI—XVII სს. ოსმალთა უღელქვეშ აღმოჩნდა. ამ მთლიანობის დარღვევამ და ახალ პირობებთან შეგუების აუცილებლობამ ჯავახეთის მოსახლეობა იძულებული გახადა რენტაბელური მეურნეობის ტრადიციული პროფილი მოეშალა და არახელსაყრელად შექმნილ მესაქონლეობისა და სელის წარმოების ხარჯზე პურეულის კულტურების თესვა გაეძლიერებინა, რაც ჯავახეთის კლიმატურ-ეკოლოგიურ პირობებში სამეურნეო რეგრესს მოასწავებდა[132].

ქვეყნის ამ ურთულეს საშინაო და საგარეო პირობებში ადვილად წარმოსადგენია ფეოდალური მეურნეობისა და, კერძოდ, მესაქონლეობის მდგომარეობაც, რომლის აღდგენა-განვითარებასა და რაციონალურ მოწესრიგებას ვერ უშველიდა გარეშე დამპყრობთა შემოსევებს შორის ხანმოკლე მშვიდობიანი შესვენებები. საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ის დიდი ნგრევა, რაც დაკავშირებული იყო მონღოლთა, თურქმან ყიზილბაშთა თუ თურქ-ოსმალთა მრავალსაუკუნოვან დამპყრობლურ

ომებთან, აგრეთვე ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვან სამეურნეო-კულტურული პროვინციების მიტაცებასთან, დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს ცალკეული კუთხეების მეურნეობის დარგთა ნორმალურ განვითარებაზე და საფუძველს ქმნიდა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაქვეითებისათვის.

ასეთი იყო საქართველოს სამეურნეო-კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობა XVIII ს. დასაწყისში. აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მომთაბარეთაგან განთავისუფლებული ტერიტორიები ვახტანგ VI სამეურნეო მშენებლობის ფართო ასპარეზად გადაიქცა. მეფემ განაახლა ყარაიას, სომხითის, ხუნანის, შიდა ქართლისა და საababშიოს მოშლილი სარწყავი სისტემები[133], რომელთა მეოხებითაც თურქმანულ-ყიზილბაშური ექსტენსიური მეჯოგეობა კვლავ ინტენსიურ მეურნეობას უთმობდა ადგილს. ვახტანგ VI განსაკუთრებულ ღონისძიებებს მიმართავდა ქართლ-კახეთიდან გახიზნული გლეხების დასაბრუნებლად და ქვეყანაში მოწესრიგებული მეურნეობის, პირველ რიგში კი მიწათმოქმედება-მევენახეობის, მესაქონლეობის, მებოსტნეობა-მეხილეობის განვითარებისათვის, დიდი ყურადღება ექცეოდა მეცხვარეობისა და მსხვილფეხა მესაქონლეობის აღდგენა-განვითარებას, რაზეც სამეფო კანონმდებლობამ შეღავათიანი გადასახადები — „ნახირისთავი", „პირისთავი", „საბალახე" და „სამლაშე" დააწესა[134]. იორ-ალაზნის აუზის გარკვეული ტერიტორიები კვლავ მთიანეთის მეცხვარეობის საზამთრო საძოვრებად იქცა, რაც ხელს უწყობდა მთისა და ბარის სამეურნეო კომპლექსების ახალ აღორძინებას.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობათა მიხედვით, ამ პერიოდში აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მესაქონლეობა განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს ბერდუჯისა და ბამბაკის ხეობებში, ბაიდარში, შიდა და ვარე კახეთში, ივრის ხეობაში, ქართლის გაღმამხარში დამჩხრელოდან თბილისამდე და ა. შ.[135] მთაში ამ მხრივ მოწინავეობდა ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთი, თრიალეთ-ჯავახეთი და მთათუშეთი[136]. მესაქონლეობა ეპოქის შესაფერისად უნდა ყოფილიყო განვითარებული დასავლეთ საქართველოშიც. მართალია, თავისი მასშტაბებით იგი ვერ გაუტოლდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ ზამთარ-ზაფხულ „ჯოგად და მროწლედ" საძოვარზე გადენილი საქონელით გამოირჩეოდნენ საჩხეიძეო, სამეგრელო, გურია და ა. შ.[137] შედარებით უკეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სვანეთისა და აფხაზეთის მთიანი მხარეები, რომლებიც ნაკლებად ზიანდებოდნენ ქვეყნის შიგნით და გარეთ ატეხილი ომებითა და რბევა-განადგურებით.

ოსმალეთისა და ირანის გამუდმებულ მეტოქეობასთან ერთად XVIII ს. საქართველოში სამეურნეო-კულტურულ მშენებლობას უკიდურესად აფერხებდა „ლეკიანობის" მძიმე შედეგები, რომელთა დამარბეველი ძალა ქართლ-კახეთთან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა კუთხეებთან ერთად ამ პერიოდში სამხრეთ საქართველოს პროვინციებშიც იჩენდა თავს. გასაგებია, რომ ლეკთა თარეშისა და რბევის პირობებში შეუძლებელი იყო მოწესრიგებული მეცხვარეობისა და მეჯოგეობის წარმოება, მით უმეტეს, რომ საქონელი და ცხვარი ამ მოთარეშე აბრაგების დატაცების ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენდა.

საგარეო და საშინაო ომებით დასუსტებული საქართველო XVIII ს. ბოლოს კვლავ არნახული სამეურნეო დაქვეითების გზაზე იდგა. კულტურული

მეურნეობის აღდგენა და განვითარება ამჯერად საქართველოს ახალ პირობებში ეწერა, რაც საბოლოოდ 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთებით განხორციელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, XXIII, 1955, с. 5—10; Е. И. Крупнов, Кавказ в древнейшей истории нашей страны, ВИ, № 5, 1966, с. 20.

2. ამ მხრივ კავკასია სამხრეთ ევროპის, შუა და წინა აზიის იმ გეობოტანიკურ და ეკოლოგიურ ზონაშია მოქცეული, სადაც მწარმოებლური მეურნეობის უმთავრესი დარგების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვასა და განვითარებას ვარაუდობენ (А. А. Формозов, К истории древнейшего скотоводства на юге СССР, Труды Московского общества испытателей природы, XLVIII, 1972, с. 19—25).

3. Н. И. Вавилов, Проблема происхождения мирового земледелия в свете современных исследований, М.—Л., 1932, с. 6—7.

4. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древные культуры Южного Кавказа, Л., 1970, с. 103.

5. იქვე, გვ. 103—104.

6. В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, Л., 1964, с. 46.

7. ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972, გვ. 108—109; მისივე. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978, გვ. 70—71; გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი. პალური, თბ., 1978, გვ. 104—106.

8. ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, გვ. 108; გ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

9. В. И. Громова, Об ископаемых остатках козы и других домашных животных в СССР, Пробл. происх. эволюции и породообразования домашних животных, I, М.—Л., 1940, с. 105.

10. ა. ციციშვილი, შინაური ცხვარი და მსხვილი რქოსანი პირუტყვი საქართველოში ნამოვნი ზოგიერთი მასალის მიხედვით, თბ., 1955, გვ. 166—167, 218; Н. О. Бурчак-Абрамович, Древний крупный рогатый скот Триалетского хребта в Цалкинском районе Тр. естеств. — ист. музея им. Г. Зардаби, Баку, 1954, с. 185, 186; М. Д. Рчеулишвили, К истории овцеводтсва Грузии, Тб., 1953, с. 158—159, 185.

11. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 103—104.

12. А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV—III тысячелетии до н. э., КСИА, 93, 1963, с. 3—14; В. М. Массон, დასახ. ნაშრ., გვ. 239; Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, с. 80—110; Ch. Barney, D. M. Lang, The people of the Hills. Ancient Ararat and Caucasus, London, 1971, pp. 14—43.

13. ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 49—50; ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971, გვ. 37—70; თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976, გვ. 51—82 და სხვ.

14. გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, ქვემო ქართლის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, სიგკ, I, თბ., 1963, გვ. 66—67; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

15. გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978, გვ. 9—16; გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 14—16, 64.

16. Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, с. 6.

17. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 252, 266.

18. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. 44, 47, 54, 62, 70 და შდ.

19. იქვე, გვ. 35—37.

20. ტ. ჩუბინიშვილი, ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 132.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

22. ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

23. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 37.

24. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

25. იქვე, გვ. 32—33, 37—38.

26. ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება პარალელები საქართველოს მთიანეთიდან (ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 72), სადაც საქონელს 5—7 თვე ბაგურ პირობებში აზამთრებდნენ და ბუნებრივია, სარწყავი სათიბი მეურნეობის წარმოება მოსახლეობის მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა (მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., გვ. 121—131; მისივე, Террасное орошаемое земледелие на Кавказе, М., 1964, с. 3—7. აქვე იხ. ვრცელი ბიბლიოგრაფია).

27. А. А. Формозов, К истории древнейшего скотоводства на юге СССР, с. 19—25.

28. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15—16, 22.

29. იქვე, გვ. 14.

30. ლ. ნებიერიძე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, გვ. 69—70 და შმდ.

31. Г. Кларк, Диосторическая Европа, М., 1953, с. 133.

32. კოლხეთის დაბლობზე მესაქონლეობის ეს ფორმა რომ ტრადიციულ ხასიათს ატარებს, ამას XVII—XVIII სს. მოგზაურ-მკვლევართა ცნობებიც ადასტურებენ. ა. ლამბერტის ცნობით მეგრელი მეჯოგე „ზამთარში თავს აფარებს ტყეს, სადაც შეშას ბლომად შოულობს და ცეცხლს განუწყვეტლივ ანთებს სახლში; თან ხშირი ხეები ქარისაგან იფარავს და თან გარეული ღორისა და ირმის სიმრავლის გამო ნადირობასაც მუდამ ეწევა. აქ გადმოჰყავთ თავიანთი წვრილფეხი და მსხვილფეხი საქონელი, რომელიც სიცივისაგან თავს იფარავს და მშვენიერ საბალახოსაც პოულობს“ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 185—186). ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ლამბერტის თანამედროვე მისიონერი ჯუდიჩე მილანელიც (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964, გვ. 85).

33. Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья с древнейших времен до I тыс. до н. э., Л., 1949, с. 75—76; მისივე, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье с. 5—15.

34. ამიერკავკასიის მთური მესაქონლეობის სამეურნეო კომპლექსების ჩამოყალიბება ერთბაშად ვერ მომხდარა. სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომებს შუამთის ზოლის ნაწილი ზ. დ. 1000 მ სიმაღლემდე ჯერ კიდევ V—IV ათასწლეულებში უნდა აეთვისებინათ (ტ. ჩუბინიშვილი, ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში, გვ. 147).

35. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, გვ. 93.

36. Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, с. 6—7.

37. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1966, გვ. 103—246; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 267—277. აქვე იხ. ვრცელი ბიბლიოგრაფია აღნიშნულ საკითხზე.

38. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 103—160, 244; Г. И. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельского языка—основы, ВЯ, № 1, 1966, с. 9.

39. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 84, 276. Ch. Barney, D. M. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

40. ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 56.

41. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, с. 65—66; ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი I, თბ., 1962, გვ. 39; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 105, 120.

42. ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

43. Б. В. Техов, Центральный Кавказ в XVI—XX вв. до н. э., М., 1977, с. 194

44. ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 15; მისივე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, გვ. 31—34, და შმდ.

45. ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

46. ო. ჯაფარიძე, შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 230.

47. იქვე, გვ. 201, 221—225.

48. Е. И. Крупнов, Древняя история и культура Кабарды, М., 1957, с. 128; მისივე, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, с. 307.

49. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, с. 307—308. სამწუხაროდ, ე. კრუპნოვს მესაქონლეობის აღნიშნული ფორმის ტიპოლოგიური ნიშნები არ მოუცია, რის გამოც მთური მესაქონლეობისაგან გამიჯნული ეს სისტემა ტერმინოლოგიურადაც გაუმართავი დარჩა. იგი ფიქრობდა, რომ ამ ძირეული გარდაქმნებით მესაქონლეობა «из простого пастушеского и экстенсивного занятия... превратилось в кошевое., отгонное, или яйлажное» (იქვე, გვ. 308), რაც კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ძირითადად მთური მესაქონლეობის კომპლექსებს შეესაბამება.

50. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137—199, 200—203, 244—246.

51. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 279.

52. ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223; მისივე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 12.

53. Ш. Ш. Дедабришвили, Культура эпохи ранней бронзы Иоро-Алазанского бассейна. Автореф. канд. диссерт., Тб., 1970, с. 13.

54. ო. ჯაფარიძე, შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში, გვ. 231—232; გ. გობეჯიშვილი. გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 286—287.

55. გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 287; მისივე. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 53.

56. ნ. ბერძენიშვილი, ქართლი. მთა ქართლი. არმაზი, მცხეთა, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 229.

57. იქვე, გვ. 229—230.

58. იქვე, გვ. 232.

59. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, (V—X სს.), თბ., 1964, გვ. 116.

60. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973, გვ. 108.

61. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

62. Д. Л. Мусхелишвили, Основные вопросы исторической географии Грузии სიგკ, V, თბ., 1975, გვ. 9.

63. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, გვ. 107; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 33; ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 90—92.

64. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87—88, 104—105.

65 Ш. Ш. Дедабришвили, დასახ. ნაშრ., გვ. 11—13; მისივე, Памятники эпохи ранней и средней бронзы, Тр. Кахетской экспедиции, I, Тб., 1969, с. 73—74.

66. ასეა ახსნილი რკინის ხანის ბრილის სამარხებში აღმოჩენილ გამოსახულებათა კომპლექსი (გ. გობეჯიშვილი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, გვ. 287). ამავე პერიოდის მეცხვარეობის მწყემსურ ხასიათზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ს. გამდლისწყაროში აღმოჩენილი განძი, რომელშიც ნაპოვნია ბრინჯაოს ნივთი ფარეხის, მწყემსებისა და ძაღლების გამოსახულებით (იქვე. გვ. 288). ცხვრის ფარის ერთგული დარაჯის—მყეფარი ან დაწოლილი ძაღლის მოტივი პოპულარულია ბრილის კრემაციულ და ინჰუმაციურ სამარხებში, აგრეთვე თლის, ყულანურხვის და სხვა სამარხებში აღმოჩენილ ქანდაკებებში (საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. XIV, 2).

67. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 108—110.

68. Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, с. 387—390.

69. А. И. Крупнов. Древняя история Северного Кавказа, с. 305.

70. Е. И. Крупнов, О походах скифов через Кавказ, Вопросы скифо-сарматской археологии. М., 1957, с. 186—189; В. И. Тереножкин, Кимерийцы, Киев, 1976, с. 9.

71. В. Б. Виноградов, Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время, Грозный, 1972, с. 76.

72. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 223.

73. Е. И. Крупнов, დასახ. ნაშრ., გვ. 188; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 222—223.

74. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 222; გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ჩვ. წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ. 1974, გვ. 90—91; М. С. Пирцхалава, Памятники скифской архаики (VII—VI вв. до н. э.) на территории древней Грузии, Автореф. канд. диссерт., Тб., 1975, с. 7—8.

75. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, с. 13—69 და შმდ.: მისივე, Урартские клинописные надписи, М., 1960, с. 36, 127—128, 155, Д., 1—44, და შმდ.

76. თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბაზისი“, თბ., 1967, გვ. 80—81.

77. Strabo, XI, II, 17; XII, 3, 19; Xen., Anab. V, 4, 27—29.

78. Xen. Anab., IV, VIII, 24.

79. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის სპილენძ-ბრინჯაოს ხანის ადრეული კულტურის საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 34; 81; Г. А. Лордкипанидзе, Животноводство и промыслы античной Колхиды, СА, №1, 1967, с. 30; В. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, ВЭК, Тб., 1952, с. 301—318.

80. Аполонии Родосский, Аргонавтика, Тб., 1964, с. 203—209; ა. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; გვ. 214—215; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა. მ. დუმბაძე, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 32—33.

81. Arist., III, 27, 1.

82. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 68—93.

83. Polib., IV, 38, 48; R. Lidekker, The sheep and its cousins, London, 1912, s. 189.

84. J. Bohm, Die Schafzuch nach ihrem jetzigen rationallen Standpunkt, Berlin 1878, s. 191. R. Lidekker, დასახ. ნაშრ., გვ. 168—169; C. Celler, Die Stammesgeschichte Unserer Haustiere, Leipzig, 1909, s. 102; K. Gunter, Formen und Urgeschichte der Schafe, Gothingen, 1951, S. 224; Э. А. Богданов, Происхождение домашних животных, М., 1937, с. 186 და სხვ.

85. R. Lidekker, დასახ. ნაშრ., გვ. 159; K. Gunter. დასახ. ნაშრ., გვ. 224.

86. М. Д. Рчеулишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 165—170, 188, 209.

87. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 232—233.

88 ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 5—6, 226—235.

89. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 292.

90. К. Ф. Смирнов, Савроматы, М., 1964, с. 3—4, 15.

91. Strabo, XI, 4,5.

92. Strabo, XI, 3,3.

93. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 203—204, 219—221; მისივე, Город Уджарма. К историческим взаимоотношениям Иберии и Албании, სიგკ, II, თბ. 1962. გვ. 62—64.

94. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 185.

95. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 68.

96. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 47; II, თბ., 1970, გვ 36.

97. ი. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი., გვ. 148—149.

98. იქვე. გვ. 149—150.

99. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 341.

100. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 317.

101. ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 241.

102. ნ. ბერძენიშვილი, შიდა ქართლი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 328; მისივე. მთა და ბარი. დამატება, იქვე, გვ. 641. საქართველოს ისტორიის მომდევნო ეტაპებზე (XVII—XVIII სს.) მთის მოსახლეობის ჩამოწოლას ბარში სხვა საფუძვლებიც გააჩნდა, რომელმაც განაპირობა ჭარ-ბელაქან-საინგილოს, თიანეთის მხარის, სამხრეთ ოსეთისა თუ დღევანდელი აფხაზეთის გაჩენა (ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთის შესახებ, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 288). მაგრამ მთიელთა მიგრაციის ძირითად სტიმულს ბარის საძოვრებით დაინტერესება და მშვიდობიანი სამეურნეო-კულტურული ურთიერთობა წარმოადგენ-

და. ამის ნათელი მაგალითია გვიანფეოდალურ ხანაში ერწო-თიანეთში ფშავ-ხევსურებისა და მთიელ-გუდამაყრელების, პანკისის ხეობაში ქისტებისა და ალვანის ველზე თუშების ჩამოსახლება, ეს მელთა ძირითად მიზანს კახეთის საზამთრო საძოვრებზე გასვლა წარმოადგენდა. ამას მოწმობს ... გარემოებაც, რომ მთიელთა ბარში განსახლება ძირითადად იმ გზებსა და მარშრუტებზე მოხდა რომლებზედაც მოძრაობდა მთიელთა ჯოგები და ფარები.

103. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 395.

104. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 458.

105. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 31, თბ., 1954, გვ. 18—19.

106. Народы Кавказа, I, М., 1960, с. 69, 79—81.

107. ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 176—179.

108. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 219—230 და შმდ.

109. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 332. შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ნათლად ჩანს, თუ რაოდენ უცნობი იყო ადგილობრივი აბორიგენული მოსახლეობისათვის მომთაბარეთა ყოფა. მემატიანე განცვიფრებული მოგვითხრობს მომთაბარეთა ცხოვრების წესის შესახებ: „უდაბნოთა ვრცელთა... შორის დამკვიდრებულ არიან კაცნი მხეცისა ბუნებანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი არს და ცხორებაჲ აქლემისა ზურგი, ნათესავნი ურიცხუნი, რომელთათვს ვითარცა ძაღლნი მბრძოლელნი არიან მჯეცთა და ველურთა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 179).

110. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

111. მ. დუმბაძე, საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 13—18.

112. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 151.

113. ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიიდან (XVII—XVIII სს.), მაცნე, № 44, 1965, გვ. 79.

114. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 420.

115. მ. დუმბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13—14.

116. ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1975, გვ. 40.

117. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI — XVIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 52.

118. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1958, გვ. 239—240, 258 და შმდ.

119. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 573.

120. იქვე, გვ. 309, 332

121. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 266.

122. ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 527.

123. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 270—271.

124. ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79—80.

125. ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 654.

126. სხვათა შორის, მეურნეობის, კერძოდ, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ინტერესებმა განსაზღვრა აგრეთვე თავის დროზე ფშავის მოსახლეობის პოლიტიკური მორჩილებაც კახეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ვ. ბაგრატიონის ცნობით, ფშავნი „სიმწირისათვის მონებენ ვისაცა უპყრავთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“ („ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 553).

127. როგორც ცნობილია, ველის მომთაბარეობისათვის შედარებით ხელსაყრელი ბუნებრივ-ისტორიული პირობების მეოხებით, მათი შემოსახლებისა და ინტენსიური გავლენების მთავარ რეგიონად აღმოსავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ აზერბაიჯანი და სომხეთი იქცა. «Обе эти страны,— пишет И. Петрушевский, — славились прекрасными пастбищами... Эти пастбища и были использованы для кочевок монгольских, тюркских и тюркменских племен, поселенных здесь монгольскими Ильханами, Тимуром и Туркменскими падишахами XV в.» И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношении в Азербайджане и Армении в XVI—начале XX вв., Л., 1949, с. 66.

სხვა ვითარება იყო საქართველოს მიმართ. საქართველოში ველის მომთაბარეთა ფეხმოუკიდებლობისა და ქართული ფეოდალური სისტემის მოუშლელობის სხვა მიზეზთა შორის, ი. პეტრუ-

შევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებს. «Одной из причин этого было то, что в Грузии не было обширных пастбищ и больших возможностей для кочевого скотоводческого хозяйства. Благодаря этому, завоеватели-кочевники (сельджуки, монголы, туркмени) не поселялись внутри Грузии и не были заинтересованы в непосредственном установлении своих форм управления в этой стране»— წერს იგი (იქვე, გვ. 66)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, საქართველოს სპეციფიკური სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ველის მომთაბარეობის ფეხმოუკიდებლობისა, მაგრამ ამ პროცესში გადამწყვეტი პირობა ქართული ფეოდალური მეურნეობის მრავალფეროვან დარგთა რაციონალური განლაგება, შეთანაწყობა და სიმტკიცე იყო, რომელთა მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების საქმეში ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ.

128. მ. სვანიძე, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან, მაცნე, 1964, № 3, გვ. 70—84.

129. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 31, 47, 247 და შმდ.; ნ. შენგელია, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 4.

130. დაპყრობილ მიწებზე მოსახლეობის იძულებით კოლონიზაციასა და გამაჰმადიანებაში არანაკლებ აქტიურობდნენ ოსმალო ასიმილატორებიც. ამ პერიოდში სამცხე-საათაბაგოში აღრიცხული იყო დაახლოებით 364 გავერანებული სოფელი (გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, მნათობი, № 8, 1946, გვ. 127).

131. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, გვ. 3.

132. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 104, 169. საკითხავია: ასეთი არარენტაბელური მეურნეობის მიმდევარნი იყვნენ ჯავახეთის მკვიდრნი სულ მუდამ? „უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, — პასუხობს თავისსავე დასმულ კითხვას აკად. ნ. ბერძენიშვილი, — რომ ასეთი რამ გარკვეულ დროს არ უნდა ყოფილიყო: მოსახლეობის ის სიმრავლე, რომელიც აწ არსებულ, თუ ვერანა სოფლების გათვალისწინებით ივარაუდება, შეუძლებელია ასეთ არარენტაბელურ მეურნეობის პირობებში შექმნილიყო და არსებულიყო. ამასვე გულისხმობდა საქართველოს სამეურნეო და ეკონომიკური მთლიანობა მისი ფეოდალური განვითარების უძლიერეს ხანაში. მსხვილი და წვრილფეხა საქონელი (მუშა-საქონელი, ხორცი, მატყლი, ტყავი, რძის ნაწარმი), სელი (-ზეთი), თაფლი (-თაფლი, სანთელი), შინაური ფრინველი და თევზი, ქერი იყო ჯავახეთის მოსახლეობის დოვლათი, რაის გადანამეტსაც ის საღებმიცემო საგნად აქცევდა საქართველოს სხვა კუთხეებთან, რომელნიც მას საჭირო სახმარით (პური, ღვინო, მარილი, ფარჩეული, ხილი) ამარაგებდნენ“ (იქვე, გვ. 104—105). ასე გამოიყურებოდა ფეოდალური საქართველოს ეს „იდეალური“ კუთხე ოსმალო დამპყრობთა შემოსევებამდე.

133 ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 312, 322 და შმდ.

134 ვახტანგ VI, დასტურლამალი, ტფ., 1886, გვ. 36, 65, 67 და შმდ.

135 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 307, 309, 321, 529 და შმდ. ვახუშტის ცნობით, განსაკუთრებით მრავალი „ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი“ ყოფილა სამხრეთ საქართველოში ოსმალთა შემოსევებამდე (იქვე, გვ. 31).

136. ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 533—535, 554 და შმდ.

137. ეს გარემოება კარგად აქვს შენიშნული ვახუშტისაც, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოში „პირუტყვნი თჳნიერ აქლემისა არიან ყოველნი, და არა ეგოდენ მრავალ ვითარცა სხვათა საქართველოსა შინა“ (ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 744. იხ. აგრეთვე გვ. 772, 782, 793 და შმდ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათიბები

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში მესაქონლეობის ხვედრითი წონა და მასშტაბები საქონლის საზაფხულო და საზამთრო საკვები ბაზის რეზერვებით იყო განსაზღვრული. შუამთის მესაქონლეობის ინტენსიური განვითარების ზოლში მეურნეობის სიმბიოზური ხასიათი მესაქონლეობა-მიწათმოქმედების გეგმაზომიერ განვითარებას მოითხოვდა. ხეობათა მკვეთრად დაქანებულ ფერდობებზე ნიადაგის ეროზიის საშიშროება და მიწის სავარგულების სიმცირე არ იძლეოდა საყანეებისა თუ სათიბების ფართობთა ნებისმიერი ზრდის საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში მთიანი ქვეყნებისათვის ზოგადად დამახასიათებელ საზაფხულო და საზამთრო საკვების ხელშესახებ დისპროპორციას იწვევდა[1].

სათიბების ფართობთა მოცულობა განსაკუთრებით შეზღუდული იყო საქართველოს ბარის რაიონებში, სადაც მიწათმოქმედების წამყვან სამეურნეო პროფილში გარკვეულ ადგილს მებაღეობა-მევენახეობა და მებოსტნეობა, აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური კულტურები იჭერდნენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ თივის დ ა ყ ო რ უ ღ ე ბ ი ს იშვიათ პრაქტიკას, ბარის ზოლში ვარგისი სავარგულების სათიბად გაშვება საერთოდ გამორიცხული იყო. თივის გარკვეულ მარაგს აქ აგროვებდნენ სიმინდის ყანებში, საძოვრებისაგან დროებით გამოთავისუფლებულ ანეულ და ნასვენ მიწებზე, ბაღ-ვენახებსა და ჭალისპირებში და ა. შ. სათიბებად მცირე ზომის ნაკვეთებს აქ მხოლოდ ბარიდან წინამთიან კალთებზე გარდამავალ სოფლებში თუ უთმობდნენ ადგილს[2].

სხვა ვითარება იყო საქართველოს მაღალმთიან ზოლში. მთიანეთის მკაცრი ეკოლოგიური გარემო ხანმოკლე ვეგეტაციური პერიოდით მინიმუმამდე ზღუდავდა სამიწათმოქმედო კულტურების მოყვანას. სამაგიეროდ სუბალპურ და ალპურ მდელოთა გარკვეული ფართობები უხვი და ნოყიერი ბალახეულით მდიდარ სათიბებს ეთმობოდა. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი ზამთრის პირობებში თივის ნაკლებობა მთიანეთის ზოლშიც მწვავედ იგრძნობოდა[3].

საქართველოს მესაქონლეობის საზამთრო საკვები მარაგის ასეთი შეზღუდული ხასიათი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სათიბი მეურნეობის წარმოებას. მართლაც, სათიბების გამოყოფა-განაწილებას, ქვა-ღორღისაგან გაწმენდას, შემოღობვას, დაცვას, მორწყვასა თუ მოვლა-პატრონობის სხვა ეტაპებს, საქონლის სხვა საკვების[4] დამზადება-დაბინავებასთან ერთად, ქართველ მთიელთა საოჯახო მეურნეობაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის საკლასიფიკაციო პრინციპებიდან გამომდინარე, ტერიტორიული განლაგებისა და მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმების მიხედვით, შუამთისა და მთიანეთის სათიბები ტიპოლოგიურად ორი უმთავრესი კატეგორიის სახითაა წარმოდგენილი: ს ა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ო ფ ლ ო||ს ა კ ო მ ლ ო ს ა თ ი ბ ე ბ ი, რომლებიც უშუალოდ სოფლის სახ-ნავ-სათესი ნაკვეთების, ანუ კ ა რ ი ს პ ი რ ე ბ ი ს (მთიულეთი, ხევსურეთი, თუშეთი)||ნ ა ფ უ ძ ა რ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ს (აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი) ... ძელებას წარმოადგენდა და კომლობრივ მფლობელობაში იყო გადასული

დ ა მ თ ი ს ს ა თ ი ბ ე ბ ი, რომლებიც ალპური საძოვრების ქვემო ზოლში მდებარე პარალელურ სამეურნეო ბაზებში — ბ ო ს ლ ი ს პ ი რ ე ბ შ ი, ანუ მ თ ი ს მ ა მ უ ლ ე ბ შ ი (მთიულეთი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი) იყო გაერთიანებული და საოჯახო-პატრონომიულ ან კიდევ საერთო-სასოფლო საკუთრებას წარმოადგენდა[5].

საქართველოს მთიანეთის მრავალ კუთხეში საერთო-სასოფლო მფლობელობის ეს ნაკვეთები ს ა ე რ ო ს ა თ ი ბ ე ბ ი ს (რაჭა-ლეჩხუმი) სახელწოდებით იყო ცნობილი და სოფლის თემის გადაწყვეტილებით ცალკეულ კომლებზე პერიოდულ გადანაწილებას ექვემდებარებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სათიბების ეს კატეგორია—წ ი ლ ი ს მ ი წ ა, ანუ მ თ ი ს ნ ა წ ი ლ ა რ ი, როგორც წესი, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ხელახალი გადანაწილების მიზნით, კვლავ სოფლის განკარგულებაში გადადიოდა[6]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუამთისა და მთიანეთის სათიბების ეს კატეგორიები ყოველთვის როდი ექვემდებარებოდა ზემოთ აღნიშნულ ზონალურ დანაწევრებას. ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გადახვევებსაც ჰქონდა ადგილი. მაგ., საერთო სათიბების გარკვეული სახესხვაობა — ს ა ს ო ფ ლ ო ვ ე ლ ე ბ ი (რაჭა-ლეჩხუმი) საქართველოს მთიანეთში, როგორც წესი, სოფლის ტერიტორიებს ემიჯნებოდა და ამავე ზოლში განლაგებულ კარის მამულისაგან განსხვავებით ასევე პერიოდულად ნაწილდებოდა ცალკეულ კომლებზე[7]. ადგილი ჰქონდა პირიქით შემთხვევებსაც, მაშინ, როდესაც კომლობრივ მფლობელობად არსებული სათიბები, სოფლად სათანადო სავარგულების შეზღუდულობის გამო, გარე სამეურნეო ბაზების, კერძოდ ა ხ ო ე ბ ი ს, გ ა რ ე ყ ა ნ ე ბ ი ს, ფ ე რ დ ა ს ა თ უ ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ ი ს მომიჯნავე ტერიტორიებზე იყო განლაგებული[8].

საქართველოს შუამთისა და მთიანეთის ზოლში სასოფლო||საკომლო და მთის საერო სათიბების მფლობელობა ექსპლოატაციის მრავალფეროვანი ფორმებია დამოწმებული, რომელთა მიმოხილვა ზოგადი საკლასიფიკაციო სისტემით საინტერესო სურათს წარმოაჩენს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალების თვალსაჩინოებისათვის კონკრეტული მონაცემების ანალიზს რაჭის ეთნოგრაფიული სინამდვილიდან ვიწყებთ, სადაც სათიბების მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმები ჩამოყალიბებული სახით იყო წარმოდგენილი და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური სრულყოფით გამოირჩეოდა.

საკვლევი პერიოდის მონაცემების მიხედვით ს. ჭიორას კომლობრივ მფლობელობაში არსებული სათიბები განლაგებული იყო სოფლის მომიჯნავე ტერიტორიებზე, კერძოდ მდ. რიონის შენაკადების ხეობათა კალთებზე — დიდველში, ხანთაკში, ბუბენეებსა და ჩაგელეენთვაკეში. სათიბების ამ ნაკვეთებიდან რეხვიაშვილებისა და ჩაგელიშვილების მფლობელობაში იყო მოსაყარი, გორები, ხვანტები, ჭონშური, ბართუები, ლეკნარები და სამიწალები. გობეჯიშვილები და რეხვიაშვილები ფლობდნენ ტეხუანთ სათიბებს, ცალ-ცალკე ჩაგელიშვილები — ვეძიგორს, ხოლო რეხვიაშვილები — ცივწყალუკას, კილოფარს, სამდიყვეებს, კაიწყალს, კაკოტყეს, ციხეებსა და გორას. ამავე ტერიტორიებს ემიჯნებოდა ჭიორელთა სასოფლო ველებიც. კერძოდ, პერიოდულ განაწილებას დაქვემდებარებული საერთო-სასოფლო სათიბები აქ ნოღარას, მოლისას, საქერეების, შთალეებისა და ჭონშურის ტერიტორიებზე იდო[9].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 8 სათიბები (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. სასოფლო//საკომლო, 2. მთის საოჯახო-პატრონიმიული, 3. მთის საერო, 4. სასოფლო ველები, 5. სახატო-საეკლესიო, 6. საამნათო. პირობითი ნიშნები ა, ბ, გ ყველა რუკაზე მიუთითებს გავრცელების სიხშირეს (ა), ნაკლებ სიხშირესა (ბ) და იშვიათ სიხშირეს (გ)

კომლობრივ მფლობელობაში გადასული სათიბების ანალოგიური ნაკვეთები გააჩნდათ რაჭის სოფლებს, კერძოდ ღებს (წყაროკარი, საცილოფარეული, ორღობე, დიდი ყანა, ფაცხეული და ა.შ.), გლოლას (სხარა, ცვარაგანა, ზანჭა, ტყისთავი, ძრიწელა, ბუბა და ა. შ.), ურავს (ვაკე, საფერისცვალო), ლიხეთს (საფიჩხია, თიბიანი, რუგნები, ბოძალები, ნაკალოვარი, ჭაროფი, ჭეშელა და ა. შ.), ნიკორწმინდასა (განიგზა, ცხენიკალია, ვაკენაძვნარი და ა. შ.) და სხვ. ამავე სოფლების გადასანაწილებელი საერთო-სასოფლო სათიბები განლაგებული იყო ბრილის, ველიგძელას, წკნელეთის, საგების, ჯვარიგორის, საწისქვილოს, რუთავის, კოდიძირის, შთალას, წიხვარგას, დომბურას (ს. ღები), ტყის თავის, ფორაოს, ჭორუშოს, ჟღიდას, საირმეს, სინჯიგანის (ს. გლოლა), ბასიანას, სოხორათულის, ნაჯიხურების, ნადარაჯევის, ფაქუშის (ს. ურავი), საფერისცვალოს (ს. ლიხეთი) შაორისა და ვაკენაძვნარის (ს. ნიკორწმინდა) ტერიტორიებზე, რომელთა ნაწილი სასოფლო ველებს წარმოადგენდა, ნაწილი კი მთის საერო სათიბების სახით იყო წარმოდგენილი[10].

სასოფლო||საკომლო და მთის საერო სათიბების შესახებ მრავალფეროვანი მასალები საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებიდანაც შეიძლება მოვიტანოთ, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე უფრო დამახასიათებელი სვანეთის, მთიანი აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, მთიულეთის, თუშეთისა და ხევსურეთის მონაცემები ჩანს. მაგ., ზემო სვანეთის უშგულის თემის სოფლები ჟიბიანი, ჩაჟაში, ჩვიბიანი და მურყმელი მდ. ენგურისა და ქვიშირის სათავეებში განლაგებული ცაარეშის, მახვირაშის, ლადგიმიას, დათვლარე ლარალის, კოდარის (ს. ჟიბიანი), ლადოგის (ს. ჩვიბიანი), ატკვერის, კუღულაშის, ლეტვირის, კამუყის, ნაღერვალისა და ლენქვარის (სოფლები ჩაჟაში და მურყმელი) სახნავ-სათიბებით სარგებლობდნენ. ჩვიბიანელთა მთის საერო სათიბები განლაგებული იყო ცაარეშისა და ლადოგის ზემო წელში, ხოლო უშგულის დანარჩენი სოფლებისა—ზაგერში. ამავე კატეგორიის ტიპურ სათიბებს ფლობდნენ ზემო და ქვემო სვანეთის სხვა სოფლებიც[11].

ანალოგიური სახის სასოფლო||საკომლო სათიბები გააჩნდათ მთიანი აჭარის სხვადასხვა ხეობების სოფლებსაც. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ღორჯომის ხეობის დიდაჭარის თემის ს. ხუციაშვილების საკომლო სათიბები ბოსტანათებში, სკვანებში და წიახებში, რომლებიც სოფლის მომიჯნავე ტერიტორიებზე იდო. აღნიშნულ სოფელს მთის საერო სათიბების გარკვეული ნაკვეთები ჰქონდა აგრეთვე ზედაღელეს ხეობის კალთებზე[12].

მესხეთ-ჯავახეთის ზოგიერთი სოფლის (უდე, არალი, მუსხი და სხვ.) ორივე კატეგორიის სათიბები მთის მამულებში (შავშისწვერი, ირმისჭალა, ზანზობი) იყო განლაგებული. სოფლად სათანადო ტერიტორიების სივიწროვის გამო თითო-ოროლა ძირ თივას აქ მხოლოდ ბაღ-ვენახებში თიბავდნენ. სამაგიეროდ ს. საროს კომლობრივ მფლობელობაში არსებული საკმაოდ მოსავლიანი სათიბები სოფლის ახლოს ვრცელ ტერიტორიებს (გორანაანთ ჭალები, ტყისთავი, ტატაანთ ჭალები, ბასილაანთ ჭალები, სულოს წყარო და ა. შ.) მოიცავდა, ხოლო გადანაწილებას დაქვემდებარებული საერო სათიბები ჭობარეთის მთაზე და ზედაველაში იყო განლაგებული[13].

განსაკუთრებით ვრცელ და უხვმოსავლიან სასოფლო||საკომლო და მთის საერო სათიბებს ფლობდნენ ხევსურეთისა და თუშეთის სოფლები. კერძოდ, ხევსურეთში ს. დათვისს მარტო საკომლო სათიბებად გამოყოფილი ჰქონდა შუა გორის, საქერენის, გველეთის მთის, საკენკეშაის გორის, შეღმა გორის, საზვინე გორისა და უკუდურას ვრცელი ტერიტორიები. გარდა ამისა დათვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 4 ხათიბები (XX ს. 20-იანი წლები)

1. სასოფლო/საკომლო, 2. მთის საოჯახო/პატრონიმიული, 3. მთის საერო, 4. სასოფლო ველები, 5. სახატო-საეკლესიო, 6. საამანათო.

სელებს საერთო სათიბები ედოთ კიშხების მთაში. ლიქოკის ხეობის ს. ჭალიასოფლის საკომლო სათიბები განლაგებული იყო წისქვილყანის, ნარუანის, ვეძაზედას, ქუჩაიტყისძირის, გორელთას, აგამეჩის, იახსართავის, [illegible], ნარღვევის, სახარეს, სახარესხევისა და საზრობის სხვადასხვა უბნებზე. ამასთან ერთად ჭალიასოფლელებს მთის მრავალრიცხოვანი ნაკვეთებიც ეპყრათ, რომლებიც ცირცელიანას, სალპობის წითელკლდიძირის. ჰავარუნას, აწიგოს, სატყვიაგორას, ტილიჩოს, ვეძიკარის, მარხილაურის, ნაგვას, უკალოთხევისა და სხვ. ტერიტორიებზე იყო გაფანტული. სხვათა შორის მთის სათიბთა უმრავლესობა საოჯახო-პატრონიმიული კუთვნილების სახით იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც გადასანაწილებელ საერო სათიბად მხოლოდ სალპობის ვრცელი ტერიტორია იყო გამოყოფილი[14].

მეტად დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს შინაალპური მესაქონლეობის ზოლში მდებარე სოფლების სათიბების განლაგებისა და მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმებიც. მაღალმთიან დასახლებებში შინაალპური სათიბების ორივე კატეგორია — საკომლო და საერო (სასოფლო ველები) სათიბები სოფლის მომიჯნავე ტერიტორიებზე იყო განლაგებული, გარე სავარგულები კი მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის საძოვრებად იყო განკუთვნილი. მაგ., მარტო ხევსურეთის მაღალმთიან ს. როშკას სოფლის ტერიტორიაზე სათიბებად ოცდაათზე მეტი უხვმოსავლიანი ნაკვეთი (ღაწვი, ბოზახევი, საივაჩო, სახარის მთა, დიდხევისგორი, საწერთხლია, ბლოღელე, ტირიფიანი, ჩოხი, აბუდელაურის მინდვრები და ა. შ.) ეჭირა. დაახლოებით თხუთმეტამდე ვრცელ ნაკვეთს ფლობდა ს. ლებაისკარიც (სასვილეთავი, საბანულა, ნიხვისძირი, ფერდი, კლდეძირი, ქცეულა, რუისყანა, საკიტრია და ა. შ.). შინალპური სათიბების ასეთივე მრავალრიცხოვანი ნაკვეთები გააჩნდათ მთათუშეთის სოფლებს ფარსმასა (თათი შანტალი, ჭუჭიანწყარო, ძარანგული, ვეშარი და ა. შ.) და შენაქოსაც (უბიჭი. ვეჭკუ, ნისტოხი, ხიმუ. ტიე, ტბათანა, ვილე, წასნე და ა. შ.).

სასოფლო||საკომლო და მთის საერო სათიბების განლაგებისა და მფლობელობა-ექსპლოატაციის შესახებ ანალოგიური მასალებია დამოწმებული მთიულეთისა და ფშავის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც, მაგრამ ამ მრავალფეროვანი მონაცემებიდან ყურადღებას ცალკეულ ტიპოლოგიურ სახესხვაობებზე შევაჩერებთ. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს მთიანეთის საერო სათიბების გარკვეული ფორმები, რომლებიც ხევსურეთსა და მესხეთ-ჯავახეთში ს ა ხ ა ტ ო-ს ა ე კ ლ ე ს ი ო სათიბებისა და ს ა ა მ ა ნ ა თ ო ს სახელწოდებით იყო ცნობილი. მაგ., ხევსურეთის სოფლების დათვისისა (საქერენი) და ჭალიასოფლის (ნარუანა, სანაო, ხვადბური), სახატო, აგრეთვე მესხეთის ს. ხიზაბავრას (ჭალა) საეკლესიო სათიბები გაქირავებული იყო მეთემეებზე, რომლებიც რიგით ამუშავებდნენ მას, შემოსავალი კი ხატისა თუ ეკლესიის სასარგებლოდ შეჰქონდათ. რაც შეეხება საამანათოს, რომლის თვალსაჩინო მაგალითად იგივე ს. დათვისის სათიბი უკუდურა შეიძლება დავასახელოთ, ისიც ასევე საერო სათიბების ფონდიდან გამოიყოფოდა და გამოყენებული იყო თემის მიერ სხვა თემიდან გამოდევნილი პირის თავშესაფარად, რისთვისაც მას თავის სარჩენად დროებით სარგებლობაში ეძლეოდა სათიბი ნაკვეთი, მიტოვებული სახლი ან ნანგრევი და ა. შ[15].

მრავალფეროვანია საქართველოს შუამთისა და მთიანეთის სასოფლო||საკომლო და მთის საერო სათიბების ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის ფორმებიც. სასოფლო||საკომლო სათიბები ამ ზონებში ორ კატეგორიად იყოფოდა. განსაკუთრებით ნოყიერი და მოსავლიანი სათიბები, რომლებიც ჩვეუ-

ლებრივ წნული ღობეებითა და ქვაყრილით იყო შემოზღუდული, ადრე გაზაფხულიდან იცვლებოდა და მოსარწყავად მზადდებოდა. სათიბთა ის კატეგორია, რომელსაც უხმარი და გამოუსადეგარი ადგილები ეჭირა ადრე გაზაფხულზე სოფლის ნახირის გასალაღებლად და მოსაღონიერებლად იყო დაგდებული. ეს სათიბები დაცულად მხოლოდ საქონლის მთაში გადარეკვის შემდეგ ცხადდებოდა. შესაბამისად, ადრე გაზაფხულიდან დაცულ სარწყავ სათიბებში მოსახლეობა თივის ორ მოსავალს იღებდა, მაშინ როდესაც საძოვარ-სათიბებში მხოლოდ ერთი მოსავლის მიღებას თუ ასწრებდნენ. სამაგიეროდ ეს სათიბები შემოდგომით მოსავლის აღების შემდეგაც მთიდან დაბრუნებული საქონლის გასადევრად იყო გამოყენებული[16].

საკომლო და საოჯახო-პატრონომიული მფლობელობის სათიბები ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო ხელოვნური და ბუნებრივი საზღვრებით. ცნობილი იყო სათიბების ფართობთა ქვის ლოდებით — ს ა მ ა ნ ი თ (რაჭა-ლეჩხუმი)||ა ღ ვ რ ი ლ ი თ (სვანეთი) დასაზღვრა. სხვა ხელოვნურ და ბუნებრივ მიჯნებად მიჩნეული იყო არყისა და ურთხელის ცოცხალი ბუჩქნარის ზოლი — ჩ ი რ გ ა ლ (სვანეთი), ხევი, მდინარე და ა. შ. საქართველოს მთიანეთის რიგ კუთხეებში სათიბებს წნული ღობით — ს ა ჩ ი ხ ე (რაჭა-ლეჩხუმი)||ნ ა შ ხ ა ტ ი თ (სვანეთი), ქვაყრილით — ყ ო რ ე (გურია-აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი)||ხ ვ ი ლ ა თ ი (სვანეთი) და მოჭრილი და წაქცეული ხეებითაც ზღუდავდნენ[17].

შუამთისა და მთიანეთის სასოფლო სათიბებში საქონელი შესაბამისად მაისის 10-25 რიცხვებამდე რჩებოდა, აქედან მოკიდებული კი აღნიშნული სათიბები დაცულად ცხადდებოდა და სოფელი ამ მიზნით მ ე ვ ე ლ ე||მ ე ყ ო რ უ ღ ე ე ბ ს ირჩევდა. სათიბების ფართობთა განლაგებისა და მოცულობის შესაბამისად მეველეთა რაოდენობა სოფლად ჩვეულებრივ 2—4 კაცით იყო განსაზღვრული, რომლებიც გაზაფხულიდან ვიდრე თიბვის დაწყებამდე შენაცვლებით მორიგეობდნენ სასოფლო და მთის სათიბებში. მეველეებს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ ბარისა და მთის სათიბები თავისი და სხვა სოფლების საქონლისაგან, უნდა სცოდნოდათ საქონლის ყოველდღიური მოძრაობის მარშრუტი. მათვე შეეძლოთ მიმართულების განსაზღვრა ნახირის გასარეკადაც. ისინი თვალყურს ადევნებდნენ მენახირის მიერ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებასაც, ზოგჯერ კი სოფლის დავალებით უძღვებოდნენ ამა თუ იმ სათიბებში წყლის მიშვების რეჟიმს და ამ მიზნით აწესებდნენ თანასოფელთა რიგს. მიუხედავად იმისა, რომ მეველედ ხშირად „მიწანაკლები“ კაცი დგებოდა, რომელსაც აქ მიღებული საზღაურით უნდა შეევსო ოჯახის შემოსავალი, ეს მოვალეობა მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმედ ითვლებოდა[18].

საქართველოს შუამთისა და მთიანეთის სოფლებში მეველეთა ანაზღაურების სხვადასხვა ფორმებთან გვაქვს საქმე. მაგ., მთიან აჭარაში მეყორეულის ანაზღაურების პრინციპი განსაზღვრული იყო არა სათიბების ტერიტორიული სიდიდით, არამედ აღებული თივის მოსავლით, რომლის საზომ ერთეულად აქ მ ა რ ხ ი ლ ი თ თ ი ვ ა იყო მიღებული. ღორჯომის ხეობაში 1 მარხილ თივაზე მეყორეულეს 3 აბაზი ეძლეოდა. აქვე ფულს ხშირად ნატურით გადასახადი ცვლიდა, რომლის დროსაც მეყორეულეს ეძლეოდა ფულადი საფასურის შესაბამისი კარაქი, ყველი, სიმინდი, საქონლის ტყავი და ა. შ. აჭარის სხვა ხეობებში მეყორეულის ანაზღაურება ძირითადად ნატურით იყო განსაზღვრული და 10 მარხილ თივაზე მას მარხილი თივა ან ერთი კ ო დ ი (10 ოყა — 12 კგ) სიმინდი ეძლეოდა. ასევე მოწეული მოსავლის შესაბამისად უნაზღაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდებოდა შრომა მეველეს რაჭაშიც. მაგ., ს. ნიკორწმინდაში მეველეს 10 ურემ მოწეულ თივაზე 1 მანეთს უხდიდნენ. მესხეთ-ჯავახეთში, სადაც მეველე სათიბთა მორწყვითაც იყო დაკავებული, საზღაურს ფულადად უხდიდნენ, და მატებით კი 1 ჭალაზე 1 ბ უ ნ ულ (80 კგ.) თივასაც უყოფდნენ. ნატურით ანაზღაურებისას მეველეს საშუალოდ 3—4 ს ო მ ა რ ი (16 ფუთი) ქერი ერგებოდა. ასეთივე საზღაური ჩანს სვანეთშიც, სადაც მეველეს თემის მთის სათიბების დაცვის საფასურად ყოველი ოჯახი 5—5 გ ო რ ო ს, ანუ 10 ფუთ სიმინდს ან პურს, ან მის საფასურს უხდიდა[11]. მეველეთა ფულადი და ნატურალური ანაზღაურების ანალოგიური სახეები იყო გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

სასოფლო||საკომლო და მთის საერო სათიბების ქვა-ღორღის, ეკალ-ბარდისა თუ სხვა სარეველებისაგან გაწმენდა-დამუშავებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა სათიბთა სარწყავი სისტემების მოწყობას. გამოვლენილია უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალები ხალხური მთური ირიგაციისა და ტერასების უმნიშვნელოვანესი და უნიკალური სისტემების შესახებ სვანეთში (დადიაშის მთისა და მულახის სარწყავი სისტემები და ა. შ.), აჭარაში (დიდაჭარისა და ხაბელაშვილების არხი და ა. შ.), მესხეთ-ჯავახეთში (ვალეს, ხიზაბავრასა და როკეთის სარწყავი სისტემები) და სხვ., რომელთა მეშვეობით მოსახლეობა თივის მაღალ მოსავალს იღებდა[20]. ამ მხრივ საყურადღებოა სვანეთის მაგალითი, სადაც საერთოდ რწყვის პრაქტიკა სათიბების მორწყვის ტრადიციასთან იყო დაკავშირებული[21].

სოფლისა და მთის სათიბების სარწყავად შუამთასა და მთიანეთის ზონაში ძირითადად გამოყენებული იყო ხევის სათავეებიდან მომდინარე წყლები და წყაროები, რომლებიც სათიბ ნაკვეთებამდე წყლის დინებისათვის აუცილებელი დახრილი არხებით გამოჰყავდათ. არხების სიგრძე სხვადასხვა იყო და სარწყავი წყლის სათავის დაშორების მიხედვით, რამდენიმე ასეული მეტრიდან 5—10 კმ-მდე აღწევდა. თუ მ თ ა ვ ა რ ი რ უ რამდენიმე მოსახლის მფლობელობაში იყო, მაშინ მეზობელთა შორის წყალი რიგრიგობით გამოიყენებოდა[22].

სარწყავ სისტემაში მეტად საპასუხისმგებლო საქმედ თვით ჭალების დ ა რ უ ე ბ ა ითვლებოდა, რაც დაფერდებულ რელიეფზე ნიადაგის მოშლისა და დარეცხვის საშიშროებას ქმნიდა. ფართობის ს ა რ წ ყ ა ვ ი რ უ ე ბ ი სათიბს ჰორიზონტალურად კვეთდა. მისი სიხშირე დამოკიდებული იყო სათიბის ფერდობთა დაქანების კუთხეზე და რელიეფის ექსპოზიციის შესაბამისად რამდენადმე დაფერდებულად იყო გაყვანილი. ეს რუსხმულები ფართობის გასწვრივ ს ა დ ი ნ ა რ ე ბ ა დ იყო დაკვალული, საიდანაც წყალი უშუალოდ სათიბის გარკვეულ მონაკვეთს რწყავდა[23].

შუამთასა და მთიანეთის უმრავლეს კუთხეებში სარწყავ სათიბებში წყალს გვიანი შემოდგომიდანვე უშვებდნენ. თივის მეორე მოსავლის (მ ე რ||მ ე რ ი ა ლ ი ჭ მ ა ლ — სვანეთი) აღების შემდეგ თოვლის დადებამდე ძ ვ ე ლ რ უ ს ა და უშუალოდ ს ა რ წ ყ ა ვ რ უ ს (აჭარა) წმენდნენ და წყალს უშვებდნენ, რომელიც მთელი ზამთრის განმავლობაში რწყავდა სათიბს. ამგვარ სათიბზე გაზაფხულზე თოვლი ადრე შრებოდა, ნიადაგი თბებოდა და ბალახიც ჩქარა იწყებდა ამოსვლას, ეს კი ხელს უწყობდა თივის მეორე მოსავლის მიღებას. მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში დადასტურებულია არაერთი შემთხვევა, სადაც ამგვარად ორგანიზებულ სარწყავ ჭალებში თივის სამი მოსავალიც კი მოჰყავდათ[2′].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთიანეთში სათიბების წყლით მორწყვასთან ერთად ფართოდ იყო ცნობილ ნაკელით გ ა პ ა ტ ი ვ ე ბ ი ს, ანუ მ ო ნ ე ხ ვ წ ყ ლ ი ს წესი, რაც სათიბ ნაკვეთებში სპეციალურად გაკვალული რუსხმულებით ნაკელწყლის გაშვებას გულისხმობდა და ასევე სათიბების მაღალ მოსავლიანობას უზრუნველყოფდა. ხალხური ირიგაციის ეს პრაქტიკა საქართველოს მთიანეთში ძირითადად სახნავ-სათესი მიწების (ნაფუძარი, კარის პირები. ბოსლის პირები და სხვ.) მორწყვა-გაპატივების მიზნით გამოიყენებოდა და სათანადოდაა აღწერილი სპეციალურ ლიტერატურაში[25].

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში მორწყვა-გაპატივებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა სათიბებში ბალახეულის თესვის პრაქტიკასაც. საბოსლოების მოახოებისა თუ ქვა-ღორღისაგან გაწმენდის შემდეგ, გაზაფხულზე თოვლის შეშრობასთან ერთად, სათიბ-საძოვრისათვის განკუთვნილ ნიადაგზე თესდნენ გარკვეული ჯიშის ბალახს, რომელთა თესლი — ც ე ნ ც ვ ი ჯერ კიდევ ადრე ბარში ჰქონდათ მომარაგებული. თოვლისა და სარწყავი წყლისაგან სველ — ჭ ო ნ ჭ ყ ო ნიადაგზე რამდენიმე დღით საქონელს შერეკავდნენ, რომელიც ფეხით თხრიდა და ზელდა ნიადაგს. შემდეგ წყალს უჭრიდნენ, ხოლო მიწის შეშრობასთან ერთად ფ ა რ ც ხ ს გაავლებდნენ და ნიადაგს გააფხვიერებდნენ[26].

მთიელ მესაქონლეთა მაღალ სამეურნეო გამოცდილებაზე უნდა მეტყველებდეს სათიბების ბალახეულის გაუმჯობესება კ ო რ დ ი ს მ ო ფ ე ნ ი ს გზითაც. აღნიშნული თვალსაზრისით საძოვრის თუ სათიბის დაზიანებულ, ეროზირებულ ზედაპირს ცვლიდნენ ყამირზე აჭრილი ბელტებით — კ ო რ დ ი თ, რომელიც სპეციალურად ცხენებით ჩამოჰქონდათ მთიდან[27].

სათიბი მეურნეობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპს თ ი ბ ა ს (ხევსურეთი, მთიულეთის) || ჭ ა ლ ო ბ ა (აჭარა, გურია, მესხეთი) || ლ ი ჭ მ ა ლ (სვანეთი) წარმოადგენდა. მოახლოებული ზამთარი და მერყევი ამინდები ყოველთვის როდი იძლეოდა ჭალობის წარმატებით ჩატარების საშუალებას. თივის უდანაკარგოდ აღება, სოფლად ჩამოზიდვა და დალაგება კი მთიანეთის ზამთრის პირობებში მეტად საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, თივის დროულად აღებას აუცილებელს ხდიდა შემოდგომით საზაფხულო იალაღებიდან საქონლის ჯერ საბოსლოებში, ხოლო შემდგომ სოფლად ჩამორეკვა, სადაც მოსავალაღებული სათიბები საქონლის საშემოდგომო გასადევრად იყო გამოყენებული[28].

სასოფლო და მთის სათიბების თიბვის დრო, აღნიშნულ ზონათა კლიმატურ-ეკოლოგიური პირობებისა და მთის მამულების ექსპლოატაციის თავისებურებათა გამო, განსხვავებული იყო. შუამთის სოფლებში პირველ თიბვას (ჭ ე მ — სვანეთი) ძირითადად ივნისის მეორე ნახევარში იწყებდნენ, მაშინ როდესაც მთის სათიბებში ჭალობის სეზონი ივლისის ბოლოდან დგებოდა.

ჭალობის დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე მ თ ი ბ ა ვ ე ბ ი საჭირო ს ა ჭ ა ლ ე ბ ო ი ა რ ა ღ ე ბ ს—ც ე ლ ე ბ ს, ფ ო ცხ ე ბ ს, მ ე რ უ ლ ე ბ ს, ნ ა მ გ ლ ე ბ ს, ც უ ლ ე ბ ს, წ ა ლ დ ე ბ ს ა და სხვ. ამზადებდნენ. სოფლად სამიწათმოქმედო სამუშაოთა შემსუბუქება საშუალებას იძლეოდა ჭალობაში ოჯახის მუშახელთა უმრავლესობა ჩაბმულიყო. სოფლისა და მთის სათიბებს ყველა ოჯახი თავისი მუშახელით თიბავდა, მაგრამ იყო აგრეთვე ნ ა დ ი მ ი ც (რაჭა-ლეჩხუმი), რომელიც კოლექტიურად 20—25 მუშახელით ჯერ ერთ პირს ეხმარებოდა შემდეგ კი რიგრიგობით სხვებს. თიბვის დაწყებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ ნაკვეთის თ ი ვ ი ს დ ა მ წ ი ფ ე ბ ა ს, რამდენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ხალხური დაკვირვებით ნორჩად მოთიბული ბალახი უბარაქოა და წყლიანი რჩება[29].

თივის ცელვას სათიბების ქვემო მხრიდან იწყებდნენ. სათიბებს ფიცარ-ნენ მამაკაცები ცელით. ერთი გასვლისას მოცელილი თივა რიგზე გვარელ ებ ად (აჭარა) ეწყობოდა, რომელსაც შემდგომ ქალები შლიდნენ, გვიძრასა და სხვა სარეველას აცლიდნენ და ადგილზევე ფენდნენ. მზიან ამინდში გაფენილ თივას შუადღეზ ე პ ი რ ს უ ც ვ ლ ი დ ნ ე ნ (რაჭა-ლეჩხუმი)||გ ა დ ა ა ქ ც ე ვ დ ნ ე ნ (აჭარა), საღამოს თივა საკმაოდ გამშრალი იყო, ფ ო ც ხ ა ვ დ ნ ე ნ და ა ბ უ ლ უ ლ ე ბ ნ დ ნ ე ნ (აჭარა)||ა ნ ე ქ ვ ა ვ დ ნ ე ნ (რაჭა-ლეჩხუმი). ბულულებისათვის სჭრიდნენ ტოტებიან ს ა ყ ე ს, რომელზედაც თივა გაშლილად იზვინებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში თივა, რომელსაც ხმობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეთავებული, ხურდებოდა და ლპებოდა. ბ უ ლ უ ლ ს მეორე-მესამე დღეს შლიდნენ და თივას კვლავ მზეზე ფენდნენ, ამგვარად გამხმარ, გ ა მ ო მ კ ვ დ ა რ (აჭარა) თივას ბულულზე საბოლოოდ 10—15 დღემდე სტოვებდნენ, შემდეგ შლიდნენ და სოფლად მოსატანად ამზადებდნენ[30].

შუამთისა და მთიანეთის სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში სასოფლო სათიბებში აღებული თივა მაშინვე სახლში გადმოჰქონდათ, მთის სათიბებიდან კი, მისადგომი გზების შესაბამისად, თიბვის სეზონის დამთავრებისთანავე, ანდა ზამთრობით. შემოდგომით თივის მოზიდვის კამპანია მ ა რ ხ ი ლ ო ბ ი ს (აჭარა, მესხეთი)||ლ ი ლ ვ ა ნ ი ს (სვანეთი)||ბ ა რ გ ო ბ ი ს (ხევსურეთი) სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ პერიოდში ოჯახის წევრები ხარმარხილით მთაში მიემგზავრებოდნენ, სათიბებში სახელდახელოდ დადგმულ ბულულებს შლიდნენ და ბარად ჩამოჰქონდათ. იქ, სადაც სამარხილე გზა არ უდგებოდა, თივას იქვე ზვინებად დგამდნენ, თოვლის მოსვლის შემდეგ კ ი ს ა თ რ ი ე ლ (აჭარა)||თ ა ვ კ ა ვ ი თ (რაჭა-ლეჩხუმი) სოფლად ჩამოჰქონდათ. მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში თივის ჩამოსაზიდად გამოყენებული ყოფილა ნადური შრომაც—მ ე ბ ა რ გ ე ნ ი (ხევსურეთი), რომლებიც ყველაზე ძნელად მისასვლელი სათიბებიდან თივას ზურგით ეზიდებოდნენ[31].

მეტად საყურადღებოა სასოფლო ველებისა და მთის საერო სათიბების პერიოდული გადანაწილების პრაქტიკაც, რომელიც ცალკეულ კომლებზე წილისყრის — კ ე ნ ჭ ი ს გ ა გ დ ე ბ ი ს მეშვეობით ხდებოდა. წილის განმსაზღვრელი ფაქტორები მრავალფეროვანია არა მარტო ცალკეული კუთხეების, არამედ ამა თუ იმ კუთხის ხეობებისა და სოფლების მონაცემების მიხედვითაც. საერო სათიბებში კომლის წილი განსაზღვრული იყო წინასწარ დათქმულ დღეს კოლექტიურ თიბვაში მონაწილე მუშახელის რაოდენობით (რაჭა-ლეჩხუმი), კომლის სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი მიწის მოცულობით (მესხეთ-ჯავახეთი), საქონლის რაოდენობითა (მთიულეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი. ქვემო ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი) და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სოფლის ქვრივ-ობლებისა და მარტოხელა მეკომურისადმი დახმარებაც[32].

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში საერთო-სასოფლო საკუთრებაში არსებულ მიწებზე დახარჯული შრომისა (ახოს აღება, შემოღობვა, მორწყვა და ა. შ) და მსხვილი მეურნეების მიერ მეთემეთა მიწების მიტაცების გაძლიერებული ტენდენციის გამო, მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში სათიბი სავარგულების საერთო-სასოფლო მფლობელობის ტრადიციები საკმაოდ შელახული ჩანს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ბალასზემო და ბალასქვემო, განსაკუთრებით კი ზემო და ქვემო სვანეთის პარალელური მონაცემები, სადაც რიგი სათემო სათიბები (მაგ., ს. ხელედულას სათიბები ღობურის, ბიჭ-

ვილდისა და ხოშალახვის მთაზე) კომლობრივ მფლობელობაშია გადასული. ანალოგიური სურათი ჩანს მთიულეთშიც, სადაც ს. ზემო მლეთის ერობის მფლ. ზე საერო სათიბები თანდათანობით ერთი გვარის—ნაზღაიძეთა კუთვნილებაში მოექცა[33]. გაძლიერებულ მეთემეთა და დიდგვაროვანთა მიერ სათემო სათიბების დატაცების ფაქტები მოწმდება ქვემო ქართლის, მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის მაგალითზეც, სადაც მიტაცებულ სათიბებს მებატონეები იჯარით გასცემდნენ თანასოფლელებზე[34]. საკვლევ პერიოდში აღნიშნულ კუთხეებში ფიქსირებულია სათიბების ყიდვა-გაყიდვის, გაყოფა-განაწილებისა და გაქირავების მაგალითებიც, რაც თვალნათლივ ადასტურებს საქართველოს მთიანეთში მიწათმფლობელობის ტრადიციული ფორმების საბოლოო რღვევის პროცესს[35].

საქართველოს მთიანეთის იმ ხეობებში, სადაც სოფელი ვრცელ საერო სათიბებს ფლობდა თემი გარკვეულ ნაკვეთებს აქირავებდა თანასოფლელებსა და გარეშე პირებზე. საერო სათიბების გაქირავებით მიღებული შემოსავალი სოფლის საჭიროებისათვის იყო გამოყენებული. ფული, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა მამასახლისს, ძირითადად იხარჯებოდა სათემო დღესასწაულებზე საკლავის, ღვინისა და ლუდის შესაძენად. გარდა ამისა შემოსავლის გარკვეული ნაწილი ხმარდებოდა სასოფლო გზებისა და ხიდების კეთილმოწყობასა და ა. შ.[36].

სათიბ-საძოვრების შეზღუდული ხასიათი და მათი მფლობელობის ფორმები მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აიძულებდა სათიბების ი ჯ ა რ ი თ ა ღ ე ბ ი ს ა და ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ დამუშავებისათვის მოეკიდა ხელი. იჯარის პირობებში სხვადასხვა ხეობებში სათიბების განლაგებაზე (მზიანი, ჩრდილიანი, დაფერდებული და ა. შ.), ხარისხზე, რაოდენობაზე, მესაქონლეობის განვითარების მასშტაბსა და სხვა ფაქტორებზე იყო დამოკიდებული[37].

ამრიგად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში სათიბების განლაგებისა და მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმების შესახებ აქ მოტანილი მასალების კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის აღნიშნული სამეურნეო სავარგულების ორი უმთავრესი კატეგორია წარმოჩნდა: კერძო მფლობელობაში არსებული სასოფლო||საკომლო სათიბები, რომლებიც უშუალოდ კარის პირებს|| ნაფუძარ მამულებს ემიჯნებოდა და საერთო-სასოფლო, ნაწილობრივ კი საოჯახო-პატრონიმიულ მფლობელობაში არსებული მთის საერო სათიბები, რომლებიც ბოსლის პირებში ანუ მთის მამულებში იყო განლაგებული. ცალკეულ კომლებზე პერიოდულ გადანაწილებას დაქვემდებარებული საერთო-სასოფლო მფლობელობის სათიბების გარკვეული კატეგორია—სასოფლო ველები დადგენილია უშუალოდ კარის პირების|| ნაფუძარი მამულების მომიჯნავე ტერიტორიებზეც.

საატლასე მასალის სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს მთიანეთში სათიბების მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის ხალხური ეპირიული ცოდნა-გამოცდილების ისეთი ღირებული ელემენტები, რაც სათიბების დასაზღვრის, გაწმენდის, მორწყვის, დაცვის, გათიბვის, თივის მოგროვების. დაზვინვის, განაწილების, მოზიდვის, დაუნჯებისა და სხვ. პრაქტიკის მრავალფეროვან ხერხებსა და საშუალებებში აისახა. აღნიშნული მონაცემების ქრონოლოგიის თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს, საკვლევ პერიოდში საერო სათიბების დასაკუთრების მზარდი ტენდენცია, რაც სოფლის თემის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად აშკა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად ძლიერდება და აღნიშნული სავარგულების მფლობელობა-ექსპლოატაციის ტრადიციული ფორმების აქტიური რღვევის პროცესზე მიუთითებს.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 80—81; მისივე, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 93—94.

2. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 38, 68—69 და შმდ.

3. საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში სექტემბრის დამლევიდან დაწყებული ზამთარი ხშირად 7 მაისამდე გრძელდებოდა. ამ დროს მთიან ხეობებში ხშირად ყოფილა დიდი თოვლი და ავდარი, რასაც არაერთი ხალხური თქმულებაც მოწმობს, კერძოდ, აჭარელ მესაქონლეთა გადმოცემით „ვისაც ღორჯომი უქია, შვიდ მაისამდე ბუქიაო“. აქაური ძველი თქმულების მიხედვით, „შვიდ მაისს შვიდი გოდორი ბზე და შვიდი ჭვირთი თივა ბარელსაო და ზეგნელმა თვითონ იცისო“ ან კიდევ „მარტს უთქვამს ერთი საბძელი თივა მეო — აპრილს უთხოვია, მეც მეკუთვნისო, ხოლო მაისს დაუმატებია — ნურც მე დამივწყებთო“ (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80).

4. სათიბების შეზღუდული ხასიათი და თივის ნაკლებობა ქართველ მეურნეს აიძულებდა რაციონალურად გამოეყენებინა ადგილზე არსებული საკვების მცირეოდენი რეზერვებიც კი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ძველთაგანვე გამოყენებული იყო მცენარეული საკვები — თივა, სიმინდის ჩალა და პურის, ქერისა და ჭვავის ბზა. საქონლის საკვებად სხვადასხვა სახით იყენებდნენ აგრეთვე ძმერხლს, სუროს, წყავს, ლეშხს, გარეულ ფხალეულს და სხვა ყუათიან მცენარეულს. მარცვლეული საკვები — სიმინდი, ჭვავი და ქერი ძირითადად მუშა პირუტყვსა და ცხენს ეძლეოდა.

საკვლევ პერიოდში მთიანეთის რიგ კუთხეებში ადრე გაზაფხულზე და შემოდგომით ფართო ხასიათი ჰქონდა სოფლის ახლო ტყეებში მუხის, ცხემლის, დგნალისა და სხვა ფოთლოვანი ხეების ანაკაფი ნეკერის, აგრეთვე ახლადკვირტგაღებული ფიჩხის დამზადებას, რასაც გარკვეული ფართობების მოწვა-მოახოვებასთან ერთად საშიშროების წინაშე დაუყენებია ტყის მასივების ბედი (ი. ჭავჭავაძე, ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი, თხზ., VII, თბ., 1956, გვ. 231; თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 131—132). უკვე XIX ს. მეორე ნახევრიდან მოგზაურ მკვლევართა და სახელმწიფო მოხელეთა ერთი ნაწილი დიდ ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს და ტყის დასაცავად კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა (Х. А. Вермишев. О скотоводстве на Кавказе в связи с пастбищным вопросом, МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 90—91; В. Я. Лисовский, Чорохский край, I, Тф., 1887, с. 107; И. З. Андроников, Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, V, I, Тф., 1888, с. 191 და სხვ.).

5. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 94—95.

6. იქვე. გვ. 95.

7. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, თბ., 1975, გვ. 14—19.

8. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13—19; მისივე. მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, IV, თბ., 1976, გვ. 23—28 და შმდ.

9. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 15—16.

10. იქვე, გვ. 15—18.

11. ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, გვ. 23—28.

12. ალ. რობაქიძე, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიიდან აჭარაში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, II, თბ., 1974, გვ. 30.

13. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა მესხეთ-ჯავახეთში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ბათუმის სასამეცნ.-კვლ. ინსტიტუტის ფონდები, ბათუმი, 1972, გვ. 13—15.

14. ფშავ-ხევსურეთის, თუშეთისა და მთიულეთის შესახებ ეთნოგრაფიული მასალები მოტანილია ამ კუთხეებში 1962—1975 წწ. ექსპედიციების დღიურებიდან და წინასწარი ანგარიშებიდან, რომლებიც ინახება ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტის ფონდებში.

15. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 94—95.

16. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 82.

17. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 21; მ ი ს ი ვ ე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, გვ. 29.

18. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 93—94; მისივე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 22.

19. ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, მესხეთისა და სვანეთის მესაქონლეობის შესახებ ზემოთ დასახელებული ჩვენი ნაშრომები

20. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, მორწყვის სისტემა ზემო სვანეთში, მსე, XI, 1960, გვ. 35—36; ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, ნიადაგის მორწყვა-გაპატივება ზემო აჭარაში, ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1962, გვ. 103—108; მისივე, ჭალების მორწყვა ზემო აჭარაში, იქვე, I, ბათუმი 1960, გვ. 101—110; И. Б. К в и ц и а н и, Скотоводство в Сванети, Автореф. канд. диссерт., Тб., 1975, с. 12—13.

21. И. Б. К в и ц и а н и, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

22. ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, ჭალების მორწყვა ზემო აჭარაში, გვ. 107.

23. იქვე, გვ. 108.

24. იქვე, გვ. 110.

25. ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, ნიადაგის მორწყვა-გაპატივება ზემო აჭარაში, გვ. 103—108.

26. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 94.

27. იქვე, გვ. 95.

28. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, გვ. 29—30; მისივე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 95.

29. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 95.

30. იქვე, გვ. 29—30.

31. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 61; მ ი ს ი ვ ე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 23.

32. В. М. Ш а м и л а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

33. იქვე, გვ. 96.

34. საქართველოს მთიანეთში დამოწმებულია არაერთი მაგალითი, როდესაც თემი არეგულირებდა საერთო-სასოფლო საძოვრებისა და სათიბების მფლობელობა-ექსპლოატაციის საქმეს. ამ მხრივ საინტერესოა მთიულეთში დამოწმებული მეთემის გ ა ბ უ დ ა ყ ე ბ ი ს წინაალმდეგ ბრძოლის ფორმა, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა მიწების დასაკუთრება (რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 57—58).

35. მიუხედავად ამისა, საკვლევ პერიოდში საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში კომლობრივ სარგებლობაში არსებულ სათიბებზე სოფელი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გარკვეულ უფლებებს (Ф. Я. С о б о л ь, Верхняя Сванети, М., 1933, с. 48—49).

36. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 23.

37. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 82.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძოვრები

ზონალური განლაგებისა და მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმების მიხედვით საქართველოს საძოვრები ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალებში ოთხ ძირითად კატეგორიადაა წარმოდგენილი: სასოფლო, საგაზაფხულო-საშემოდგომო, საზაფხულო და საზამთრო. მთის საზაფხულო საძოვრები ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იყოფა ქვეზონებად. მაღალ ზონაში მდებარე ყველა საძოვარი გამოიყენება ცხვრისთვის დაბალი ზონა კი მსხვილფეხა საქონელს ეთმობა. აქაც გამოიყოფა გარკვეული ზონები, ერთი მხრივ, მშრალი და მეწველი ცხვრისა, და მეორე მხრივ კი მშრალი და მეწველი საქონლისათვის. საძოვრების ასეთივე სისტემა იყო ზამთრის საძოვრებზეც. საძოვრების ვერტიკალურ-ზონალური დანაწევრების ასეთი წესი, ხეობების მზიან და ჩრდილოვან მხარეებად დაყოფასთან ერთად, ემსახურებოდა არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, აგრეთვე საქონლის საზამთრო ან სოფლისპირა გასადევრებიდან მაღალმთიან საძოვრებზე გადაადგილების დროს — მათ აკლიმატიზაციას.

საქართველოს ბარის, შუამთისა და მთამაღალის მესაქონლეობის წლიურ ციკლში სასოფლო საძოვრებს გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი. მტკვრის, ალაზნის და იორის აუზების სოფლებში საძოვრებად გამოყენებული იყო მდინარისა და ხევისპირები, გორაკ-ბორცვიანი ველები, ტყიანი ფერდები და სახნავად და ბაღ-ვენახის მოსაშენებლად გამოუსადეგარი სხვა სავარგულები, რომელთაც წლის სხვადასხვა პერიოდში ემატებოდა ანეული და ნასვენი მიწები, ნაპურვალები, ნაყანურები, ბაღ-ვენახების გარკვეული ფართობები და ა. შ. კოლხეთის დაბლობზე საძოვრებად გამოყენებული იყო აგრეთვე ტყიან-ჭაობიანი ველები და ზღვისპირა დიუნები.

მფლობელობისა და ექსპლოატაციის ფორმების მიხედვით საქართველოს ბარული მესაქონლეობის საძოვრები და გასადევარი სახაზინო, საერთო-სასოფლო და კერძო მფლობელობის სხვადასხვა კატეგორიაში იყო გაერთიანებული. საძოვრები, უხმარი და გამოუსადეგარი ადგილები და ზოგჯერ ტყეც საზოგადო სარგებლობაში იყო, მაგრამ მიწათმფლობელობის გადმონაშთური ფორმების ნიშნები ბარის ზოლში საერთოდ სუსტი იყო. სახნავ-სათესები, ანეული და ნასვენი მიწები ბარში ძირითადად კომლობრივ მფლობელობაში იყო გადასული და კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა ხვნა-თესვის დაწყებამდე და მოსავლის აღების შემდეგ, ისიც საერთო-სასოფლო გასადევარის სახით იყო გამოყენებული[1]. საძოვრის, გასადევარისა და ტყის ნაწილს ზოგან სოფელი საერთო საკუთრების სახით იყენებდა, ზოგან კი იგი კერძო, საბატონო სამფლობელოში იყო გაერთიანებული, რომლის სარგებლობისათვის გლეხებს გარკვეული გადასახადი ჰქონდათ დაკისრებული.

საკვები ბაზის მხრივ განსაკუთრებულ სივიწროეს განიცდიდა ქვემო და შიდა ქართლის ბარის სოფლები (ურბნისი, კავთისხევი, მეტეხი, გომი, ლამის-

ყანა, ქსოვრისი, წილკანი, ოძისი, მუხრანი, მარტყოფი, ნორიო, დიღომი და ა. შ.), რომელთაც მესაქონლეობის კომპლექსში ძირთადად სასოფლო საძოვრები და სახნავ-სათესი სავარგულები გააჩნდათ[2]. კერძოდ, ქსოვრისი მსხვილფეხა საქონლის საძოვრად წლის სხვადასხვა პერიოდში ურწყავის, თელოვანის, ქსნისპირის ჭალების, სათიბებისა და დიდფერდის სასოფლო საძოვრებთან ერთად იყენებდა ნაცრიგორის, ლამების, ნატბეურას, ქინძარეების, ხალიჩიანის, გოხევის და სამნიქედის სახნავ-სათეს სავარგულებსაც, რომლებიც სოფლის ირგვლივ არსებულ ველ-მინდვრებს მოიცავდა. ანალოგიური სახნავ-სათესები და სასოფლო საძოვრები გააჩნდა ოძისს (ბებრაულები, ნაოძისარი, ქასრიანთ ველები, ბურდუხული, მლაშეები, ნაგომავი და ა. შ.), ბიწმენდს (ათილაის ველები, ბეროანთ კარი, კრიახი ძირები, ნაგომურლები, ნაფარეხლები და ა. შ.), მარტყოფსა (ფარცხისი, ლეკთვახევი, ველები და ა. შ.) და სხვ., მაგრამ აღნიშნული სავარგულების ვარგისიანობა საქონლის საძოვრებად მეტად მდარე იყო.

ბარის სახნავი სავარგულებისა და საძოვრების მდგომარეობა განსაკუთრებით სავალალო იყო ზაფხულის თვეებში. პაპანაქება სიცხეების გამო ბალახეული საფარი ხმებოდა და არემარე უდაბნოს ემსგავსებოდა, რის გამოც შიდა და ქვემო ქართლის რიგი სოფლები ივლის-აგვისტოში საქონელს სოფლის ახლომდებარე ტყიან-ბუჩქნარ საძოვრებზე მიერეკებოდნენ, სადაც დღის განმავლობაში საქონელი თავს აფარებდა მცხუნვარე მზეს. სოფ. მარტყოფი საქონლის გასარეკად იყენებდა იანლოს ტყიან საძოვარს, ქსოვრისი — ჭალებსა და ზარვანდის ტყეს, ოძისი — ლომისხევს, დახურულსა და ხერხმელას ტყეს, ბიწმენდი — ლაფიანთხევსა და სანახშირეს, ჭოპორტი — წყლიანღელესა და ბოტას, კავთისხევი — საირმიხევს და ა.შ. ამ საძოვართა უმრავლესობა სოფელთან სიახლოვის გამო მხოლოდ დღის გასადევრად იყო გამოყენებული, თუმცა ზოგ შემთხვევაში გამორიცხული არ იყო მუშა და მოზარდი საქონლის დაბინავება ღამითაც. ზოგიერთ სოფელში ტყიან-ბუჩქნარი საძოვარი გამოყენებული იყო ზამთრის პირობებშიც, სადაც საქონელს მიერეკებოდნენ ქარისა და უამინდობის დროს[3].

ბარული მესაქონლეობის ანალოგიური სამეურნეო კომპლექსები გააჩნდა აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეების დაბლობის ზოგიერთ სოფელსაც, კერძოდ, ქუთაისის მაზრაში გოდოგანს, ძევრს, ეწერს, კახენაურს, კვახჭირს, ნავიხევს, სიმონეთს, ჩონგარს და ა. შ. მდ. ყვირილას დაბლობზე განლაგებულ სოფლებში მესაქონლეობის წლიურ ციკლში ჩართული იყო სახნავ-სათესები, ანეულები, სოფლისპირა ტყეები და სხვა გასადევარი სავარგულები. სოფ. რგანი პატარა ვაკეს, მელიას საღარავის, კოდისწყლის, ცინცქილას ყანისა და სხვ. სახნავ-სათესებთან და ანეულებთან ერთად იყენებდა რთხმელგორას ტყიან-ბუჩქნარ საძოვარსაც, ხოლო სოფ. რცხილათს ქაჩაველის, დობილოს, ქორეთანის, ზვარის ღელესა და სამზიარის გასადევრთან ერთად გამოყენებული ჰქონდა რცხილათისა და ხუნიეთის ტყიანი საძოვრები[4]. სხვათა შორის, სახნავ-სათესის, გასადევარისა და სოფლისპირა ტყეების მონაცვლეობის ანალოგიური სისტემა ჰქონდათ პრაქტიკაში ერწოს ველზე განლაგებულ ბარის ზოლის სოფლებს—ბონდაურას, კუპრიანთკარს, სიონს, გორანასა და სხვ.

საკვები ბაზის მხრივ შედარებით უკეთესი პირობები გააჩნდათ შიდა და ქვემო ქართლის ვაკიდან ზეგანზე გარდამავალ სოფლებს. მთისძირში სასოფლო საძოვრებისა და გასადევარის ფართობი იზრდებოდა სოფელსა და მის სიახლოვეს განლაგებული გორაკ-ბორცვიანი ფერდობებით, რომლებიც მეტწილად გამოუსადეგარი იყო სამიწათმოქმედო კულტურებისათვის. გარდა ამისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 5 საძოვრები (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. ქართული, 2. სამხრეთი, 3. სასოფლო 4. საკარაფუტლო-საშეთოდეთო.

ამ სოფლებს გარს ერტყა ტყის ვრცელი მასივები, რომლებიც გამოყენებული იყო საკარეს, საფარეხოს, კარავისა თუ აგვარას ტყეების საკარვო მეურნეობის მოსაწყობად. ქსნის ხეობის ქვემო წელში მარტო კორინთას მსხვილფეხა საქონლის საძოვრებად გამოყოფილი ჰქონდა გრძელმიწები, ახოები, ნიშქედები, ხატიმიწები, გძელახოები, გამთხევები, ჩიტიანები, წინახოები, ლამთზვარეები და ა. შ. ამ საძოვრებთან საყანურებთან და ანეულებთან ერთად კორინთას გააჩნდა აგრეთვე სოფელთან ახლომდებარე ტყიანბუჩქნარი საძოვრები წყაროთკარებში, ნატუსებში, გალმამიწებში და ა. შ. ასეთივე კატეგორიის საძოვარ-გასადევარის ვრცელ ნაკვეთებს ფლობდნენ ქართლის მთისძირის სხვა სოფლებიც, კერძოდ, შუა ალევი (ჩადუანი, ნაკაფევი, ახოები, მზვარეები), ყვავილი (კვირიკე, ახოები, იორის კლდეები, დამპალა), ქაისხევი (გვერდმიწა, გურგალახო, თელათგორი, ნაქოხრები, ხარისსაწოლი), ფარცხისი (ჩათხი, გომურების თავი, ხრამი, მლაშე მიწები), ჩხიკვთა (გომურები, მაყვალიანი, იორდანის სერი, ძირგომურები) და სხვ.

საკვები ბაზის განლაგებისა და გამოყენების მხრივ ბარული მესაქონლეობის დამახასიათებელი კომპლექსები გააჩნდათ ციგგომბორის ქედსა და მდ. ალაზანს შორის მდებარე სოფლებს, რომლებიც რევოლუციამდე ძირითადად თელავის მაზრაში იყვნენ გაერთიანებულნი, მიწათმოქმედებისა და მეხილეობა-მევენახეობის ფართო განვითარების გამო აქ სასოფლო საძოვრები და სხვა გასადევარი უაღრესად შემცირებული ჩანს, რის გამოც მოსახლეობა მესაქონლეობის კომპლექსში იყენებდა სოფლებთან ახლომდებარე გომბორის მთის დაბალ კალთებს. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ სოფ. ზემო და ქვემო ხოდაშენი, იყალთო, ვარდისუბანი, შალაური, კისისხევი, აკურა, შაშიანი და სხვ., რომლებსაც გომბორის მთაზე მუხისწყაროს, გურგვალტყისთავის, ცივის, ბატონის გორისა და სხვ. ცალკეულ უბნებზე საკარვო-მეურნეობანი ჰქონდათ გამართული. მეურნეობის ანალოგიური ფორმები გააჩნდათ აგრეთვე მაზრის ალაზნის გალმა სოფლებსაც—ყვარელს, გავაზს, ჭიკაანს, შილდას, გრემსა (დურუჯი, ნავისწყალი, მარტუხი, ზურგიზი) და სხვ. თბილისის მაზრის სოფლებიდან ხაშმს აღნიშნული კატეგორიის კარვები ჰქონდა ფალდოში, პატარძეულს—ჯათში, საგარეჯოსა და მანავს — ცივში და ა. შ.

შიდა და ქვემო ქართლის ბარის ანალოგიურად, იორ-ალაზნის აუზის სოფლებიც ბარული მესაქონლეობისას სასოფლო საძოვრებისა და სახნავ-სათესი და ნასვენი მიწების მონაცვლეობით სისტემას იყენებდნენ. ქიზიყის სოფლებს, რომელთაც გომბორის ზეგანის სამხრეთი და ნაწილობრივ კი ჩრდილოეთი კალთები ეჭირათ, სახნავ-სათესები, საძოვრები და სხვა გასადევარი სოფლის ფარგლებს გარდა მოშორებულ ტერიტორიებზეც ედოთ. მარტო მირზაანის გასადევარი — ხევისპირი, მწარეწყალი, ვაკე, ნასახიჩარი, ნიახურა, შირაქი, ბილანთა, ტარიბანა, კარგო, ხევი, კოჭები, უზანდარა და წალამურა სოფლის სანახებთან ერთად განლაგებული იყო გომბორის სამხრეთ კალთებზე და შირაქის ველზე. ამ ტერიტორიებს მოიცავდა აგრეთვე ზემო მაჩხაანის სახნავ-სათესი, საძოვრები და სხვა სავარგულები, კერძოდ, ზვარეები, ხირსა, ყარაღაჩი, უკანამხარე, შირაქი, ველები და ა. შ.

სახნავ-სათესებისა და საძოვრების ასეთ განლაგებას მიწის სიმცირის გარდა ადგილობრივი მეურნეობის ინტერესებიც მოითხოვდა. მხარის კლიმატური პირობების თავისებურებების გამო დასახელებული ტერიტორიები ცალკე მიკროარაინონებს წარმოადგენდნენ, სადაც ზაფხულის გვალვა სამიწათმოქმედო კულტურებსა და ბალახეულ საფარზე ერთნაირ ზემოქმედებას ვერ ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 6 ს ა ძ ო ვ რ ე ბ ი (XX ს. 30-იანი წლები).

1. საბაღტული. 2. საზამთრო. 3. სასოფლო. 4. საკაზაღტული-საშემოდგომო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენდა. ეს გარემოება კი მესაქონლეობის თვალსაზრისით ხელს უწყობდა საძოვრისა და გასადევარი სავარგულების მონაცვლეობით გამოყენებას.

სახნავ-სათესებისა და ანეული მიწების ჩართვა ბარული მესაქონლეობის ციკლში ყურადღებას იქცევს აღნიშნული ნაკვეთების განოყიერების თვალსაზრისითაც. სოფლის ჯოგის დროებითი შესარეკები, რომელიც მსუბუქი კონსტრუქციის გადასატან ა რ ხ ა ჯ ებ ს წარმოადგენდა, გარკვეულ პერიოდში მონაცვლეობდა სახნავ-სათესი და ანეული მიწების ერთი უბნიდან მეორეზე, რაც ამა თუ იმ ნაკვეთის განოყიერების ინტერესებსაც ითვალისწინებდა. ამ მხრივ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ცხვრის ფარების ადგილმონაცვლეობა ს ა ფ ა რ ე ხ ო ებ შ ი ც, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზოგიერთ კუთხეში (ქვემო და შიდა ქართლი, კახეთი) პირველ რიგში სახნავ-სათესი სავარგულების განოყიერებას გულისხმობდა. ამ პრაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა ცხვრის ფარებს გვიან შემოდგომის, ზამთრისა და ადრე გაზაფხულის გარკვეულ პერიოდებში ბაღ-ვენახებში აჩერებდნენ. დადგენილია, რომ ბაღ-ვენახების განოყიერების ეს წესი, ამავე სავარგულებში ნაკელის ურმებით შეტანისა და ნიადაგში ჩაბარვასთან ერთად, რაც მომდევნო 2—3 წელიწადში ყურძნისა და ხილეულის მაღალ მოსავალს უზრუნველყოფდა, ხალხში გ ა ნ ძ ი ს სახელწოდებით იყო ცნობილი და გარკვეული უპირატესობა გააჩნდა ნიადაგის მონეხვწყლის სისტემასთან შედარებით[7], რომელსაც შუამთის ანალოგიურად ზოგჯერ ბარშიაც იყენებდნენ.

ბარული მესაქონლეობის ბუნებრივი გარემო დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩეოდა დასავლეთ საქართველოშიც. კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ნიადაგი ზღუდავდა არა მარტო საძოვარ-სათიბების, არამედ სახნავ-სათესი სავარგულების ფართობებსაც, ხოლო ჭარბი ნალექები ხელს უწყობდა მცენარეულის სწრაფ ზრდას და საძოვრად დაგდებული მიწების გატყიურებას. აღნიშნული გარემოების გამო, კოლხეთის დაბლობის უდიდესი ნაწილის, კერძოდ, მდინარეების—ენგურის, ხობის, რიონისა და სუფსა-ნატანების აუზების ბარის სოფლები (ნაბაკევი, კახათი, კოკი, ანაკლია, ნარაზენი, ხეთა, ხობი, ხორგა, თეკლათი, მუხური, ზანათი, ნაესაკაო, ჩიბათი, შრომა, ლესა, ნიგოითი, სუფსა, მამათი, ძიმითი, ჩოჩხაფი, მერია, ურეკი და ა. შ.) საქონლის საძოვრებად სახნავ-სათეს მიწებთან ერთად ტყიან-ბუჩქნარ სავარგულებს იყენებდნენ. ზაფხულობით საქონლის შესარეკად ახლომდებარე სასოფლო ტყეები ფართოდ იყო გამოყენებული ქობულეთისა და ბათუმის ახლომდებარე ბარის სოფლებშიც (მუხაესტატე, ბობოყვათი, ჩაქვი, ჩაისუბანი, ახალშენი, კახაბერი, ერგე, ჯოჭო და ა. შ.).

დასავლეთ საქართველოში სასოფლო საძოვრებისა და სხვა გასადევარის მონაცვლეობითი გამოყენების პრაქტიკა ანალოგიურია ჩვენს მიერ აღწერილი აღმოსავლურ-ქართული სისტემისა, მაგრამ საკარვო მეურნეობის მოწყობისა და გამოყენების მხრივ აქ გარკვეულ თავისებურებებთან გვაქვს საქმე. კოლხეთის დაბლობზე ე. წ. ა გ ვ ა რ ა ს საკარვო მეურნეობა არ ატარებდა ისეთ მობილურ ხასიათს, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში შეინიშნება. კოლხეთის დაბლობის ტყიან ტერიტორიაზე აგვარა ეწყობოდა მდინარისა და ხევისპირებში, სადაც საქონლის გასადევართან ერთად წარმოდგენილი იყო მცირეოდენი სახნავ-სათესიც. საკარვო მეურნეობის სამეურნეო სავარგულების შეზღუდულობის გამო კოლხური აგვარა მესაქონლეობის განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელო როლს ასრულებდა[8].

ექსპლოატაციის თავისებური ფორმები მოწმდება შუამთის სასოფლო (სოფლის ახლომდებარე, სოფლისპირა) საძოვრების მიმართაც. საქართველოს მთიანეთის ამ ზოლში საძოვრების გამოყენების ვადები ორ ეტაპად იყო გაყოფილი. ადრე გაზაფხულზე იგი მარტის დასაწყისიდან აპრილის ბოლომდე გრძელდებოდა, რაც ხვნა-თესვის დაწყებისა და სათიბების დაცვის პერიოდს ემთხვეოდა, ხოლო შემოდგომით—სექტემბრის მეორე ნახევრიდან ნოემბრის ბოლომდე, რომლის დროსაც საძოვრების ტერიტორიას ნაყანურები და მოსავალაღებული სათიბებიც ემატებოდა.

საქართველოს მთიანეთში სოფლისპირა საძოვრები სოფლის სახნავ-სათიბების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა და მიწათმოქმედების თვალსაზრისით გამოუსადეგარ ადგილებად ითვლებოდა. აღნიშნული კატეგორიის სამეურნეო სავარგულების თვალსაჩინო მაგალითია ხევსურეთის სოფ. გუდანის (ბერძირი, ბთისე, წისქვილთავი და ა. შ.), შატილისა (პირდაპირი, მზისპირი, ათხია, ხალუ და ა. შ.), და დათვისის (დათვისის წყარო, სათიხისგორი და ა. შ.), აგრეთვე მთარაჭაში სოფ. გლოლას (ლეშორა, ჭიბი, შტვინიეთი, ხუნთიგუმი, შხელა და ა. შ.), ურავისა (ტბაუნაკილო, ხორები, სამტრედეები და ა. შ.) და ნიკორწმინდის (განიგზა, ეწერი და ხარისთვალა) საძოვრები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე ამავე სოფლების სახნავებსა და სათიბებთან ერთად იყო გამოყენებული. მთიანეთის ზოგიერთ ხეობაში დასტურდება აგრეთვე ანეული და ნასვენი ნაკვეთების დროებით გადაქცევა სოფლისპირა საძოვრებად, რაც ამ ორი სახის სამეურნეო სავარგულების მონაცვლეობითი გამოყენების ხალხურ ტრადიციებზე მიუთითებს.

საქართველოს მთიანეთში სოფლისპირა საძოვრების მოვლა-პატრონობისა თუ დაცვის ღონისძიებანი ძალზე მკრთალად გამოიყურება. ჯერ ერთი, აღნიშნულ სავარგულებს სოფლის განაპირა და ისედაც მიუდგომელი ტერიტორიები ეჭირა, მეორეც, გაზაფხულისა და შემოდგომის ხანმოკლე პერიოდში ამ საძოვრების სამეურნეო მნიშვნელობა არცთუ ისე დიდი იყო. ადრე გაზაფხულზე იგი გამოყენებული იყო პირუტყვის გამოსახამებლად და მთაში გადარეკვისათვის მოსამზადებლად. შემოდგომაზე ნაყანურებსა და საძოვრებს ისევ მთაში გალაღებული საქონლის ბარისადმი აკლიმატიზაციის მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამრიგად, პირუტყვის წველადობა-ღალიანობის თვალსაზრისით, სოფლისპირა საძოვრების როლი შუამთის პირობებში შეზღუდული იყო.

სულ სხვა სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდა მთამაღალის შინაალპურ საძოვრებს, რომლებიც გამოყენებული იყო ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე და განსაზღვრავდა ამ ზოლის მესაქონლეობის ხვედრით წონასა და მასშტაბებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთიანეთში დადასტურებულია სოფლისპირა საძოვრების პ ა ტ რ ო ნ ი მ ი უ ლ ი გამოყენების არაერთი შემთხვევა (მაგ., ქვემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი), მათი ექსპლოატაციის ძირითად ფორმას მაინც ს ა ე რ თ ო-ს ა ს ო ფ ლ ო მფლობელობა წარმოადგენდა[9]. სოფლისპირა საძოვრებზე საქონელი გარეკილი იყო ერთიანად, საძოვრის ყოველგვარი დანაწილების გარეშე. როგორც წესი, აქ მწყემსს არ გამოყოფდნენ და ყოველი ოჯახი მოზარდთა დახმარებით უვლიდა საქონელს.

საქართველოს მესაქონლეობის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საზაფხულო საძოვრებს. შუამთის ძირითად რეგიონებში აღნიშნული საძოვრები მდინარეთა ხეობების სათავეებს მოიცავდა და ხეობათა შუაწელის სოფლებიდან საშუალოდ 15—20 კმ იყო მოშორებუ-

ლი. სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთისა და სამეგრელოს საზაფხულო საძოვრები დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე იყო განლაგებული. ძირითადად ბზიფის, კოდორის, ეგრისის, სვანეთისა და ლეჩხუმის ქედებზე. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. აჭარისა და მესხეთის საზაფხულო საძოვრები გადაჭიმული იყო აღნიშნული რეგიონის სამხრეთ კავკასიონის ორივე კალთებზე — მესხეთის, აჭარა-იმერეთის, ლიხეთის, არსიანისა და შავშეთის ქედების ჩათვლით. სამეგრელოსა და იმერეთის ნაწილი სარგებლობდა აჭარა-იმერეთის წყალგამყოფ ქედზე განლაგებული საძოვრებით, ჯავახეთი და ქვემო ქართლი კი სამხრეთ კავკასიონის ორივე კალთებით — თრიალეთისა და ნაწილობრივ სომხითის ქედების გასწვრივ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხევის, ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთის და თუშეთის საზაფხულო საძოვრებს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთები ეჭირა და დვალეთის, მთიულეთის, ლომისის, გუდამაყარის, ქართლის, კახეთის და გომბორის ქედებზე იყო განლაგებული.

XX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზაფხულო საძოვრების საერთო ტერიტორია 510000 დეს. იყო აღრიცხული, ხოლო დასავლეთ საქართველოსი — 465000 დეს. უდრიდა[10]. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოს საძოვრების ყოველ 100 დეს. საშუალოდ 202 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა (მსხვილფეხაზე გადაყვანით)[11] პირუტყვი მიდიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს საძოვრების შესაბამის ფართობზე — 163 სული საქონელი[12]. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1 სული მსხვილფეხა პირუტყვისათვის ზაფხულის პერიოდში საჭირო იყო საშუალო ხარისხის 1 დეს. საძოვარი[13], ნათელი გახდება აღნიშნული საზაფხულო საძოვრების დიდი დატვირთვა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საძოვრების ფართობი ცალკეულ კუთხეებს შორის არათანაბრად იყო განაწილებული, ხოლო მესხეთ-ჯავახეთისა და თრიალეთის საძოვრებზე ურიცხვ ჯოგებს მოერეკებოდნენ მომთაბარეები ქვემო ქართლიდან. კახეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც კი. ასეთ პირობებში საქართველოს მთიანეთის ზოგ კუთხეში საძოვრის გარკვეულ ფართობზე გადენილი საქონლის ლიმიტსაც კი აწესებდნენ, რომელიც საშუალებას არ აძლევდა ცალკეულ მეთემეს ნებისმიერად გაეზარდა თავისი ჯოგი და შეელახა სხვა მეთემეთა ინტერესები.

საზაფხულო საძოვრების ასეთი დატვირთვის დროს მისი სამეურნეო მნიშვნელობის შენარჩუნება ექსპლოატაციის რაციონალური სისტემის პირობებში იყო შესაძლებელი. მთიელ მესაქონლეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სრულყოფილად ჰქონდათ შესწავლილი სუბალპური და ალპური საძოვრების ზონალური დანაწევრების პრინციპები. გათვალისწინებული იყო ბალახეულის ჯიშები და მათი ყუათიანობა, გავრცელების არეები, მოსავლიანობის ხასიათი, ექსპოზიცია მზის მიმართ და ა. შ., რომლის შესაბამისადაც გამომუშავებული იყო (მზისგულის, ჩრდილის, ჭაობის, ტყის, გორის, ვაკის, მთის, დაბლობისა და ა. შ.) ბალახეულის სახელწოდებათა ხალხური ტერმინოლოგიაც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღრმა ხალხური ცოდნა ხშირად გამოდიოდა პასიურობის სფეროდან, რაც საძოვრებზე ბალახეულის თესვაში, საძოვრის ნიადაგის დაზიანებული ზედაპირის სასარგებლო ბალახეულიან ყამირზე აჭრილი ბელტებით მოფენასა და სხვა ღონისძიებებში ვლინდებოდა. ბალახეულისა და მისი თვისებების ღრმა ხალხური ცოდნა დაკავშირებული იყო საძოვრების მონაცვლეობითი და ჯვარედინი გამოვნის სისტემასთან[14], რომლის შესახებაც მრავალფეროვანი მასალები დადასტურდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში.

სუბალპური და ალპური საძოვრების რაციონალური ექსპლოატაციის პრაქტიკა ყველაზე უფრო სრულყოფილად ვერტიკალურ-ზონალურ გამოყენებაში

ისახა. ქართველ მთიელთა მრავალპროფილიანი მესაქონლეობის პირობებში საზაფხულო საძოვრები დიფერენცირებული ზონალური დანაწევრებით ხასიათდება. ალპურ საძოვრებზე მოსახლეობა ყოფდა საავდრო (იალღუნის მოსაზღვრე ტყიან-ბუჩქნარი საძოვრები), თხის (ტყის ზემო ზოლი), ხბოსა და ძროხის (ალპური საძოვრების ქვემო ზოლი), ახალმოზარდისა და მშრალის (შუა ზოლი), ცხვრის, ხარის, ცხენისა, (ზედა ზოლი) და ბატკნის (უმაღლესი ზოლი) საძოვრებს, რომლებიც შერჩეული იყო კლიმატის, ნიადაგების, რელიეფის, ბალახეული საფარისა თუ საქონლის ამა თუ იმ სახეობისათვის აუცილებელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით[15].

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს მთიანეთის საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმები მეტად რთული და მრავალფეროვანია. მთიელთა ყოფაში ასე თუ ისე მკვიდრდებოდა მეფის ხელისუფლების მიერ საძოვრებისა და საგადასახადო სისტემის საკითხებზე გატარებული ღონისძიებანი, მაგრამ ამასთან ერთად ყოფაში შემონახული იყო თემური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის გადმონაშთური ფორმები, რომლებიც ხშირად სახელმწიფო კანონმდებლობის გვერდით არსებობდნენ და არცთუ ისე იშვიათად საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმების მომწესრიგებლის როლში გამოდიოდნენ. რეფორმამდელი საქართველოს მთიანეთში საძოვრების მფლობელობის სამი ძირითადი ფორმაა გაბატონებული — სახაზინო, საერთო-სასოფლო და კერძო, საერთო-სასოფლო საძოვრების გვერდით შემორჩენილი იყო სახატო-საეკლესიო და სახევო გაერთიანებისათვის დამახასიათებელი საზაფხულო საძოვრებიც. საერთო-სასოფლო საძოვრების გარკვეული ნაწილი ეჭირა საოჯახო პატრონიმიული მფლობელობის ქვეშ მოქცეულ სავარგულებსაც[16].

ხევსურეთში ამ პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად საერთო-სასოფლო საძოვრებით სარგებლობდა. სოფ. შატილს საერთო-სასოფლო საძოვრები ედო შატილის ხევში (ქოჟბედისა და წყალთავის ხორხებში), მითხულში, ხარათესა და ჭაუხში, როშკას — საჭილაოსა და საღულღელაში, აჭეს — ბახეში, გორიამიცხულოში, საგუგუტიეში, ნაბაკურში და ა. შ. ანალოგიური ხასიათის საძოვრებს ფლობდნენ: ბარისახო, გველეთი, დათვისი, ბუჩუკურთა, ღული, მუცო, ხახაბო, ბისო, ქობულო და სხვ., რომელთა მოვლა-პატრონობა (გაწმენდა, დაცვა, მორწყვა და ა. შ.) და ექსპლოატაცია (საქონლის გარეკვის ვადების დაწესება, საძოვარზე გაშვებული ჯოგის ლიმიტის განსაზღვრა და ა. შ.) ძირითადად ხევისბერობის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდებოდა[17].

ხევსურეთში სახატო მფლობელობაში არსებული საზაფხულო საძოვრებიდან ყველაზე ვრცელი ანდაკ-არჭილოს იალაღი არდოტისა და გუდანის ჯვრების საკუთრება იყო[18]. პირიქით ხევსურეთში დადასტურებულია უკანახოს ფუძის ანგელოზის ხატის საძოვარიც, რომლის ქირადაც მთიულები და გუდამაყრელები ხატს „ბეგარას“ უხდიდნენ[19].

ვრცელ საერთო-სასოფლო საძოვრებს ფლობდნენ მთათუშეთის სოფლებიც, რომლებიც მსხვილფეხა საქონლისათვის უმთავრესად შინაალპურ საძოვრებს იყენებდნენ, ხოლო მეცხვარეობისათვის — სოფლიდან შედარებით მოცილებული ალპური საძოვრები ეჭირათ. მაგ., გირევს საქონელი დაუდიოდა ვეშარში (ფარსმასთან ერთად) და ყონიყურებში, ფარსმას-იგივე ვეშარში, ხახმათეში, ნოგიროში, დოიდაჟოეში და ა. შ. ასეთივე საძოვრები გააჩნდათ დართლოს, კვავლოს, დანოს, დიკლოს, კოკლათას, ვერხოვანსა და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში საზაფხულო საძოვრების საერთო-სასოფლო მფლობელობის ფაქტები ნათლად ჩანს ფშავისა (შუაფხო, აფშო, გოგლაურთა,

ახადი, მათური უძილაურთა და სხვ.) და მთიულეთის (ნადიბაანთკარი, ცხვედიეთი, ზემო და ქვემო მლეთა, სეთურები და სხვ.) მაგალითზეც. მთიულეთის დასახელებული სოფლების საძოვრები, როგორც წესი, სათემო მფლობელობაში იყო და რამდენიმე სოფლის საერთო სარგებლობაში ითვლებოდა[20]. მაგ., ჯვარის მთაზე მდებარე საძოვარი — ჯვარის ვაკე-ქვემო მლეთას, ხატისოფლისა და ურმისსოფლის საზოგადოებასთან ერთად ეჭირა, საკოხი და ბიდარა სეთურებს ჰქონდა ზაქასა და ჯღამიანთან ერთად და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში საზაფხულო საძოვრების საერთო-სასოფლო მფლობელობის გადმონაშთური ფორმები დადასტურებულია აჭარის, ზემო და ქვემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მაგალითზე[21]. რაც შეეხება მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის საზაფხულო საძოვრებს, საკვლევ პერიოდში მათი ძირითადი ნაწილი სახაზინო და კერძო მფლობელობის ქვეშ იყო გაერთიანებული[22].

ქართული ტრადიციული მიწათმფლობელობა კარგადაა შემონახული აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის საზაფხულო საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმებშიც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კუთხეებში თურქეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში მნიშვნელოვანი ხასიათის ძვრები მოხდა, ადგილობრივ მოსახლეობაში თავი შემოინახა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მრავალმა ტრადიციულმა ინსტიტუტმა, რომლებმაც უცხო ელემენტებთან ბრძოლაში დაკონსერვებული სახით XIX ს. დასასრულამდე მოაღწიეს[23]. სხვათა შორის, თურქობისდროინდელი აჭარისა და სამცხე-საათაბაგოს მიწათსარგებლობის და მიწათმფლობელობის სპეციალური კვლევით გამოვლინდა, რომ ამ მხრივ არანაკლები როლი შეასრულა სათიბ-საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის ძველქართულმა ტრადიციებმა, რომლებსაც მიუხედავად აქ ოფიციალურად შემოღებული თურქული კანონმდებლობისა, თავისი შინაარსი არ დაუკარგავთ[24].

აჭარა-ახალციხისა და არსიანის მთებზე განლაგებული უმთავრესი საძოვრები (ზორტიყელი, საჯოგია, ლეკნარი, ჩეგილი, ყარათაფა, ყვავისწყარო, ნანაფუარი, გოდერძი, ლოდიძირი, ბეშუმი, თეთრობი, ახალდაბა, კარჩხალი და ა. შ.) ჯერ კიდევ თურქეთის პერიოდში აჭარისა და მესხეთის ცალკეულ ხეობათა (მაჭახელი, მერისი, აჭარისწყალი, სხალთა, მარითი, ჭვანა, ღორჯომი, ქვაბლიანი, ფოცხოვი და ა. შ.) მოსახლეობის საერთო-სასოფლო მფლობელობაში არსებულა, რომელზეც რაიმე სპეციალური გადასახადი არ ყოფილა დაწესებული[25]. წარსულში ანალოგიური ხასიათის საძოვრებს წარმოადგენდა აგრეთვე აბასთუმნის მთა და ქციის (რუსისხევი, საჯიასხევი, ჯამჯამას ხევი, დიდი და პატარა ტუსრები, მჟავეწყლის ხევი და ა. შ.) ხეობის სათავეები, ტაბაწყურის (ყარაყუზა, სარეკი, შავნაბადა, ჟუტიაწყარო და ა. შ.), საღამოსა და ფარავნის ტბის შემოგარენი (ტუმანისი, ფანიანი, ქოროღლი და ა. შ.), თავფარავნის გადასასვლელი (დალიდაღი გიუზელდაღი, ჩათალი და ა. შ.) და სხვ., სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად საქონელს მოერეკებოდნენ თრიალეთში მოსახლე ბერძნები და სომხები, აგრეთვე მესაქონლეები გორის, მცხეთის, კასპის, ქარელისა და ხაშურის ახლომახლო სოფლებიდან[26]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით აღნიშნული საძოვრების უმრავლესობა საკვლევ პერიოდში თანდათან იბეგრებოდა სახაზინო გადასახადით[27].

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის მმართველობის პირველ წლებში საძოვრებზე დაწესებული ძველქართული გადასახადი ს ა ბ ა ლ ა ხ ო, როგორც მოსახერხებელი ფორმა, გავრცელდა ამიერკავკასიის სხვა პროვინციებზეც. სა-

ბალახოს აკრეფის გაადვილების მიზნით მეფის მთავრობას 1843 წლამდე პრაქტიკაში ჰქონდა საძოვრების გაცემა კერძო პირებზე იჯარა-შესყიდვის გზით. მეიჯარე საშუალოდ 100 ცხვარზე 1 ცხვარს ღებულობდა, ანდა მანეთს ფულად, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვზე და ცხენზე 5 კაპიკს[28].

1843 წ. ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებით საბალახოს ფასი მოსახლეობაზე გაწერილ საერთო გადასახადებში ჩაითვალა და საძოვრებზე ცალკე გადასახადი გაუქმდა, მაგრამ 1850 წ. იგი კვლავ აღდგენილ იქნა მრავალ საძოვარზე — 100 ცხვარზე 2 ცხვრისა და მსხვილფეხა პირუტყვზე და ცხენზე 30 კაპ. ოდენობით. იმის გამო, რომ ეს განაკვეთები მძიმე გადასახადად ჩაითვალა, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, მალე იგი ცხვარზე 1 კაპ. შეიცვალა, ხოლო პირუტყვსა და ცხენზე 9 კაპ. და გავრცელდა თბილისის გუბერნიის ყველა იალაღზე[29].

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სწრაფი ზრდა ამიერკავკასიაში შეუფერებელს ხდიდა ტრადიციულად მომდინარე საბალახო სისტემას. მეფის ხელისუფლება გრძნობდა, რომ საბალახო დრომოჭმული და არქაული იყო და არ შეეფერებოდა კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი სახელმწიფოს საფინანსო სისტემას[30]. აქედან გამომდინარე, 1883 წ. ამიერკავკასიის სახაზინო საძოვრები სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებაში შევიდა და შედგა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის განსაკუთრებული პროექტი, რომელიც 1884 წ. 29 ივნისს დამტკიცებულ იქნა იმპერატორის მიერ[31].

1884 წ. 29 ივნისის კანონით იკრძალებოდა საძოვრების გაცემა კერძო პირებსა და საზოგადოებებზე. მოსახლეობის დაკმაყოფილების შემდეგ საძოვრის თავისუფალი ფართობი გადადიოდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებაში და იბეგრებოდა მეათედი (დესეტინობრივი) მოსაკრებლით.

გადასახადის განსაზღვრისას მხედველობაში იყო მიღებული ცალკეული გუბერნიების საძოვრების შემოსავალი, რომელსაც დაერიცხა 24—37% და დადგინდა საბალახოს მეათედის განაკვეთები გუბერნიებისა და საძოვრების მიხედვით. გადასახადს საბოლოო ჯამში განსაზღვრავდა საძოვრის სივრცე, ბალახის სიუხვე და ხარისხი, მისი განლაგება ზღვის დონიდან და ორიენტაცია ქვეყნის მხარეთა მიმართ, წყლის მარაგი, ნიადაგის პირობები, მისადგომი მარშრუტები, გზები და ა. შ. აღნიშნული საგადასახადო განაკვეთი ქუთაისის გუბერნიაში საერთო იყო და 30 კაპ. უდრიდა. თბილისის გუბერნიაში საზაფხულო საძოვრებზე 4 თანრიგის განაკვეთი დადგინდა, მეათედზე — 80, 50, 25 და 10 კაპ. ოდენობით. თბილისის გუბერნიის საზამთრო საძოვრებზე, ელისავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიების ანალოგიურად, გადასახადი მეათედზე 10 კაპ-ით განისაზღვრა. გადასახადი ხაზინაში უნდა შესულიყო საზაფხულო საძოვრებიდან აპრილსა და მაისში, ხოლო საზამთროთაგან — ოქტომბერსა და ნოემბერში[32].

1884 წ. 29 ივნისის კანონი პროგრესული ნაბიჯი იყო საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის მანამდე არსებულ რთულ სისტემასთან შედარებით, მაგრამ მეფის ადმინისტრაციის ბიუროკრატიულმა აპარატმა ეს ღონისძიებანი დიდი დაგვიანებით და ისიც ნაწილობრივ გაატარა ცხოვრებაში.

ტრადიციული მიწათმფლობელობის ფორმათა სიმტკიცე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, თუშეთში და ფშავ-ხევსურეთში საზაფხულო საძოვრების კერძო მფლობელობას გამორიცხავდა. სამაგიეროდ, აღნიშნული სამეურნეო სავარგულების კერძო მფლობელობის არაერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ქსნისა და არაგვის ხეობების და თრიალეთის, აგრეთვე შიდა და ქვემო ქართლის სხვა კუთხეების საზაფხულო საძოვრებზე[33]. ლიტერატურულ

წყაროებში მითითებულია, რომ ხევსურეთისაგან განსხვავებით მთიულეთში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება საძოვრის კერძო მფლობელობის ფაქტები[34].

აღნიშნულ პერიოდში მთიულეთის ზოგიერთი სოფლის საზაფხულო საძოვრები (თლისი, უჯორი და ა. შ.) მაჩაბლების სამფლობელოში იყო გაერთიანებული, ხოლო ქსნის ხეობის სათავეებში ქსანგაღმა მთები (ბოლისა, ნაციხევი, ბეჟანთხევი და ა. შ.) თავად ჭავჭავაძეებს, ერისთავებსა და სუმბათაშვილებს ეჭირათ, რომლებიც ახლომახლო სოფლების მოსახლეობას საბალახოს ახდევინებდნენ. ანალოგიური მდგომარეობა ჩანს მესხეთ-ჯავახეთშიც. მაგ., აჭარა-არსიანის საძოვრებით მოსარგებლე უდე-არალის მხარის 20 სოფელი გადასახადს იხდიდა ამ საძოვრების მფლობელის ათაბაგის სასარგებლოდ, რომელიც მეწველ ძროხაზე ერთ ოყა კარაქს იღებდა. ცხვარზე გადასახადი არ ყოფილა დაწესებული. სამაგიეროდ 40 კრავზე საძოვრის მფლობელს 1 კრავს უხდიდნენ, რაც სულზე 5 კაპ. უდრიდა, 20 ციკანში კი 1 მან., რაც ასევე სულზე 5 კაპ. უტოლდებოდა. ასეთივე საბატონო სამფლობელოს წარმოადგენდა მდ. ურაველის ხეობის საზაფხულო საძოვრები—ზანზობი ჭობარეთი, ქურდოსანი, საყევარი, შუაკარავი და ა. შ. ამ საძოვრებით სარგებლობისათვის ორბელიანები მოსახლეობას ახდევინებდნენ ქ ო დ ა ს, ანუ საბალახოს, რომელიც 1 სულ ცხვარზე 20 კაპ., ხოლო მსხვილფეხაზე 50 კაპ. იყო განსაზღვრული[35].

სახაზინო საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და ნაწილობრივ შეერთების შემდეგაც ბოძება-წყალობისა და მიტაცების გზით ეკლესია-მონასტრებისა და კერძო პირთა ხელში გადადიოდა.მაგ., თრიალეთის საზაფხულო საძოვრები 200000 დეს. ოდენობით 1846 წლამდე მთლიანად ხაზინის განკარგულებაში ყოფილა, მაგრამ ამ პერიოდში მის დიდ ნაწილზე პრეტენზიები განუცხადებიათ თავად ციციშვილებს, თარხნიშვილებს და ჯავახიშვილებს, რომლებსაც მოუხერხებიათ კიდევ თრიალეთის გარკვეული ნაწილის შემომტკიცება. ამის გამო 1880-იანი წლებისათვის თრიალეთში ხაზინას მხოლოდ 50 000 დეს. საძოვარი შემორჩა[36].

საქართველოს მთიანეთის საზაფხულო საძოვრების კერძო მფლობელობის ტენდენციები იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგან თავადებმა საგლეხო რეფორმის შემდეგაც კი შეინარჩუნეს დიდძალი მამულები. 1906 წელს ბალსქვემო სვანეთში მარტო დადეშქელიანების სამფლობელოში შედიოდა 6503 დეს. სახნავ-სათიბი, საძოვარი და ტყე[37]. რეფორმამდე კი დადეშქელიანთა საგამგებლო 150 ათას დეს. მამულს ითვლიდა, რომელშიც ძირითადად საბალახოები და ტყეები იყო გაერთიანებული[38]. ქვემო სვანეთში ასევე დიდძალი საძოვრები ეჭირათ გარდაფხაძეებსა და გელოვანებსაც[39].

საკვლევ პერიოდში საზაფხულო საძოვრებზე კერძო მფლობელობის ტენდენციების გაძლიერება დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი და სხვ.). სხვათა შორის ეს პროცესი საკმაოდ ძლიერდებოდა აჭარასა და მესხეთ-ჯავახეთშიც, სადაც თურქული კანონმდებლობის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს სხვა კუთხეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ, სასოფლო და სახაზინო მიწების გარკვეული ნაწილი წარჩინებული ფენის მიერ იყო მიტაცებული[40].

ცალკე უნდა აღინიშნოს საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი სახევო გაერთიანების საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის შესახებ. სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო ყოფის ამსახველი მასალებიდან ჩანს, რომ ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში განლაგებული ლაფურის ვრცელი სა-

ზაფხულო იალაღები ტრადიციულად ამ ორი ხეობის ზემოწელის საერთო სარგებლობაში უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთ საქართველოში საძოვრების სახევო მფლობელობის მაგალითად დასახელებულია ალაზნის თავი, ქვახიდი და რომკის ხორხი, სადაც გარეკილი ყოფილა გომეწრის, ქვახიდის ხეობისა და ხევსურეთის მომიჯნავე სოფლების გაერთიანებული ჯოგები[41].

საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში გვხვდება გარკვეული პატრონიმიული უბნის საზაფხულო საძოვრებიც. ამის თვალსაჩინო მაგალითია ონიანების პატრონიმიული განსახლება ქვემო სვანეთის სოფ. ჯახუნდერის საზაფხულო მთა დადიაშზე[42]. მფლობელობა-ექსპლოატაციის ანალოგიური ნიშნებით ხასიათდებოდა მთარაჭის სოფ. ღების (ზოფხითო, შოდა, ჭანჭახი)[43], მთა აჭარის სოფ. თაგოსა (ჩეგილი) და ჩაოს (ჩაოს იალაღები)[44] ზოგიერთი საზაფხულო საძოვრებიც. აღნიშნული კატეგორიის საძოვრებს წარმოადგენდა აგრეთვე გუდამაყრისა და ხევის ზოგიერთი სოფლების საზაფხულო იალაღებიც.

მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ძირითადი სამეურნეო ბაზების განლაგებას სხვადასხვა ზონებში არსებითი გავლენა არ მოუხდენია მესაქონლეობის საკვებ ბაზაზე. ტრანსჰუმანსეს ძირითად და ერთადერთ საკვებ ბაზას საზაფხულო და საზამთრო საძოვრები წარმოადგენდა, რომელთა მონაცვლეობითი გამოყენებით საქონელი წლის განმავლობაში საძოვარზე იყო გარეკილი. შუამთისა და მთამაღალის სათიბი მეურნეობა არ ითვალისწინებდა მთაბარული მესაქონლეობის ინტერესებს და გამიზნული იყო ადგილობრივი მთური მესაქონლეობის საზამთრო მარაგად. ასეთივე დანიშნულება გააჩნდა ამ დასახლებათა სასოფლო საძოვრებსაც. რაც შეეხება ბარის სასოფლო საძოვრებს, ზოგჯერ იგი გამოყენებული იყო ტრანსჰუმანსეს საზამთრო საძოვრებადაც.

საქართველოს მთაბარული მესაქონლეობის საზაფხულო საძოვრები განლაგებული იყო ცენტრალური კავკასიის სამხრეთ და სამხრეთ კავკასიონის ორივე ფერდობზე, მთური მესაქონლეობის საზაფხულო საძოვრების გვერდით. კერძოდ, ცენტრალური კავკასიიდან აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეები სარგებლობდნენ — მთიულეთის, ლომისის, გუდამაყრის, ფშავ-ხევსურეთის, ქართლის, კახეთისა და თუშეთის, ხოლო სამხრეთ კავკასიიდან — თრიალეთისა და ჯავახეთის ქედებზე განლაგებული საზაფხულო საძოვრებით. სამეგრელოს მესაქონლეთა საზაფხულო საძოვრები ძირითადად იდო ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, კერძოდ, კოდორის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ეგრისის ქედებზე. მეგრელი მეჯოგეები ნაწილობრივ სარგებლობდნენ აგრეთვე აჭარა-იმერეთის ქედის საძოვრებით.

ტრანსჰუმანსეს საზაფხულო საძოვრები ძირითადად გამიჯნული იყო მთური მესაქონლეობის საძოვრებისაგან, მაგრამ საკვლევ პერიოდში აღნიშნული კატეგორიის იალაღებიც ზომაზე მეტად ჩანს გადატვირთული. ამ მხრივ განსაკუთრებული სივიწროვე იგრძნობოდა სამხრეთ კავკასიონის, კერძოდ, თრიალეთის საძოვრებზე, სადაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, საქართველოს სხვა კუთხეების გარდა თავს იყრიდა გარეშე მეცხვარეთა მრავალრიცხოვანი ფარები.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა ჩანს საზამთრო საძოვრების მიმართ, რომელთა მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საზაფხულო საძოვრების ფართობს. 900-იანი წლების სტატისტიკური მონაცემებით თბილისის გუბერნიის საზამთროთა საერთო ტერიტორია 350 ათასი დეს. იყო აღრიცხული, სადაც 1 დეს. საშუალოდ 5 სულ პირუტყვზე მეტი მოდიოდა[45]. იორ-ალაზნის აუზისა და მტკვრისპირეთის საზამთროთა შედარებით მაღალი სამეურნეო-ეკო-

ნომიკური თვისებების მიუხედავად, დატვირთულობის ეს მასშტაბები ყოველ-
გვარ ნორმას სჭარბობდა. ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს დიდ-
ფარიან მეცხვარეთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევრიდან ბან-
რებს მიერეკებოდა დასავლეთ აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის საზამთრო
საძოვრებზე[46]. დაახლოებით ასეთივე ვითარება იყო კოლხეთის დაბლობის სა-
ზამთრო საძოვრებზეც, რის გამოც დიდ მეჯოგეთა და მეცხვარეთა მეურნეო-
ბა ადლერისა და სოჭის სანახებამდე იყო გაშლილი.

მთაბარული მესაქონლეობის საზამთრო და საზაფხულო საძოვრების შეზ-
ღუდულობის პირობებში ქართველი მეცხვარეები და მესაქონლეები განსაკუ-
თრებულ ყურადღებას აქცევდნენ საძოვრების რაციონალურ გამოყენებას. ამ
მიზანს ემსახურებოდა იორ-ალაზნის აუზის ცენტრალური საზამთრო საძოვრის
დანაწევრება ბ ა რ ი ს ა დ ა დ ი დ ი შ ი რ ა ქ ი ს ზონებად[47]. სადაც, თავის
მხრივ, გამოყოფილი იყო ს ა ყ ო რ უ ღ ე ე ბ ი (სადოლე და დავარდნილი
ცხვრისათვის), ს ა ქ ო რ ფ ე ე ბ ი (დადოლებული ცხვრისა და ბატკნისათ-
ვის), ბ ი ნ ი ს პ ი რ ე ბ ი (განსაკუთრებით სუსხიანი დღეებისათვის) და ა. შ.
ანალოგიურად იყო დაყოფილი კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრები,
სადაც მეჯოგე-მესაქონლეებს მკვეთრად ჰქონდათ გამიჯნული ს ა ზ ო თ ო ე ბ ი
(საზამთრო ტყიანი საძოვრები) და ს ა ა ფ უ ნ ო ე ბ ი (საგზაფხულო ეწერ-
ნიადაგიანი საძოვრები).

ზონალური გამოყენების უფრო მკაცრ პრინციპებს ექვემდებარებოდა სა-
ზაფხულო საძოვრებიც, რაც განსაკუთრებით ნათლად მეცხვარეობაში იჩენდა
თავს. ამ თვალსაზრისით საძოვრებზე გამოყოფილი იყო ს ა ც ხ ვ რ ე მ თ ა
(ქვემო ზონა ნოყიერი ბალახეულით და რბილი კლიმატით მეწველი ცხვრისა-
თვის), ს ა მ შ რ ა ლ ე (ზემო ზონა უწველი და სასუქი ცხვრისათ-
ვის) და ს ა ბ ა ტ კ ნ ე ხ ო რ ხ ე ბ ი (მაღალი ზონა ბატკნებისათვის), ს ა-
ბ უ რ ა ხ ო ე ბ ი (ტყისპირები, სადაც ცხვარს მიერეკებოდნენ ქარისა და სე-
ტყვის დროს) და ა. შ. გათვალისწინებული იყო ზონალური ადგილმონაცვლეო-
ბის თანმიმდევრობა ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ნ ა წ ი დ რ-
ე ბ ი ს ა და ა რ ხ ა ჯ ე ბ ი ს დროული ცვლა და ა. შ., რაც უზრუნველყოფდა
ცხვრისა და ბატკნის დ ა ხ ა შ ლ ე ბ ი ს თავიდან აცილებას და პროდუქ-
ტიულობის მაქსიმალურ შენარჩუნებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობო-
და აგრეთვე საძოვრების ჩრდილო და სამხრეთ კალთების გამოყენების თავი-
სებურებებსა და ბალახეულის მარგებლიანობას ცალკეული ზონებისა და სეზო-
ნის მიხედვით[48].

მთაბარული მესაქონლეობის საზაფხულო საძოვრების მფლობელობის
ფორმები მთური მესაქონლეობის საკუთრების ფორმების ანალოგიურია. მიუ-
ხედავად იმისა, რომ მესაქონლეობის ამ ფორმის საზაფხულო საძოვრების ექ-
სპლოატაცია განსხვავებულია, ძველ ქართულ ადათობრივ სამართალსა და სა-
ხელმწიფო კანონმდებლობაში მათი დაქირავება-ექსპლოატაციის პირობებში
სხვაობა არ შეიმჩნევა. ასეთივე ერთიანი საკანონმდებლო ღონისძიებანი იქნა
გატარებული მეფის ადმინისტრაციის მიერ ამიერკავკასიის მთაბარული და
მთური მესაქონლეობის საზაფხულო საძოვრების მიმართაც.

მთათუშეთის მეცხვარეები მთამაღალის ტრანსჰუმანსეს პირობებში საერ-
თო-სასოფლო ალპური საძოვრებით სარგებლობდნენ. შინაალპური მესაქონ-
ლეობის საძოვრების გვერდით აღნიშნული კატეგორიის საცხვრე მთებს
ფლობდნენ სოფ. გირევი (გოთობოსელი, ნაროვანი, ყონიყურები, ქვახიდი,
თურსიეხი და ა. შ.), ფარსმა (ნოგირო, ხახმათე, გალიმათე და ა. შ.), დართლო
(შორათის წყარო, სადროშო და ა. შ.), კვავლო (დიდვაკე, ქარუხი, წითელმთა

და ა. შ.), შენაქო (ქოჭორთა, ვებო), ომალო (ბიღვეთი, ვესტმოვაკე), ქუმელაურთა (ლია, შუგორი, შავიკლდე) და სხვ, ეს საძოვრები ბარში გადმოსახლების შემდეგ კვლავ მათ მფლობელობაში დარჩა[49]. მთათუშეთის სათემო საძოვრები შეინარჩუნეს აგრეთვე წოვა თუშებმაც, რომლებიც ბარად ჩამოსახლებამდე ს. საგირთას, ინდურთას, ეთელტას, წაროსა და სხვ. სანახევის საზაფხულო საძოვრებს ფლობდნენ.

ბარში გადასახლებასა და მეცხვარეობის ფართო მასშტაბით განვითარებასთან ერთად წოველ მეცხვარეთათვის ტრადიციული სათემო საძოვრები არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც ისინი თანმიმდევრულად იჭერენ და იყენებენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს უმთავრეს საზაფხულო საძოვრებს. XIX ს. მეორე ნახევრიდან ალვანელ მეცხვარეებს მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ეჭირათ წოვათის, ლამაზურის გორის, საყოვისგორის, ბუნგალთგორის, საწოვლის, წიფლოვანის, საყორნის მთის, ალაზნისთავის, ბორბალოს, ნაროვანისა და კუპრაბალინჩუს საზაფხულო საძოვრების სხვადასხვა უბნები[50]. გარდა ამისა, მათივე ფარები იდგა ანდაქში (ხევსურეთის მთები), ბოთაანში და კოპალას წყაროზე (ფშაველის მთები), აგრეთვე სათავადო მთებზე — ანდრაზანში (ნაფარეულის თავი), მუხაციხეში (ლოპოტის ხევის თავი) და საფურისყელში (საბუეს ხევის თავი), რომლებსაც ისინი ქირაობდნენ ხევსურეთისა და ფშავის ცალკეული თემებისა თუ კერძო მესაკუთრეებისაგან.

მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმების მიხედვით რთული ვითარება ჩანს შუამთის მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის საზაფხულო საძოვრების მხრივ. ერწო-თიანეთელ შეძლებულ მეცხვარეებს ბინები გამართული ჰქონდათ სათიბისა და იკვლევის მთებზე და სარგებლობდნენ არტნის, კორსავისა და ბუჭყინტის მთებითაც. გარდა ამისა, ერწო-თიანეთის სოფლების უმრავლესობას საქონელი დაუდიოდა ადგილობრივ მთებზე — ბაბხისხევის, მაკასხევის, გარეჯას, ბოხევის, ვაკეს, ხაშრულას, მუხათას, გორმაღალას, ბაჩალის, შუშანის ვაკესა და სხვ. საზაფხულო საძოვრებზე. ერწო-თიანეთის ფშავი მეცხვარეები სარგებლობდნენ ფშაველის მთებით — ფადლაურით, ახადით, ქიჩოს მთით. ხოშარით, ვანხევით და ა. შ., რომლებსაც ისინი წრვების მსგავსად ბარად ჩამოსახლებამდე ფლობდნენ[51]. ზემოთ დასახელებული მთური მესაქონლეობის საზაფხულო საძოვრების ცალკეულ უბნებზე მიერეკებოდნენ ცხვრის ფარებს მთიულეთისა და ხევის მეცხვარეებიც.

პანკისისა და ქსნის ხეობის შუამთის მეცხვარეობა ამავე ხეობათა სათაოეებში განლაგებული სახაზინო და საბატონო საძოვრებით სარგებლობდა. კერძოდ, პანკისელ ქისტებს ეჭირათ ალაზნის სათაოეები — ჭიქაურა, ხორაჯოს თავი, ბარდამციხე, დიდგვერდი, ნაქერალი და ა. შ., რომლებიც ხაზინის გამგებლობაში შედიოდა და გაწერილი იყო საბალახე გადასახადი სულზე 20—25 კაპ. ოდენობით. მათივე განკარგულებაში ჩანს ილტოს ხეობის სათაოეებიც — გარაჯა, კუჭაურა, ნარიანა, მახარა და ა. შ. ქსნის ხეობის სოფლებს საცხვრე მთები ჟამურისა და ქარჩოხის ხეობის სათაოეებში — დიდ და პატარა გალადურში, ურცთვალთაში, ჩაბარუხში, სანგალში, ნავიხევსა და სხვ. ედოთ, რომელთაგანაც ნავიხევი და სანგალი ოძისელი და ლამისყანელი ერისთავების სამფლობელოში შედიოდა. ჟამურის მეორე დიდი უბანი ურცთვალთა არენდით გაცემულ სახაზინო საძოვარს წარმოადგენდა, ხოლო ჩაბარუხი ახლომახლო სოფლების სათემო საძოვარი ყოფილა. კერძო მფლობელები მეცხვარეებს (ქენქაანი, ჩიგოიანი, ახალდაბა და ა. შ.) საბალახედ 1 დეს. 1 ჭედილას ან 3 მანეთს ახდევინებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იქცევს შიდა და ქვემო ქართლისა და კახეთის მეცხვარეთა საზაფხულო საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხიც. ვლინდება, რომ იორ-ალაზნის აუზის მეცხვარეებს ძველთაგანვე თრიალეთისა და ჯავახეთის საზაფხულო საძოვრები ეჭირათ, რომლებიც სამეურნეო-ეკონომიკური გამოყენების თვალსაზრისით სამ დიდ რაიონში იყო გაერთიანებული. აღბაბას რაიონში ქურანჩაის, ნადირბულახის, თესხარაბასა და გოიდაღის 22 უბანზე გამართული იყო მტკვრის აუზის, შიდა და ქვემო ქართლისა და გარეკახეთის მეცხვარეთა ბინები. აბულ-სამსარის რაიონში — შავნაბადას, ბებერაბუდეს, ჟუტია წყაროს თავკვეთილის, აბულის, სამსარის, სარეკისა და გოდორას მთის 47 უბანი ქიზიყელ მეცხვარეებს ეჭირათ, ხოლო თრიალეთის ტერიტორიაზე ქოროღლის, ქაჩალგორის, ფოკასხევის, განძისხევისა და თავფარავანის 20 უბანზე ბინები ედოთ თუშ და ფშავ მეცხვარეებს[52], რომლებიც ბარელებს აქაურ მთებზე XIX ს. დასაწყისიდან შეეზიარნენ. შიდა ქართლის მეცხვარეებს გორის, კასპისა და ხაშურის მიდამოებიდან, აგრეთვე ქვემო ქართლის ზოგიერთ სოფელს საძოვრები ედოთ მდინარე ქციისა და თეძამის სათავეებში, ტაბაწყურისა და ჯამჯამას ტბების სანახებში და ა. შ[53]. დასახლებული საძოვრები მთლიანად ხაზინის გამგებლობაში შედიოდა და გაწერილი იყო გადასახადი თრიალეთის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის ზემოთ აღნიშნული განაკვეთით.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, შუამთისა და მთიანეთის (ქართლ-კახეთი, ეოწო-თიანეთი, თუშეთი, ფშავი, მთიულეთი) დიდფარიან მეცხვარეებს რევოლუციამდე მრავალრიცხოვანი ფარები დაუდიოდათ ყარსის, არტაანის და განჯის ოლქებში[54], აგრეთვე ლეკიმთებზე, სადაც მათ დიდოეთის იალაღებზე ხაზინისა და კერძო პირებისაგან ქირით ეჭირათ თიხათოს, ქაბდოს, ასახოს, მერცხალბუდეს სადუცესა და სხვ. საზაფხულო საძოვრები[55].

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში სამეგრელოს უმთავრესი ხეობების მეჯოგე-მესაქონლეები სარგებლობდნენ არა მარტო სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და აჭარა-იმერეთის, არამედ დასავლეთ კავკასიის სხვა კუთხეების საზაფხულო საძოვრებითაც. მაგ., მარტო ენგურის ხეობის მეჯოგეები საქონელს მიერეკებოდნენ ჩამხარხის, ბაშკაფსარას, ჯოღორძაგას, არმუას, ჰარვას, ღვალვას, ფანავის, თენგიზთიფას, მარჭიჭასა და ყარაჩის საზაზინო საძოვრებზე, სადაც მსხვილფეხა საქონელზე გადასახადი საშუალოდ 25 კაპ. ოდენობით ყოფილა განსაზღვრული. ამავე ხეობის მარცხენა მხარის სოფლები აღნიშნულ პერიოდში სარგებლობდნენ ხობისწყლის სათავეების, კერძოდ, ყვირას, კერნაზონას, ფედიანშინის, ვანის, გვანდრასა და ურაშის საზაზინო საძოვრებით[56]. სხვა ხეობებიდან ჭანისწყლისა და ხობის სოფლებს ეჭირათ ასხის, დვირას, ურავის, სადგმელის, ლაბრახისა და სხვ. იალაღები, რომლებიც ჩიქოვანისა და დადიანის საგამგებლოში შედიოდა და საბალახე ცხენზე 1 მან., ძროხაზე 50 კაპ., ხოლო თხა-ცხვარზე 10 კაპ. ყოფილა დაწესებული. ასხის, ლებარდესა და დვირას საზაზინო და საბატონო საძოვრების მნიშვნელოვანი უბნები ეჭირათ ტეხურის ხეობის სოფლებს, სადაც მათთან ერთად ჯოგებს მოერეკებოდნენ სამეგრელოს სხვა ხეობების მესაქონლეებიც. გარდა ამისა, საკვლევ პერიოდში ცალკეულ მსხვილ მეჯოგეებს საქონელი დაუდიოდათ გურია-აჭარისა და არსიანის მთის საზაფხულო საძოვრებზეც, რომლებსაც ისინი არენდით იღებდნენ ხაზინისა თუ კერძო მფლობელებისაგან[57].

მრავალფეროვანია მთაბარული მეცხვარეობისა და მესაქონლეობის საზამთრო საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმებიც. ისტორიული წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ძველ საქართველოში საზამთრო საძოვრებიც

სახელმწიფო-სახაზინო საკუთრებას წარმოადგენდა, რომლის სარგებლობისათვის ასევე საბალახო გადასახადი ყოფილა გაწერილი[58]. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის ადმინისტრაციამ საბალახო საზამთრეებზეც გაავრცელა და იგი მოიჯარეებს გადასცა. საიჯარო სისტემამ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა კუთხეებში მალე მახინჯი ფორმები მიიღო. მოიჯარეთა თვითნებობისა და სიხარბის გამო მოსახლეობისა და ხაზინისათვის იგი ერთნაირად საზარალო აღმოჩნდა[59]. განსაკუთრებით მოუხერხებელი იყო მოკლევადიანი იჯარა, რაც მესაქონლეს საშუალებას არ აძლევდა საქონლის მოვლა-მოშენების პერსპექტივებზე ეფიქრა. ასეთ გარემოებას მოუსწრო 1884 წლის 29 ივნისის ამიერკავკასიის სახაზინო საზაფხულო და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის ზემოთ აღნიშნულმა კანონმა, რომლის მიხედვითაც საბალახო გადასახადი მეათედი მოსაკრებლით შეიცვალა. ახალი კანონის შესაბამისად თბილისის, ერევნისა და ელისავეტოპოლის გუბერნიათა საზამთრო საძოვრებზე დესეტინობრივი გადასახადი 10 კაპ. განისაზღვრა[60].

აღმოსავლეთ საქართველოს მთაბარული მეცხვარეობის საზამთროთა ცენტრალური უბანი მდ. იორისა და ალაზნის აუზებს მოიცავდა, სადაც ყველაზე მეტად შირაქის ველი იყო გამოყენებული. უკვე XIX ს. მეორე ნახევრიდან მთათუშეთის მეცხვარეებს ერწო-თიანეთის, მთიულეთის, ხევის, პანკისისა და ქსნის ხეობებისა და კახეთის მეცხვარეებთან ერთად ხელთ ეპყრათ იორისა და ალაზნისპირეთის უმთავრესი საზამთრო საძოვრები. თუშთა ალვანში ჩამოსახლების პირველ წლებში, რომელიც მთხრობელთა განსაზღვრით 1780-იან წლებს უნდა ემთხვეოდეს, თავდაპირველად საზამთრო საძოვრად ალვანის ველი და მისი შემოგარენი გამოუყენებიათ, მაგრამ მეცხვარეობის სწრაფ ზრდასთან ერთად ფარები ალვანში არ გამართულა[61]. დაახლოებით ოცდაათამდე ალვანელი იორისა და ალაზნისპირებში წასულა ახალი საძოვრების საძიებლად. მათ უნახავთ შირაქი, მოსწონებიათ იქაურობა, ჩაუდგამთ იქ ჩალის ბინები და 30 წლის განმავლობაში საბალახესა და ბოლის ფულის გარეშე უსარგებლიათ მით[62].

მომდევნო წლებში შირაქში ფშაველი მესაქონლეები გამოჩენილან, რომლებიც ვაჟა-ფშაველას რჩევით მოხვევ, მთიელ და გუდამაყრელ მესაქონლეებთან ერთად ზემო და ქვემო ქედის, აგრეთვე არხილოსკალოს ტერიტორიაზე ჩასახლებულან კიდეც[63]. ცოტა ხნის შემდეგ მთავრობას აქ გაუგზავნია მეტყევე და ადმინისტრაციული აპარატის მოხელეები, რომლებსაც საზამთრო საძოვრებზე გადასახადიც დაუწესებიათ.

თუშ მეცხვარეებს ჩასახლების პირველსავე წლებიდან შირაქის ველზე ბანები ჰქონიათ გაძართული კორუმებში, კასრისწყალში, ოლისხევში, ჩიღოლთხევში, ღორისწყალში, ჰაივალოზე, შავ მთაზე და ა. შ. ალაზნის მხარეს მათვე ეჭირათ ძირობა, ნაზარლის ყელი, კუპრები და სათუშო იორი. შირაქის დაბარჩენი უბნები, კერძოდ, დიდი ღელის ხევი, იმედის წყალი, ალაზნისპირი, ჩათმა, აკაკის ხევი, თელის წყალი, ნაზარლები, ივრის პირები, საიჯარო, კუდაგორა, მელაგორა, ბაშლახარი, ხოჩოლი და ა. შ. ერწო-თიანეთის. მთიულეთისა და ხევის მეცხვარეებს ეჭირათ, ხოლო პანკისელი მეცხვარეები დილიჩას, ძირას, მამაჩაის ხევის, პანტაშარას, ყუმბროს, ლეკისწყალის, ივრისპირის და სხვ. საზამთრო საძოვრებზე იდგნენ. გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს შეძლებული მესაქონლეები, რომლებიც ათასობით ცხვარს აშენებდნენ, ფარებს მიერეკებოდნენ ელდარის, სამუხის, ჯეირანჩელის, შირვანის, მილისა და შორეული ყიზლარის საძოვრებზე[64]. მარტო მთიელ და გუდამაყრელ მეცხვარეებს ყიზლარში სჭერიათ სელსკაია, გაიდუკი, არეშო, ბერეზინკა, სალდატკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზდოლი და ა. შ., რომელთა სარგებლობისათვის 1 სულ ცხვარზე 30 კაპ. იხ-
დიდნენ.

შირაქის საზამთრო საძოვრები 1884 წ. 24 ივნისის დადგენილებით ორ ნაწი-
ლად გაყოფილა. შირაქის ერთი ნაწილი—51012 დეს. გამოეყო თუშების ყველა
თემს, ბახტრიონს, ჯოყოლოსა და პანკისის საზოგადოებას, რომელთაც 1 დეს.
10 კაპ. უნდა გადაეხადათ და საერთო შემოსავალი — 5101 მან. ხაზინაში შეე-
ტანათ. მეორე ნაწილი 56605 დეს. ოდენობით გადაეცა ფშავის საზოგადოებას
(ზემო თიანეთი, საყარაულო, საყდრიონი, თიანეთი, თოლათსოფელი), გუდა-
მაყარსა და მთიულეთს, რომლებიც ამავე ნიხრით ხაზინას 5660 მან. და 50 კაპ.
უხდიდნენ[65].

შირაქის საერთო ტერიტორიიდან (213663 დეს.), აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მთიანეთის თემებზე გამოყოფილი საძოვრების (107 617$^1/_4$ დეს.) გარდა,
23541 დეს. ნადელის სახით გადაეცა სიღნაღის მაზრის 6 სოფელს — მირ-
ზაანს, ბოდბეს, ბოდბისხევს, უსუფლუს, ახანტლუ-კენდს და ყანლი-კენდს,
16080$^1/_2$ დეს. ელისავეტპოლის გუბერნიის კაზახის მაზრის 7 საზოგადოებას,
18705 დეს. ზაქათალის ოლქს, ხოლო 20059$^1/_2$ დეს. დაღესტნის ოლქს. შირა-
ქის ამ ფართობზეც გადასახადი გაწერილი იყო ზემოთ აღნიშნული ნიხრით, რო-
მელიც ცალკეულ მეცხვარეებზე ნაწილდებოდა. შემდგომში სიღნაღის მაზრის
ეს 6 სოფელი, მეცხვარეობის გაზრდის გამო, ამ ნადელებშიც ვეღარ მოთავსე-
ბულა.[66].

ხევისა და მთიულეთ-გუდამაყრის ქართული სოფლები შირაქის, ალაზნის-
პირის, ქსნისა და არაგვის დაბლობების გარდა, ცხვრის ფარებს ჩრდილო კავ-
კასიის საზამთროებზეც მიერეკებოდნენ, სადაც აღნიშნული ხეობების ოს მე-
ცხვარეებთან ერთად ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ თერგის ოლქის დაბ-
ლობს მდ. თერგის, სუნჯისა და კამბილეევის გასწვრივ — კიდრე ყიზლარამდე.
აქაურ საზამთროებზე გადასახადი განსაზღვრული იყო ცხვრის სულადობის
მიხედვით. თერგის ოლქში კარგი საზამთრო საძოვარი 1 სექტემბრიდან 10 აპ-
რილამდე 100 სულ ცხვარზე 5—12 მან. ღირდა[67].

აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო საძოვრების მნიშვნელოვან უბანს
წარმოადგენდა აგრეთვე შიდა და ქვემო ქართლის ვაკეზე განლაგებული ტე-
რიტორიები. შიდა ქართლის ვაკე — მდ. მტკვრის გაყოლებით — ძირითადად
ქსნის ხეობისა და შიდა ქართლის მეცხვარეთა საზამთროებს წარმოადგენდა.
ქსნის ხეობიდან სოფ. ცხავატს, ცხილონს, შუა ალევს, ლარგვისს, დადიანეთს.
შალათუბანს, მარტიაანს, პავლიანსა და სხვ. ბინები ჰქონდათ გამართული კას-
პის, მუხრანის, კავთისხევის, წილკანის, ოძისის, ქსოვრისის, დიღმის, მისაქ-
ციელის, მცხეთის, ჭოპორტის, გორიჯვარის, ტინიხიდის, სვენეთის, ატენის, ძა-
ლისის, დამპალას, ბაზალეთის, ავჭალის, ბიწმენდის, სასირეთის, ფიჩხევისა და
სხვ. ველებზე, რომელთა უმრავლესობა საბატონო სამფლობელოში ყოფილა
გაერთიანებული. ამავე საძოვრებით სარგებლობდნენ აგრეთვე გორისა და კას-
პის რიგი სოფლების (ატენი, ხიდისთავი, მეჯვრისხევი, ზეღდულეთი, ბოჟამი,
კავთისხევი, წინარეხი და ა. შ.) მეცხვარეებიც. აღნიშნული საზამთრო საძოვ-
რებით სარგებლობისათვის აქაურ მეცხვარეებს ს ა ფ ა რ ე ხ ო და ს ა ბ ა-
ლ ა ხ ო გადასახადი უხდიათ, რომელიც ცალ-ცალკე 100 ცხვრიდან 5 სულის
ოდენობით ყოფილა განსაზღვრული[68]. რაც შეეხება ქვემო ქართლის მტკვრის-
პირეთის დაბლობს, წარსულში ისიც, საზამთრო საძოვრებად ყოფილა გამოყე-
ნებული[69]. ეს საძოვრები ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა
ისტორიულ პერიოდში მომთაბარე უცხო ტომებს ეჭირათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს მთიან ხეობათა უმრავლესობა კოლხეთის დაბლობის საზამთროებით სარგებლობდა. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში ენგურ-ხეობისა და ჯვარის დასახელებული სოფლებიდან საქონელს მიერეკებოდნენ ხორგას, კულეს, ჯაიანის ტყის, აგრეთვე გალისა და ოჩამჩირის ახლომდებარე სიდას, ოხურეის, ციხის, რეფისა და სხვ. საზამთრო საძოვრებზე. ჭანისწყლის ხეობის მოსახლეობა ზამთრობით ჯოგებს აჩერებდა ჭალადიდის საზამთრო საძოვრებზე — კადარიონში, დიხაგუძუბაში, ქვემო ჭალადიდში, აგრეთვე ფოთის მახლობლად საგოროდოში, საქორქიოში და ა. შ. ხობისწყლის ხეობის მესაქონლეები ზამთრობით იდგნენ რიონს გაღმა ჭალადიდში, ქვემო ქვალონში, სახელდობრ სონჯიში და ა. შ. რაც შეეხება ტეხურის ხეობის მესაქონლეებს, მათი საზამთრო საძოვრები გაფანტული იყო ქვემო და ზემო ჭალადიდის, კერძოდ, ნაოცოდის, ქვალონის, ხორგას, საბერზემოს, საღვამუჩოსა და სხვ. ახლომდებარე ტერიტორიებზე, აგრეთვე პალიასტომის ტბის სანახებში[70].

კოლხეთის დაბლობის ძირითადი საძოვრები სახაზინო გამგებლობაში შედიოდა და იჯარით ჰქონდათ აღებული მსხვილ მეჯოგე-მესაქონლეებს. მაგ., ჯგალელ კვარაცხელიებს „ტორგით“ ჰერიათ ჭალადიდის ვრცელი საძოვრები, რომლის ცალკეულ უბნებს თანასოფლელ და სხვა მესაქონლეებზე გასცემდნენ პრაქტიკაში გვხვდება საზამთრო საძოვრების დაქირავება ცალკეული პირებისა თუ თემების მიერაც. ამავე დროს გამქირავებელთა როლში ხშირად ვხვდებით ცალკეულ თემებს და მსხვილ მესაკუთრეებსაც. მაგ., ს. ნაკიფუს მესაქონლეებს იმავე ჭალადიდის საძოვრების ნაწილი დაქირავებული ჰქონდათ გვიჩიებისაგან.

სპეციფიკური სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდა საქართველოში მომთაბარე მესაქონლეთა საძოვრებსაც. საქართველოსა და ამიერკავკასიის საზამთრო ყ ი შ ლ ა ღ ე ბ ი და საზაფხულო ი ა ლ ა ღ ე ბ ი გარდამავალ საგაზაფხულო და საშემოდგომო ი ა ზ დ ა გ ე ბ თ ა ნ ერთად მომთაბარე მესაქონლეობის ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენდა. ყიშლაღები, იალაღები და იაზდაგები, სამეურნეო გამოყენებასთან ერთად, მომთაბარეთა სეზონური დასახლების ერთეულიც იყო. საგაზაფხულო და საზამთრო საძოვრების ის უბნები, რომელთა სამეურნეო-ბუნებრივი პირობები ვარგისი იყო საცხოვრებლად, მომთაბარეთა ოთაღებით, დაიებითა და ალაჩიხებით იყო დასახლებული.

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ქვემო ქართლის მომთაბარეთა და ნახევრად მომთაბარეთა საზამთრო საძოვრები ძირითადად იაღლუჯას, ბაბაქიარისა და ყარაიაზის ტერიტორიაზე მოდიოდა. აღნიშნულ პერიოდში იაღლუჯას ცალკეული უბნები — უჩთაფა, შალლი, სარდერე, დაღდაღანლუ, გიოლლუჯე, ნარლუ, აგრეთვე ქვემო ქართლის მიმდებარე ველები—გიორარხი, ბაიდარი, სარალი, ახილმახმუთი, ბაითალლი, კაჩაღანი, მუღანლო, ქიოსალი და ა. შ., მომთაბარეთა საზამთრო ადგილსამყოფელსა და საძოვრებს წარმოადგენდა[71]. ამ პერიოდში ქვემო ქართლის მომთაბარეები უკვე გადასული იყვნენ ბინადარი ცხოვრების წესსა და ნახევრად მომთაბარე სამეურნეო ყოფაზე. იმირი, მიგირლო, კასუმლო, ყაჩაღანი, ენიქენდი, ქესალო, ქაფანახჩი, საათლო, ქურთლარი, ფახრალო, დარბაზი, საფარლო, ამამლო, ყარაბულახი, ბაიდარი, მუღანლო, ალგეთი, თაზქენდი და ა. შ. ნახევრად მომთაბარეებით დასახლებულ სოფლებს წარმოადგენდნენ, რომელთა დიდ ნაწილს ადრე მიტოვებული ქართული სოფლების ადგილი ეჭირა. აღნიშნული ტერიტორიების დასახლებას მომთაბარეთა ყიშლაღები და იაზდაგები გარკვეულად უნდა შეეზღუდა, რის გამოც ქვემო ქართლის შეძლებული ნახევრად მომთაბარეები ივრისა და ალაზნისპირის საზამთრო საძოვრებზეც მიერეკებოდნენ საქონელს[72].

ნახევრად მომთაბარე სამეურნეო ყოფის ტენდენციები ასევე ძლიერად ხასიათს ატარებდა კახეთში, კერძოდ, სიღნაღის მაზრის ქოჩადმავალ მოსახლეობაში. გასული საუკუნის მეორე ნახევარში სოფ. მუღანლო, ახატლუ-კენდელი-კენდი და უსუფლუ დასახლებული იყვნენ ელდარ-სამუხის ტერიტორიაზე და საზამთრო საძოვრებად ძირითადად იყენებდნენ შირაქის ველს[73]. აღნიშნულ სოფლებში მათ უკვე გააჩნდათ ბრტყელბანიანი სახლები, რომლებიც საზამთრო იალაღებისაგან განსხვავებით შედარებით მყარ ნაგებობებს წარმოადგენდა. გარდა მიწური სახლებისა, ნახევრად მომთაბარეებს აქვე ჰქონდათ გამართული სამეურნეო ნაგებობანიც, სადაც ზამთრობით სოფლისპირებში გარეკილი მსხვილფეხა საქონელი ეყენათ ხოლმე. მოსახლეობას სახნავ-სათიბებად გამოყოფილი ჰქონდა ნ ა დ ე ლ ი ე რ ი, რომელიც მათ მუდმივ სარგებლობაში იყო. გარდა ამისა, სოფლად დასახლებულ თემს გააჩნდა ყოველწლიურად გადასანაწილებელი სავარგულები, რომლებიც იაზდაგებთან ერთად ამჟამად უკვე სასოფლო საძოვრებადაც გამოიყენებოდა.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მომთაბარეთა შესახებ ეთნოგრაფიული მონაცემები ძალზე მწირია[74]. აღნიშნულ მაზრებში ზილანისა და ისმაილის ტომის ქურთებისა და თარაქამების, ანუ ყარაფაფახების 21 თემს საზამთროები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორიაზე ედოთ. კერძოდ, ზილანის საზოგადოებას ახალციხის მაზრაში ეჭირა ხრიანის, ტრიბონის, წყალთბილას, რუსთავის, ბლორძას სახაზინო საზამთროები, აგრეთვე აგარის, ჩორჩოს, კანთიეთისა და ფერესციხეს საბატონო სოფლები და საზამთროები. ისმაილის საზოგადოების ქურთები გაფანტული იყვნენ ახალქალაქის მაზრის სახაზინო მიწებზე (ვერტოხანი, მირაშხანი), ამავე მაზრის საბატონო მამულებზე (ნაქალაქევი და ანაკენტი), აგრეთვე ახალციხის მაზრის სახაზინო საზამთროებზე ახჩოში, თიუმიუქში, გიორგიწმინდაში და ფორაზში. ამავე საზოგადოებას ეკუთვნოდნენ თავად ფალავანდიშვილების მიერ ცუნდიდან გადმოსახლებული ქურთები, რომლებსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში დანეთის ტერიტორია ეჭირათ[75]. აღნიშნულ პერიოდში თარაქამები მომთაბარეობდნენ სახაზინო სოფლების ბაზარხანის, ბუზმარეთის, ვანის, ოსკორიას, ალანძასა და ყურბაღიოღლის საზამთროებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაზრებში საზამთრო საძოვრების შეზღუდული ხასიათის გამო მომთაბარეებს უხდებოდათ კერძო ყიშლაღების დაქირავებაც, რომელთა ფასი აქ ძალზე მაღალი ყოფილა[76].

ახალციხის მაზრის მომთაბარეები გასული საუკუნის 80-იან წლებში ძირითადად ნახევრად მომთაბარულ ყოფაზე იყვნენ გადასული. სამოსახლო ადგილებად ქურთი და თარაქამა მესაქონლეები ყიშლაღებს ირჩევდნენ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის სოფლების ტერიტორიაზე ან უშუალოდ მათ გაგრძელებაზე მდებარეობდა და ბინადარი ცხოვრებისა და სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის ხელსაყრელი იყო.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მომთაბარეთა საძოვრებისა და საერთოდ მათი სამეურნეო ყოფის შესახებაც[77]. როგორც ჩანს, აქ მომთაბარე ქურთები და ხემშინები გასული საუკუნის 80-იან წლებში საზამთრო საძოვრებად ზღვის სანაპირო ველებს იყენებენ[78]. მოგვიანებით ქურთი და ხემშინი მომთაბარეები მოხსენებული არიან კახაბრისა და ჩოლოქის საზამთრო საძოვრებზეც[79]. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით ქურთ და ხემშინ მომთაბარეებს საზამთროებად გამოუყენებიათ კახაბრის ველი, ჩაქვისა და ქობულეთის მიდამოები, აგრეთვე მდინარე ჩოლოქისა დ რიონის შესართავები.

საქართველოსა და ამიერკავკასიის მომთაბარე მესაქონლეთა საზამთრო საძოვრებით სარგებლობის წესებს თავისებურებანი გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული კანონმდებლობა ბინადარ და მომთაბარე მესაქონლეთა საძოვრების ერთიან დაბეგვრას გულისხმობდა[80], გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში ელის ტომისა და ბინადარი მოსახლეობის გადასახადები სხვადასხვა ფორმებით იყო წარმოდგენილი. თუ ბინადარ მოსახლეობაში ს ა ბ ა ლ ა ხ ე, ნ ა ხ ი რ ი ს ა თ ვ ი და პ ი რ ი ს თ ა ვ ი საძოვარზე და საქონლის რაოდენობაზე გაწერილ გადასახადებს გულისხმობდა, მაშინ ელის ტომში ადრე საზამთრო და საზაფხულო საძოვრების ხშირი ადგილმონაცვლეობა საძოვრის დაბეგვრას შეუძლებელს გახდიდა. ამიტომ ელის ტომზე გაწერილი ქ ო დ ა ვ ი, რომელიც ქვემო ქართლში ქ ო დ ა ს სახელწოდებით იყო ცნობილი, საქონლის თავზე დაწესებული გადასახადი იყო.

აღნიშნულ საგადასახადო სისტემასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საქართველოში ადგილმონაცვლე ელის ტომის აღწერა ყოველ სამ წელიწადში, რომლის დროსაც ადგილსამყოფელის დადგენასთან ერთად განსაზღვრული იქნებოდა მომთაბარეთა საქონლის ჯოგების რაოდენობა[81]. მიუხედავად ამისა, მომთაბარეთა საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის საკითხი ძველ საქართველოში მოუგვარებელი რჩებოდა. საქმე იმაში იყო, რომ მომთაბარეებს მეურნეობისა და ცხოვრების თავისებური წესის გამო უჭირდათ მიწაზე სახაზინო თუ კერძო მფლობელობის აღიარება და თავიანთი ექსტენსიური ბუნებით სამომთაბარო საძოვრებს ტრადიციულ საკუთრებაში მიიჩნევდნენ, რის გამოც ხშირად არიდებდნენ კიდეც თავს გაწერილ გადასახადს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საზამთრო საძოვრების მოსაწესრიგებლად გატარებული ღონისძიებანი მომთაბარე მესაქონლეებსაც შეეხო. გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ მომთაბარეებს არ გააჩნდათ მუდმივი დასახლებები და სანადელო ნაკვეთები, მეფის ადმინისტრაციამ საზამთრო საძოვრებზე საბალახო გადასახადისაგან გაანთავისუფლა ისინი, ადმინისტრაცია თვლიდა, რომ მომთაბარეთა საზამთროები თავისი სპეციფიკით შეესაბამებოდა ბინადართა საკარმიდამო ნაკვეთებს და საჭირო იყო მათზე გაწერილი გადასახადების გათანაბრებაც, მაგრამ ამ პროექტმა ვერ მოიკიდა ფეხი პრაქტიკაში. მომთაბარე მესაქონლეებს საზამთროებით სარგებლობისათვის ისეთივე გადასახადები ეწერებოდათ. როგორც ბინადარ მოსახლეობას[83].

მეფის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან მომთაბარე მესაქონლეებს განსაკუთრებით ზღუდავდა საძოვრების საიჯარო სისტემა. მართალია, ქვემო ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მომთაბარეთა უმრავლესობა საიჯარო პირობებშიც ინარჩუნებდა მათზე ტრადიციულად მიმაგრებულ საზამთროთა ნაკვეთებს, მაგრამ ყველა მომთაბარეს როდი გააჩნდა ასეთი სათავისო ნაკვეთები. ილია ჭავჭავაძე ჩვეული შორსმჭვრეტელობით აფასებდა მომთაბარეობის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკისათვის და აღნიშნავდა მომთაბარე მესაქონლეთა გასაჭირს საძოვრებით უზრუნველყოფის მხრივ[84].

მომთაბარეებს კიდევ უფრო რთული პირობები ჰქონდათ საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრების — იაზდაგების მხრივ, რომელთაც საქონლის ვერტიკალურ-ზონალური ადგილმონაცვლეობისას აქაც საშუალედო საკვები ბაზების მნიშვნელობა ჰქონდათ. ალვანის ველისა და ბირკიანის გარდა ამიერკავკასიის ყველა მნიშვნელოვანი იაზდაგები—ხონაშენი (ელისავეტოპოლის გუბ.), კირნიახირი (ერევნის გუბ.), სილიბირი და კიჩილ ჯაფი (ბაქოს გუბ.), საქართველოს ფარგლებს გარეთ იდო[85]. იმის გამო, რომ ალვანის ველსა და ბირკიანს თუში მეცხვარეები იყენებდნენ, საქართველოს მომთაბარეებს სპეციალური

იაზდაგები საერთოდ არ გააჩნდათ და ამ მიზნით სხვადასხვა სახის სავარგულებს (საარენდო ნადელები, სასოფლო საძოვრები, წინამთიანი გორაკ-ბორცვიანი ველები, ჯაგნარები და ა. შ.) იყენებდნენ[86].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ამიერკავკასიის მომთაბარე მესაქონლეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზაფხულო საძოვრებს. ქვემო ქართლის მომთაბარეები და ნახევრად მომთაბარეები გასული საუკუნის დასასრულს ძირითადად თრიალეთისა და ჯავახეთის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობდნენ. ნახევრად მომთაბარეთა გარკვეულ კატეგორიას მსხვილფეხა საქონელი სომხითის მთებზეც დაუდიოდა. მომთაბარეთა იალაღებად თრიალეთზე ძველთაგანვე არფაჩაის, კურენჩაის, ქაჩალგორის, გოლუდაშისა და სხვ. უბნები ყოფილა გამოყოფილი, ხოლო ჯავახეთისა და სომხითის მთებზე კირხბულახი, იასტიკარი, კირხჩილცე, კირმიზბულახი, ნააზიკკილიჩი, კარახაჩი ოვდარა, ლალვარი, კერძოდ გიულუმ-ბულახი, გიუზელ-კარახაჩი, კარანლიხი, ორთაკილითი, ჩათაღი და დონღუზარა.

საკვლევ პერიოდში ქვემო ქართლის ნახევრად მომთაბარე სოფლებს—ქესალოს, ალგეთს, საბირქენდს ენიქენდს კასუმალოს და სხვ. ეჭირათ იასტიკარი, კირხბულახი, კირმიზბულახი, ნაზიკკილიჩი, აგრეთვე კურენჩაი და არფაჩაი, მუღანლოსა და ლეჟბედინს — კირხბულახი, ქურთლარსა და ბაიდარს — ოვადრა, ამლევსა და ზემო ყარაბულახს — ჩათაღი და დონღუზარა, საფარლოს — კირჩხილცე, დარბაზს — კარახაჩი და ა. შ. ლალვარის მთაზე გიულუმ ბულახით სარგებლობდა მეორე მუღანლო, გიუზელ კარახაჩით — ფოლადაური და ქაფანახჩი, კარანლიხით კი ფახრალო. ორთაკილითი საათლოს გამგებლობაში ითვლებოდა[87].

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ასევე გაფანტული იყო სიღნაღის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მომთაბარეთა საზაფხულო საძოვრებიც. სიღნაღის მაზრიდან სოფ. მუღანლო თრიალეთზე ფლობდა აგლაგანის საძოვარს 7350 დეს. ფართობით, ხოლო ლორის საპრისტაოში ჩუბუხლის მთაზე ყუთურ-ბულახსა და ქიოჩი დაღს 1340 დეს. საერთო ფართობით[88]. 1884 წ. მეათედის სისტემის შემოღებასთან ერთად მუღანლოელთა დიდი ნაწილი გადასულა გორის მაზრაში თავად ციციშვილის მამულებში. სიღნაღელ მომთაბარეთაგან ახატლუ და ყანლი-კენდი მომთაბარეობდნენ ერივნის გუბერნიის ახალბაიაზეთის მთებზე, კერძოდ, სათანახჩის საზაფხულო საძოვრებზე, სადაც ისინი დესეტინაზე 15 კაპ. იხდიდნენ[89]. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ზემოთ აღნიშნულ მომთაბარე მესაქონლეთაგან ზილანის საზოგადოების ქურთებს დოხკუზფუნღარის იაილა ეჭირათ, რომელიც სახაზინო მფლობელობაში შედიოდა და 1300 დეს. უდრიდა. ინჯასუსა და დანეთის სახაზინო საძოვრები 1900 დეს. საერთო ფართით ისმაილის საზოგადოების ქურთთა იალაღებად იყო გამოყოფილი, თუმცა ინჯასუს ტერიტორიაზე მათ ეზიარებოდნენ სოფ. სიჩანლის მესაქონლეებიც. იმავე პერიოდში თარაქამები სარგებლობდნენ ფასლიურთის სახაზინო საზაფხულო საძოვრით, რომლის მოცულობა 700 დეს. აღწევდა[90].

დასავლეთ საქართველოს მომთაბარე ქურთი და ხემშინი მესაქონლეები გასული საუკუნის 80-იან წლებში აჭარა-ახალციხის, არსიანისა და კარჩხალის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობდნენ. ქურთ და ხემშინ მესაქონლეებს კარვები ედგათ გოდერძის უღელტეხილზე ნაჩადრევში, ბეშუმში და თეთრობზე აჭარელ მოიალაღეთა გვერდით. მომთაბარეთა გარკვეულ ჯგუფს ეჭირა ახალდაბისა და ჭირუხის ცალკეული უბნები[91], ხოლო ქურთების ნაწილი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდა კარჩხალისა და ლეკობანის საზაფხულო საძოვრებზე. მიუხედავად ამისა, ქურთი და ხემშინი მომთაბარეების ძირითად იალაღებს არსიანის მთის საზაფხულო საძოვრები წარმოადგენდა. არსიანისა და მიმდებარე საზაფხულო საძოვრების რიგი უბნები, კერძოდ, ოღლი, ბიულბიულანი, იალანუს-ჩაი, იასამანი და ა. შ. ქურთი და ხემშინი მესაქონლეების თაბუნებით იყო დაფარული[92]. მოგვიანებით აღნიშნული გარემოება დასტურდება სხვა ლიტერატურული წყაროებითაც[93].

მფლობელობის ფორმების მიხედვით მომთაბარე მესაქონლეთა იალაღები სხვადასხვა კატეგორიაში იყო გაერთიანებული. მომთაბარეთა საზაფხულო საძოვრების უმრავლესობა თრიალეთის, აჭარა-ახალციხისა და არსიანის მთებზე სახაზინო გამგებლობაში შედიოდა, რომელთა სარგებლობისათვისაც ისინი ხაზინას საბალახეს ანალოგიურად ქოდავს უხდიდნენ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საზაფხულო საძოვრებზე გატარებული ღონისძიებანი მომთაბარე მესაქონლეებსაც შეეხო. თუ საზამთროებზე მეფის ადმინისტრაცია მომთაბარეთათვის რაღაც შეღავათების გატარებას ფიქრობდა, საზაფხულო საძოვრებზე იგი გამორიცხული იყო. 80-იან წლებში საბალახოებზე გატარებული რეფორმის შედეგად მომთაბარენი ადგილობრივი მესაქონლეების მსგავსად დაბეგრილი იყვნენ დესეტინობრივი გადასახადით, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თბილისის გუბერნიაში სახაზინო საძოვრების ხარისხის მიხედვით 10-იდან 80 კაპ-მდე ადიოდა. გარდა სახაზინო საძოვრებისა, მომთაბარე მესაქონლეები სარგებლობდნენ კერძო, საბატონო საზაფხულო იალაღებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ლალვარის მთა, რომელიც სტეპანავანელ სომეხ მებატონეს—უდელიანს ეკუთვნოდა და ქვემო ქართლის აღნიშნულ სოფლებს ყოველ ძროხაზე, აგრეთვე 4 ცხვარზე 20-20 კაპ. ახდევინებდა. ნატურალურ გადასახადს იხდიდნენ ის ახალციხელი და ახალქალაქელი მომთაბარე ქურთები, რომლებსაც თავად ორბელიანისაგან საკირიურთის იალაღები ჰქონდათ დაქირავებული. ამ საძოვრის გადასახადი ძველთაძველ ქართულ ბეგარას წარმოადგენდა და მეწველ ძროხაზე $1^1/_2$ ფუნტი კარაქით, 40 ცხვარზე 1 ბატკნითა და 1 კრავზე 3 ფუნტი კარაქით იყო განსაზღვრული[94]. ბოლო გადასახადი, რომელიც აჭარასა და მესხეთში ბ ო ლ ი ს||ფ უ ტ ი ს ბ ა ჯ ი ს სახელწოდებით იყო ცნობილი, მესაქონლეთა მიერ ტყიდან გამოტანილ სათბობზე იყო დაწესებული.

ქვემო ქართლისა და საქართველოს სხვა კუთხეების მომთაბარე მესაქონლეები ზოგჯერ არენდატორთა იალაღებითაც სარგებლობდნენ. მაგ., სოფ. ამამლოს ნახევრად მომთაბარე მეცხვარეები ქაჩალგორაზე იალაღებს ქირაობდნენ ვინმე თუშდაუდისაგან, რომელსაც მომთაბარეთა გადმოცემით 50 ათასამდე ცხვარი ჰყავდა და მარტო ეჭირა ქაჩალგორი არენდით ხაზინისაგან.

ამრიგად, საქართველოს მესაქონლეობის უმთავრესი ფორმების სასოფლო, საგაზაფხულო-საშემოდგომო, საზაფხულო და საზამთრო საძოვრების შესახებ აქ მოტანილი მონაცემების კლასიფიკაცია და ტიპოლოგიური ანალიზი აღნიშნული სამეურნეო სავარგულების ზონალური განლაგებისა და მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმათა მრავალმხრივ და მრავალფეროვან თავისებურებებს წარმოაჩენს. ბარული, მთური, მთაბარული, ნაწილობრივ კი მომთაბარე მესაქონლეობის ეკოლოგიურ გარემოში აღნიშნული საძოვრების ზონალური დანაწევრებისა და სეზონური გამოყენების სტრუქტურულად რთული მრავალსაფეხურიანი სისტემები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული, სიმბიოზური განვითარების ინტერესებით იყო განპირობებული. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა

ატლასის მასალებში მოტანილი მონაცემები ხალხური აგროტექნიკის რაციონალური სისტემებისა და საშუალებების შესახებ, რომლებიც ასახავენ მარტო საძოვრის ამა თუ იმ უბნის სეზონურ თავისებურებებს, არამედ დიფერენცირებულ ექსპლოატაციას სხვადასხვა სახისა და ასაკის საქონლის ჯოგისა და ცხვრის ფარებისათვის. ხალხური ცოდნა-გამოცდილება საძოვრების შერჩევის, ზონალური დანაწევრების, ბალახეულის მარგებლიანობის განსაზღვრის, სარეველებისაგან გაწმენდის, გაძოვნის სისტემებისა და გაქირავებისა თუ საძოვარზე გაწერილი გადასახადების შესახებ, ატლასის მასალებში ნაჩვენებია იმ ცვლილებების ფონზე, რომლებიც მოხდა საძოვრების ექსპლოატაციის ფორმებში საგლეხო რეფორმისა და ამიერკავკასიის გლეხთა ეკონომიკური ყოფის მოწესრიგების ცდის პერიოდში.

ატლასის მასალების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია თვალნათლივ წარმოაჩენს სასოფლო, საზაფხულო, საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრების მფლობელობის მრავალფეროვან ფორმებსაც. ამ საკლასიფიკაციო კომპლექსების ანალიზიდან ჩანს, რომ XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში კერძო, სახაზინო თუ საზოგადო სარგებლობაში არსებული საძოვრების გვერდით ჯერ კიდევ თანაარსებობდნენ ტრადიციული მიწათმფლობელობის გადმონაშთური ფორმები.

აღნიშნულ პერიოდში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ცარიზმის სამოხელეო აპარატის მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის ღონისძიებებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში ძირითადი საერთო-სასოფლო საძოვრები სახაზინო საკუთრებაში მოექცა. თავის მხრივ ამ სავარგულების გარკვეული ნაწილი გაძლიერებულ მეთემეთა მიტაცების მუდმივი საშიშროების ობიექტადაც იქცა. მართალია, აღნიშნულ სავარგულებზე კერძო და სახაზინო საკუთრების განმტკიცების პროცესი საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის ყველა კუთხეში არ იყო ერთნაირად აქტიური, მაგრამ ზოგადად იგი მოასწავებდა ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ახალი სოციალური ურთიერთობის დამკვიდრების აღმავალ პროცესს. ამ გარემოებაზე მიუთითებს აგრეთვე მესაქონლეობასთან დაკავშირებული ნატურალური საგადასახადო სისტემის შეცვლა ფულადი გადასახადით, რაც ასევე სოფლად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის დამკვიდრებას უწყობდა ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. სახნავ-სათესი მიწების საერთო გამოყენების ეს წესი ძველ ამიერკავკასიაში საყოველთაოდ აღიარებული იყო ზამთრის წინ და ადრე გაზაფხულზე პირუტყვის „გალაღება-მოღონიერებისათვის“ (ბ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., III, თბ., 1959, გვ. 562).

2. საქართველოს საძოვრების შესახებ ეთნოგრაფიული მასალა ძირითადად მოტანილია ადრე გამოქვეყნებული მონოგრაფიიდან (იხ. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., с. 69—73, 98—112, 151—166 და შმდ.).

3. თბილისის მაზრის სოფლებს — დიდ ლილოს, ნორიოს, მარტყოფს, ახალსოფელს, აგრეთვე იორის სანაპირო სოფლებს ჰქონდათ საზამთრო საძოვრების გარკვეული კატეგორია ნადელების სახით, მაგრამ ისინი ამ საზამთროებით სიშორის გამო (30—40ვერსი) არ სარგებლობდნენ და აქირავებდნენ სხვა სოფლების მცხოვრებლებზე ზამთრობით 1 სულ მსხვილფეხაზე 60 კაპ-იდან 1,50 მ-მდე, ხოლო წვრილფეხზე 5—12 კაპ-მდე (С. В. Мачабели, ЭБГК Тифлисского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, I, Тф., 1887, с. 220).

4. შორაპნის მაზრის ბარის ზოლში რგანისა და რცხილათის გარდა სოფლის ახლო ტყეები საძოვრებად გამოყენებული ჰქონდათ სოფ. ვანს, ჩელოვანს, ბერეთს, ჩხარს, გოდოგანს, [illegible] და თხილთაწყაროს (И. Л. Бахтадзе, ЭБГК Шорапанского уезда Кутаисской губ., МИЭБГКЗК, V, 2, Тф., 1887, с. 215), რომელთა სარგებლობისათვის ისინი ხაზინას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლზე 25 კაპ. უხდიდნენ (იქვე. გვ. 191).

5. А. А. Аргутинский, ЭБГК Телавского уезда Тифл., губ., МИЭБГКЗК, V, I, Тф., 1887, с. 117.

6. С. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

7. И. В. Чкония, Новый быт в колхозе им. Куйбышева сел. Шилда Кварельского района. მსე, VII, თბ., 1955, გვ. 16—17.

8. ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, მსე, V, თბ., 1951, გვ. 14—16; მისივე, მეფუტკრეობა ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 96—98.

9. მ. მაჩაბელის აზრით, მფლობელობის ეს წესი დამკვიდრებული იყო საუკუნეობით და დადასტურებული ქართველი მეფეების „სიგელებითა“ და „გუჯრებით“, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა მთის ზოგიერთ სოფელში (М. В. Мачабели, ЭБГК Тионетского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, Тф., 1887, с. 412).

10. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 458.

11. П. С. Варавин. Летние и зимние пастбища Закавказского края, СМИЭБГКЗК, V, 2, Тф., 1888, с. 133.

12. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 460.

13. П. С. Варавин, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

14. ვრცლად იხ. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 110, 112—113.

15. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 103. რელიეფისა და ბალახეულის საფარის თავისებურებათა მიხედვით საძოვრების დაყოფა სხვადასხვა სახის საქონელზე ამიერკავკასიაში სისტემის სახით ყოფილა ჩამოყალიბებული (П. С. Варавин, დასახ. ნაშრ., გვ. 74). დასტურლამალის მიხედვით („საბალახე ცხურისა“, „საბალახე ღორისა“ და ა. შ.) ირკვევა, რომ ეს სისტემა კარგად ყოფილა ცნობილი ძველ საქართველოშიც (ვახტანგ VI, დასტურლამალი, ტფ., 1886, გვ. 96—100). საძოვრის ზონალური გამოყენების ეს თავისებურებები შემჩნეული ჰქონდათ რევოლუციამდელ მკვლევარებსაც. მ. მაჩაბელის დაკვირვებით, სოფლის ახლო საძოვრები გამოყენებულია მსხვილფეხა საქონელისათვის და იყოფა საძროხედ და სახარავნედ. ვარდა ამისა, თემთა განკარგულებაშია აგრეთვე მაღალი ზოლის (6—8 ათასი ფუტი ზ. დ.) საზაფხულო საძოვრები — ილაღები, სადაც გარეკილია წვრილფეხა საქონელი, ცხენი და მსხვილფეხა საქონლის ნაწილი (М. В. Шамиладзе. დასახ. ნაშრ., გვ. 454).

16. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 103—102.

17. მ. კანდელაკი, ხევისბერობის ინსტიტუტის სოციალურ-რელიგიური საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის, ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 361—362.

18. М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 384 —385.

19. В. В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, № 1, 1940, с. 100; მ. მაკალათია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, საკანდ. დისერტ., თბ., 1975, გვ. 108.

20. Н. К. Никифоров, ЭБГК Душетского уезда Тифл., губ., МИЭБГКЗК, V, 2, Тф., 1887, с. 39—40.

21. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98—108; მისივე. მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, III, თბ., 1975, გვ. 29—40; მისივე. მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, იქვე, IV, თბ., 1976, გვ. 32—40.

22. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

23. ა. რობაქიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის მოკლე ანგარიში (1958—1969), „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“, I, თბ., 1973, გვ. 7—12.

24. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, XV; ა. ავალიანი, მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 129—130.

25. Г. Н. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО;, X. I, 1876, с. 36—37.

26. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 106. გორის მაზრის ზოგიერთი სოფელი (ძეგვი, თელათგორი, წინარეხი) ცხვარს მიერეკებოდა თრიალეთის საძოვრებზე, მაზრის მოსახლეობის დანარჩენი 59 სოფელი კი ბორჯომის მამულებით სარგებლობდნენ (С. В. Мачабели, ЭБГК Горийского уезда Тифл., губ., МИЭБГКЗК, VI, I, Тф., 1887, с. 186, 201).

27. А. Д. Ерицов, ЭБГК Борчалинского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, VII, Тф., 1887, с. 444—445.

28. П. С. Варавин, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

29. იქვე, გვ. 84—85.

30. Х. А. Вермишев, О скотоводстве на Кавказе в связи с пастибщным вопросом, МУКЛЗПИСК, Тф., 1887, с. 93—94.

31. П. С. Варавин. დასახ. ნაშრ. გვ. 88,—89.

32. იქვე, გვ. 89—92.

33. В. М. Шамиладзе. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 107.

34. В. Н. Геевский. О состоянии скотоводства в верховьях рек Терека и Белой Арагви, МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 259.

35. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

36. П. С. Варавин, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

37. ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967, გვ. 195.

38. ბ. ნიჟარაძე, იალბუზის გარშემო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1967, გვ. 95.

39. ა. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

40. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 103—104.

41. შ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

42. ე. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, გვ. 38—39.

43. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 29—30.

44. ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები", I, გვ. 59—60.

45. ბ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 458, 461.

46. В. Н. Геевский, დასახ. ნაშრ., გვ. 285—286; Вопрос о перегоне скота из Закавказья в Терскую область, КСХ, № 249, 1898.

47. აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეთა ყრილობის საერთო გადაწყვეტილებით მთიდან ჩამორეკილი ცხვარი 1 ოქტომბრიდან თვე-თვენახევრის განმავლობაში ჯერ დიდი შირაქის საძოვრებზე იყო გარეკილი, ხოლო ზამთრის დადგომასთან ერთად იგი ბარის შირაქში გადაჰყავდათ. ანალოგიურად იყო გამოყენებული დიდი შირაქი გაზაფხულზე ცხვრის იაზდაგებზე გადაყვანამდე (М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 456).

48. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 152—153.

49. ვ. შამილაძე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", V, თბ., 1977, გვ. 20—21.

50. იქვე. გვ. 21.

51. იქვე. გვ. 22.

52. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23; В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ. გვ. 155—157.

53. ვრცლად იხ. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

54. С. В. Мачабели, ЭБГК Тифлисского уезда Тифл. губ., с. 221.

55. М. В. Мачабели. ЭБГК Тионетского уезда Тифл. губ., с. 415—417; А. А. Аргутинский, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

56. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", II, თბ., 1974, გვ. 60—75.

57. იქვე. გვ. 60—64.

58. სამართალი ბატონიშვილი ვახტანგისა. ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 521; ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 819 და სხვ.

59. П. С. Варавин, დასახ. ნაშრ., გვ. 83, 87—88.

60. იქვე. გვ. 91.

61. ბ. მაჩაბლის ცნობით, მთათუშეთში საუკუნის დასაწყისში მომხდარ წყალდიდობამდე წოვები მთაში სახლობდნენ და მხოლოდ ნაწილი ჩამოდიოდა ზამთრობით ველზე. ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრებთა გადმოცემით, ალვანი თუშებს კახეთის მეფე ლევანმა ბახტრიონის ბრძოლაში დამსახურებისათვის უბოძა (М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 413).

62. ვ. შამილაძე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, გვ. 25.

63. ვაჟა-ფშაველა, ქართველთა ახალშენი შირაქში, თხზ., X, თბ., 1964, გვ. 80.

64. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

65. М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 414—415.

66. А. А. Аргутинский, ЭБГК Сигнахского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, IV, 2, Тф., 1886, с. 251—252.

67. В. Н. Геевский, დასახ. ნაშრ., გვ. 285—286.

68. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 161.

69. „ტფილისითგან ბარვამდე და ივრის პირთა... ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა... შინა ზამთარსა ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა და აქუს შეშა და წყალი უხუებით და მუნ არს ნადირთა სიმრავლე. (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 332). აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით ი. ჯავახიშვილი ამ ტერიტორიებს მაღალი კატეგორიის საზამთრო საძოვრებად მიიჩნევდა (ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 147—148).

70. კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრების მფლობელობა-ექსპლოატაციის ფორმების შესახებ ვრცლად იხ. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, გვ. 84—89.

71. В. М. Шамиладзе. დასახ. ნაშრ., გვ. 197. ქვემო ქართლის მომთაბარეები სარგებლობდნენ აგრეთვე ყარაიაზის ყიშლაღითაც, რომელიც 80-იან წლებში მეათედი გადასახადით მათივე სარგებლობაში დაუტოვებიათ. ს. მაჩაბელის მონაცემებით ჩანს, რომ ყარაიაზის 37 ნაკვეთი საერთო მოცულობით 20263 დეს. ძირითადად ბორჩალოსა და თბილისის მაზრების მომთაბარეთა გამგებლობაშია (С. В. Мачабели, ЭБГК Тифлисского уезда Тифл. губ, с. 219). ყარაიაზის დანარჩენი 22 ნაკვეთი 8836 დეს. მოცულობით აღებული ჰქონდათ იჯარით კერძო პირებს, რომლებითაც ასევე სარგებლობდნენ დასახელებული მაზრების მესაქონლეები (იქვე. გვ. 219—220).

72. А. И. Натроев, Количество скота и пастбищные места Тифл. губ., ТКОСХ, № 7—8, 1888, с. 394—395.

73. А. А. Аргутинский, დასახ. ნაშრ., გვ. 197. ელდარის თემს (ახატლუ და ყანლი-ჯენდი) შირაქის ველზე ეჭირა 14243,5 დეს. საძოვარი და ხაზინის სასარგებლოდ იხდიდა 1424 მან. და 30 კაპ., ხოლო უსუფლუს საზოგადოებას — 1768 დეს., რომლის საფასურადაც იხდიდა 176 მან. და 80 კაპ. თანხა განაწილებული იყო ელდაშის წევრებზე საქონლის სულადობის მიხედვით (იქვე, გვ. 252).

74. ამჟამად ისინი საქართველოს ფარგლებს გარეთ სახლობენ.

75. Х. А. Вермишев, ЭБГК в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифл. губ., МИЭБГКЗК, III, 2, Тф., 1886, с. 107—108

76. იქვე, გვ. 120.

77. ამჟამად აღნიშნული მომთაბარეებიც საქართველოს ტერიტორიის გარეთ სახლობენ.

78. დ. ბაქრაძე, ბათუმის მაზრა, „დროება“, 1880, № 2; В. Я. Лисовский, Чорохский край, I, Тф., 1887, с. 65.

79. Э. В. Эриксон, Опыт санитарного обзора окрестностей Батума, Тф., 1901, с. 3; Э. Лиозен, Берег русского Лазистана, ИКОИРГО, XVIII, 1905, № 2, с. 146.

80. როსტომ მეფის მიერ 1655 წ. მცხეთის ტაძრისადმი მიცემულ სიგელში აღნიშნულია, რომ თუ „საყდრის მამულში ან თათარის ან ქართუელის კაცისა ცხუარმან იყიშლაღოს ფარის თავს თვითოს ცხუარს უკლებლივ თქუენს მებალახეთ მიაბარებენო“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, ტფ., 1897, გვ. 469).

81. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 571—573

82. И. Л. Бахтадзе, Кочевники Закавказского края, СМИЭБГКЗК, III, 2, Тф., 1888, с. 135.

83. იქვე, გვ. 135—136.

84. ილია ჭავჭავაძე, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები, თხზ., VI, თბ., 1956, გვ. 217—219.

85. П. С. Варавин, დასახ. ნაშრ., გვ. 115—116.

86. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 199—200.

87. იქვე, გვ. 200.

88. А. Д. Ерицов, დასახ. ნაშრ., გვ. 445.
89. А. А. Аргутинский, დასახ. ნაშრ., გვ. 198.
90. Х. А. Вермишев, დასახ. ნაშრ., გვ. 106—107.
91. Г. Н. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии, с. 45.
92. დ. ბაქრაძე, ბათუმის მაზრა, „დროება“, 1880, № 80, 2.
93. Н. Шавров, Краткое описание маршрутов от Батума до Бенары и до Орджоха и от Артвина до Арданучa, Тф., 1907, с. 2.
94. Х. А. Вермишев, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარული მესაქონლეობა

საქართველოს ბარული მესაქონლეობის დამახასიათებელ ფორმათა გავრცელების არეალი ისტორიულად ქართლ-კახეთის ვაკით, კოლხეთის დაბლობითა და მათი მომიჯნავე გორაკ-ბორცვიანი ტერიტორიებით განისაზღვრა. აღნიშნული კუთხეების ბარის სამეურნეო-კულტურული კომპლექსების კლასიფიკაცია და ტიპოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის პირობებში ბარული მესაქონლეობა გულისხმობს სასოფლო მენახირეთა ზედამხედველობის ქვეშ გაერთიანებული საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების სეზონურ მონაცვლეობას სოფლისშიგა და ახლომდებარე საძოვრებზე, ტყეებში, სახნავ-სათესებზე, ანეულზე და სხვა გასადევარზე, ზამთრის გარკვეულ თვეებში სოფლად ბაგურ კვებაზე გადაყვანით[1].

ბარული მესაქონლეობის ეს სპეციფიკური თავისებურებები, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო მიწათმოქმედებისა და მეურნეობის. სხვა დარგების ინტერესებიც, საქართველოს ბარში სხვადასხვა სტაციონალური ბაზებით წარმოდგენილი, დამხმარე მესაქონლეობისა და მეტნაკლებად მოძრავი, ექსტენსიური საკარვო მეურნეობის სახით ჩამოყალიბდა[2].

მთური გადარეკვითი მესაქონლეობისაგან განსხვავებით, სადაც ადგილი ჰქონდა საქონლის თანმიმდევრულ მონაცვლეობას სეზონურ საძოვრებსა და ძირითად დასახლებებს შორის, ბარული მესაქონლეობა სამეურნეო-ორგანიზაციული გაძღოლის თვალსაზრისით ორგანულად იყო დაკავშირებული ძირითად სამეურნეო ბაზებთან და ადგილობრივი სასოფლო საძოვრებისა და საკვები მარაგის ხარჯზე გადიოდა. ბარული მესაქონლეობის აღნიშნული თავისებურებების გამო საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სასოფლო საძოვრებსა და სახნავ-სათეს სავარგულებს, რომელთა რაციონალური გამოყენება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში კი ზამთრის გარკვეულ პერიოდშიც, თანმიმდევრული სისტემის სახით იყო ჩამოყალიბებული[3]. ამ სისტემაში ყურადღებას იპყრობს სოფლის სახნავ-სათეს და ანეულ სავარგულებში გამართული ბერას კომპლექსები, სადაც რამდენიმე ოჯახის მეწველი საქონლის გაერთიანებულ მოვლა-პატრონობას საოჯახო მოთხოვნილებისათვის დამხმარე მეურნეობის სახე გააჩნდა. უშუალოდ სახნავ-სათესებზე მუშა პირუტყვის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ორგანიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე სამიწათმოქმედო-მესაქონლურ კომპლექსს — კალოსაც, სადაც ინახავდნენ გუთნეულის გასამართავად აუცილებელ გამწევ ძალას და ადგილზე მოსახმარად თითო-ოროლა მეწველ საქონელს. ასეთივე სტაციონარული ხასიათი ჰქონდა კოლხეთის დაბლობის

აგვარასაც, თუმცა აქ კალოსაგან განსხვავებით მიწათმოქმედებასა და მეურნეობის სხვა დარგებს (მეთევზეობა, მეფუტკრეობა, ნადირობა) დამხმარე ხასიათი ჰქონდათ[4].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარული მეურნეობის პირობებში მეტნაკლებად მოძრავი ექსტენსიური ხასიათით გამოირჩეოდა საკარვო მეურნეობის სხვადასხვა ფორმები — კარავი, საკარე და საფარეხო, რომლებიც ძირითადად გამოყენებული იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის გასარეკად. აღმოსავლური ქართული კარავი, რომელშიც გაერთიანებული იყო ახალმოზარდი და უგვი საქონელი, მოსავლის აღებამდე და აღების შემდეგ გამართული იყო სასოფლო და სოფლისპირა საძოვრებზე, ხოლო ზაფხულობით, როცა სოფლის სავარგულები დაკავებული იყო სამიწათმოქმედო კულტურებით და გასადევარი მინიმუმამდე მცირდებოდა—ამ მიზნით მდინარეების ნაპირებსა და სოფლის მახლობლად მდებარე ტყიან-ბუჩქნარ და ბორცვიან ხეობებს იყენებდნენ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცხვრის ფარები და თხის ჯოგები გადენილი იყო სოფლიდან შედარებით მოშორებულ საძოვრებსა და ტყიან სავარგულებზე, სადაც გამართული იყო აგრეთვე სეზონურად ადგილმონაცვლე კარვები — საფარეხო და საკარე[5].

საქართველოს ბარული მესაქონლეობის განვითარების მასშტაბები ადგილობრივი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების თავისებურებებით იყო განსაზღვრული. ისტორიულად ბარის სამეურნეო პროფილში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედება-მემინდვრეობას, მევენახეობასა და მეხილეობას ეჭირა. მიუხედავად ამისა, ბარისა და მთისძირის ზოლში მესაქონლეობასაც გარკვეული ხვედრითი წონა გააჩნდა, რაც დაწინაურებულ მიწათმოქმედებასა და მემინდვრეობაში მუშა ძალის ფართო გამოყენებასთან ერთად მესაქონლეობის პროდუქტებზე საოჯახო მოთხოვნილებასაც ითვალისწინებდა[6]. მართალია, ბარული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სინთეზს მაღალგანვითარებული სიმბიოზური კულტურის დონემდე არ მიუღწევია, მაგრამ საქართველოს ბარის სამეურნეო პროფილში მესაქონლეობის განსაკუთრებული როლი ამ შემთხვევაშიც მიწათმოქმედება-მემინდვრეობის ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

ტრადიციული სამიწათმოქმედო კულტურის ინტენსიური განვითარება საქართველოს ბარში პირველ რიგში მუშა საქონლით უზრუნველყოფაზე იყო დამოკიდებული, რაც საქართველოს მთა-მაღალთან და შუამთასთან შედარებით ადგილობრივ მესაქონლეობას გაცილებით მაღალი მოთხოვნებს უყენებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, სადაც ნიადაგის სტრუქტურის თავისებურებანი მრავალუღლიანი გუთნეულის გამართვისა და სახნავ-სათესი ფართობების ღრმა მოხვნას მოითხოვდა[7]. საგულისხმოა გამწევი ძალის გამოყენება ბარულ საზიდ და სამეურნეო საშუალებებშიც (ბარული საძნე ურემი, კევრი, ფარცხი, სათრიელი და ა. შ.), რომელთა უმთავრესი სახეები ასევე მიწათმოქმედება-მემინდვრეობის ფართო განვითარების ინტერესებს პასუხობდა[8].

ბარული მესაქონლეობა გარკვეულ როლს ასრულებდა სამიწათმოქმედო სავარგულების განოყიერების საქმეშიც. მიუხედავად იმისა, რომ ბარის სახნავ-სათესებზე ნიადაგის გაპატივების შედარებით მარტივ პრაქტიკასთან გვაქვს საქმე, სამიწათმოქმედო სავარგულების განოყიერება საქონლის ნახირისა თუ ცხვრის ფარების პერიოდული ადგილმონაცვლეობით, ბარში გარკვეული სისტემის სახით იყო ჩამოყალიბებული, რაც ასევე აუცილებელი იყო ბარული მიწათმოქმედება-მემინდვრეობის ინტენსიური განვითარებისათვის[9]. თუ ამასთან ერთად ბარის მესაქონლეობის პროდუქტიულ ნაწარმსაც გავითვალისწი-



რუკა № 7. ბარული მეხაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. საკარმო მეუნაგეობა. 2. დამხმარე მეხაქონლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებთ, რომელსაც საოჯახო მოთხოვნილებასთან ერთად ზოგჯერ საბაზრო დანიშნულებაც გააჩნდა, მაშინ თვალნათლივ გამოჩნდება მეურნეობის აღნიშნული დარგის განსაკუთრებული ადგილი და როლი საქართველოს ბარის ძველ ვალდარგოვან სამეურნეო პროფილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბარული მესაქონლეობის აღნიშნული თავისებურებანი გარკვეულად განსაზღვრავდა ბარში ჯოგის სტრუქტურასა და მესაქონლეობის მასშტაბებსაც. XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს ბარულ მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი მსხვილფეხა მესაქონლეობას ეჭირა. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მსხვილფეხა საქონელს რაოდენობით ცხვარი სჭარბობდა, მაგრამ იგი აქ ძირითადად მსხვილი მეურნეების ხელში იყო მოქცეული, რომლებიც თავიანთ მრავალრიცხოვან ფარებს ზამთარ-ზაფხულ მესაქონლეობის გარე სავარგულებზე — საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებოდნენ და მთაბარულ მეცხვარეობას ეწეოდნენ. ძროხა, ხარი და კამეჩი[10] ბარული მეურნეების უმრავლესობას გააჩნდა, ამასთან ერთად, საქართველოს ზოგიერთი კუთხის ბარულ მესაქონლეობაში ცხვრის გარკვეული რაოდენობაც იყო წარმოდგენილი, მაგრამ მისი რიცხვი მკაცრად იყო ლიმიტირებული აქაური საკვები ბაზის შეზღუდულობის გამო.

გარკვეული კანონზომიერებით იყო წარმოდგენილი მსხვილფეხა საქონლის ცალკეული სახეებიც. სამიწათმოქმედო რაიონებში საძოვრისა და სხვა გასადევარის უკიდურესი სივიწროვე მეწველი საქონლის მომშენებლობას დიდ სიძნელეებს უქმნიდა. მიდა, ქვემო ქართლისა და კახეთის, აგრეთვე კოლხეთის დაბლობის ბარული მესაქონლეობის რაიონებში მერძეული საქონლის ძირითადი დანიშნულება საოჯახო მოთხოვნილების დაკმაყოფილება იყო და ძროხის სულადობა ცალკეულ ოჯახებზე ერთეულებით განისაზღვრებოდა. მხოლოდ ზოგიერთი დიდი ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და ა. შ.) საგარეუბნო მეურნეობანი ახერხებდნენ რძის პროდუქტების გარკვეული ნაწილის გატანას ბაზარზე[11].

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მუშა პირუტყვის მომშენებლობა გარკვეულად მრავალფეროვანი გუთნეულის გამართვის აუცილებლობით იყო შეპირობებული. გარდა გუთნეულისა, ბარში მუშა პირუტყვი აუცილებელი იყო ზემოთ ჩამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებებში შესაბმელადაც[12] მიუხედავად ამისა, ბარში ცალკეულ მეურნეებზე არც მუშა პირუტყვის რაოდენობა იყო საკმარისი. ამას ემატებოდა ისიც, რომ გამწევი ძალის სულადობა საკმაოდ არათანაბრად იყო განაწილებული ცალკეულ კუთხეებში, სოფლებსა თუ კომლებზე.

ამიერკავკასიის გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის აღწერის მასალებში 1885 წ. სიღნაღის მაზრაში ერთზე მეტი მუშა საქონელი არ ჰყავდა მოსახლეობის 15%-ს, ამდენივე პროცენტი ფლობდა მხოლოდ 1—2 უღლამდე ხარს, 4—5 უღლამდე შესაბმელი ჰყავდა მოსახლეობის 2,4%-ს, ხოლო 5-ზე მეტი— 6,1%-ს. იმის გათვალისწინებით, რომ გუთნეულის გამართვას აქ 5—6 და მეტი ყვავი შესაბმელი სჭირდებოდა, მოსახლეობის მხოლოდ 6%-ს შეეძლო დამოუკიდებელი მეურნეობის წარმოება[13]. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო ძროხის სულადობის მხრივაც, რომელიც მთელს მაზრაში კომლზე საშუალოდ 3,5 სული მოდიოდა[14].

გამწევი ძალით უზრუნველყოფის მხრივ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო თელავის მაზრის სოფლებში, სადაც იმავე პერიოდში 16186 მუშა პირუტყვიდან საშუალოდ ოჯახზე თითო ხარი მოდიოდა[15]. მუშა პირუტყვის ძირითადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუკა № 8. ბარული მესაქონლეობა (XX ს. 80-იანი წლები)

1. საკარეო მეფრინეობა, 2. დაუზვარე მესაქონლეობა

ნაწილი აქაც უმცირესობის ხელში იყო თავმოყრილი. დამოუკიდებელი მეურნეობის წარმოება აქ მხოლოდ საქონლის მფლობელთა 3%-ს შეეძლო, მაშინ, როდესაც მეურნეთა 26%-ს 1—2 წყვილამდე ხარი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, პირუტყვის საერთო სიმცირისა, თელავის მაზრის ფონზე აშკარად ჩანდა მისი უპირატესი განვითარება მერძეულ საქონელთან შედარებით, რომელიც მთლიანად მხარეში 6133 უდრიდა და საშუალოდ ოჯახზე 0,8 სული მოდიოდა[16].


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
ალაზანი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკური

რის ბარის სოფლებში დაახლოებით 2—4 ხარი და 2 ძროხა[17], ხოლო დუშეთის მაზრის იმავე ზოლში კომლზე — 4,07 სული მსხვილფეხა საქონელი[18].

აღნიშნული კუთხეების იმ სოფლებში, სადაც შესაბამისი საკარგულობა ცხვრის ადგილზე მოვლა-პატრონობის საშუალებას იძლეოდა, საშუალო მეურნეობათა ცხვრის რაოდენობა ორ-სამ ათეულს არ აღემატებოდა. ბარული მესაქონლეობის პირობებში ცხვრის მოვლა-მომშენებლობის ასეთივე მაჩვენებლები ჩანს კოლხეთის დაბლობზეც, თუმცა აქაური ტყიანი ლანდშაფტის მოხერხებულობის გამო ცხვარს ხშირად ენაცვლებოდა ამავე რაოდენობისა და ზოგჯერ უფრო გაზრდილი თხის ჯოგები.

მსხვილფეხა საქონლის სიმცირემ და არათანაბარმა განაწილებამ საქართველოს ბარში გამწევი ძალისა და პროდუქტიული პირუტყვის ექსპლოატაციაგამოყენების არაერთი თავისებურება გამოიწვია. მანიშნებელია, რომ მრავალუღლიანი გუთნეულის შეკვრის ტრადიციული ფორმა — მ ო დ გ ა მ ო ბ ა[19], აგრეთვე რძის გაერთიანების თავისებური წესი ხ ა ნ უ ლ ო ბ ა,[20] სწორედ ქართლ-კახეთში შეიქმნა და ჩამოყალიბდა, სადაც მუშა და მეწველი საქონ-



სქემა 2. ბარული მესაქონლეობა

სოფ. ნარაზენის პარალელური სამეურნეო ბაზების, საძოვრებისა და გასადევარის განლაგება და საქონლის მოძრაობა.

1. ძირითადი დასახლება. 2. პარალელური სამეურნეო ბაზები. 3. მსხვილფეხა საქონლის მოძრაობა. 4. წვრილჯეხა საქონლის მოძრაობა. 5. სახნავ-სათესები. 6. სასოფლო საძოვრები. 7. ტყიან-ბუჩქნარი გასადევარი. სამეგრელო, 1969 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილუსტრაციები

Иллюстрации

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1

2

3

4

5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6

7

8

9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10

11

12

13

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14

15

16

17

ეროვნული
ბიბლიოთეკა



18

19



20

21

ეროვნული
ბიბლიოთეკა

22



23

ეროვნული
ბიბლიოთეკა

24

25

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26

27

28

29

ეროვნული
ბიბლიოთეკა

30

31

ლის მომშენებლობა ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივი მეურნეობის მოთხოვნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესაქონლეობის განვითარების დაბალი მაჩვენებლები ჩანს კოლხეთის დაბლობის, ნაწილობრივ კი მდ. რიონისა და ყვირილის აუზების ბარის სოფლებშიც. XIX ს. დასასრულს მუშა პირუტყვის სიმცირე განსაკუთრებით შესამჩნევი ყოფილა ქუთაისის გუბერნიის სოფლებში, რის გამოც ადგილ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აშკარა ჩამორჩენას[21]. აღნიშნული პერიოდის სტატისტიკური მაჩვენებლებით ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში კომლზე დაახლოებით 2—3 მსხვილფეხა საქონელი მოდიოდა[22]. იმავე მასალებით კომლზე ამდენივე საქონლის რაოდენობაა აღრიცხული ქუთაისის[23] და შორაპნის[24] მაზრის ბარის სოფლებშიც.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ კუთხეებში ჭარბმოსახლეობა და სამეურნეო სავარგულების სიმცირე კიდევ უფრო ზღუდავდა პროდუქტიული საქონლის მოშენებას, **ხოლო მუშა პირუტყვის** დაბალი ხვედრითი წონა განსაზღვრული იყო ადგილობრივი სამიწათმოქმედო სისტემითაც, რომელიც ნიადაგის თავისებური სტრუქტურის გამო არ თხოულობდა მრავალუღლიანი გუთნეულის გამართვას. სხვათა შორის გასული საუკუნის 80-იანი წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, ეს გარემოება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარული მესაქონლეობის ჯოგის სტრუქტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი ჩანს. თუ მრავალუღლიანი გუთნეულის ექსპლოატაციის რაიონებში მოზრდილი პირუტყვის 50—80% მუშა ძალაზე მოდიოდა, მაშინ ხის მსუბუქი სახვნელის გავრცელების რაიონებში მთლიანი ჯოგის რაოდენობიდან მუშა პირუტყვს 20—50%-მდე ჰქონდა დათმობილი[25]. ბარელ მესაქონლეთა ჯოგში მუშა პირუტყვის ეს თანაფარდობა სხვადასხვა გარემოებათა გამო შესაძლოა დარღვეულიყო[26], მაგრამ მისი მომშენებლობის მთავარ სტიმულს მაინც მიწათმოქმედება-მემინდვრეობის ინტერესები განსაზღვრავდა.

ამრიგად, ბარული მესაქონლეობის ეკოლოგიურ გარემოში აღმოცენებული სამეურნეო კომპლექსების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეურნეობის ამ დარგის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი — საქონლის მოვლა-პატრონობა უშუალოდ ძირითად სამეურნეო ბაზებში — სოფლისა და სოფლისპირა სავარგულებსა და გასადევარზე, საქართველოს ბარის სამეურნეო პროფილითა და საკვები ბაზის განლაგება-გამოყენების ხასიათით იყო განსაზღვრული. მართალია, მიწათმოქმედება-მემინდვრეობისა და მებაღეობა-მევენახეობის დაწინაურებული კულტურის პირობებში საქართველოს ბარულ მესაქონლეობას მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, მაგრამ თავისი ხასიათით იგი სამიწათმოქმედო მეურნეობის აუცილებელ ინგრედიენტს წარმოადგენდა და არსებითად განსაზღვრავდა გუთნითი მიწათმოქმედების მაღალგანვითარებულ ფორმებს. სამიწათმოქმედო კულტურებისა და ბაღ-ვენახების მოსავლიანობის გადიდების საქმეში ბარული მესაქონლეობა და მეცხვარეობა მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ნიადაგის განოყიერების პრაქტიკითაც, რაც ჯოგებისა და ფარების სეზონურ ადგილმონაცვლეობაზე იყო აღმოცენებული.

საკვები ბაზის შეზღუდული ხასიათი ბარული მესაქონლეობის პირობებში პირველ რიგში მსხვილფეხა საქონლის მომშენებლობის სტიმულს იძლეოდა. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მუშა პირუტყვს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იყო ადგილობრივი სამიწათმოქმედო მეურნეობა. რძის პროდუქტების ადგილზე მოხმარების აუცილებლობა განაპირობებდა მერძეული საქონლის მოვლა-მომშენებლობას, ხოლო მეცხვარეობა აქ ასევე ადგილობრივ მოთხოვნილებას პასუხობდა.

ლიტერატურა და შენიშვნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 63.

2. ვ. შამილაძე, ბარული მესაქონლეობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ საქართველოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, VI, თბ., 1978, გვ. 49.

3. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

4. კალოს, ბერასა და აგვარას შესახებ ვრცლად იხ. ს. მენთეშაშვილი, კალოობა ქიზიყში, საქ. სახ. მუზ. მოამბე, IX, 1935—1936, გვ. 59; თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობა ქვემო ქართლში, საკანდ. დისერტ., თბ., 1975, გვ. 136—137; ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, მსე, V, თბ., 1951, გვ. 14—16; მისივე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ. 1960, გვ. 96—98; ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

5. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

6. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49. მ. მაჩაბელის ცნობით, ორო-ალაზნის აუზის სოფლებში, კახეთის ბარის სხვა კუთხეების ანალოგიურად, მიწათმოქმედება და მევენახეობა-მეღვინეობაა დაწინაურებული. თუმცა ამასთან ერთად აქ იგი მესაქონლეობის განვითარებულ მდგომარეობასაც უსვამდა ხაზს (М. В. Мачабели, ЭБГК Тионетского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, Тф., 1887, с. 316). ა. არღუთინსკის მიხედვით, კახეთში საქონლის ძირითად სახეს მუშა პირუტყვი წარმოადგენდა, რომელიც გამოყენებული იყო გუთანში და სატრანსპორტო საშუალებებში. თხა-ცხვრისა და ღორის რაოდენობა და მათი შემოსავალი მკვლევარს ასევე უმნიშვნელოდ მიაჩნდა (А. А. Аргутинский, ЭБГК Телавского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, I, Тф., 1887, с. 116).

7. გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს **ხახვ**ნელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, V, 1930, გვ. 382—385; მისივე, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, ВЭК, Тб., 1952, с. 99—105; ალ. რობაქიძე, მოდგმი როგორც ექსპლოატაციის ერთი სახე ძველ საქართველოში, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 407—408.

8. მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, თბ., 1956, გვ. 70—96.

9. М. Д. Рчеулишвили, К истории овцеводства Грузии, Тб., 1953, с. 20—21.

10. კამეჩი, როგორც ძროხისა და მუშა ხარის შემცვლელი პირუტყვი, საკვლევ პერიოდში განსაკუთრებით გავრცელებული იყო კოლხეთის დაბლობისა და ორო-ალაზნის აუზის სოფლებში. ენგურის ხეობის ქვემო წელისა და ქიზიყის სოფლებში საშუალო ოჯახი 2—3 კამეჩს ინახავდა, შეძლებულ მეურნეთა ჯოგში კი იგი ხშირად 5—8 სულამდე იზრდებოდა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეკამეჩეობის განვითარების პრობლემებს წარსულში არაერთხელ ეხებოდნენ ა. ქალანთარი, ი. ანდრონიკოვი, ა. ნატროვი, ა. რიცოვი, ნ. ფონ-დერვიზი და სხვ.

11. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 52.

12. ამიერკავკასიის მსხვილფეხა მესაქონლეობაში ი. ანდრონიკოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშა პირუტყვს, რომელსაც იგი მინდვრის სამუშაოებისა და გადასაზიდი საშუალებების ერთადერთ გამწევ ძალად თვლიდა (И. З. Андроников. Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, V, I, Тф., 1888, с. 175). მუშა პირუტყვის როლი განსაკუთრებით იზრდებოდა იქ, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთ წყაროდ მიწათმოქმედება ითვლებოდა. „ჩვენი გლეხი, ჩვენი ერი მჭიდროდ არის დაკავშირებული შინაურ საქონელთან, უპირატესად ხართან და კამეჩთან..., რომლებიც დიდ თანამდებობას ასრულებენ ჩვენი ერის კეთილდღეობის შემეტებაში. დღეს ჩვენი გლეხი, თუ ვისიმე სიმდიდრის აღნიშვნა უნდა, ამბობს: ერთი-ორი გუთნეული ხარი და კამეჩი ჰყავსო... უხარ-უკამეჩო გლეხი ითვლება ღარიბ-ღატაკად“ — წერდა 1909 წ. ჟურნალ „მოსავლის“ მიმომხილველი („მოსავალი“, 1909 წ., № 6—7).

13. А. А. Аргутинский, ЭБГК Сигнахского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, IV, 2, Тф., 1986, с. 285—286.

14. იქვე, გვ. 288.

15. А. А. Аргутинский. ЭБГК Телавского уезда Тифл. губ., с. 117.

16. იქვე, გვ. 118.

17. С. В. Мачабели, ЭБГК Тифлисского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, I, Тф., 1887, с. 144—145; მისივე, ЭБГК Горийского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, VI, I, Тф. 1887, с. 226.

18. Н. К. Никифоров, ЭБГК Душетского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, 2, Тф., 1887, с. 57.

19. ა. რობაქიძე, მოდგმი როგორც ექსპლოატაციის ერთი სახე ძველ საქართველოში, გვ. 407—415. სხვათა შორის, მუშა პირუტყვის ეს ნაკლებობა და მისგან გამომდინარე მოსახლეობის

უმრავლესობის ექსპლოატაცია უმცირესობის მხრივ, საერთო მოვლენა იყო მთელს ამიერკავკასიაში, რასაც თავის დროზე ხაზს უსვამდა ი. ანდრონიკოვიც (И. З. Андроников, დასახ. ნაშრ., გვ. 177).

20. Н. Л. Абазадзе, Ханулоба — обычай соучастия в молоке, ЭО, № 3, 1898, с. 68—71.

21. მუშა საქონლის ნაკლებობამ და მისმა უარყოფითმა შედეგებმა ქუთაისის გუბერნიის მეურნეობის განვითარებაზე 900-იან წლებში მეფის ადმინისტრაციაც კი დააფიქრა. მიმომხილველები ერთხმად მიუთითებენ ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში ამ მიზეზით გამოწვეულ სერიოზულ ეკონომიურ ზარალზე (Обзор Кутаисской губернии за 1906 г., Тф., 1907, с. 32; за 1909 г., Тф. 1909, с. 34—35).

22. Д. П. Носович. ЭБГК в Сенакском и Зугдидском уездах Кутаисской губ., МИЭБГКЗК, II, 2, Тф., 1886, с. 290—295; მისივე, ЭБГК в Озургетском уезде Кутаисской губ., იქვე, I, Тф., 1893, с. 799—803.

23. Ф. Г. Марков. ЭБГК Северо-Восточной части Кутаисской губ., МИЭБГКЗК, I, Тф., 1893, с. 284—289.

24. И. Л. Бахтадзе. ЭБГК Шорапанского уезда Кутаисской губ., МИЭБГКЗК; V, 2, Тф., 1887, с. 220—253.

25. პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX XX სს., III, თბ., 1959, გვ. 557.

26. მუშა პირუტყვის მომშენებლობაზე ბარის რაიონებში გარკვეულ გავლენას ახდენდა ხარურმით საშოვარზე სიარული, რომელიც განსაკუთრებით ფართო ხასიათს ღებულობს 80-იანი წლებიდან რკინიგზის ხაზების გაყვანასთან ერთად (პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 558).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთური მესაქონლეობა

საქართველოში მ თ უ რ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს დამახასიათებელი ფორმები ისტორიულად სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში, თუშეთში, მთიულეთში, ხევში და ფშავ-ხევსურეთში შეიქმნა და ჩამოყალიბდა. ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ნიშნების მიხედვით, მეურნეობის აღნიშნული ფორმის ძირითადი დასახლებები, პარალელური სამეურნეო ბაზები და სეზონური საძოვრები გეოგრაფიულად მთიან ზოლშია განლაგებული და მათი ტერიტორიული და სამეურნეო-ორგანიზაციული დამოკიდებულება განსაზღვრავს მთური მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარეებს[1].

მთური მესაქონლეობის ძირითადი ქვესახეების — გ ა დ ა რ ე კ ვ ი თ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ა დ ა შ ი ნ ა ა ლ პ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს სტრუქტურა და სპეციფიკური ნიშნები ზონალურ თავისებურებებთან ერთად საქართველოს შუამთისა და მთის ტრადიციულად მომდინარე სამეურნეო პროფილით იყო განპირობებული[2].

გ ა დ ა რ ე კ ვ ი თ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა, რომელიც შუამთის მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სინთეზური მეურნეობის პირობებში განვითარდა, თავისი მასშტაბებით, აგრეთვე სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით, მთური მესაქონლეობის მთავარ ქვესახეობას წარმოადგენდა. გადარეკვითი მესაქონლეობა გულისხმობს ტერიტორიულად განცალკევებული შუამთის ძირითადი დასახლებებისა და მთამაღალის საზაფხულო საძოვრების სამეურნეო-ეკონომიკურ ერთიანობას, ზაფხულობით სამიწათმოქმედო კულტურების დამუშავებისა და მოსავლის მოყვანის პერიოდში საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის მოძრაობას დასახლებიდან ალპური საძოვრებისაკენ და, პირიქით, ალპური მესაქონლეობის ვერტიკალურ-ზონალურ ხასიათს, მის სეზონურობასა და ორგანიზაციულ დამოკიდებულებას ძირითად დასახლებებთან[3].

საქართველოს შუამთის გადარეკვითი მესაქონლეობის სტრუქტურულად და ტიპოლოგიურად სრულყოფილი ფორმები ხევსურეთისა და სვანეთის სამეურნეო ყოფაში დასტურდება. ადრე გაზაფხულზე სოფლად და საზამთრო საბოსლოებში ხვნა-თესვის დაწყებასა და სათიბების შემოღობვასთან ერთად, ხევსურეთის შუამთის სოფლებიდან (დათვისი, გველეთი, ბუჩუკურთა, გუდანი და ა. შ.) საქონელი მემთევრ-მენახირეების ზედამხედველობით წინა ალპების ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო-ს ა შ ე მ ო დ გ ო მ ო ს ა ბ ო ს ლ ო ებ ში გადაჰყავდათ. აპრილში საქონელი საბოსლოს საგაზაფხულო საძოვრებზე ძოვდა, ხოლო მაისის დასაწყისში, ალპური საძოვრის თოვლის საფარისაგან განთავისუფლების შემდეგ, პირუტყვს მთაში მიერეკებოდნენ. ამასთანავე, როგორც წესი, საძოვრების ქვემო საფეხურს — ს ა ფ უ რ ე||ს ა ძ რ ო ხ ე მთას ხევსურები მერძეულსა და მოზარდ საქონელს უთმობდნენ, ზემო საფეხურზე — ს ა ხ ა რ ა ვ ნ ე მ თ ა ზ ე მუშა და სასუქი საქონელი იყო გარეკილი, ხოლო მაღალი

ფერდები — ხ ო რ ხ ე ბ ი ცხვრის, ბატკნებისა და ცხენებისათვის იყო განკუთვნილი. ზაფხულის განმავლობაში აღნიშნულ საბოსლოებში სათიბებს, მარცხერი ჯიშის ხორბლეულსა და ბოსტნეულს ამუშავებდნენ. სექტემბრის დასაწყისში, მთაში აცივებასთან ერთად, საქონელს ისევ საბოსლოებში ჩამორეკავდნენ, სადაც იგი რჩებოდა ერთ თვემდე. მოსავლის აღებისა და საზამთრო საკვების დამზადებასთან ერთად საქონელი სოფლად ბრუნდებოდა, სადაც ნაყანურების ხანმოკლე გაძოვნის შემდეგ, ოქტომბრიდან მომავალი წლის აპრილამდე ბაგურ კვებაზე გადაჰყავდათ[4].

ხევსურეთის უმრავლეს სოფლებს ჰქონდა მიწათმოქმედება-მესაქონლეობის კომპლექსებით აღჭურვილი ს ა ზ ა მ თ რ ო ს ა ბ ო ს ლ ო ე ბ ი, რომლებიც დასახლების ახლოს იყო განლაგებული და სადაც ზამთრობით ადგილზე გამოსაკვებად საქონლის ნაწილს მიერეკებოდნენ. ზაფხულობით საზამთრო საბოსლოებში მოსახლეობა სათიბი მეურნეობითა და სამიწათმოქმედო კულტურების მოყვანით იყო დასაქმებული[5].

ასეთივე სისტემური თანმიმდევრობით იყო გამოყენებული სვანეთში ლაბავის სამეურნეო კომპლექსიც, რომელიც აქაც წინა ალპების საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრების როლს ასრულებდა. ალპების ქვემო ზონა — ლ ა ფ უ რ ა ლ ა ხ ვ სვანეთშიც მერძეულ და ახალმოზარდ საქონელს ეთმობოდა, ხოლო ზემო ზონა — ლ ა ხ ნ ი რ ლ ა ხ ვ ხარისა და სასუქი საქონლის საძოვრად იყო განკუთვნილი. მთის ყველაზე უკიდურეს ფერდზე — ლ ა ხ ვ სვანები წვრილფეხა საქონელს და ცხენებს მიერეკებოდნენ[6].

საქართველოს მთიანეთის, კერძოდ ხევსურეთისა და სვანეთის მთური მესაქონლეობის გავრცელებისა და განლაგების ვერტიკალურ-ზონალური კლასიფიკაციიდან ჩანს, რომ გადარეკვითი მესაქონლეობის ძ ი რ ი თ ა დ ი დ ა ს ა ხ ლ ე ბ ე ბ ი შუამთის ზონას ემთხვევა, მაგრამ ყველაზე უფრო ინტენსიურად იგი მაინც 800—1200 მმ ფარგლებშია წარმოდგენილი; ზღვის დონიდან დაახლოებით 1200—1700 მმ სიმაღლეზე აქ ლ ა ბ ა ვ ი||ს ა ბ ო ს ლ ო ს საზამთრო და საგაზაფხულო-საშემოდგომო სამეურნეო ბაზებია გამართული. ინტენსიური ტყის საფარის ზემოთ 1800—2000 მმ სუბალპური მდელოები — ს ა ფ უ რ ე მ თ ა||ლ ა ფ უ რ ა ლ ა ხ ვ ძირითადად დათმობილია მერძეული და ახალმოზარდი საქონლისათვის. 2200—2400 მმ ზემოთ მდებარე ალპური მდელოები—ს ა ხ ა რ ა ვ ნ ე||ლ ა ხ ნ ი რ ლ ა ხ ვ მუშა პირუტყვს და სასუქ საქონელს ეჭირა, ხოლო დაახლოებით 2400—2600 მმ ზემოთ მთის მაღალი კალთები — ს ა ც ხ ვ რ ე||ს ა ც ხ ო რ ე ნ ი ცხვრისა და ცხენის საძოვრად იყო გამოყოფილი. საქართველოს მთიანეთში ზონალურად ცალკე იყო გამიჯნული ბატკნის საძოვარიც — ს ა ბ ა ტ კ ნ ე ხ ო რ ხ ე ბ ი||ლ ა ხ ვ, რომელიც უშუალოდ მოსდევდა ცხვრის საძოვარს და მუდმივი თოვლის ზონამდე ვრცელდებოდა[7].

გადარეკვითი მესაქონლეობისას ალპური მეურნეობა ანალოგიური ზონალობით ხასიათდება საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც. მესხეთ-ჯავახეთში ალპური მესაქონლეობის დასახელებული ზონები ქ ვ ე შ ა მ თ ი ს ა დ ა ზ ე დ ა მ თ ი ს სახელწოდებით იყო წარმოდგენილი[8]. აჭარაში მეორე ზონა ემთხვეოდა ზ ე გ ა ნ ი ს||ფ ე რ დ ა ს მეურნეობას, ხოლო მესამე — საზაფხულო საძოვარი — მ თ ა||თ ი ს სახელწოდებით იყო ცნობილი[9], რომელიც თავის მხრივ ს ა ძ რ ო ხ ე დ, ხ ა რ ი ს ს ა წ ო ლ ა დ და ს ა ც ხ ვ რ ე დ იყოფოდა. გადარეკვითი მესაქონლეობის კომპლექსებში სტრუქტურულად მრავალფეროვანი ზონებია გამოვლენილი იმერეთში[10], თუშეთში[11], და ა. შ. იგი დადგენილია თერგისა და თეთრი არაგვის სათავეებშიც[12].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 9 მთური მესაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. გადარეკვითი მესაქონლეობა. 2. შინაალპური მესაქონლეობა.

გადარეკვითი მესაქონლეობისაგან განსხვავებით შინაალპური მეურნეობა გულისხმობს სუბალპური და ალპური ზოლის დასახლებათა და სეზონური საძოვრების, აგრეთვე სათიბების სამოსახლო-მეურნეობრივ-ორგანიზაციულ ერთიანობას, რომლის დროსაც საქონლის მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლს დასახლებებში და უშუალოდ მის სიახლოვეს განლაგებულ სამეურნეო სავარგულებზე უძღვებიან[13].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთიანეთის შინაალპური მესაქონლეობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ხევსურეთის (ლებაისკარი, ქისტანი, აჭე, როშკა), სვანეთის (კალა, უშგული, ცანა), ჯავახეთის (ფოკა, განძანი, თავფარავანი) და თუშეთის (ინდურთა, საგირთა, ეტელთა, გირევი, ფარსმა. კვავლო, დანო)მაღალმთიანი სოფლები. შინაალპური მესაქონლეობისას ამ სოფლების დასახლების მაღალი განლაგება ზღვის დონიდან ზღუდავდა სამიწათმოქმედო კულტურების მოყვანას. მთის მკაცრ კლიმატურ პირობებში, ხანმოკლე ვეგეტაციური პერიოდისას, ზოგიერთი მთური ჯიშის მარცვლეულიც კი ვერ ასწრებდა დამწიფებას. აღნიშნულ დასახლებათა მიწის ძირითადი სავარგულები ალპურ მდელოებსა და საძოვრებს ეჭირა, რომლებიც განლაგებული იყო დასახლების ირგვლივ დაახლოებით 3—5 კმ დაშორებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სათიბ მეურნეობას, რომელიც ხანგრძლივი ზამთრის პირობებში უზრუნველყოფდა ბაგური კვებისათვის აუცილებელ მარაგს. ეს გარემოება გაძორიცხავდა მეურნეობის მრავალდარგიანობას და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში წამყვან ადგილს მესაქონლეობას ანიჭებდა[14].

საქართველოს მთიანეთის გადარეკვითი და შინაალპური მესაქონლეობის გავრცელების ზონები, ზამთრის შეზღუდული საკვები მარაგის პირობებში, ძირითადად ნაკლებმომთხოვნი მსხვილფეხა მესაქონლეობის უპირატესი განვითარებით ხასიათდებოდა. მეწველი და მუშა პირუტყვის, აგრეთვე სასაპალნე და წვრილფეხა საქონლის მოვლა-მომშენებლობა აქ ადგილობრივი მეურნეობის ინტერესებთან იყო შეხამებული. ამასთან ერთად, მესაქონლეობის ხვედრითი წონა განსაზღვრული იყო როგორც საოჯახო, ასევე სააღებმიცემო მოთხოვნილების მიხედვითაც[15].

აჭარის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მესაქონლეობის ხვედრითი წონა და მასშტაბები XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისში შემდეგ სურათს იძლევა[16]. შუამთის სოფლებში (ბალსქვემო სვანეთი, ქვემო რაჭა, მდ. აჭარისწყლისა და მისი შენაკადების შუაწელი) საშუალო შეძლების ოჯახი ინახავდა 5—10 მეწველ და მოზარდ პირუტყვს, 1—2 უღელ ხარს, 3—5 ცხვარს, 1 ცხენს და ა. შ. ამ კუთხეების მთამაღალის სოფლებში (ბალსზემო სვანეთი, მთარაჭა, აჭარის მთამაღალი) იმავე კატეგორიის მეურნეობაში მეწველი და მოზარდი საქონლის საშუალო რაოდენობა იზრდებოდა 15—20 სულამდე, მუშა პირუტყვი 1—2 უღელი ხარით იყო წარმოდგენილი, ხოლო წვრილფეხა საქონელი სვანეთში (კალა, უშგული, წვირმი და ა. შ.) 40—50 სულამდე აღწევდა. აჭარასა და რაჭა-ლეჩხუმში საშუალო მეურნის თხა-ცხვრის რაოდენობა 15—20 სულს არ აღემატებოდა. სასაპალნე საქონელი მთამაღალის სოფლებში ასევე 1—2 ცხენით, ჯორით ან სახედრით იყო წარმოდგენილი.

აღმოსავლეთ საქართველოს შუამთისა და მთამაღალის სოფლებში მსხვილფეხა და სასაპალნე საქონლის მოვლა-მომშენებლობას ისეთივე თანაფარდობა გააჩნდა, როგორც ეს დასავლეთ საქართველოს მიმართაა აღნიშნული. მაგ., თუ ხევსურეთის შუამთაში (სოფ. გველეთი, დათვისი, ბარისახო, გუდანი, ბუჩუკურთა და ა. შ.) საშუალო შეძლების ოჯახი 8—10 მეწველ და მოზარდ პი-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუკა № 10 მთური მესაქონლეობა (XX ს. 30-იანი წლები)

1. გადარეკვითი მესაქონლეობა. 2. შინაალპური მესაქონლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუტყვს, 1—2 უღელ ხარსა და 1—2 ცხენსა და ჯორს ინახავდა, მთამაღალში (სოფ. ხახმატი, აჭე, როშკა, ჭიმღა, ახიელი და ა. შ.) პროდუქტიული დამოკიდებული ზარდი საქონლის რაოდენობა იზრდებოდა 20 და ზოგჯერ 25 სულამდე. მუშა პირუტყვი აქაც 1—2 უღელი ხარით იყო წარმოდგენილი, ხოლო ცხენი და ჯორი 2—3 სულს არ აღემატებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ფშავსა და თუშეთზეც[17]. მსხვილფეხა საქონლის ხვედრითი წონის საშუალო მაჩვენებელი



სქემა 3. მთური მესაქონლეობა

სოფ. ლექსურას პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და საქონლის მოძრაობა. 1. ძირითადი დასახლება. 2. სუბალპური და ალპური დასახლებანი. 3. პარალელური სამეურნეო ბაზები. 4. მეწველი საქონლის მოძრაობა. 5. მუშა პირუტყვის მოძრაობა. 6. უგვი და ახალმოზარდი საქონლის მოძრაობა, 7. წვრილფეხა საქონლისა და ცხენის მოძრაობა. 8. ყველა სახის საქონლის მოძრაობა. 9. სახნავ-სათესები. 10. სათიბები. 11. სასოფლო საძოვრები. 12. საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. 13. ტყიან-ბუჩქნარი გასადევარი· ქვემო სვანეთი, 1968 წელი.

რამდენადმე კლებულობდა ერწო-თიანეთისა და მთიულეთის იმ სოფლებში, რომელთაც არ გააჩნდათ სათანადო სათიბ-საძოვრები და საქონელს შორსმდებარე დაქირავებულ მთებზე მიერეკებოდნენ.

თუშეთი, ფშავი, მთიულეთი და ერწო-თიანეთი დიდ სხვაობას არ იძლეოდნენ მთური მეცხვარეობის მასშტაბებშიც. დასავლეთ საქართველოს ანალოგიურად, შუამთაში საშუალო მეურნის ცხვრის რაოდენობა იშვიათად აღემა-

ტებოდა ერთ ათეულს, ხოლო მთამაღალში 15—20 სულს. სამაგიეროდ მთური მეცხვარეობის მხრივ დაწინაურებული იყო ხევსურეთი. პირიქითი ხევსურეთის შუამთისა და ზოგიერთი მთამაღალის სოფლები (შატილისა და არხოტის, თემი და სხვ.), რომლებიც სარგებლობდნენ ახლომდებარე სამხრეთის მზიანი საძოვრებით, 30—40 და ზოგჯერ 100-ზე მეტ ცხვარს ინახავდნენ. შატილში საშუალო შეძლების ოჯახი 30—40 ცხვარს უვლიდა, შემძლე — 100-ზე მეტს, ხოლო ღარიბს 10—15 ცხვარი მაინც უნდა ჰყოლოდა. ანალოგიური სურათი ჩანს არხოტში, ხახაბოში და ა. შ., სადაც შეძლებულ ოჯახში ცხვრის რაოდენობა ზოგჯერ 140 სულსაც აღწევდა.

მეცხვარეობის მხრივ დაწინაურებული ჩანს აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ზოგიერთი სოფელიც. თუ მსხვილფეხა საქონლის მოვლა-



სქემა 4. მთური მესაქონლეობა

სოფ. დათვისის პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და საქონლის მოძრაობა.

1. ძირითადი დასახლება. 2. სუბალპური და ალპური დასახლებანი. 3. პარალელური სამეურნეო ბაზები. 4. მეწველი საქონლის მოძრაობა. 5. მუშა პირუტყვის მოძრაობა. 6. უგვი და ახალმოზარდი საქონლის მოძრაობა. 7. ცხვრისა და ცხენის მოძრაობა 8. ყველა სახის საქონლის მოძრაობა 9. სახნავ-სათესები. 10. სათიბები. 11. სასოფლო საძოვრები. 12. საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. 13. ტყიან-ბუჩქნარი გასადევარი. ხევსურეთი, 1975 წელი.

ჰომშენებლობით ეს კუთხეები დიდ სხვაობას არ იძლეოდნენ, მეცხვარეობას, ხევსურეთის ანალოგიურად, აქაც საკმაო ხვედრითი წონა ჰქონდა. ამასთანავე, მესხეთ-ჯავახეთის რიგ სოფლებში (ტობი, მუსხი, ტოლოში, ნაქალაქევი, მურჯახეთი, ბარალეთი და ა. შ.) მთური მეცხვარეობისას გამოყენებული იყო სოფ-

ლისპირა, სამხრეთის მზიანი საძოვრები, ე. წ. ყ ო რ უ ღ ე ბ ი, ხოლო ქვემო ქართლის სოფლებში (ბოლნისი, დარბაზი, ფოლადაური, შულავერი და ა. შ.) მესაქონლეობის ეს დარგი ტ ყ ი უ რ ი მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ი ს სახით იყო წარმოდგენილი[18]. მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ყორუღებსა და სოფლის ახლომახლო ტყეებში ზამთრობით საშუალო შეძლების ოჯახს დაახლოებით 40—50-მდე სული ცხვრის გამოკვება შეეძლო, ზოგიერთი შეძლებული მეურნე კი 100-ზე მეტ ცხვარს აზამთრებდა.

ამრიგად, მთური მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და ეკონომიკური ასპექტების კლასიფიკაცია და ტიპოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეურნეობის აღნიშნული ფორმა საქართველოს შუამთასა და მთამაღალაში ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად, გადარეკვითი და შინაალპური მესაქონლეობის უმთავრესი ქვესახეებით იყო წარმოდგენილი. გადარეკვითი მესაქონლეობის ვერტიკალურ-ზონალური ხასიათი ახლო მსგავსებას იჩენს ალპური მესაქონლეობის ზოგად თავისებურებებთან, თუმცა საქართველოს და კავკასიის სხვა კუთხეებში იგი სპეციფიკური ნიშნებითაც გამოირჩეოდა, რაც აქ მესაქონლეობა-მიწათმოქმედების სინთეზური კულტურის მაღალგანვითარებულ ფორმაში აისახა. გადარეკვითი მესაქონლეობის მიმართ ეს გარემოება ალპური მეურნეობის სტრუქტურულად მრავალფეროვანი საფეხურების დანიშნულებისა და გამოყენების პრაქტიკაში იყო ასახული. ასეთივე რეგიონული თავისებურებები გააჩნდა საქართველოსა და კავკასიის შინაალპურ მეურნეობასაც, რომელიც მთამაღალის პირობებში მესაქონლეობის აშკარა დაწინაურებით გამოირჩეოდა.

საქართველოს მთიანეთის გადარეკვით და შინაალპურ მესაქონლეობაში წამყვანი იყო მსხვილფეხა საქონლის მომშენებლობა, რომლის ხვედრითი წონა, მეურნეობის აღნიშნული დარგის საერთო უპირატესობასთან ერთად, მთამაღალში რამდენადმე იზრდებოდა. გარკვეული ადგილი ეჭირა წვრილფეხა და სასაპალნე საქონლის მომშენებლობასაც, რომელთა მასშტაბებს ალპური მეურნეობის მოთხოვნებთან ერთად ამა თუ იმ კუთხის სათიბ-საძოვრებისა და სხვა სავარგულების ხასიათი განსაზღვრავდა.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 86; მისივე, К вопросу о формах скотоводства Грузии, მაცნე, № 4, 1976, გვ. 51.

2. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 86.

3. იქვე, გვ. 86—87.

4. იქვე, გვ. 87. სვანეთის, ხევსურეთის და თუშეთის საზაფხულო საძოვრების მაღალი ზღვარი ზღვის დონიდან ზღუდავდა ალპური მეურნეობის ხანგრძლივობას და უარყოფითად მოქმედებდა საქონლის წველაზე. ამის გამო მეწველი საქონელი აქ ცალკე იყო გამოყოფილი და ალპების საშუალო და ქვემო ზოლში იდგა. ანალოგიური მდგომარეობა ჩანს ინგუშეთის ზოგიერთ მაღალმთიან ხეობაშიც. მოსახლეობის დაკვირვებით მეწველი საქონლის საძოვარი მხოლოდ იმ სიმაღლემდეა სასურველი, რომელზედაც ძროხა ზაფხულის 100 დღის განმავლობაში საშუალოდ 1 ფუთ ერბოს და 3 ფუთ ყველს იძლეოდა (В. П. Христианович, Горная Ингушия. К материалам по экономике альпийского ландшафта, Тр. Сев.-Кавказск. ассоциации НИИ, № 36, 1928, с. 114—116.

5. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

6. იქვე, გვ. 87—88.

7. იქვე, გვ. 88.

8. მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესაქონლეობა მესხეთში, „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1975, გვ. 66.

9. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მთური მესაქონლეობის საკითხისათვის საქართველოში, მაცნე № 3, 1968, გვ. 106—107; მისივე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 88.

10. გ. ჩ ი ტ ა ი ა, ზემო იმერეთი (ბაღდათის რაიონი), 1937 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, ენიმკის მოამბე, II, 3, 1937, გვ. 338.

11. М. Н. М а к а л а т и я, Скотоводство в горной части Восточной Грузии, Автореф. канд. диссерт., Тб., 1975, с. 16—17.

12. В. Н. Г е е в с к и й, О состоянии скотоводства в верховьях рек Терека и Белой Арагви, МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 275.

13. В. М. Ш а м и л а д з е, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 91.

14. В. М. Ш а м и л а д з е, К вопросу о характере альпийского скотоводства в Грузии, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“, I, თბ., 1973, გვ. 20—21.

15. В. М. Ш а м и л а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 21; მისივე, К вопросу формах скотоводства Грузии, с. 52.

16. ვრცლად იხ. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 45—48, 50, 760; მისივე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, III, თბ., 1975, გვ. 7—9; მისივე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, იქვე, IV, თბ., 1976, გვ. 21—22.

17. 1843. წ. კამერალური აღწერის მასალებით მთათუშეთის ზოგიერთ თემში მსხვილფეხა მესაქონლეობის მაჩვენებლები რამდენადმე ჩამოუვარდება ზემოთ განხილულ მონაცემებს. მაგ., საარქივო მასალებით წოვათაში ოჯახთა უმრავლესობა აშენებდა 1—4, ერთეული ოჯახები კი 5—6 სულ მსხვილფეხა საქონელს (სსცია, ფონდი 254, ანაწერი, 1, საქმე 2042, ფურც. 148). პირიქით თუშეთში საქონლის საშუალო სულადობა 7—9 სულამდეა აღრიცხული, ხოლო მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილში კი 10—20 სულამდე (იქვე, ფურც. III.). დაახლოებით ასეთივე სურათი ჩანს გომეწრისა და ჩაღმა თუშეთის მიმართაც, თუმცა აქაურ შეძლებულ ოჯახში მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 10-იდან 35 სულამდე იზრდება (იქვე, ფურც. 68, 196). უნდა ვივარაუდოთ, რომ წოვა თუშეთის მსხვილფეხა მესაქონლეობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი აღნიშნულ პერიოდში ადგილობრივი მეურნეობის ტრადიციული საფუძვლების მოშლას უნდა გამოეწვია, რაც მოსახლეობის უმრავლესობის ბარში გადასახლებასთან იყო დაკავშირებული.

18. В. М. Ш а м и л а д з е, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 93.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთაბარული მესაქონლეობა — ტრანსჰუმანსე

საქართველოში მ თ ა ბ ა რ უ ლ ი მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს დამახასიათებელ ფორმებს სამეგრელოში, კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში, თუშეთში, ფშავში, ერწო-თიანეთში, მთიულეთში და ხევში ვხვდებით. მესაქონლეობის აღნიშნული ფორმა, ცალკე აღებული რეგიონალური სისტემის სახით, წარმოდგენილი იყო ძირითადი დასახლებებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი საქონლის ჯოგის, აგრეთვე ცხვრის ფარებისა და მომვლელი პერსონალის მუდმივი მოძრაობით ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის საზაფხულო საძოვრებიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრებისაკენ და, პირიქით. მესაქონლეობის ასეთი, მობილური ხასიათის მიუხედავად მთაბარობა სტრუქტურულად მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ კავშირში იყო მიწათმოქმედებითა და მეურნეობის სხვა დარგებით დასაქმებულ ძირითად დასახლებებთან[1].

მთაბარული მესაქონლეობის ძირითადი სამეურნეო ბაზები საქართველოს ზემოთ აღნიშნულ კუთხეთა სხვადასხვა ზონებში იყო განლაგებული. ამ ბაზების სამეურნეო პროფილმა, ზონალურმა ფაქტორებმა და ტერიტორიულმა დამოკიდებულებამ საზაფხულო და საზამთრო საძოვრებთან, რაც აპირობებდა საქონლის მოვლა-პატრონობისა და მესაქონლეობის შრომის ორგანიზაციის თავისებურებებს, განსაზღვრა ტრანსჰუმანეს უმთავრეს ქვესახეობათა სპეციფიკური ნიშნები[2].

ტრანსჰუმანსეს აღმოცენებისა და განვითარების ისტორიული პროცესიდან ჩანს, რომ საქართველოში ცნობილი იყო მესაქონლეობის აღნიშნული ფორმის ყველა უმთავრესი ქვესახეობა, რაც ძირითადი სამეურნეო ბაზების განლაგების მიხედვით აქ ბ ა რ ი ს (აღმავალი), შ უ ა მ თ ი ს ა (შუალედი) და მ თ ა მ ა ღ ა ლ ი ს (დაღმავალი) მეცხვარეობისა და მესაქონლეობის სტრუქრული კომპლექსების სახით იყო წარმოდგენილი[3].

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს მთაბარული მესაქონლეობის ტიპოლოგიურ ქვესახეობათა შორის წამყვანი ადგილი შუამთის მეცხვარეობასა და მსხვილფეხა მესაქონლეობას ეჭირა. შუამთის მთაბარული მესაქონლეობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ერწო-თიანეთის (სოფ. მაგრანეთი, ქორანა, ორხევი, არტანი), მთიულეთის (სოფ. მლეთა, კაიშაური, ნადიბაანი), ხევისა (სოფ. კობი, აბანო, სიონი) და სამეგრელოს (სოფ. ფახულანი, მუჟავა, ჯგალი, კურზუ, ტალერი) მეცხვარეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა, რომელთა ძირითადი სამეურნეო ბაზები განლაგებული იყო გადარეკვით მესაქონლეობის ზონაში და სამეურნეო პროფილთ მესაქონლეობა-მიწათმოქმედების შერწყმულ, სინთეზურ ფორმას წარმოადგენდა. მხოლოდ სამეგრელოში, სადაც ტრანსჰუმანსე მსხვილფეხა მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული, წინამთიანი მოსახელობის მეურნეობის პროფილი განსაზღვრული იყო მიწათმოქმედებით და მებაღეობით[4].

XVIII ს. დასასრულამდე საქართველოს მთაბარული მესაქონლეობის სამეურნეო კომპლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მთამაღალის მეცხვარეობასაც, რომლის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს ძირითადი სამეურნეო ბაზის მთიან და უმთავრესად მაღალმთიან ზონაში განლაგება და აქედან გამომდინარე მესაქონლეობის ორგანიზაციული გაძღოლის თავისებურებანი წარმოადგენდა. მთამაღალის ტრანსჰუმანსეს განვითარება-გენეზისის სურათი მკაფიოდ ჩანს მთათუშეთის მაგალითზე, სადაც ადრეულ შუასაუკუნეებში, მთური მესაქონლეობის პირობებში შეზღუდული მეცხვარეობა განუწყვეტლივ ვეძიებდა გზებს აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო საძოვრებზე გასასვლელად[5].

საქართველოში ძირძველი ტრადიციები გააჩნდა ბარულ მეცხვარეობასაც, რომლის ძირითადი სამეურნეო ბაზები მიწათმოქმედების, მებაღეობისა და მევენახეობის უპირატესი განვითარებით, ტრადიციულად შიდა და ქვემო ქართლისა და კახეთის დაბლობზე იყო განლაგებული. აღნიშნულ ტერიტორიაზე გასული საუკუნის დასასრულამდე შემორჩენილი მეცხვარეობა მთლიანად მდ. მტკვრის, იორისა და ალაზნის აუზების საზამთრო და თრიალეთის საზაფხულო საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე იყო დამყარებული. გვიანფეოდალურ ხანაში თუშების ჩასახლებით ალაზნის ხეობაში მათი მეურნეობა არსებით ცვლილებებს განიცდის. ძირითადი სამეურნეო ბაზების გადმონაცვლებით მთამაღლიდან დაბლობში, თუშთა მეურნეობა იწყებს ჩამოყალიბებას ბარული მეცხვარეობის სახით, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მათი სამეურნეო ყოფისა და კულტურის უმთავრეს თავისებურებებზე[6].

საქართველოს ტრანსჰუმანსეს სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნები და თავისებურებები მიუთითებენ, რომ მესაქონლეობის ამ ფორმის წარმოშობა და განვითარება შეზღუდულ არეალში მიმდინარეობდა. მესაქონლეობის წლიურ ციკლში საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ერთიანმა გამოყენებამ და ძირითად სამეურნეო ბაზებში ბაგური მოვლა-პატრონობის გამორიცხვამ თავისებური დაღი დაასვა არა მარტო მეურნეობის პროფილს, არამედ დასახლების სტრუქტურას, კარმიდამოს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, შრომის ორგანიზაციის ფორმებს მესაქონლეობაში და ა. შ. ბარის, შუამთისა და მთამაღალის მთაბარული მეცხვარეობა და მესაქონლეობა ძირითად დასახლებებთან მჭიდროდ ორგანიზაციული თვალსაზრისით იყო დაკავშირებული. საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე ტრანსჰუმანსეს წლიურ ციკლს ოჯახის ერთეული წევრები — მამაკაცები უძღვებოდნენ, რომლებიც ამ მიზნით ო კ ა თ ურ ი ს ა და მ ო ნ ა რ ე ე ბ ი ს შრომის ორგანიზაციის ფორმებში იყვნენ გაერთიანებული[7].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსჰუმანსეს ძირითადი დასახლებების ბაზაზე მესაქონლეობის ორი დამოუკიდებელი ფორმის აღმოცენება, რაც ოჯახის მუშახელს შორის შრომის დანაწილების თავისებურებებს იწვევდა. ბარში, შუამთასა და მთამაღალში მამაკაცთა ნაწილი დაკავებული იყო მთაბარული მეცხვარეობით, ქალთა ნაწილი კი ბარული (ბარში), მთური გადარეკვითი (შუამთაში) და შინაალპური (მთამაღალში) მესაქონლეობით. ამასთანავე, მუშახელის ორივე კონტინგენტი მონაწილეობას იღებდა მემინდვრეობა-მევენახეობა-მებაღეობასა (ბარსა და შუამთაში) და სათიბ მეურნეობაში (მთამაღალსა და შუამთაში). საყურადღებოა აგრეთვე მთაბარული მესაქონლეობის სხვადასხვა ქვესახეობისას პარალელური სამეურნეო ბაზების — კ ა რ ე||ს ა კ ა რ ე ე ბ ი ს, ჯ ა ლ ო ნ ა||ლ ა კ ა დ ე ბ ი ს, საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრების — ი ა ზ დ ა გ ე ბ ი ს ა და სხვ. სამეურნეო-ეკონომიკური გაძღო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 11. მთაბარული მეხაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. აღმავალი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 2. შუალედი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 3. დაღმავალი მეცხვარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 12. მთაბარული მესაქონლეობა (XX ს. 30-იანი წლები)

1. აღმავალი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 2. შუალედი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 3. დაღმავალი მეცხვარეობა.

ლის თავისებურებები, რაც ასევე შრომის ორგანიზაციის გარკვეული ფორმების მეშვეობით ხორციელდებოდა[8].

XIX ს. დასასრულს საქართველოს მთაბარულ მესაქონლეობაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ტრადიციულად მომდინარე პროფილი და მიმართულება. მეცხვარეობასა და მესაქონლეობაში მეწველი საქონლის ხვედრით წონას საყოველთაოდ ცნობილი თუშური და მეგრული ყველის დამზადების ტრადიციები განსაზღვრავდა, რომელთაც საოჯახო მოხმარებასთან ერთად ფართო საბაზრო დანიშნულებაც გააჩნდათ. ნატურალური მეურნეობის პირობებში განსაკუთრებით მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა მეცხვარეობის პროდუქტებს. იგი არა მარტო აკმაყოფილებდა საკვებსა და ტანსაცმელზე მოთხოვნილებებს, არამედ მატყლის სახით კუსტარული შინამრეწველობის მასალასაც იძლეოდა. შინახელოსნობის ნაწარმს — ხალიჩებს, ფარდაგებს, ხურჯინებს, ნაბდებს, სხვადასხვა სახის შალეულსა და სხვ. ფართო მოთხოვნილება ჰქონდა ადგილობრივ ბაზრებზეც. ამასთანავე სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ფეხს იკიდებდა სამრეწველო-სასაქონლო მიმართულებაც, რაც ძირითადად სასუქი და საკლავი საქონლის მომრავლებასა და მატყლის დამზადებას ითვალისწინებდა.

აღნიშნულ პერიოდში ქართველ მეცხვარეთა და მეჯოგეთა მსხვილ, კულაკურ მეურნეობებში წინა პლანზე სწორედ ასეთი ტენდენციები იყო წამოწეული, რაც მესაქონლეობის ამ ფორმის ფართო ექსტენსიურ მეურნეობად გადაქცევის აუცილებლობას იწვევდა. ცხადია, ტრანსჰუმანსეს შორეული გადასვლებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე სასაპალნე პირუტყვის მომშენებლობასაც, რომელიც ქართველ მეცხვარეებში ძირითადად მეცხენეობაზე იყო დაფუძნებული[9].

დასავლეთ საქართველოს მთაბარული მესაქონლეობის მიმართულება ასევე განსაზღვრული იყო ადგილობრივ სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებით. კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრების შეზღუდული ხასიათი გამორიცხავდა ფართო მასშტაბის მეცხვარეობასა და ადგილზე ძირითადად მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მომშენებლობის სტიმულს იძლეოდა. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში ჭანისწყლის, ხობისა და ტეხურის ხეობების საშუალო მეჯოგე-მესაქონლეები აშენებდნენ 50—80 სულამდე მსხვილფეხა საქონელს 30—32 მეწველი ძროხით, 3—5 ცხენით, რამდენიმე ათეული თხა-ცხვრით და ა. შ. ამავე ხეობათა, აგრეთვე ენგურის ზემოწელის შეძლებულ მეჯოგეთა მეურნეობა მოითვლიდა 400—500 სულამდე მსხვილფეხა საქონელს, მათ შორის 80-მდე ხბოს, 300-მდე ძროხას, 50—60 ხარსა და 400 სულამდე თხა-ცხვარს. გარდა ამისა, აღნიშნულ ხეობათა სხვადასხვა სოფლებში ცნობილი იყო არაერთი მსხვილი მეჯოგე, რომლებიც აშენებდნენ 1000-მდე მსხვილფეხა და 2000-მდე წვრილფეხა საქონელს, 100-მდე ცხენს და ა. შ.[10]

მთაბარული მეცხვარეობის მასშტაბები კიდევ უფრო გაზრდილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობაში. ცხვრის ფარების რიცხვი და რაოდენობა განსხვავებული იყო არა მარტო ბარში, შუამთასა და მთამაღალში, არამედ ამავე ზონების ცალკეული სოფლებისა და კომლების მიხედვითაც. მაგ., მეცხვარეობით დაწინაურებულ წოვა თუშებში საშუალო მეურნის ცხვრის ფარა 300 სულს არ აღემატებოდა, პირიქით თუშეთში, გომეწარსა და ჩაღმაში კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 100—200 ცხვრით იყო წარმოდგენილი. წოვა თუშეთი კიდევ უფრო დაწინაურებული ჩანს შეძლებული მეცხვარეების მხრივაც, რომელთა მეურნეობა ხშირად 2000-მდე და მეტ ცხვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითვლიდა (ბურკიშვილები და უშარაულები სოფ. ინდურთიდან, სულხანაურები სოფ. წაროდან და სხვ)[11].

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია დიდი ჯიბუტიანების, დიდი განაანების, თიბელაანების, ჩაკოანებისა და სხვ. დიდი ოჯახები, რომლებიც XX ს. დასაწყისში 2000-მდე ცხვარს, 50—100 ცხენსა და 7—12 ძროხას აშენებდნენ[12]. მთათუშეთის დანარჩენ თემებში იმავე კატეგორიის მეცხ-


ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲠᲘᲜᲘ
ᲒᲐᲜᲐᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲗᲘᲑᲔᲚᲐᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲩᲐᲙᲝᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲒᲐᲜᲐᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲐ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲐ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲐᲡ ᲥᲕᲔᲨᲘ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲨᲘ
ᲒᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲘ

მესაქონლეობის პირობებში 2—3 ათეული ცხვრის შენახვით კმაყოფილდებოდა[13].

ჩვენი საუკუნის მიჯნაზე მეცხვარეობის მასშტაბების საერთო ზრდასთან ერთად საშუალო, შეძლებულ და დიდფარიან მეცხვარეთა ფარები რამდენად



სქემა 6. მთაბარული მეცხვარეობა

სოფ. ალვანის პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და ცხვრის მოძრაობა 1. ძირითადი დასახლება. 2. საზაფხულო და საზამთრო დასახლებანი. 3. პარალელური სამეურნეო ბაზები. 4. ყველა სახის ცხვრის მოძრაობა. 5. მშრალი ცხვრის მოძრაობა. 6. ბატკნისა და ცხენის მოძრაობა. 7. საზაფხულო საძოვრები. 8. საზამთრო საძოვრები. 9. საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრები. 10. ტყიან-ბუჩქნარი გასადევარი. 11. სახნავ-სათესები. 12. ბაღ-ვენახები. კახეთი, 1971 წელი.

მე გაზრდილა. მაგ., წოვებში ამ პერიოდში საშუალო მეურნეს 700—800 სულამდე ცხვარი ჰყავდა, ხოლო 300-სულიანი ფარის პატრონი „კუდალად“ ით-

ვლებოდა. ამ პერიოდში საგრძნობლად გაზრდილა დიდფარიანთა (ცხკარი-შვილები, ჭყოპიშვილები, ბუქურაულები და სხვ.) ცხვრის რაოდენობაც, რომელიც ზოგჯერ 5—10 ათას სულს აღემატებოდა. უთანაბრობა იყო აგრეთვე ფშავის, ხევის, მთიულეთის, ერწო-თიანეთისა და კახეთის მეცხვარეობაშიც. ირო-ალაზნის აუზის სოფლებში ბარულ მეცხვარეობას მხოლოდ გარკვეული კომლები მისდევდნენ, რომელთა ცხვრის ფარები იშვიათად აღემატებოდა 1000 სულს. მეცხვარეთა უმრავლესობას აქ 500—600-სულიანი ფარები ჰყავდა, მოსახლეობის დიდი უმეტესობა კი 1—2 ათეულ ცხვარს ფლობდა და ბარული მესაქონლეობის პირობებში უვლიდა მას[14].

მოსახლეობის შედარებით მეტი ნაწილი იყო დასაქმებული მეცხვარეობით ხევში, ფშავსა და ერწო-თიანეთში, აგრეთვე პანკისის ხეობაში. საშუალო მეცხვარეთა ფარები აქ განსაზღვრული იყო 200—300 სულით, ხოლო შეძლებულ მეურნეთა ფარა ხშირად ჭარბობდა 1500—2000 სულს. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ხევში აღნიშნული კატეგორიის მეცხვარეთა შორის გამოირჩეოდნენ დიდ-ჩიკიენთთა, ელგუჯაანთთა, ბეკურენთთა, დიდ-ოდიენთთა, ლალიტენთთა და სხვ. დიდი ოჯახები, რომელთა ცხვრის ფარები ხშირად 3000 სულამდე აღწევდა[15]. ამავე პერიოდში ფშავსა და ერწო-თიანეთში დაწინაურდნენ ერთეული კულაკური მეურნეობანი (ხუცურაულები, ჩარბოდაშვილები, ქუმსიაშვილები, ნადირაშვილები და სხვ.), რომელთა საკუთრებაში ხშირად 5—10 ათასზე მეტი ცხვარი ირიცხებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების მეცხვარეობის ხვედრით წონასა და მასშტაბებზე საყურადღებო მასალებია დაცული საარქივო დოკუმენტებსა და ლიტერატურულ წყაროებში. 1843 წ. კამერალური აღწერის მონაცემებით მთა-თუშეთში აღრიცხული 86354 სული ცხვრიდან 57019 სული წოვებზე მოდიოდა. აქ მოსახლე 252 ოჯახიდან 12 კომლი ფლობდა 1000-იდან 2000-მდე ცხვარს, 20 კომლი 500— 800-მდე, 32—300—400-მდე, 88—100—200-მდე, 57—40—100-მდე, 17 კომლი კი 30-ზე ნაკლებს[16]. პირიქით თუშეთში აღრიცხული 7466 სული ცხვრიდან ოთხი ოჯახი ფლობდა 400—500 ცხვარს, 10 კომლი—200—300, ხოლო 55 კომლი 100-ზე ნაკლებს. 220 ოჯახიდან 149 ოჯახზე საერთოდ არაა ნაჩვენები ცხვრის რაოდენობა[17]. ცალკეულ კომლთა ცხვრის სულადობა შესამჩნევ უთანაბრობას იჩენს აგრეთვე გომეწრის ხეობასა და ჩაღმა თუშეთშიც[18].

მართალია, კამერალური აღწერა არ იყო ზუსტი და უნაკლო, მაგრამ ამ ზოგადი სურათიდანაც ნათლად ჩანს წოვა თუშების საერთო დაწინაურება მეცხვარეობაში, აგრეთვე მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის ხელშესახები სურათი[19]. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავებული ჩანს 1876 წ. კამერალური აღწერის მასალებში, რომელის მიხედვითაც მთელი თუშეთის ცხვარი იმ დროს 172408 სულია და ოჯახზე საშუალოდ 175 ცხვარი მოდის. აქედან ყველაზე მეტი — 72420 სული წოვების საკუთრებაშია, რაც საშუალოდ ოჯახზე 232 სულს უდრიდა. მეორე ადგილი ფარსმის საზოგადოებას ეჭირა — 24015 სული, სადაც ოჯახზე საშუალოდ 187 სული ცხვარი მოდიოდა. მთათუშეთის ცხვრის ეს რაოდენობაც ოჯახებზე ძალზე უთანაბროდ იყო განაწილებული[20].

1886 წ. კამერალური აღწერის მასალებში მთათუშეთის ცალკეული თემების სამეურნეო პროფილი ზოგადადაა მითითებული. აღნიშნულია, რომ წოვასა და ფარსმას საზოგადოების სოფლები მესაქონლეობას მისდევენ, ხოლო ჩაღმა-გომეწარისა და დართლოს საზოგადოება — მიწათმოქმედებას[21].

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე კამერალური აღწერის მასალებზე დაყრდნობით, აღრიცხულია თიანეთის მაზრის სხვა კუთხეების ცხვრის რაოდენობაც. ფშავში აღნიშნულ პერიოდში აღრიცხული ყოფილა 71288 სული ცხვარი, ერწო-თიანეთში — 29284 სული; მაზრაში შემავალ კახეთის სოფლებში — 1798 სული, ხოლო პანკისის ხეობაში — 4780 სული. ცხვრის ეს რაოდენობა უთანაბროდ ყოფილა განაწილებული ცალკეულ საზოგადოებებზეც. მარტო არტნის საზოგადოებას ჰყოლია მთელი ფშავის ცხვრის ნახევარზე მეტი — 36758 სული, რაც კომლზე საშუალოდ 109 სულს უდრიდა. მთლიანად ფშავში საშუალოდ კომლზე 72 ცხვარი მოდიოდა, ერწო-თიანეთში — 21, კახეთში — 6, ხოლო პანკისში — 23 სული ცხვარი[22]. არაერთგზისაა მითითებული, რომ მთათუშეთისაგან განსხვავებით სხვა კუთხის კომლთა საკუთრებაში არსებული ცხვრის რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი არარეალურია, რამდენადაც აქ ცხვრის ფარები თავმოყრილი იყო ერთეული პირების საკუთრებაში. მაგ., არტნის საზოგადოებაში მეცხვარეობას მისდევდა 171 კომლი, ანუ მთლიანი მოსახლეობის 51%[23].

საინტერესო მასალებია დაცული ხევისა და მთიულეთის მეცხვარეობის ხვედრით წონასა და მასშტაბებზეც. ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, რომ ფასანაურიდან დარიალამდე მთის სოფლებში გასული საუკუნის ბოლოს 100 ათასი ცხვარი ითვლებოდა. თერგის აუზის თემებიდან აბანოს საზოგადოებაში აღრიცხული ყოფილა 6250 სული ცხვარი, რაც კომლზე 27 სულს უდრიდა, კობის საზოგადოებაში 8230 ცხვრიდან კომლზე 41 სული მოდიოდა, სიონში 14200 სულიდან — 76, სნოში 17600 სულიდან — 77, სტეფანწმინდაში 16250 სულიდან — 53. თეთრი არაგვის აუზის ცალკეულ თემებში ეს შეფარდება ასე გამოიყურებოდა: კაიშაურის სასოფლო საზოგადოებაში 18715 სული ცხვრიდან კომლზე საშუალოდ 74 სული ცხვარი მოდიოდა, ქვემო მლეთაში 4450 სულიდან — 32, ხოლო ნადიბაანთკარში 19220 სულიდან — 44[24].

ამიერკავკასიის გლეხთა ეკონომიური ყოფის ამსახველ მასალებში ჩანს აგრეთვე იორ-ალაზნის აუზის მეცხვარეობის ზოგადი მასშტაბებიც. მაგ., საკვლევ პერიოდში სიღნაღის მაზრის სოფლებში 249848 სული ცხვარი მოსახლეობის 19,2%-ის საკუთრებაშია. აქედან 15 სულამდე ცხვარი ჰყავდა მოსახლეობის 3,6%-ს, მთლიანად 1926 სული, 15—20-მდე — 3,5%-ს, მთლიანად 10625 სული, 5 — 100-მდე —4,8%-ს, მთლიანად 35415 სული, 100—300-მდე — 5,6%-ს, მთლიანად 98433 სული და 300-ზე მეტი 1,7%-ს, მთლიანად 103380 სული[25]. მეცხვარეობით დაწინაურებული ჩანს ქიყიზის სოფლებიც, სადაც მარტო ბოდბეს საზოგადოებაში აღრიცხულია 31120, მაღაროში 10839, ზემო მაჩხაანში 34009, ხოლო მირზაანში 12485 სული ცხვარი და ა. შ.[26].

აღმოსავლეთ საქართველოს მთაბარულ მესაქონლეობაში გარკვეული ადგილი ეჭირა ცხენის მოვლა-მოშენებასაც, რომელიც მეცხვარეთა შორეულ მარშრუტებზე სატრანსპორტო ძალად იყო გამოყენებული. მეცხენეობის განვითარებით გამოირჩეოდა მთათუშეთი, სადაც დიდფარიან მეცხვარეთა ჯოგი 50—100 და ზოგჯერ 150 (ედიშერიძეები, ბუქურაულები, ცისკარიშვილები, აზიკურები ს. ეთელტაში, საგირთასა და ინდურთაში, ცაძიკიძეები—ფარსმაში და ა. შ.) ცხენს მოითვლიდა. შეძლებულ მეცხვარეებს მთათუშეთში 20—30 ცხენი ჰყავდათ, ხოლო საშუალო კატეგორიის მეურნეობა 5—10 ცხენს მაინც გულისხმობდა. ერწო-თიანეთის, ფშავის, ხევის, მთიულეთისა და კახეთის დიდფარიან მეცხვარეებში ცხენის ჯოგი 50 სულს არ აღემატებოდა. ასეთივე თანაფარდობით იყო შემცირებული მეცხენეობა აქაურ შეძლებულ და საშუალო კატეგორიის მეურნეობებშიც. აღწერის მასალების მიხედვით, არაერთხელ

მიუთითებდნენ მეცხენეობის მაღალ ხვედრით წონას ქართველ მეცხვარეებში, ხოლო ზოგჯერ მთათუშეთში მეცხენეობას დამოუკიდებელ დარგადაც მიიჩნევ-დნენ[27]. მართალია, ამ შემთხვევაში მთათუშეთის მეურნეობა გადაჭარბებულ-დაა შეფასებული, მაგრამ ცხენს ადგილობრივ მთაბარულ მეცხვარეობაში მარ-თლაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ამრიგად, მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის სამეურნეო კომ-პლექსების კლასიფიკაცია და ტიპოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მე-საქონლეობის აღნიშნული ფორმისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშ-ნები — ძირითადი სამეურნეო ბაზების გამორიცხვა საქონლის მოვლა-პატრო-ნობის წლიური ციკლიდან, საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების გასარე-კად საზაფხულო და საზამთრო საძოვრების თანმიმდევრული გამოყენება, მე-საქონლეობით დასაქმებული პერსონალის შრომის გაერთიანება-ორგანიზა-ციის დამახასიათებელი თავისებურებანი და ა. შ. საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების ბარისა და მთიანეთის სამეურნეო-ორგანიზაციული ერთია-ნობის პირობებში ჩამოყალიბდა.

საქართველოს ტრანსჰუმანსეს უმთავრესი ქვესახეობანი, ბარის, შუამთი-სა და მთამაღალის მესაქონლეობისა და მეცხვარეობის სახით ძირითადი და-სახლებების სამეურნეო პროფილის, მათი ზონალური განლაგებისა და საზა-ფხულო და საზამთრო საძოვრებისადმი ტერიტორიული და მეურნეობრივ-ორგანიზაციული დამოკიდებულების ნიშნებით განისაზღვრა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ქვესახეობათა შერწყმა საქართველოს ბარულ მესაქონლეო-ბასთან, აგრეთვე მთიანეთის გადარეკვით მესაქონლეობასა და შინაალპურ მეურნეობასთან, რაც ერთი ძირითადი სამეურნეო ბაზის საფუძველზე მესა-ქონლეობის ორი — სტრუქტურულად და ტიპოლოგიურად დამოუკიდებელი ფორმის აღმოცენებისა და მათი მეურნეობის სხვა დარგებთან შერწყმის პი-რობებში შრომის დანაწილების გარკვეულ თავისებურებებს იწვევდა.

საქართველოს მთაბარული მესაქონლეობის, მეცხვარეობისა და მეცხენეო-ბის მასშტაბები, ნატურალური მეურნეობის მოთხოვნებთან ერთად იმთავითვე ითვალისწინებდა ფართო სავაჭრო და საალებმიცემო ურთიერთობას ქვეყნის შიგნით და გარეთ, რაც მსხვილი მეჯოგეობისა და დიდფარიანი მეცხვარეობის სახით განსაკუთრებით დაწინაურდა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 142.

2. იქვე, გვ. 142.

3. იქვე, გვ. 142—143.

4. ვ. შამილაძე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-ლოს ყოფა და კულტურა“, V, თბ., 1977, გვ. 22; მისივე, მესაქონლეობა სამეგრელოში, იქვე, II, თბ., 1974, გვ. 59—64.

5. ვ. შამილაძე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, გვ. 20—24.

6. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 143. ახალ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირო-ბებში დამკვიდრებასთან ერთად თუშთა მეურნეობის პროფილი მიწათმოქმედებითა და მებაღეობა-მევენახეობით შეიცვალა, თუმცა თუშები წარმატებით განაგრძობდნენ მსხვილფეხა საქონლის მომ-შენებლობასაც, მით უმეტეს, რომ ბარად მუშა პირუტყვის ყოლას მიწათმოქმედების ინტერესე-ბიც ითვალისწინებდა. ამასთანავე ქართლისა და კახეთის უმრავლესი სოფლებისაგან განსხვავებით, სადაც მსხვილფეხა საქონელს ბარის პირობებში უვლიდნენ, ალვანელი თუშები სარგებლობდნენ ალაზნის სათავეებში მეფის ხელისუფლების მიერ ნაბოძები ტბათანას საზაფხულო საძოვრებით

(იხ. Г. И. Радде, Хевсурия и Хевсури. Тф., 1881, с. 314, М. В. Мачабели, ЭБГК Тионетского уезда Тиф., губ., МИЭБГКЗК, V, Тф., 1887, с. 324).

7. ვ. შამილაძე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, გვ. 26—27; მისივე, მესაქონლეობა სამეგრელოში, გვ. 65; მისივე, მომთაბარე მეცხვარეობის ისტორიიდან საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტ. XIII რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1976, გვ. 84.

8. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

9. იქვე, გვ. 146.

10. სამეგრელოს მსხვილფეხა მესაქონლეობის ხვედრითი წონა და მასშტაბები სათანადო საველე ეთნოგრაფიული მასალებით და ლიტერატურული წყაროებით (ა. ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, ვ. ბატონიშვილი, ი. მეუნარგია, კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი, გ. რადე, ე. ლავროვი, დ. ნოსოვიჩი) განხილულია ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში (ვრცლად იხ. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, გვ. 55—65).

11. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

12. Р. Л. Харадзе, Грузинская семейная община, I, Тб., 1961, с. 103—117.

13. მეცხვარეთა განმარტებით დამოუკიდებელ მეურნედ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ის პირი, რომელსაც თუნდაც 100 ცხვარი ჰყავდა. მანამდე იგი მწყემსად ითვლებოდა და თავისი ცხვრით დიდფარიან მეცხვარეს ეკედლებოდა.

14. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

15. Р. Л. Харадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 128—137.

16. სსცია, ფონდი 254, ანაწერი I, საქმე № 2042, ფურც. 68, 148.

17. სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 2042, ფურც. 68, III,

18. აღწერის მასალებით გომეწრის ხეობის 205 ოჯახზე აღრიცხულია 15022 სული ცხვარი. აქედან 97 ოჯახს საერთოდ არ გააჩნდა ცხვარი. თითო ოჯახია დასახელებული 300, 600, 800 და 1500 სული ცხვრით, 2 ოჯახი — 500 სულიანი, ხოლო 3 ოჯახი კი 400 სულიანი ფარით. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიდან 49 ოჯახი ფლობდა 20—60 სულამდე ცხვარს, ხოლო 48 ოჯახი 100—200 სულს (სსცია, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 2042, ფურც. 68, 116). ასეთივე მდგომარეობაა ჩაღმა თუშეთის თემშიც. აქ აღრიცხული 6847 სული ცხვრიდან 43 ოჯახი ფლობდა 20—80-მდე ცხვარს, 22 ოჯახი 100-იდან 200-მდე, ხოლო სულ 5 ოჯახი 300—500-მდე ცხვარს. 150 ოჯახზე ცხვარი საერთოდ არაა აღრიცხული (იქვე, ფ. 196).

19. ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თუშეთი XVI—XIX სს. I ნახევარში, თბ., 1977, გვ. 67.

20. ვრცლად იხ. М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 461.

21. სსცია, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1729—1760.

22. М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 460.

23. იქვე, გვ. 461.

24. В. Н. Геевский. О состоянии скотоводства в верховьях рек Терека и Белой Арагвы, МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 183. გეევსკის ცნობით, საკვლევ პერიოდში სნოში, ქარქუჩში, ახალციხეში, სიონში, კაშაურში და ყანობში გამოირჩეოდა რამდენიმე დიდფარიანი მეცხვარე, რომელთა ფარები ხშირად 1—3 ათასამდე ცხვარს მოითვლიდა (იქვე, გვ. 283—284).

25. А. А. Аргутинский, ЭБГК Сигнахского уезда Тифл., губ., МИЭБГКЗК, IV, 2, Тф., 1886, с. 296.

26. იქვე, გვ. 362—363.

27. М. В. Мачабели, დასახ. ნაშრ., გვ. 435.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომთაბარე მესაქონლეობა

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს მ ო მ თ ა ბ ა რ ე მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს დამახასიათებელი ფორმები და სისტემები ძირითადად ქვემო ქართლში, კახეთში და სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ბარისა და დაბლობის ზოგიერთ რეგიონში გვხვდება. აღნიშნული კუთხეების მომთაბარეთა ყოფისა და კულტურის ძირითადი ნიშნების ანალიზიდან ჩანს, რომ ისტორიულად საქართველოს მომთაბარე მესაქონლეობა მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოების ნომადურ წესს გულისხმობდა, რომელიც არსებითად გამორიცხავდა მკვიდრ ბინადრობასა და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებას[1]. ზამთრობით ქოჩადმავალი ტომები სამომთაბაროდ იყენებდნენ ქვემო ქართლისა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა საზამთრო საძოვრებს, აგრეთვე კოლხეთის დაბლობს — მდ. ჭოროხის, ჩოლოქისა და რიონის შესართავეებში, ხოლო ზაფხულობით გადადიოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საზაფხულო საძოვრებზე[2].

საქართველოში მომთაბარე მესაქონლეობის სამეურნეო კომპლექსების გენეზისისა და განვითარების ისტორიული პროცესი თავისებური და სპეციფიკურია. ქვემო ქართლის, კახეთის თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ადრე მომთაბარე „ელის“ ტომი[3], ნაწილობრივ კი ქურთები და ხემშინები, გვიანფეოდალური ხანისათვის გადასული არიან ნახევრად მომთაბარე ცხოვრების წესზე, რის გამოც მომთაბარეობა საქართველოში ძირითადად ნ ა ხ ე ვ რ ა დ მ ო მ თ ა ბ ა რ ე მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს ტიპოლოგიური სახესხვაობითაა წარმოდგენილი მიუხედავად ამისა, საქართველოში ქოჩადმავალი მესაქონლეობისათვის დამახასიათებელია ყველა ის თავისებურება, რაც სპეციფიკური იყო მთიანი ქვეყნების მომთაბარეობისათვის[4], კერძოდ, დაბლობის საზამთრო საძოვრების ზოლში შედარებითი ბინადრობა და მიწათმოქმედებისა და მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის წარმოება, ზაფხულობით ექსტენსიურ მომთაბარეობასთან შეხამებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ადრეულ ეპოქებში შემოსახლებულმა მომთაბარეთა მეურნეობამ ახალ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებში გარკვეული ცვლილებანი განიცადა. ჩვენს პირობებში ისინი ბარისა და მთის საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მონაცვლეობით გამოყენებასა და ვერტიკალურ მომთაბარეობაზე გადავიდნენ, რაც ველის მომთაბარეობისაგან განსხვავებით, მრავალ ახალ თავისებურებას წარმოშობდა. სწორედ ეს დამახასიათებელი ნიშნები დაედო საფუძვლად შემდგომ მომთაბარეთა სამეურნეო ყოფისა და კულტურის ძირეულ გარდაქმნებსა და მომთაბარეობიდან ნაწილობრივ მკვიდრ სამიწათმოქმედო მეურნეობაზე გადასვლას[5].

საქართველოს მომთაბარეთა საზამთრო ადგილსამყოფელს ყ ი შ ლ ა ღ ე ბ ი წარმოადგენდა, რომელიც ბინადარ მესაქონლეთა საზამთრო საძოვრებისაგან განსხვავებით, საქონლის ჯოგებთან ერთად მომთაბარეთა დასახლებებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ა თ ა ღ ე ბ ი თ იყო წარმოდგენილი და მასში გაერთიანებული გარკვეული ჯგუფის—ე ლ დ ა შ ი ს სახით საძოვრის ცალკე უბანს ფლობდა. სავარაუდოა, რომ ქვემო ქართლისა და საქართველოს სხვა კუთხეების საზამთრო ადრეულ ეტაპებზე ადგილი ექნებოდა მომთაბარეთა დასახლებების ინტენსიურ ადგილმონაცვლეობას, მაგრამ საზამთრო საძოვრების შეზღუდული ხასიათისა და საძოვრების გარკვეულ გაერთიანებებზე მიმაგრების გამო, ეს სეზონური ადგილმონაცვლეობა თანდათანობით იათაღების ერთი ან უკიდურესად ორი გადაადგილებით ამოიწურებოდა[6].

ამიერკავკასიის სხვა კუთხეების მომთაბარეთა ანალოგიურად საქართველოს მომთაბარეთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ი ა ზ დ ა გ ე ბ ს, რომლებიც საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრების როლში გამოდიოდა. იაზდაგებად მომთაბარეებს გამოყენებული ჰქონდათ ქვემო ქართლის წინამთიანი გორაკ-ბორცვიანი ველები, სადაც ისინი 10—15 დღის განმავლობაში ჩერდებოდნენ და საზაფხულო საძოვრის თოვლის საფარისაგან განთავისუფლებასთან ერთად საქონლითა და მოძრავი საცხოვრებლებით მთაში შიემგზავრებოდნენ[7].

მომთაბარე მესაქონლეთა საზაფხულო საძოვრებზე — ი ა ზ-ი უ რ ტ ე ბ ზ ე (ალპური საძოვრების ქვემო ზოლი) და ი ა ლ ა ღ ე ბ ზ ე, ყიშლაღებისა და იაზდაგების მსგავსად, ქოჩადმავალი მოსახლეობაც იყო წარმოდგენილი. აღნიშნული სპეციფიკის გამო მომთაბარეთა იალაღები დასახლების სტრუქტურისა და საძოვრების ექსპლოატაცია-გამოყენების თვალსაზრისით, ძირეულად განსხვავდებოდა მთური მესაქონლეობისა თუ ტრანსჰუმანსეს დასახლებებისა და საზაფხულო საძოვრების ექსპლოატაციის ფორმებისაგან[8]. მომთაბარეთა საზაფხულო დასახლებები ა ლ ა ჩ ი ხ ი და დ ა ი ა ქოჩადმავალი მოსახლეობის იმავე გაერთიანებებზე იყო წარმოქმნილი, რომლის საფუძველსაც იათაღები წარმოადგენდა. მომთაბარეთა ეს ორგანიზაციულ-ეკონომიკური უჯრედიც საზაფხულო საძოვრების ცალკეულ უბნებს საელდაშოების სახით უწევდა ექსპლოატაციას[9].

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში სამომთაბარო საძოვრების მკვეთრ შემცირებასა და მომთაბარეებში ქონებრივი დიფერენციაციის შემდგომ გაღრმავებასთან დაკავშირებით საქართველოს მომთაბარეთა ძირითადი ნაწილი, რომელსაც აღარ შეეძლო მომთაბარე მეურნეობის წარმოება, ნახევრად ბინადრული ცხოვრების წესზეა გადასული. ქვემო ქართლის ყიშლაღები და იაზდაგები, რომლებიც სამიწათმოქმედო მეურნეობის თვალსაზრისით ხელსაყრელი იყო, თანდათანობით მომთაბარე მესაქონლეთა ძირითად სამეურნეო ბაზებად გადაიქცა, სადაც მოსახლეობამ მესაქონლეობასთან ერთად ხელი მოკიდა მიწათმოქმედებისა და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებას[10]. ბინადარი ცხოვრებისადმი ამ აშკარა ტენდენციების მიუხედავად, საქართველოს მომთაბარეთა რევოლუციამდელი ყოფა მაინც ნახევრად მომთაბარეობის ტყვეობაში დარჩა[11]. თუ ზამთრის პერიოდში იაზდაგებში დასახლებული მომთაბარეები აღარ ეწეოდნენ ქოჩადმავალ ცხოვრებას და საქონლის ჯოგს ყიშლაღებზე ცალკეული პირების მეშვეობით უძღვებოდნენ, მაშინ ზაფხულის პერიოდში მომთაბარეთა ყოფა კვლავ ოჯახებით ადგილმონაცვლეობას გულისხმობდა. ნახევრად მომთაბარეთა ძირითადი სამეურნეო ბაზები ჯერ კიდევ არ იყო მკვიდრი სამიწათმოქმედო დასახლებები, რის გამოც მას, ბინადარი მოსახლეობის ძირითად სამეურნეო ბაზების მსგავსად, არ შეეძლო მესაქონლეობის სამეურნეო-ორგანიზაციული გაძღოლა სეზონურ ბაზებზე.

რუკა № 13. მომთაბარე მესაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ა თ უ მ ი
ფ ო თ ი
ბ ა ტ უ მ ი
ქ უ თ ა ი ს ი
ბ ო ლ ნ ი
ბ ა ნ ო ვ ა
ბ ა ზ ა ლ ე თ ი
ბ ა ზ ა ლ ე თ ი
ბ ა ზ ა ლ ე თ ი

მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობის სამეურნეო კომპლექსებს საკვლევ პერიოდში ამიერკავკასიის სხვა კუთხეებში უფრო [illegible] ტური და ჩამოყალიბებული სახე გაჩნდა[12]. მკვლევართა უმრავლესობა [illegible] დური სამეურნეო ყოფის აშკარა მატარებლად ერევნის გუბერნიის ქურთებს მიიჩნევდა, რომლებიც დიდი და პატარა რადიკლისა და სხვ. საზოგადოებების სახით, კეიტ-იანიხისა და ალაგიოზის საზაფხულოებსა და მდ. არაქსის საზამთრო საძოვრებზე მომთაბარეობდნენ[13]. ამიერკავკასიის მომთაბარეთა უმრავლესობა ბინადარი ცხოვრების წესსა და ნახევრად მომთაბარულ სამეურნეო ყოფაზე იყო გადასული. ნახევრად მომთაბარული მესაქონლეობის ტიპიურ წარმომადგენლად ითვლებოდნენ ჩობანკიარას საზოგადოების თათრები, რომლებიც XIX ს. დასასრულისათვის დასახლებული იყვნენ ერევნის გუბერნიის სოფ. ზემო და ქვემო კულუბეკლიუში, ილხკორუხში და ეწეოდნენ მიწათმოქმედებასა და მებაღეობას[14].

ნახევრად მომთაბარული ცხოვრების წესისა და სამეურნეო ყოფის მტკიცე ტენდენციები გააჩნდათ აგრეთვე ელისავეტპოლის გუბერნიის სოფ. ბოზანგალში, ჯირდახანში, კირიხლიში, ჯლოვდარლიში, ბაირამლიში, ოკსიუზლში, დაღლიარში და სხვ. დასახლებულ თათრებს[15], აგრეთვე აზერბაიჯანის მთიანეთის სოფ. ბოზლუში, ზეილიკში და სხვ. დამკვიდრებულ ქურთებს, რომლებიც მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებით, მებაღეობითა და მებოსტნეობითაც იყვნენ დასაქმებული[16].

საქართველოს მომთაბარე მესაქონლეობის პროფილისა და მიმართულების შესახებ წყაროები ძალზე ძუნწია. აღნიშნულ პერიოდში მომთაბარე მესაქონლეობა წარმოდგენილი იყო როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლით, რომელთა შორისაც წამყვანი ადგილი პროდუქტიული მიმართულების ძროხეულისა და ცხვრის მოვლა-მოშენებას ეჭირა. გარდა ამისა, მომთაბარეები აშენებდნენ აქლემს, სახედარს, ცხენს და ნაწილობრივ კი კამეჩს. აქედან უპირატესობა ენიჭებოდა პროდუქტიულ საქონელს. მესაქონლეობისა და მეცხვარეობის პროდუქტებს — რძეს, ხორცს, ყველს, მატყლს, ტყავსა და ა. შ., საოჯახო მოთხოვნილებასთან ერთად საბაზრო დანიშნულებაც გააჩნდა, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნული მიმართულების პირუტყვის მოშენებას.

ხელშესახებად განსხვავებულია ამავე პერიოდის საქართველოს მომთაბარეთა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მომშენებლობის ხვედრითი წონა და მასშტაბებიც. ქვემო ქართლის ნახევრად მომთაბარე სოფლებში მესაქონლეობის ფართო განვითარებით გამოირჩეოდა სოფ. ალგეთი, დარბაზი, ფახრალო, სარჩალო, მუღანლო და ა. შ. საშუალო კატეგორიის მომთაბარე აშენებდა 10—15 მსხვილფეხა საქონელს, რომელშიც 8—10 მეწველი ძროხა ითვლებოდა. გარდა ამისა, მას ჰყავდა 1—2 უღელი ხარი, 1—2 უღელი კამეჩი, 80—100 ცხვარი და 1—3 ცხენი ან 1—2 აქლემი. შეძლებული მეურნის ჯოგი მოითვლიდა 20—25 მსხვილფეხა საქონელს, 4—5 წყვილ ხარს, 5—6 მეწველსა და ხარკამეჩს, 200—300 ცხვარს, 2—3 აქლემს და ა. შ. მდიდარი მომთაბარის მეურნეობა აღემატებოდა 1000 სულ ცხვარს (სულეიმანოვები და სავქულოვები სოფ. ქურთლარიდან, ახმედოვები — ალგეთიდან, აიბოვები — ქაფანახჩიდან და ა. შ.), 50—60 მსხვილფეხა საქონელს, 8—10 წყვილ, ხარს, 10-მდე კამეჩს, 20—25 ცხენს, 8—10 აქლემს და ა. შ. ქვემო ქართლის მომთაბარეთა შორის აშკარად გამოირჩეოდა ღარიბი (2—3 ძროხა, 5—10 ცხვარი, 1—2 ხარი, 1 სახედარი და ა. შ.) და უღარიბესი ფენა, რომელსაც საერთოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გააჩნდა საქონელი და მდიდარ მომთაბარეესთან მოჯამაგირედ იყო შეკედლებული[17].

მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობა საგრძნობლად ბულობდა იორ-ალაზნის აუზის მომთაბარეებში, რაც მათ განკარგულებაში არსებული იალაღების სიშორით და შეზღუდულობით უნდა აიხსნას. ამავე მიზეზებით იყო შემცირებული დასავლეთ საქართველოს მომთაბარეთა ჯო-

სქემა 7. მომთაბარე მესაქონლეობა

ს. ალგეთის სეზონური საძოვრების განლაგება და ნახევრად მომთაბარეთა მოძრაობა.
1. ნახევრად მომთაბარეთა დასახლება. 2. ნახევრად მომთაბარეთა სეზონური მოძრაობა. 3. ყიშლაღები. 4. იაზდაგები. 5. იაზ-იურტა. 6. იალაღები. ქვემო ქართლი, 1973 წელი.

გის შემადგენლობაც, რომელთა გასაჭირს არა მარტო იალაღების, არამედ ყიშლაღების უქონლობაც ემატებოდა. კახაბრის ველსა და კოლხეთის დაბლობზე ქურთ და ხემშინ მესაქონლეებს ჯოგში საშუალოდ 8—10 მსხვლფეხა საქონელი, 1—2 ხარი, 80-მდე ცხვარი და 1—2 ცხენი ჰყავდათ. რაოდენობრივად შემცირებული იყო შეძლებული მომთაბარის საქონლის რიცხვიც, რომელთა ფარა იშვიათად სჭარბობდა 1000 სულს. ასეთი მრავალრიცხოვანი ფარები ამ რეგიონში არც საზაფხულო და არც საზამთრო საძოვრებზე არ გაიმართებოდა[18].

საქართველოს მომთაბარე მესაქონლეობის ხვედრითი წონისა და მასშტაბების შესახებ წყაროები ზოგადი ხასიათისაა. მაგ., ლიტერატურაში მოცემულია ქვემო ქართლის მომთაბარეთა ძირითადი რეგიონის — ბორჩალოს მაზრის საქონლის საერთო რაოდენობა, რომლის მიხედვითაც აქ მთლიანად აღრიცხულია 134073 სული მსხვილფეხა და 413454 წვრილფეხა საქონელი,

12752 ცხენი, 2936 ჯორი და სახედარი და 14493 ღორი. საქონლის მთლიანი რაოდენობა 577708 სული განაწილებული იყო მაზრის 96336 სულ. მცხოვრებზე[19]. ასევე ზოგადი ხასიათისაა ცნობები, რომლებიც ეხება ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებზე ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან ყოველწლიურად მორეკილი ცხვრისა და საქონლის საერთო რაოდენობას[20].

ამრიგად, საქართველოს მომთაბარე მესაქონლეობის ტრადიციული კომპლექსების შედარებით-ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მესაქონლეობის აღნიშნული ფორმა, რომლის საერთო დამახასიათებელ ნიშანს მოსახლეობის ცხოვრებისა და მეურნეობის ნომადური წესი წარმოადგენს, ძირითადად ქვემო ქართლში, კახეთში და სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში გვხვდება. საქართველოს მომთაბარეთა ძირითადი ნაწილი XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისში ნახევრად მომთაბარე ყოფაზეა გადასული. მართალია, მათთვის დამახასიათებელი ჩანს მომთაბარეობისა თუ ნახევრად მომთაბარეობის უმთავრესი ნიშნები, მაგრამ კავკასიის ახალ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებში ამ ნიშნებს ველის ნომადიზმისაგან განსხვავებით გარკვეული ტრანსფორმაციის კვალი აზის. ეს ცვლილებები ასახულია საქართველოსა და კავკასიის მომთაბარეთა ვერტიკალურ-ზონალურ მომთაბარეობაზე გადასვლისა და ყიშლაღების, იაზდაგებისა და იალაღების დასახლების, მფლობელობისა და ექსპლოატაცია-გამოყენების თავისებურებებში.

მომთაბარე მესაქონლეობის ფართო განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები ქვემო ქართლის „ელის“ ტომს გააჩნდა. აქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მომთაბარეთა მესაქონლეობა ძირითადად მსხვილფეხა და წვრილფეხა პროდუქტიული პირუტყვის მოშენებას გულისხმობდა. რაც ნატურალურ მოხმარებასთან ერთად ძირითადად საბაზრო დანიშნულებისათვის იყო გამიზნული. საკვლევ პერიოდში ადგილი აქვს მომთაბარეთა შორის მსხვილი კულაკური მეურნეობის დაწინაურების მრავალ ფაქტს, რაც ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შემოჭრის საერთო კანონზომიერებიდან გამომდინარეობდა.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 191—192. ნომადური ცხოვრების წესისა და სამეურნეო ყოფის უცხო ბუნება, ჩვენში მისი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, XIX ს. ქართულ საზოგადოებრივ აზრს ჩვენი სინამდვილისათვის სრულიად შეუთავსებლად მიაჩნდა. აუარება საქონელი თავისი პატრონებით, ურმებზე დაბარგებული ბარგი-ბარხანით, ცოლ-შვილით და ფრინველით მიემგზავრება საოთკენლაც. პირველ ნახვაზედ უეჭველად ასე იფიქრებთ: ეს ხალხი ვიღაცას აუყრია, გამოუდევნია და ეხლა მიდის სადღაც ახალი სამშობლოს საძებნელად... საქართველოს მიდამოებში ასეთი ადგილი ბევრი არ მოიპოვება, ქართველი ერის ცხოვრებაში ხომ სულ არაა ამისთანა მოვლენა“ — წერდა შ. არაგვისპირელი (იხ. მისი., შინაური საქონლის მოვლა-მოშენება, „მოსავალი“, 1909 გვ. 15).

2. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1956, გვ. 143.

3. ვახტანგ VI, დასტურლამალი, ტფ., 1886, გვ. 75. ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941, გვ. 51.

4. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 192; მისივე, К вопросу о формах скотоводства Грузии, მაცნე, № 4, 1976, გვ. 57—58.

5. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მომთაბარეობის აღმოცენებისა და განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ კავკასიაში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა," VII, თბ., 1979, გვ. 68.

6. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 192—193.

7. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 65.

8. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 193—194.

9. იქვე, გვ. 194.

10. В. М. Шамиладзе. დასახ. ნაშრ., გვ. 194. აღნიშნულ პერიოდში საზამთრო საძოვრების — ყიშლაღების ტერიტორიაზე მოხდა აგრეთვე ანატოლიაში მომთაბარე მეჯოგეთა მასიური დასახლებაც (X. de Planhol, Geographi, Politic and Nomadisme, ISSJ, UNESCO, XI, № 4, 1959, p. 256).

11. ითვალისწინებდა რა მომთაბარეთა მეურნეობის მოწესრიგების აუცილებლობას, ილია ჭავჭავაძე ამჩნევდა, რომ ცარიზმის ხელისუფლებას ამ პრობლემის რეალური გადაწყვეტის საშუალებანი არ გააჩნდა. ამავე დროს იგი „ელის" ტომთა მოხეტიალე ცხოვრებას ნაწილობრივ მომთაბარეობის შინაგანი ბუნებითაც ხსნიდა. „ჩვენებური თათარი უფრო ეული კაცია, ვიდრე ფეხმოკიდებული მკვიდრი ბინადარი — წერდა იგი. — ადგილიდან ადგილზე გადასვლა, ერთი ბინიდან აყრა, მეორეზე ხელახლა დაბინავება არამცთუ ეადვილება, თითქმის ჩვეულებად აქვს გამხდარი. ეს გაადვილებული აყრა-დაყრა ხშირად იქამდე მიდის, რომ მთელი სოფელი დღეს რომ აქ არის, ხვალ იმ ადგილას სოფლის ნატამალიც არ ჩანს, აყრილა და სხვაგან გადასულა დედა-ბუდიანად... თათარი უფრო მწყემსია, გარეთ მოარული, ვიდრე შინ მჯდომი მუშაკაცი. თათარი მწყემსად გადის მთელი თავისის სახლობით, წვრილი შვილით, დედა-წულით. საცა სამწყესოს საძოვარია იქ მისი ბინაა" (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები, თხზ., VI, თბ., 1956, გვ. 217).

ილია ჭავჭავაძის ეს შეხედულება ჩვენს პირობებში მომთაბარეობის ზოგადი შეფასების თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას.

12. И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношении в Азербайджане и Армении в XVI—начале XX в., Л., 1949, с. 66, 95.

13. В. Ф. Каменский, Кейты-Яныхские эйлаги Новобаязетского уезда Эриванской губ., МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 320—321; А. А. Калантар, Алагезские летние пастбища Александропольского и Эчмиадзинского уездов Эриванской губ., МУКЛЗПИСК, III, Тф., 1895, с. 15, 24—26.

14. А. А. Калантер, დასახ. ნაშრ., გვ. 15—20.

15. Х. А. Вермишев, Джейранчельские зимние пастбища Элисаветопольского и Казахского уездов Элисаветопольской губ., МУКЛЗПИСК, II, Тф., 1890, с. 169—170.

16. А. С. Букшпан, Азербайджанские кудры, Баку, 1932, с. 15, 19.

17. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

18. იქვე, გვ. 195—196.

19. А. Д. Ерицов, ЭБГК Борчалинского уезда Тифл., губ., МИЭБГКЗК, VII, Тф., 1887, с,. 481—482.

20. А. А. Аргутинский, Скотоводство в Борчалинском уезде Тифл., губ., КСХ, № 91, 1895, с. 1553. ბ. ვოზიანოვი ასახელებს მომთაბარეთა გაერთიანების საქონლის საერთო რაოდენობას, სადაც 8—10 ოჯახი შედიოდა. რამდენადაც ასეთი გაერთიანება საშუალო კატეგორიის მომთაბარეთა თავშეყრას გულისხმობდა, გაერთიანების მთლიანი საქონლიდან ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 10—15 მსხვილფეხა საქონელი, 30—40 ცხვარი, 1—2 ხარი და ა. შ. (П. И. Возянов. Данные по скотоводству в Борчалинском уезде, КХ, № 29, 1894, с. 509). ვოზიანოვს მითითებული აქვს დიდფარიანი მომთაბარეებიც, რომელთაც 1000 სულზე მეტი ცხვარი გააჩნდათ (იქვე, გვ. 510).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესაქონლეობის მარშრუტები

საქართველოს მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ტიპოლოგიურად მრავალფეროვანი ფორმებისა და სისტემების სამეურნეო-ეკონომიკური და ორგანიზაციული გაძღოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქონლისა და ცხვრის გადასარეკ ტრადიციულ მარშრუტებს. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებსა და ზონებში განლაგებული ბარული, მთური, მთა-ბარული და მომთაბარე მესაქონლეობის სტრუქტურულად რთულ სისტემათა ძირითადი დასახლებების, სეზონური საძოვრებისა და სამეურნეო ბაზების დამაკავშირებელი ეს უმთავრესი არტერიები, მესაქონლეობის აღნიშნულ ფორმათა ტიპოლოგიური სახესხვაობის შესაბამისად განსხვავებული მანძილით, აღნაგობით, ფუნქციებითა და დანიშნულებით ხასიათდებოდნენ. თუ მთური მესაქონლეობის მარშრუტები შუამთის ზონიდან მთიანეთისაკენ გამავალ ხეობათა შიგნით მდებარე გზა-ბილიკებს მიუყვებოდა, ძირითადად 1—2 დღის სავალს არ აღემატებოდა და რამდენადმე რთული ხასიათის სადგომებს არ საჭიროებდა[1], მაშინ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში მდებარე საზამთროებიდან მთიანეთის საზაფხულოებისაკენ, სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხების ტერიტორიაზე გამავალი, მთაბარული მესაქონლეობის ტრასები ხშირად 20—25 დღის სავალს აღწევდა და გზის გარკვეულ მონაკვეთებზე მეტნაკლებად კომპლექსური ხასიათის ღამისსათევების გამართვას მოითხოვდა[2]. ამავე დროს ეს მარშრუტები ძირითადად საქართველოს ბარისა და მთიანეთის, აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხებთან საურთიერთო სამიმოსვლო გზებსა და უღელტეხილებს გასდევდა, თუმცა გარკვეულ მონაკვეთებზე იგი მხოლოდ საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების სეზონური მოძრაობის სპეციფიკის გათვალისწინებით იყო გაკვალული.

XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის საქართველოს ბარის სამეურნეო პროფილის სპეციფიკისა და მესაქონლეობის დაბალი ხვედრითი წონის გამო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის საკლასიფიკაციო სისტემაში ბარული მესაქონლეობის მარშრუტები ძალზე მკრთალადაა წარმოდგენილი. სოფლისა და მის ახლომდებარე ჭალისპირებში, სახნავ-სათესებზე, ანეულ და ნასვენ სავარგულებზე თუ ტყიან-ბუჩქნარ საძოვრებზე, სოფლის გაერთიანებულ ნახირსა და ცხვრის ფარებს ძირითადად სასოფლო გზა-ბილიკებითა და ორღობეებით მიერეკებოდნენ, რომელთა რუკაზე გატანა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს ბილიკები გარკვეულად გეზს იცვლიდა სოფლად ხვნა-თესვის დაწყებისა და ბაღ-ვენახებისა თუ სათიბების დაცვასთან ერთად, თუმცა ამ შემთხვევაშიც, ამ მიზნით, იგივე სასოფლო სამიმოსვლო გზები იყო გამოყენებული. ამდენად ბარული მესაქონლეობის პირობებში მეტნაკლებად დადგენილი და განსაზღვრული მესაქონლეობის მარშრუტები იშვიათობას წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის გადასარეკ გზა-ბილიკთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი მთური მესაქონლეობის მარშრუტები გახლდათ. სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, მთიულეთის, ფშავ-ხევსურეთის, ხევისა თუ თუშეთის შუამთისა და მთამაღალის სოფლებიდან ხეობათა სათაურებში მდებარე საზაფხულო საძოვრებისაკენ ურიცხვი გზა-ბილიკები გადიოდა, რომლებზედაც ცალკეული სოფლებისა თუ ხეობების გაერთიანებულ ნახირს მიერეკებოდნენ. კერძოდ, მთარაჭის სოფელ ჭიორადან და ღებიდან რიონის სათავეების საზაფხულო საძოვრებისაკენ გამავალი სარწივისძირის გზა მდ. რიონის სანაპიროებს მიუყვებოდა, გაივლიდა თევრეშოს, ჩვეშოს, ბრილს, ზოფხითოსა და სარწივისძირში გადადიოდა. ამ ძირითადი გზიდან უხვევდა აგრეთვე ტრასა შუკაჭალის საზაფხულო საძოვრებისაკენ, რაც ადგილზე შუკაჭალის გზის სახელწოდებით იყო ცნობილი[3].

ასეთივე მოკლე მარშრუტებით მოძრაობდნენ აჭარაში ჭვანის ხეობის მესაქონლეებიც, რომელთაც საზაფხულო საძოვრები თაგინურისა და ძელგორის მთაზე ედოთ. აქაური ნახირი მიუყვებოდა მდ. ჭვანისწყლის სანაპიროებს, გაივლიდა წყლისაყარს, ნაღვარევს, ძელგორსა და თაგინურის გზით საზაფხულო საძოვრებზე გადიოდა[4]. რა თქმა უნდა, შეუძლებელია კონკრეტულად ჩამოვთვალოთ მთური მესაქონლეობის ყველა ეს მარშრუტი, მაშინ, როდესაც მარტო მთა აჭარის სტრუქტურულად რთულ სამეურნეო კომპლექსებში საქონლის გასარეკთა რაოდენობა სამ ათეულზე მეტ გზა-ბილიკს მოითვლიდა.

მტკიცედ განსაზღვრული და დადგენილი იყო საქართველოს ბარის საზამთროებიდან ალპურ საძოვრებამდე გადაჭიმული მთაბარული და მომთაბარი მესაქონლეობის მარშრუტები, რომლებზედაც ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე საქონლისა და ცხვრის ურიცხვი ჯოგები და ფარები მოძრაობდნენ. საკვლევ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის საზამთროებიდან თრიალეთისა და ცენტრალური კავკასიონის საზაფხულო საძოვრებისაკენ ცხვრის გადასარეკი ორი ძირითადი ტრასა გადიოდა, რომელთაც გარკვეულ უბნებზე ცალკე განშტოებები გააჩნდათ.

პირველი მარშრუტით, ანუ თრიალეთის გზით შირაქის, ელდარის, სამუხის, ტარიბანას, ნაზარლებისა და სხვა საზამთრო საძოვრებიდან თრიალეთის საზაფხულო საძოვრებისაკენ მეცხვარეები ფარებს მიერეკებოდნენ წითელწყაროს, თავწყაროს, ლაკბეს, შიბლიანის, სამგორის, რუსთავის, იაღლუჯას, მარნეულის, სანდარას, წინწყაროს, თეთრიწყაროს, ბედნიყელის, გოხნარისა და წალკის გავლით, საიდანაც ისინი ადიოდნენ ჭოჭიანში და ნაწილდებოდნენ თრიალეთის საზაფხულო საძოვრების სხვადასხვა უბნებზე — ფარავნის, საღამოსა და ტაბაწყურის ტბების მიმართულებით[5]. ჩათმის მიდამოებიდან რუსთავამდე ცხვარი ამოდიოდა ბერებისწყლის გზით — დონღუზდარას, ბერებისწყლის, აჯიას, ჯანგირსუსა და ყარადუზის გავლით, შემდეგ კი უერთდებოდა თრიალეთისაკენ მიმავალ მთავარ ტრასას. დმანისის მიმართულებით მიმავალი ცხვარი მარნეულამდე მოდიოდა ზემოთ აღნიშნული მარშრუტით, აქედან კი ვარდისუბნის გზით გადიოდა ბოლნისში, ვარდისუბანსა და დმანისში, საიდანაც ფარები ჯავახეთის ქედის საძოვრებზე გადაჭყავდათ.

მეორე მარშრუტით, ანუ მთათუშეთის გზით აღნიშნული საზამთროებიდან ცენტრალური კავკასიის საზაფხულო საძოვრებისაკენ ცხვრის ფარებს მიერეკებოდნენ წითელწყაროს, თავწყაროს, წნორის წყლის, გურ-

რუკა № 15 მესაქონლეობის მარშრუტები (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. მთური მესაქონლეობის მარშრუტები. 2. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები. 3. მომთაბარე მესაქონლეობის მარშრუტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუკა № 16. მესაქონლეობის მარშრუტები (XX ს. 80-იანი წლები)

1. მთური მესაქონლეობის მარშრუტები. 2. მთამბრუნული მესაქონლეობის მარშრუტები. 3. მოძთამბარე მესაქონლეობის მარშრუტები.

ჯაანის, აკურას, წინანდალის, კონდოლის, თელავის, რუისპირის, ველისციხის, იყალთოს, ხოდაშენისა და ალვანის გავლით. აქედან მეცხვარეები გადიოდნენ წინა გორის, ქოჩადალის. ქოჩადალის ხევის, ლამაზურის გორის, იშურეულ-ჩოს, რკინის მთის, წიფლოვანის ხევის, კუპრაბალინჩოს, მაჟორის უღელტეხილის, პატარა წიფლოვანის ხევისა და ბრუდგორის უღელტეხილის გზა-ბილიკებზე. ბრუდგორიდან მეცხვარეები გადადიოდნენ ალაზნისთავში, საიდანაც ნაროვანის გზით ცხვარი გადიოდა პირიქით თუშეთში, ხოლო შავი წყლის და წოვათის გზის გავლით წოვათში[7].

ცენტრალური კავკასიის საზაფხულო საძოვრებისაკენ გამავალი ეს რთული ტრასა მეცხვარეებს გზად უამრავ სირთულეებს უქმნიდა. კერძოდ, მთათუშეთში, მეცხვარეთა დიდ ბინებში მიმავალი ცხენის ჯოგი, „რკინის მთის გამოსვლამდე“ საზამთროებში რჩებოდა, რადგანაც ამ და სხვა უღელტეხილებზე გაზაფხულზე თოვლი იდო და ცხენი ვერ გადიოდა. ფარას მიყვებოდა 4—5 ცხენი პირველ დღეებში საჭირო სურსათ-სანოვაგის ასატანად. რკინის მთასთან ცხენებს ტვირთს ხსნიდნენ, მეცხვარეები ინაწილებდნენ და ზურგით მიჰქონდათ. ცარიელი ცხენი როგორმე აჰყავდათ მთაზე, ნაბდებით კრავდნენ და ადრე დილით გაყინულ თოვლზე აცურებდნენ[8]. ცხენის ჯოგის გადარეკვის აუცილებლობის შემთხვევაში იყო სხვა გამოსავალიც. მეცხვარეები ალაზნისთავში გასასვლელად იყენებდნენ მეორე გზას, კერძოდ კუპრაბალინჩოდან ცხენებს ბარგს ხსნიდნენ და მშრალგორის ან წიფლოვანის გზის გავლით საყორნეში, აქედან კი ალაზნისთავში მიერეკებოდნენ. ბარგი მეცხვარეებს რკინის მთამდე აქაც ზურგით გადაჰქონდათ.

ზემოთ აღნიშნული მარშრუტები შესამჩნევად იზრდებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც თუში მეცხვარეები ფარების გასაზამთრად აზერბაიჯანის ველის საძოვრებს ქირაობდნენ. მაგ., შირვანის საზამთრო საძოვრებიდან შირაქსა და ელდარამდე ტრასა გადიოდა აჟინაურის გზით, აჯიკაბულის, სიღირის, ქურდამირის, გეოგჩაის, დახნას, აჟინაურის, საგირის, აგრიჩაისა და საბათლოს ბორანის გავლით, საიდანაც მეცხვარეები გზას აგრძელებდნენ ზემოთ დასახელებული მარშრუტებით[9].

განსაკუთრებით ძნელი და საშიში გზებით უხდებოდათ მოძრაობა მეცხვარეებს ყიზლარის საზამთრო საძოვრებისაკენ. პირიქით თუშეთის, წოვასა და ალაზნისათვის საზაფხულო საძოვრებიდან ყიზლარის საზამთროებისაკენ თუში მეცხვარეები ფარებს მიერეკებოდნენ საქისტოს გზით —ქერიგოს უღელტეხილით, ჰილდიხაროის, ითუმყალეს, შატოის, აათაღის, შობოთის, გროზნოს, თერგისა და იშორის გავლით, აქედან გადიოდნენ დასავლეთით კუმაზე, საიდანაც იშლებოდნენ ყიზლარის საზამთრო საძოვრების სხვადასხვა უბანზე[10]. იმავე საძოვრებისაკენ მთიულეთის, გუდამაყრისა და ხევის მეცხვარეები ხშირად მიჰყვებოდნენ საქართველოს სამხედრო გზას. ამ შემთხვევაში მეცხვარეებს დარიალის გზის გავლით ფარები ორჯონიკიძეში ჩაჰყავდათ, საიდანაც ყიზლარისაკენ იღებდნენ გეზს.

აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის უმთავრეს ტრასებთან ერთად აღსანიშნავია ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე ლოკალური მარშრუტებიც, რომლებიც ზოგჯერ გარკვეულ მონაკვეთებზე ძირითად ტრასებს უერთდებოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლეთ საქართველოს საზამთროებიდან გამავალი გზა ფშავის მთებამდე, რომელიც ალვანამდე ზემოთ აღნიშნულ პუნქტებს გაივლიდა, ხოლო აქედან ილტოს გზით გადადიოდა ფშავის მთებში. პანკისელი მეცხვარეები ალვანიდან ალაზნის სათავეების ცალკეულ საძოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზე, კერძოდ ჭიქაურასა და ნაქერალზე ფარებს ძიერეკებოდნენ ჭ ი ქ ა ურ ა ს გ ზ ი თ ომალოდან ჯოყოლოს, ქისტაურას, ქორთა ბუდეს, ხორაჯოსა და ჩხათანას გავლით, ხოლო ის მეცხვარეები, რომლებსაც დაღესტნის საზაფხუ-


ბანარა
ბინარი
ბოლოდა
ბოლოდა
ბორეული
ბორეული
ბორეული


ოსეთი
ზიხეხიური
ბრილი
ხოფეთი
ოფეთები
ლები
ფაცალა
ფაცალა
ბოლოთი
ბოლოთი
ბოლოთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოდბისხევს, კარდანახს და სიღნაღ-თელავის გზატკეცილით ადიოდა ალ-ვანში. უ კ ა ნ ა მ ხ ა რ ი ს გ ზ ა შირაქიდან გადიოდა მირზაანში, გაივლიდა

სქემა № 10 მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები

მთათუშეთის ცხვრის გადასარეკი ტრასა ნაროვანისა და წოვათის განშტოებებით.
თუშეთი, 1971—1974 წლები.

მაჩხაანს, ბოდბისხევს, ბოდბეს, მაღაროს, გადადიოდა მდ. იორის შენაკადებზე და ჩაუვლიდა დამპალასა და მანავს, საიდანაც იყოფოდა ორად: ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა გადიოდა საგარეჯოს, მეორე კი მანავის თავის გავლით. ორივე ეს ტრასა ერთდებოდა გომბორის მთაგრეხილზე კერძოდ, ცივის მთაზე, აქედან ალვანის ველამდე მეცხვარეები სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ. ამ გზებიდ[illegible] თადად დადიოდნენ ფშავის, ერწო-თიანეთისა და თუშეთის ის მეცხვარეები, რომლებიც ვერ სარგებლობდნენ ალვანის ველით და ტრასაზე ფარების გასარეკად იაზდაგებს მებატონეთაგან ქირაობდნენ[12].

საყურადღებოა XIX ს. მეორე ნახევარში აღწერილი ჭიაურას გზაც. იმდროინდელი მონაცემებით ჭიაურას მარშრუტი წინა მხარის გზას ეყოფოდა



სქემა № 11 მოობარული მესაქონლეობის მარშრუტები
ანარიის საქონლის გადასარეკი გზა. სამეგრელო, 1969 წელი.

სოფ. საკობიანოსთან, გადიოდა ლაგოდეხის გზატკეცილზე, მიჰყვებოდა კახეთის ალაზნის მარცხენა მხარეს, გადიოდა გავაზს, ყვარელს, შილდას, საბუეს, ნაფარეულს და იშლებოდა ლეკიმთებში. ამ გზით ძირითადად მოძრაობდნენ თუში, აგრეთვე ზოგიერთი კახელი და პანკისელი მეცხვარეები[13].

ამ პერიოდის მონაცემებით დახასიათებულია ალვანიდან მომავალი ალაზნისთავის, გომეწარის, ჩაღმასა და პირიქითის, აგრეთვე ლეკიმთების საცხვრე გზებიც. აღწერილი მარშრუტებიდან ჩანს, რომ ალვანის მიდამოებიდან ერწო-თიანეთლები მიდიოდნენ იორის

ნაპირებით, თუშები კი სხვადასხვა გზებით. თუშ მეცხვარეთა უმრავლესობა ფარებს მიერეკებოდნენ სოფელ ფშაველისა და ლეჩურის გავლით, გადიოდნენ ნაქერალ-დიდგვერდის, ლეკთვაკისა და ჩხათანას იალაღებზე, ასევენ ... ფარებს და აქედან გადადიოდნენ ალაზნისთავში, გომეწარში, ჩაღმასა და პირიქითში, აგრეთვე ლეკიმთებზე. პირიქით და წოვა თუშ მეცხვარეთა დიდი ნაწი-


ალაზანი
ბორბალო
ბოდე
ალაზანი
ბორგა
ბორგა
ბოდე
ალაზანი
ალაზანი
ალაზანი



სქემა № 13 მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები

თრიალეთის ცხვრის ეადასარეკი ტრასა ვარდისუბნის განშტოებით. თრიალეთი, 1973 წელი.

150-იდან 200 ვერსამდე აღწევდა, ლეკიმთებამდე მანძილი 50 ვერსს უდრიდა, ფშავ-ხევსურეთის იალაღები ბარის სოფლებიდან 30-70 ვერსამდე იყო დაშორებული, ხოლო ცხვრის გზა ალვანის ველიდან მთათუშეთის სხვადასხვა მთებამდე 50—120 ვერსის ფარგლებში მერყეობდა[15].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზაფხულო საძოვრებისაკენ გამავალი მეცხვარეობის ეს მარშრუტები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა შემოდგომით ცხვრის ფარების ბარის საძოვრებისაკენ მოძრაობის დროს. ცხადია, ეს ცვლილებები გამოწვეული იყო ამა თუ იმ ხეობის სეზონური კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით. მაგ., თუ ადრე გაზაფხულზე მეცხვარეებს ძირითადად ამ ხეობებში გამავალი ტრასების თოვლის საფარისაგან განთავისუფლებისა და გზის ახლოს არსებული სახელდახელო გასადევარის პრობლემა აწუხებდათ, რის გამოც მარშრუტები უფრო ხეობათა სამხრეთ მზიან კალთებს მიუყვებოდა, მაშინ ზაფხულის დასასრულსა და ადრე შემოდგომაზე ძლიერი წვიმების, მეწყერისა და წყალდიდობის საშიშროება მეცხვარეებს აიძულებდა ფარები მთის ხეობათა მდგრადი, კლდოვანი გზა-ბილიკებით ეტარებინათ. სწორედ ამის გამო იყო, რომ მთათუშეთის საზაფხულო საძოვრებიდან შირაქ-ელდარის საზამთროებისაკენ გამავალი ცხვრის ტრასები მთიან ხეობებში რამდენიმე ახალი ვარიანტით იყო წარმოდგენილი. კერძოდ, პირიქით თუშეთის უკიდურესი სოფლის — გირევის საძოვრებიდან მეცხვარეები ფარებს მიერეკებოდნენ ჯ ვ ა რ ბ ო ს ე ლ ი ს გ ზ ი თ — ჯვარბოსელის, ვაკისძირისა და ნაქერალის გავლით ლეჩურში, აქედან კი შირაქის საზამთროებზე. გომეწრის ხეობიდან ბარისაკენ ფარები მოძრაობდნენ — ნ ა ქ ე რ ა ლ-ლ ე ჩ ურ ი ს გ ზ ე ბ ი თ — სახარეს, ორწყალის, დიდველის, ნაქერალის, ლეჩურის, შაქრიანის, ყვარელისა და ახალსოფლის გავლით. ომალოდან საცხვრე ტრასა გადიოდა ა ბ ა ნ ო ს გ ზ ი თ — ხისოზე, ორხევზე, აბანოსა და ლეჩურზე. აბანოს გზასთან ერთად ჩაღმა თუშეთიდან ცხვარს მიერეკებოდნენ ყ ა დ ო რ ი ს გ ზ ი თ ა ც. კერძოდ, ეს ტრასა ომალოდან მიდიოდა ბიღოელთ სათიბში, ვესტმოსა და სადუცეში. აქედან ერთი გზა დიდოეთის სოფლების ფოტრახოს, ყვითილოსა და ხ ო ფ რ ა ს გ ზ ი ს გავლით ყადორის ხეობაში გადადიოდა, საიდანაც მეცხვარეები ფშაველში ჩადიოდნენ. მეორე — ლ ა ფ ა ნ ყ უ რ ი ს გ ზ ი თ კი სადუცედან ფარებს მუხათიხესა და ლაფანყურში მიერეკებოდნენ. ვესტმოდან ჩაღმელთა ცხვრის ტრასა გადიოდა მესამე მიმართულებითაც, კერძოდ, ა ქ ჭ ე რ ო ს გ ზ ი ს გავლით ფარები გადადიოდნენ ბოკვიანღელეში, აქედან კი ართანაში. მთის ხეობებიდან ბარის ამ უკიდურეს სოფლებში მოხვედრილი ცხვრის ფარები შირაქ-ელდარისაკენ მიმავალ შემდგომ გზას მეცხვარეთა ძირითადი ტრასებით აგრძელებდნენ.

საქონლის გადასარეკი ტრადიციული მარშრუტებით სარგებლობდნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მეჯოგე მესაქონლეებიც. კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრებიდან სვანეთ-აფხაზეთის მთებისაკენ ა ნ ა რ ი ი ს გ ზ ი თ ჯოგებს მიერეკებოდნენ ენგურის ნაპირებზე — ფახულანის, მუჟავას, ოხაჩკუეს, აშთას, აფქვაცის, ბოხენჯარას, ბაშკაფსარასა და ჩამხარხის გავლით, საიდანაც უნდა გაეგრძელებინათ გზა ამ საძოვრების სხვადასხვა უბნებზე თვით ყარაჩაის საძოვრებამდე[16]. სხვათა შორის, XIX ს. დასასრულს აღწერილია სამურზაყანოდან სვანეთ-აფხაზეთის, კერძოდ ანარიის (არმუა) მთისაკენ მიმავალი ორი გზა, რომელთაგანაც ერთი იწყებოდა სოფ. ჩხორთოლიდან, მეორე კი ოქუმიდან. ამ აღწერის მიხედვით ჩხორთოლიდან მიმავალ ბილიკს ა ფ ხ ა ზ ე ბ ი ს გ ზ ა ს ეძახდნენ, რადგან აფხაზ მწყემსებს ძირითადად ამ გზით დაუდიოდათ საქონელი სამურზაყანოს მთებზე, ოქუმიდან მიმავალ გზას კი მხოლოდ სამურზაყანოელი მწყემსები სარგებლობდნენ[17]. ამავე მონაცემებით ჩანს, რომ ანარიის მთისა და მის მიმდებარე საძოვრებზე აღნიშნული გზა-ბილიკებით ყოველ ზაფხულს სამურზაყანოსა და აბჟუის მწყემსები სულ ცოტა 60 ათას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს მიერეკებოდნენ[18].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული მარშრუტით უხდებოდათ საქონლის გადარეკვა ასხისა და დვირას საზაფხულო საძოვრებით მოსარგებლე მესაქონლეებსაც. ლ ე ბ ა რ დ ე ს ა ს გ ზ ი თ ჭალადიდის, ანაკლიის, ხორგასა და კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრების სხვა უბნებიდან მეჯოგე-მესაქონლეები მიდიოდნენ ხობის, ზანას, ჩხოროწყუს, ნაფიჩხოვოს, კურზუს, კალანდიას კარვის, ქობალიას ნამოსახლარისა და ლებარდეს გავლით. რაც შეეხება ა ს ხ ი ს გ ზ ა ს, აქ სამეგრელოს ხეობათა შუაწელიდან ჯოგები მოძრაობდნენ სალხინოს, ბალდის, დიდი ჭყონის, კურზუს, ტალერის, გოდერაკარის, ასმასხვარის, კამონისა და შანდის მთის გზა-ბილიკებით[19].

საქართველოს მესაქონლეობისა და მეცხვარეობის სამარშრუტო გზებზე სპეციალურად არჩევდნენ ჯოგებისა და ფარების ღამისსათევებს. ასეთი კომპლექსური ღამისსათევები ეწყობოდა გზის დაცულ და მოფარებულ ტერიტორიაზე, რომელსაც გააჩნდა მონარეებისა და ოკათურის წევრთა თავშესაფარი და ბარგის გასაშლელი, აგრეთვე, რაც მთავარია, სახელდახელო გასადევარი და დასარწყულებელი ადგილები. აღნიშნულ ტრასებზე ცხვრის ფარის თანდათანობით მოძრაობის დროს, საზამთრო საძოვრებზე ნაკლებად მოძრავი ცხვარი მუხლს იმართავდა, მაგრდებოდა, ეჩვეოდა ბალახეულის, წყლისა და ჰაერის ცვალებად რეჟიმს და მომზადებული ადიოდა მაღალმთიანი ზოლის საზაფხულო საძოვრებზე[20].

საქართველოსა და კავკასიის აღნიშნული მარშრუტების გაელას მეცხვარეები და მესაქონლეები სხვადასხვა დროს ანდომებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს საზამთროებიდან მთათუშეთისაკენ მიმავალ ძნელადსავალ მარშრუტებზე, რომლის დროსაც მეცხვარეებს არაერთი თოვლიანი უღელტეხილის გადალახვა უხდებოდათ, შირაქიდან ალაზნისთავამდე პირდაპირი სალით ათი დღე იყო საჭირო, საგზაფხულოებზე შეჩერებით კი ალაზნისთავამდე მეოცე დღეს აღწევდნენ.

კოლხეთის დაბლობის საზამთროებიდან ზემოთ აღნიშნულ საზაფხულო საძოვრებისაკენ გამავალ ტრასებზე ღამისსათევ ადგილებად გამოყოფილი იყო სოფლების ხობის, ზანას, ჩხოროწყუს, ნაფიჩხოვოს, ლიასა და კურზუ-ტალერის მიდამოები, აგრეთვე ოხაჩკუე, აფქვაცი, ბასხუნჯარა, ჩამხარხი, კალანდიას კარავი, ქობალიას ნამოსახლევი, ლებარდე, და სხვ. იმდენად, რამდენადაც გზად საქონლის დასვენებასა და უხიფათო მგზავრობას მეჯოგე-მესაქონლეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ისინი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ აღნიშნულ სადგომთა შერჩევა-მოწყობისა და ორგანიზაციის საქმეს, რომელსაც ტრასაზე მოძრავ ჯოგს დაწინაურებული ოკათურის წევრები უძღვებოდნენ.

კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეთა სამარშრუტო ღამისსათევების მოწყობა-ორგანიზაციის საქმეს. შირაქ-ელდარიდან ალაზნისთავამდე ასეთი სადგომები გამოყოფილი იყო ბოდბის ტყეში, ბაკურციხეში, ველისციხეში, წინანდალში, ქისტაურში, ალვანის ველზე, პანკისის მთისძირში—ბაწარასთან, ტბათანაში ან ქოჩადალში, ლეკთვაკესა და წიფლოვანში, საიდანაც გადადიოდნენ ალაზნისთავის საძოვრებზე. ალაზნისა და ივრისპირის საზამთროებიდან თრიალეთამდე, სადაც ასევე 8—10 დღე იყო საჭირო, ღამისსათევები განლაგებული იყო ჩათმის, დემურდაღის, იაღლუჯას, წინწყაროს, ბედნიყელის, გოხნარისა და წალკის მიდამოებში[21]. დაახლოებით ერთი თვე იყო საჭირო შირვანის, აგრეთვე ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან ცენტრალური კავკასიის ალპურ საძოვრებამდე, სადაც მეცხვა-

რეები საქონელს პირდაპირი სვლით მიერეკებოდნენ. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ღამისსათევებად იყენებდნენ ზემოთ აღნიშნულ პუნქტებს, ხოლო ტრასის დანარჩენ მონაკვეთზე ასევე წინასწარ შერჩეული ჰქონდათ ფარები, დასაყენებელი ადგილები. შორეული მარშრუტების გავლისას საჭირო არ იყო საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრები, რამდენადაც მთაში ასვლასა და ბარად დაბრუნებას ისედაც ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა და ალპებისა და საზამთროების ექსპლოატაცია გადაუდებლივ შეიძლებოდა. სამაგიეროდ შორეული მარშრუტების ხშირი ექსპლოატაციის გამო გადასარეკი ტრასები, სადაც მათ ოფიციალურად 20 საყენი სიფართის ტერიტორიის გამოყენების უფლება ჰქონდათ, საკმაოდ გაძოვილი და გათელილი იყო, რის გამოც მეცხვარეები 1—2 დღით ქირით იჭერდნენ გზისპირა ნაკვეთებს ცხვრის შესარეკად და მოსაღონიერებლად[22]. ასეთი საძოვრებისათვის მეცხვარეები იხდიდნენ 50 კაპიკიდან 1 მანეთამდე 100 სულ ცხვარზე, ან 1 თოხლს 500 ცხვარზე[23].

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ წყაროებში არაერთხელაა აღნიშნული ქართველ მეცხვარეთა გაჭირვებული მდგომარეობა ცხვრის გადასარეკ მარშრუტებზე მოძრაობის დროს. აღნიშნულია არაერთი შემთხვევა იმისა, თუ როგორ უკანონოდ ბეგრავდნენ ქართველ მეცხვარეებს სახელმწიფო ადმინისტრაცია და ადგილობრივი შეძლებული ფენის წარმომადგენლები. ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით მიუთითებდა იმ სიძნელეებსა და მძიმე ხარჯებზე, რომელიც საზაფხულო იალაღებითა და საზამთროებით მოსარგებლე მეცხვარე-მესაქონლეებს აწვათ ტვირთად[24]. განსაკუთრებით მძიმე იყო ადმინისტრაციის მიერ დაწესებული გადასახადები გზებსა და ხიდებზე. მაგ., თერგის ოლქში გზატკეცილებითა და ხიდებით სარგებლობისათვის მეცხვარეებს არაერთხელ უხდებოდათ ბაჟის გადახდა. კერძოდ, ბალთაში დაწესებული იყო სულზე ორი კაპიკი, ვლადიკავკაზში— 1 კაპიკი, კამბილევსკის საგუშაგოზე ნახევარი კაპიკი, გროზნოში და შელკოზავოდსკში ასევე ცალ-ცალკე ნახევარ-ნახევარი კაპიკი და და ა. შ[25]. თუ დავუმატებთ იმას, რომ აღნიშნული ბაჟი მეცხვარეებს ფარების უკან ამორეკვისასაც უნდა გადაეხადათ, მაშინ თანხა, მართლაც, მძიმე გადასახადად იქცეოდა ხოლმე.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოს შიგა მარშრუტებზეც. ილია ჭავჭავაძის შენიშვნით, მარტო მანგლისის გზატკეცილის 60 ვერსიან მონაკვეთზე კახეთიდან მომავალ მეცხვარეს ას ცხვარში 3 მან. უნდა გადაეხადა. დიდი გადასახადი ყოფილა გაწერილი კახეთის სახელმწიფო გზაზე, აგრეთვე ივრის, მტკვრის, თბილისისა და ალგეთის ხიდებზე, რის გამოც მარტო კახეთიდან მანგლისამდე 100 ცხვრის გადარეკვა 10-12 მანეთამდე ჯდებოდა[26]. აღნიშნული გარემოების გამო მეცხვარეები ერიდებოდნენ გზატკეცილებისა და ხიდების გავლას[27] და ტყე-ღრეებისა და მემამულეთა მიწების გავლით მიერეკებოდნენ ფარებს, თუმცა გასული საუკუნის ბოლოს მემამულეებსაც გაუძლიერებიათ კონტროლი და ცხვარს უსასყიდლოდ არც თავიანთ მიწა-წყალზე ატარებდნენ[28].

საქონლის გადარეკვისა და სამარშრუტო გზების მოუწესრიგებლობის საკითხი განსაკუთრებით გამწვავებული იყო მომთაბარე მესაქონლეობის რეგიონებში, სადაც იგი ხშირად ხდებოდა ბინადარი და მომთაბარე მოსახლეობის დავისა და შეტაკების საგანი. აღნიშნულ გარემოებას მოჰყვა მეფის ადმინისტრაციული აპარატის გარკვეული ღონისძიებანი, რომელიც საქმის ვითარებას არსებითად ვერ ცვლიდა.

მესაქონლეთა ნორმალურ მოძრაობას ცხვრისა და საქონლის გადასარეკ მარშრუტებზე ართულებდა სხვა ხელისშემშლელი ვითარებაც. გზაში და ბანაგისსათევებზე მეცხვარეები არ იყვნენ დაზღვეული ქურდობისა და თავდასხმისაგან[29]. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება იყო ცენტრალური კავკასიონის საზაფხულო საძოვრებისაკენ გამავალ მარშრუტებზე, რომლებიც მრავალი კუთხისა და ხალხის ტერიტორიაზე გადიოდა. ადრე გაზაფხულზე ჯერ კიდევ თოვლით დაფარული მარშრუტების გავლისას არაერთი შემთხვევები იყო ფარების დავარდნისა და განადგურებისა, გამორიცხული არ იყო მეცხვარეთა ხოცვაც[30]. ცხვრის გადასარეკ მარშრუტებზე დღესაც მრავლადაა შემორჩენილი სამახსოვრო ნიშები და სხვა ხალხური ძეგლები, რომლებიც მიძღვნილია სტიქიასთან შებმული და ვაჟკაცურად დაღუპული მწყემსების უკვდავსაყოფად. ამაზე მიგვითითებენ ავრეთვე მრავალფეროვანი ხალხური გადმოცემებიც.

ამრიგად, საქართველოს მესაქონლეობის მარშრუტების შესახებ აქ წარმოდგენილი მონაცემების კლასიფიკაციისა და ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ ქვეყნის განსხვავებული ზონებისა და კუთხეების შიგა ხეობებში და სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ტერიტორიაზე გამავალი ეს არტერიები დიდ როლს ასრულებდნენ ბარული, მთური, მთაბარული და მომთაბარე მესაქონლეობის სტრუქტურულად და ტიპოლოგიურად სრულყოფილი ფორმებისა და სისტემების შექმნასა და ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი მთური და მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტებსა და ტრასებს ეკისრებოდა, რომელთაც საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური მთლიანობისა და ძლიერების განმტკიცებასთან ერთად მეზობელ ქვეყნებთან და ხალხებთან კულტურული ურთიერთობის მნიშვნელობაც ჰქონდათ.

ქრონოლოგიურად მესაქონლეობის მარშრუტების შესახებ მოტანილი ეს მასალა ძირითადად XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისს მოიცავს, თუმცა აქვე შესამჩნევია ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. საქართველოს მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმისა და მისი ვარიაციული ქვესახეობების შიგნით მომხდარი ეს ცვლილებები, რომლებიც ჯერ კიდევ მეტნაკლები ინტენსივობისა და სიხშირის ხასიათში აისახა, თავის გამოხატულებას საქონლისა და ცხვრის გადასარეკი ტრასების ხასიათშიც პოულობდა, რაც სათანადოდ აისახა ატლასის ამ ორი ქრონოლოგიური მიჯნის შესაბამის რუკებში.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში. თბ., 1969, გვ. 100—104.

2. ვ. შამილაძე, მესაქონლეობის უმთავრესი მარშრუტები საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტის XIV და XV რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1978, გვ. 86; В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1976, с. 166.

3. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა-და კულტურა“, III, თბ., 1975, გვ. 29—30.

4. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 100.

5. ვ. შამილაძე, მცირე მომთაბარეობა საქართველოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, V, თბ., 1977, გვ. 20; მისივე, მესაქონლეობის უმთავრესი მარშრუტები საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, გვ. 83.

6. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობის უმთავრესი მარშრუტები საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, გვ. 84. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით შიდა ქართლიდან ჯავახეთის მაღალმთიან საძოვრებზე გამავალი ტრადიციული მარშრუტი იწყებოდა დიღომის ველ-დვრიდან, გადიოდა მუხათგვერდის ტბაზე, ჭილიტბის სერზე, ზემო დიდგორზე და მანგლისა და კლდეკარის გავლით თრიალეთ-ჯავახეთის საძოვრებზე იშლებოდა (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართლი, მთა ქართლი, არმაზი, მცხეთა, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 211).

7. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

8. В. М. Ш а м и л а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

9. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

10. იქვე, გვ. 84—85.

11. იქვე, გვ. 85.

12. М. В. М а ч а б е л и, ЭБГК Тионетского уезда Тифл., губ. МИЭБГКЗК, V, Тф., 1887, с. 419—420.

13. იქვე, გვ. 420. მ. მაჩაბელი ცდილობს ახსნას აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეთა მარშრუტების ასეთი დაქსაქსვის მიზეზებიც. მისი აზრით, ამ მიზეზთა შორის მთავარია ცხვრის გადასარეკ გზებზე საგაზაფხულო გასაძოვარი ადგილების დაქირავების საჭიროება, ფარების ერთდროული გადარეკვისას შეუფერხებელი მოძრაობა და, რაც მთავარია, გზა-საძოვრების აუცილებლობა, რომელთაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხვრის მთებში და პირიქით ნორმალური გადარეკვის პროცესში.

14. В. М. . М а ч а б е л и, დასახ. ნაშრ., გვ. 420—421.

15. იქვე, გვ. 416.

16. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 85—86; მისივე. მესაქონლეობა სამეგრელოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, II, თბ., 1974, გვ. 66.

17. თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი თბ., 1950, გვ. 275.

18. იქვე, გვ. 276. ჩხორთოლიდან ოქუმის, უჩხისა და ფახულანის გავლით სამურზაყანოელთა საქონლის გადასარეკი გზის შესახებ მიუთითებს აგრეთვე ც. ბ ჟ ა ნ ი ა ც (იხ. მ ი ს ი, Из истории хозяйства абхазов, Сухуми, 1962, с. 34).

19. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 62.

20. საქართველოში ცხვრის ტრადიციულ მარშრუტებთან დაკავშირებით საინტერესოა არქეოლოგთა დაკვირვებები, რომლებმაც გამოიკვლიეს ერთ-ერთი უძველესი ტრასა ივრისა და ალაზნისპირეთიდან თრიალეთის საზაფხულო საძოვრებამდე. აღნიშნული ტრასის გარკვეულ მონაკვეთზე აღმოჩნდა ქვით შემოღობილი ბაკები, რომლებიც ცხვრის ერთდღიანი გადასვლის მანძილზე ღამისსათევ პუნქტებს წარმოადგენდა (Ш. Ш. Д е д а б р и ш в и л и, Памятники эпохи ранней и средней бронзы, труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., 1969, с. 73).

21. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, მესაქონლეობის უმთავრესი მარშრუტები საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, გვ. 86.

22. იქვე, გვ. 86—87.

23. В. В. Г е е в с к и й, О состоянии скотоводства в верховиях рек Терека и Белой Арагви, МУКЛЗПИСК, I, Тф., 1887, с. 285—286.

24. ილიას ცნობით, ამ ხარჯების გაღებაში დარღვეული იყო ყოველგვარი წესი და რიგი. მეცხვარეები უნდა გაძღოლოდნენ „ცალკე გზატკეცილს, ცალკე ხიდების ბაჟს და ცალკე კერძო მემამულეების ყარაულებს, რომლებიც გზაში წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით იმას ართმევენ“ (ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი, თხზ., VII, თბ., 1956, გვ. 173).

25. В. В. Г е е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 286.

26. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

27. ვ. გეევსკის ცნობით, მდ. ფასანაურის საგუშაგოზე მეცხვარეები ხშირად თავს არიდებდნენ ადმინისტრაციის მიერ გაწერილ ამ გადასახადებს და საგუშაგოს ავლით აპარებდნენ ფარებს (В. В. Г е е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 286.).

28. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

29. ცხვრის გადასარეკ ზოგიერთ მარშრუტზე ქურდებს შემუშავებული ჰქონდათ ცხვრის დატაცების მრავალფეროვანი ხერხები. მეცხვარეთა გადმოცემით, მათ განსაკუთრებით უჭირდათ ჯაგნარ და ეკლიან გადასასვლელებზე სპეციალურად გათხრილი ორმოების გამოცნობა; რომლებიც ასევე ეკალ-ბარდით იყო დაფარული. ფარების გადარეკვისას ცხვარი შეუმჩნევლად ვარდებოდა ორმოში, რომელსაც მეცხვარეთა გავლის შემდეგ ქურდები იტაცებდნენ.

30. ს. მაკალათიას ცნობით, თუშეთში იშვიათად შეიძლება შეხვდეთ ოჯახს, სადაც მწუხარე დედა არ დასტიროდეს მთებში დაღუპულ შვილს. მისივე ცნობით, ეს თემატიკა ფართოდაა ასახული ხალხური პოეზიის ნიმუშებშიც (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. თუშეთი, თბ., 1933, გვ. 60).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარალელური სამეურნეო გაზეგი

საქართველოს მესაქონლეობის რთული და მრავალფეროვანი ფორმები და სისტემები ვერტიკალურ-ზონალური განლაგებისა და მეურნეობის სხვა დარგებთან შეთანაწყობის პირობებში სამეურხეო გეოგრაფიული გარემოს გეგმაზომიერ და მიზანშეწონილ ათვისებას ითვალისწინებდა. ბარული, მთური, მთაბარული და მომთაბარე მესაქონლეობის განსხვავებულ ეკოლოგიურ გარემოში მესაქონლეობის რაციონალური წარმოებისა და გაძღოლის ინტერესები პარალელური სამეურნეო ბაზების მრავალფეროვანი ფორმებითა და ვარიაციული ქვესახეობებით იყო წარმოდგენილი[1]. აღნიშნული სამეურნეო ბაზების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური სახესხვაობანი განპირობებული იყო ძირითადი დასახლებებისა და სამეურნეო ბაზების კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით, მათი ტერიტორიული და სამეურნეო-ორგანიზაციული ურთიერთდამოკიდებულებით, საქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლით, საძოვრებისა და სხვა სამეურნეო სავარგულების მფლობელობა-ექსპლოატაციისა თუ შრომის ორგანიზაციის ფორმათა თავისებურებებითა და ა. შ. ამ ფაქტორთა სისტემურმა ხასიათმა განაპირობა პარალელური სამეურნეო ბაზების ის ტრადიციული ფორმები, რომლებიც შეიქმნა და ჩამოყალიბდა საქართველოს აბორიგენული მესაქონლეობის სტრუქტურულად სრულყოფილ და მრავალფეროვან კომპლექსებში[2].

საქართველოს ბარული მესაქონლეობის სამეურნეო კომპლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კალოს, ბერასა და სტაციონარული და ადგილმონაცვლე საკარვო მეურნეობის ისეთ პარალელურ ბაზებს, როგორიცაა აგვარა, საკარე, საფარეხო და კარავი[3] ფუნქციონალური დანიშნულების ერთიანობის მიუხედავად, რაც ძირითადად ბარის სამეურნეო პროფილში ორი ტრადიციული დარგის—მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარეობდა, აღნიშნულ სამეურნეო ბაზებს კონკრეტულ გარემოსა და ვითარებაში ექსპლოატაცია-გამოყენების სპეციფიკური თავისებურებები გააჩნდა. მაგ., ქართლისა და კახეთის უმრავლეს სოფლებში ხვნა-თესვის დაწყებასთან ერთად სახვნელში შესაბმელი აუცილებელი მუშა პირუტყვი და ადგილზე მოსახმარი მეწველი საქონელი კალოზე გადაჰყავდათ, რომელიც დასახლებიდან რამდენადმე მოშორებით სოფლის სახნავ-სათეს ნაკვეთებზე იყო გამართული. კალოს სამეურნეო კომპლექსებში წარმოდგენილი იყო გუთნისდედისა და მეხრეების საცხოვრებელი ქოხი, საძნე საბძელი, მეწველი საქონლის გასაჩერებელი გომი, მუშა პირუტყვის შესარეკი არხაჯი, სახვნელ-ურმისა და სხვა სამეურნეო ინვენტარის შესანახი გადახურული ჩარდახი და, რაც მთავარია, მარცვლის სალეწი კალო. კალოზე დღის განმავლობაში მუშა პირუტყვი შებმული იყო სახვნელში, ხარ-კამეჩი აქ ბაგურ კვებაზე ჰყავდათ და სხვა საკვებ-

თან ერთად მარცვლეულსაც აწვდიდნენ. ძროხები გადენილი იყო ჯერ კიდევ მოუხნავ ნაკვეთებზე და ახლო-მახლო საძოვრებზე[4].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლის მოვლა-პატრონობა რამდენადმე განსხვავდებოდა კოლხეთის დაბლობის სტაციონარულ სამიწათმოქმედო-მესაქონლურ ბაზებში — ა გ ვ ა-რ ე ბ შ ი, რომლებიც ასევე დასახლებიდან მოშორებულ საძოვრებსა და სახნავ-სათეს ნაკვეთებზე ეწყობოდა. აგვარას საკარვო მეურნეობა ზაფხულობით და ადრე შემოდგომაზე ითვალისწინებდა მოსავლის მოყვანა-დაბინავებას, რაც ოჯახის წევრთა საერთო ძალით ხდებოდა. სიმინდის ყანების აღების შემდეგ აქ გადმოჰყავდათ საქონელი, რომლის მოვლა-პატრონობაც ოჯახის რომელიმე წევრს, ჩვეულებრივ მამაკაცს ევალებოდა. საქონლის მოვლა-პატრონობასა და რძის პროდუქტების დამზადებასთან ერთად ზამთრის თბილ დღეებში იგი მეთევზეობასა და მონადირეობასაც მისდევდა. ზამთრობით საქონელი ძოვდა მდინარისპირა ჭალებში, სადაც რბილი კლიმატის გამო ადვილი იყო მისი შენახვა. განსაკუთრებით სუსხიან დღეებში საქონელს აწვდიდნენ თივა-ჩალას, რომელსაც აგვარაში შემოდგომითვე იმარაგებდნენ, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არ გააჩნდა სათანადო მუშახელი, აგვარაში გასარეკ საქონელს აერთიანებდა მეზობელთან. გაერთიანებული მეზობლები ერთიანად აგებდნენ ქ ო ხ-ბ ო ს-ლ ე ბ ს, საბძლებსა და ბ ა კ ე ბ ს და მორიგეობით უძღვებოდნენ აგვარას მეურნეობას[5].

აღმოსავლეთ საქართველოს ბარულ მესაქონლეობაში ხვნა-თესვის დასაწყისიდანვე მეწველი საქონლის ძირითადი ნაწილი გაერთიანებული იყო ბ ე-რ ა ს კომპლექსებში, რომლებიც გამართული იყო სოფლისპირა ნასვენ და ანეულ სავარგულებზე და ძირითადად რძის მეურნეობის წარმოებას ითვალისწინებდა. ამ მიზნით იორ-ალაზნის აუზის მოსახლეობა 5—10 ოჯახის შემადგენლობით აერთიანებდნენ თავიანთ მეწველ საქონელს და აგებდნენ საერთო შესარეკს — გ ო მ ს. ბერას მეურნეობას მამაკაცები უძღვებოდნენ. ჯოგის მოვლა-პატრონობა და წველა-დღვება ეკისრებოდა იმ ოჯახს, რომელზედაც მოდიოდა წველის რიგი. თავის მხრივ ეს რიგი განსაზღვრული იყო ბერაში გაერთიანებული საქონლის რაოდენობით.

განსხვავებული ფუნქციითა და შრომის ორგანიზაციის სისტემით გამოირჩეოდა საკარვო მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოს ბარულ მესაქონლეობაში. აქაური კ ა რ ა ვ ი, რომელშიც ძირითადად დაქირავებული მენახირის ზედამხედველობით გაერთიანებული უგვი და ახალმოზარდი საქონელი იყო გარეკილი, აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში სასოფლო საძოვრებზე და გასადევარზე გადაჰყავდათ. ამ დროს სოფლის ყანები და ბაღები დაცულად ცხადდებოდა და სოფელი ქირაობდა მენახირეებს. სოფლის ნახირს, რომელიც 150—200 სულამდე აღწევდა, ჩვეულებრივ ორი მენახირე უძღვებოდა. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში დილით ადრე გარეკილი საქონელი 3—4 საათის განმავლობაში საძოვარზე რჩებოდა, შემდეგ მას მდინარისპირა ჭალებში ასვენებდნენ, ხოლო შუადღის შემდეგ ხელახლა მიერეკებოდნენ საძოვარზე[7].

ბარული მესაქონლეობის იმ რაიონებში, სადაც ზაფხულის ცხელ თვეებში (ივლისი-აგვისტო) საქონელი სოფლის ახლომდებარე კარვებში იყო გარეკილი, ჯოგს ასევე მენახირეები უძღვებოდნენ. ამ პერიოდში ჯოგს ემატებოდა მინდვრის სამუშაოებიდან გამოთავისუფლებული მუშა პირუტყვიც, რომელიც აქედან მოყოლებული ვიდრე მოსავლის ლეწვამდე უგვ და ახალმოზარდ საქონელთან ძოვდა. შიდა და ქვემო ქართულის მდინარისა და ხევისპირებში მენახირეები სახელდახელოდ აგებდნენ კარვებს, სადაც თავს აფარებდნენ მცხუნ-

რუკა № 17. პარალელური სამეურნეო ბაზები (XIX ს. მეორე ნახევარი)

1. საგაზაფხულო-საშ.მოდგომი ლაბავი//საბოსლო. 2. საზამთრო ლაბავი//საბოსლო. 3. ქარავი. 4. აგვარა. 5. ჯალონა//ლაკადა. 6. საფარეხო. 7. კარ.//საკარე. 8. საფუნო. 9. ქალო. 10. ბერა. 11. იაზდაგი.

რუკა № 18. პარალელური სამეურნეო ბაზები (XX ს. 30-იანი წლები)

1. საგაზაფხულო-საშემოდგომო ლაბაგი//საბოსლო. 2. საზამთრო ლაბაგი//საბოსლო. 3. კარავი. 4. აგვარა. 5. ჯალონა//ლაკადა. 6. საფარეხო. 7. კარე//საკარე. 8. საიფენო. 9. კალო. 10. ბერა. 11. იაზდაგი.

ვარე მზესა და სადილობდნენ. აღნიშნული კარვებიდან მეწველსა და მუშა პირუტყვს საღამოობით სოფლად მოერეკებოდნენ, ხოლო კახეთის იმ კუთხეებში, სადაც საკარვო მეურნეობა სოფლებიდან მოშორებით უკანამხარეს ტერიტორიაზე და გომბორის ქვემო კალთებზე იყო განლაგებული, ღამღამობით საქონელი კარვების ახლომახლო ტერიტორიაზე ღია ცისქვეშ ეყენათ[8].

ქართლისა და კახეთის საკარვო მეურნეობა ორგანულად იყო ჩართული მესაქონლეობის წლიურ ციკლში და მთლიანად პასუხობდა ბარული მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ინტერესებს. ეს გარემოება ნათლად ჩანს ს. მატანის საკარვო მეურნეობისა და სასოფლო საძოვარ-სავარგულების სეზონურ-თანმიმდევრული გამოყენების მაგალითზე. ადრე გაზაფხულზე მატანელთა ჯოგს მიერეკებოდნენ მლაშეების, გრძელმიწების, მზიანების, ჯვარედინებისა და სახოკის სასოფლო საძოვრებსა და სახნავ-სათეს ნაკვეთებზე. აპრილის ბოლოს, სოფლად ხვნა-თესვის დაწყებასთან ერთად საქონელი სოფლის ახლომდებარე ბოდახევის, გვიჩიანგორის, საგორეებისა და კოშკისცხვირის ტყეებში გამართულ კარვებში გადაჰყავდათ. ივლისში სიცხეების დადგომასთან ერთად, საქონელს მიერეკებოდნენ მდ. ილტოს ნაპირებზე ნაშერში, დიდ ნაშერში, ურჯულოჭალაში, პატარა ნაშერში, შვილდიანში და ა. შ., სადაც ამ პერიოდში შედარებით გრილოდა. სექტემბრის ბოლოდან ჯოგს ისევ ზემოთ აღნიშნულ სასოფლო საძოვრებსა და მოსავალაღებულ ნაკვეთებზე აბრუნებდნენ. აქ იგი გვიან შემოდგომამდე რჩებოდა, ზოგჯერ კი ზამთრის თბილ დღეებშიც კი. ზამთრის სუსხიან დღეებში საქონელი ბაგურ კვებაზე გადაჰყავდათ და თივა-ჩალით და ფუჩეჩით კვებავდნენ[9].

საკარვო მეურნეობის ანალოგიური ორგანიზაციით ხასიათდება ცხვრის ფარების მოვლა-პატრონობა ს ა ფ ა რ ე ხ ო ს სამეურნეო ბაზებშიც. ცხვრის გაერთიანებულ ფარას, რომელიც არ აღემატებოდა 250—300 სულს, ასევე 2 მეცხვარე უძღვებოდა. მტკვრისპირისა და იორ-ალაზნის აუზის სოფლების ცხვრის ფარები გაზაფხულსა და ზაფხულში გარეკილი იყო სოფლებიდან შედარებით მოშორებულ ციგგომბორის კალთებზე, ხოლო ზამთრობით სოფლის ახლომდებარე საძოვრებზე გადაჰყავდათ და ბაღ-ვენახებსა და ყორუღებში გამართულ ადგილმონაცვლე ფარეხებში აჩერებდნენ[10]. ასეთივე მოძრავი ხასიათით გამოირჩეოდა კოლხეთის დაბლობის ტყიან-ბუჩქნარ საძოვრებზე გამართული პარალელური სამეურნეო ბაზები — ს ა კ ა რ ე ე ბ ი, სადაც ზამთრობით მწყემსების მეთვალყურეობის ქვეშ გაერთიანებულ თხის მრავალრიცხოვან ჯოგებს მიერეკებოდნენ[11]. აღნიშნული ფორმის სამეურნეო ბაზების ვარიაციულ სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ ბათუმისა და ქობულეთის ახლომახლო სოფლების საკარვო მეურნეობანიც, სადაც რამდენიმე ოჯახის გაერთიანებულ ჯოგებს (დაახლოებით 20—30 სული) ახალმოზარდი მწყემსები უძღვებოდნენ. ოჯახის უფროსი წევრები აქ დასაქმებული იყვნენ მეფუტკრეობით, ხე-ტყის სამშენებლო მასალის დამზადებითა და შინახელოსნობით (სხვადასხვა სახის კალათების მოწვნა, ხის ჯამ-ჭურჭელისა და ინვენტარის დამზადება და ა. შ.)[12].

სამეურნეო-გეოგრაფიული გარემოს რაციონალური ათვისებისა და საქონლის გამოზამთრების თანმიმდევრული სისტემის შემუშავების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთური მესაქონლეობის გავრცელების რეგიონებში წარმოდგენილი ლ ა ბ ა ვ ი||ს ა ბ ო ს ლ ო ს პარალელური სამეურნეო ბაზები, რომელთაც მთიელთა სამეურნეო ყოფაში ფ ე რ დ ა ს, გ ა რ ე ყ ა ნ ე ბ ი ს, ყ ი შ ლ ე ბ ი ს, ს ა ჩ ი ხ ე ე ბ ი ს, ყ ო რ უ ღ ე ბ ი ს და სხვ. სახით მრავალი ვარიაციული ქვესახეობა გააჩნდათ[13]. ზონალური განლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებისა და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ამ ტიპის სამეურნეო ბაზები ორ ჯგუფად იყოფოდა. პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყო **საგზაფხულო-საშემოდგომო ლაბავი||საბოსლოები**, რომლებშიც მესაქონლეობა მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა. ისინი ჩვეულებრივ სუბალპური ტყიანი ზოლის ზემო სარტყელში ეწყობოდა და გადარეკვითი მესაქონლეობის ციკლში წინაალპური საძოვრების როლს ასრულებდა. მაღალმთიან ალპურ საძოვრებზე (გაზაფხულზე) და პირიქით, მთიდან ბარში (შემოდგომაზე) გადარეკვის წინ საგაზაფხულო-საშემოდგომო ბაზებში საქონელი ზონალურ აკლიმატიზაციას გადიოდა, რაც კეთილგავლენას ახდენდა საქონლის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. აღნიშნული ზოლის სამეურნეო გეოგრაფიული პირობები მკაცრად ზღუდავდა სამიწათმოქმედო კულტურების განვითარებას. ტყის მასივებისაგან გამოთავისუფლებული ნაკვეთები ძირითადად საგაზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებსა და სათიბებს ეთმობოდა, რომელთა გვერდით ზოგჯერ მოჰყავდათ მცირეოდენი მთური ჯიშის მარცვლეული, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული. ადრე გაზაფხულისა და გვიანი შემოდგომის ხანმოკლე პერიოდებში საქონელი ნაწილობრივ იკვებებოდა ადგილზე დამზადებული თივა-ჩალით, ტყის მცენარეულითა და ნეკერით. ზამთრობით სქელი თოვლის საფარისა და სათანადო საკვები მარაგის უქონლობის გამო, ამ ტიპის სამეურნეო ბაზებში საქონლის გამოზამთრება საერთოდ გამორიცხული იყო[14].

საგაზაფხულო-საშემოდგომო ლაბავი||საბოსლოები ფართოდ იყო გავრცელებული სვანეთში, აჭარაში, ხევსურეთში, მთიულეთში, თუშეთში და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში. სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ამ ბაზების სრულყოფილ სახეებს ვხვდებით ხევსურეთის სოფ. დათვისის (წინანაქოხრები), გველეთის (ზენა, — აჭეხა), ბუჩუკურთას (ველთი), ჭალასოფელის (სამთიბლური, სადბური), ქობულოს (ჯარათი) და სხვ. მაგალითზე. ამ მხრივ ტიპიურია აგრეთვე სვანეთში ლაჟუასა და ლატკველის (სოფ. ლექსურა), აჭარაში — კავიანისა და პერანგას (სოფ. ბრილი და ცხემლისი), რაჭა-ლეჩხუმში—ბრილისა და სარწივისძირის (სოფ. ღები), პანკისის ხეობაში — ბაბა ნაჟდარისა და სვიმონაი ნაჟდარის (სოფ. დუისი) ლაბავი||საბოსლოს კატეგორიის ბაზები, რომელთაც ახლო ანალოგები გააჩნიათ საქართველოს სხვა კუთხეების შუამთის ზონაში ფიქსირებულ სამეურნეო ბაზებთან[15].

აღნიშნული კატეგორიის სამეურნეო ბაზების მეორე ჯგუფში გაერთიანებულია **საზამთრო ლაბავი||საბოსლოები**, რომლებიც პირველი ჯგუფის ლაბავებისაგან განსხვავებით, ძირითადად დასახლების ზონაში იყო განლაგებული. ხელსაყრელი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები ამ ტიპის სამეურნეო ბაზებში მესაქონლეობასთან ერთად სამიწათმოქმედო კულტურების განვითარების საშუალებასაც იძლეოდა. აქ ხშირად აგებდნენ კომპლექსურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, სათიბებთან და საძოვრებთან ერთად მოწყობილი იყო შედარებით ვრცელი ყანები და ბოსტნები. სთესდნენ მთური ჯიშის სიმინდს, პურეულს, შვრიასა და ჭვავს, მისდევდნენ მეფუტკრეობას, შინახელოსნობასა და ხე-ტყის მასალის დამზადებას.

აღნიშნული ტიპის ბაზებში ხშირად გამართული იყო დიდი **ქოხ-ბოსლები, კალოები, წისქვილები, საფუტკრეები, ბეღლები, ჩამურები** და ა. შ. ლაბავი||საბოსლო მომარაგებული იყო შრომის იარაღებითა და ინვენტარით, აგრეთვე დამოუკიდებელი მეურნეობის წარმოებისათვის აუცილებელი სატრანსპორტო საშუალებებით[16]. ასეთი კომპლექ-

სური სამეურნეო ბაზების გამართვა ნაწილობრივ გამოწვეული იყო უგზოობითა და რთული რელიეფით. აქ დამზადებული ზამთრის საკვები, მაგალითად, საქონელს კვებავდნენ უშუალოდ ადგილზე, რაც მოსახლეობას ანთავისუფლებდა თივის გადაზიდვის სამუშაოებისაგან. თავის მხრივ, აღნიშნულ ბაზებში ზამთრის განმავლობაში დაგროვილი სასუქი გამოყენებული იყო ადგილობრივი სათიბებისა და ყანების გასანოყიერებლად. დიდი ოჯახის პირობებში ლაბავ||საბოსლოებში მესაქონლეობის წარმოების სამეურნეო-ორგანიზაციული ფუნქციები ხორციელდებოდა მორიგეობით ოჯახის წევრთა მეოხებით[17].

საზამთრო პარალელური ბაზების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აჭარული ფ ე რ დ ა, რომლის რთული სამეურნეო კომპლექსები აღწერილია სოფ. მახალაკიძეებსა (ნაქერვალი) და დიდაჭარაში (ველათი)[18]. აღნიშნული ტიპის ლაბავი||საბოსლოები კარგადაა ცნობილი აგრეთვე ხევსურეთის სოფლების შატილის (კუჩუ, აცეხის თავი, ფიჭვნარი, მითუსჭალა, ალხინო), დათვისისა (თოთელთახო) და გუდანის (ჭიე, ძეძეურთა, საბოსლო); ფშავის სოფ. აფშოს (სადუცია, მაუბარა); რაჭის სოფლების ღებისა (ჯერ თევრეშო და ჩვეშო, ხოლო შემდეგ ფაცხეული, ზოფხითო და პატარა ხოფითოები) და ჭიორას (ბუბა და ნოწარა)[19]; სვანეთის სოფლების ლახამულას (შკედი), იფარისა (გნწიეში) და ლექსურას (ლახაშირი და ლანარი)[20] და სხვ. მაგალითზე, რომლებზედაც ჩვენ აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სოფ. ღების სამეურნეო ბაზების გადანაცვლება თევრეშოსა და ჩვეშოდან ზოფხითოსა და პატარა ხოფითოებში დაკავშირებული იყო გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ზრდასა და ღებელთა ტრადიციული შინაალპური მესაქონლეობის ალპურ მეურნეობად ევოლუციის თავისებურებებთან[21].

მეტად საინტერესოა აგრეთვე სახნავი ნაკვეთებისა და სათიბების მონაცვლეობითი გამოყენება მდ. რიონის მარჯვენა (ჟევერთები, მედეუთოები, ქვედავაჭეები) და მარცხენა (შხიროლი, საკანაფოები, საგორაო) სანაპიროებზე, რომლებიც სოფ. ჭიორასთან სიახლოვის მიუხედავად გამართული იყო როგორც ლაბავი||საბოსლოს ტიპის სამეურნეო ბაზები. ზაფხულის პერიოდში აქ გათვალისწინებული იყო აგრეთვე დროებით საძოვრადქცეული სახნავების განოყიერება ე. წ. ს ა ჩ ი ხ ე ე ბ ი ს მეშვეობით, რომლებიც მსუბუქი კონსტრუქციის საქონლის წნულ შესარეკებს წარმოადგენდა და აღნიშნული კატეგორიის სახნავ-საძოვრის ცალკეულ უბნებზე პერიოდულად მონაცვლეობდა[22].

ძირთადი დასახლებებისა და ლაბავი||საბოსლის ტიპის სტრუქტურულად რთული სამეურნეო კომპლექსების ერთდროული გაძღოლა საქართველოს მთიანეთში ორმოსახლეობის სპეციფიკურ თავისებურებებს იწვევდა. საოჯახო ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოების გაორკეცებული ხასიათი ქართველ მთიელებში სათანადო ტერმინით — ო რ ხ ე ლ ა ო ბ ა||ო რ გ ა ნ ო ბ ი თ იყო აღნიშნული, რაც ზუსტად ასახავდა ორმოსახლობის არსებით მხარეებს[23]. ამ მხრივ საყურადღებოა მთათუშეთის სოფლების ფარსმის (ლომათე, ინიბუნე, ჭუტინწყარო), კვავლოს (ჩეფხო, წისქვილხევი), დართლოს (კაკანია, ჩიგოსგორი, გნიო, წური, ჩალა), დანოს (ცირბევი, ცირმაშტე) შენაქოსა (ხაგირი, იღონე) და სხვ. ახლომდებარე სამხრეთის მზიან კალთებზე განლაგებული სამეურნეო ბაზები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების სრულყოფილი კომპლექსები. ამ სოფელთა უმრავლესობა ზამთრობით წყვეტდა არსებობას, სახლები იკეტებოდა, ხოლო მოსახლეობა საქონელთან ერთად გადადიოდა საზამთრო საბოსლოებში და იქ აგრძელებდა ცხოვრებას[24].

ტიპოლოგიური თვალსაზრისით ორმოსახლეობის კიდევ უფრო ნათელი მაგალითია მთიულეთის, ფშავ-ხევსურეთის, ერწო-თიანეთის, აჭარის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ლაბავი||საბოსლოები, რომლებიც საცხოვრებელი და სამეურნეო კომპონენტების რთული სტრუქტურული სისტემებით გამოირჩეოდნენ და დემოგრაფიული თუ მიგრაციული პროცესების გააქტიურებასთან ერთად დამოუკიდებელ დასახლებად ყალიბდებოდნენ. ეს პროცესი შუამთის ზონაში მუდმივ მოქმედ ფაქტორად გვევლინება, რასაც ნათლად ადასტურებს მთიანეთის დასახლებათა აღნიშნული გზით წარმოშობის არაერთი შემთხვევა[25].

საქართველოს მთიანეთში საზამთრო საბოსლოების ვარიაციულ სახესხვაობად უნდა განვიხილოთ ის სამეურნეო ბაზები, რომლებიც მხოლოდ საქონლის გამოზამთრებას ემსახურებოდნენ. ასეთი ბაზები გამართული იყო დასახლებათა შორიახლოს მდებარე მდინარისა და ტყისპირებში, სადაც შედარებით ადვილი იყო თივა-ჩალის შემოზიდვა და მომარაგება. ამავე დროს აქ საძოვრებად იყენებდნენ ტყიან-ბუჩქნარ გასადევრებს, რომლებზედაც შეუძლებელი იყო სახნავების მოწყობა და კომპლექსური მეურნეობის წარმოება. ზამთრობით საქონელს კვებავდნენ შემოზიდული თივით, ხოლო თბილ ამინდებში მიერეკებოდნენ მდინარისა და ხევისპირებში. ასეთი ტიპის საბოსლოები ფიქსირებულია ხევსურეთში, კერძოდ გიგაურის ველსა და ფითხისძირში (სოფ. გველეთი). კეოში (სოფ. ქობულო), ბაგიანში (სოფ. ბუჩუკურთა) ორხევსა და იქიახოში (სოფ. ღული), ფილაბოსელში (სოფ. ჭალასოფელი) და ა. შ[26]. ასეთივე კატეგორიის ბაზებად უნდა მივიჩნიოთ მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ყ ი შ ლ ე ბ ი და ყ ო რ უ ღ ე ბ ი, რომლებიც აქ ძირითადად გამოყენებული იყო მთურ მეცხვარეობაში. მესხეთ-ჯავახეთის სოფლებს ხიზაბავრას (ფოსოები, ლომისსადგომი), მუსხისა (საცურავი, ლეკთახევი) და საროს (წვერიყიშლა, ორმოციყიშლა) ყიშლები და საზამთრო ყორუღები შერჩეული იყო საძოვრის კალთების მზის ინსოლაციის შესაბამისად. ამ კალთებზე საქონლის გარეკვა იკრძალებოდა გაზაფხულიდან შემოდგომამდე, რაც ადგილზე საზამთროდ საკმაო რაოდენობის თივის მარაგის დაყორუღების საშუალებას იძლეოდა[27].

ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა ტყიან საძოვრებს ზამთრობით ცხვრის გასარეკად იყენებდა, რის გამოც მეურნეობის ეს დარგი აქ ტ ყ ი ა ნ ი მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ი ს სახელწოდებითაც იყო ცნობილი. ამ რიგის სამეურნეო ბაზების ნათელი მაგალითია ტყის საზამთროები, ანუ გ ო მ ე ბ ი ქვემო ბოლნისში (ალმალი, ფირფიჯანი, ფორფორთი), ფოლადაურში (ყარადაღი, ქერენთი), შულავერში (ბინი ძორი, კარმიკარი), წერაქვში (სარაშლო, ყუდური), სიონში (ხუდაბაქირი, ზარგარი), ოფრეთსა (ახკენტი, ხეჩანი) და სამშვილდეში (ხრამი, ახალშენი), ანალოგიური ხასიათი ჰქონდა აგრეთვე პანკისის ხეობაში გამართულ ცხვრის ფ ა რ ე ხ ებ ს ა ც, რომელთა საუკეთესო მაგალითები დამოწმებულია სოფ. ომალოში (მუცოს ხევი), დუისში (ხორაჯო) და ხალაწანში (ფურეთ ველი, ჩახური). ტყის სამეურნეო ბაზებში გამართული იყო ცხვრის შესარეკად აუცილებელი მარტივი მიწური გომები, წნული არხაჯები და მეცხვარეთა ქოხები[26].

ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის საზამთრო ბაზებთან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს საქართველოს მთამაღალის შინაალპური მესაქონლეობის სამეურნეო ბაზები, რომლებიც ასევე საქონლის გამოზამთრების ინტერესებს ემსახურებოდა. ამ ბაზებში ზამთრობით საქონლის გასარეკად გამოყენებული იყო საძოვრის მზიანი კალთები. უნალექო ზამთრის პირობებში და ადრე გაზაფხულზე, როდესაც სამხრეთის

ფერდობზე. თოვლის საფარი შედარებით იკლებდა, აქ გარეკილი საქონელი ჩლიქებით ამტვრევდა თოვლსა და წიწკნიდა თოვლქვეშ შემორჩენილ ბალახს ხეულს. ზოგჯერ საქონლის გამოზამთრებას ხელს უწყობდა ამ ბაზების ახლოს არსებულ სათიბებში დამზადებული თივის მარაგიც. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ ბაზებში გამართული იყო შედარებით მყარი სამეურნეო კომპლექსები ქოხების, ბოსლებისა და სათივეების სახით[29].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთიანეთის შინაალპური მესაქონლეობის რეგიონებში აღნიშნული კატეგორიის სამეურნეო ბაზები შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი. ასე თუ ისე სრულყოფილი სახით ისინი ფიქსირებულია ხევსურეთში (სოფ. ლებაისკარი, ხახმატი, როშკა, ახიელი და ა. შ.), რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ადრე გაზაფხულზე იყო გამოყენებული. საზამთრო კომპლექსების მეტნაკლებად გამოკვეთილი სახე გააჩნდა სოფლების ახიელისა და ამღას სამეურნეო ბაზებს ტანიესა და ამაჟორიტეში, სადაც ხევსურთა ყოველი ოჯახი 100 და მეტ ცხვარს აზამთრებდა[30].

საქართველოში სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თავისებურებებით გამოირჩეოდა მთაბარული მესაქონლეობის სამეურნეო ბაზებიც. მთაბარული მესაქონლეობის სპეციფიკური ხასიათი, რომელიც საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მონაცვლეობით გამოყენებაზე იყო დამყარებული, ძირითადი სამეურნეო ბაზების გამორიცხვასთან ერთად, ზღუდავდა პარალელური სამეურნეო ბაზების გამოყენების შესაძლებლობასაც. გამონაკლისს წარმოადგენდა მეგრული ჯ ა ლ ო ნ ა||ლ ა კ ა დ ე ბ ი ს, ს ა ა ფ უ ნ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა და კ ა რ ე||ს ა კ ა რ ე ს გარკვეული კატეგორია, აგრეთვე მეცხვარეთა საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრები — ი ა ზ დ ა გ ე ბ ი, რომლებიც უშუალოდ მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის სამეურნეო ბაზებს წარმოადგენდნენ და ჩართული იყვნენ ტრანსჰუმანსეს წლიურ ციკლში[31].

სამეგრელოში გავრცელებული ჯ ა ლ ო ნ ა||ლ ა კ ა დ ე ბ ი ს დანიშნულება დაახლოებით ლაბავი||საბოსლოს ანალოგიურია, თუმცა მისგან განსხვავებით მეგრული ჯალონა||ლაკადები მხოლოდ საშემოდგომო სამეურნეო ბაზებს წარმოადგენენ. ჯალონა||ლაკადები გამართული იყო საზაფხულო საძოვრების ქვემო ტყიან ზოლში[32]. სექტემბრის ბოლოდან მთაში აცივებასთან ერთად, მეგრელი მეჯოგეები იალაღებიდან ჯალონა||ლაკადებში ინაცვლებდნენ და 20—25 დღის განმავლობაში საქონელს ტყის ბალახეულით კვებავდნენ. ამ პერიოდში კოლხეთის დაბლობის საძოვრებზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ე. წ. წვიმის პეპელა, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ჯოგს. ამდენად ჯალონა||ლაკადებზე გახანგრძლივებულ მესაქონლეობას მეგრელ მეჯოგეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯალონა||ლაკადების სამეურნეო კომპლექსში მთავარი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა და გამორიცხული იყო ყველა სხვა სახის, მათ შორის სათიბი მეურნეობის წარმოებაც[33].

სამეგრელოში პარალელური სამეურნეო ბაზების სახესხვაობადაა განხილული აგრეთვე საგაზაფხულო საძოვრები — ს ა ა ფ უ ნ ო ე ბ ი ც, რომლებიც კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრების ზონაში იყო განლაგებული და საზამთროთა უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა. სააფუნო მესაქონლეობასთან ერთად, მეურნეობის სხვა დარგების ინტერესებსაც ითვალისწინებდა და გარკვეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით (კ ა რ ა ვ ი, ა გ ვ ა რ ა, მ ა რ ა კ ა და სხვ.) დამოუკიდებელი სამეურნეო ბაზის როლს ასრულებდა. კოლხეთის დაბლობის სააფუნოთა ეწერნიადაგიანი საძოვარი, რომელიც საერთოდ მდიდარი იყო ისლისებრი ბალახეულით, მარტის ბოლოს მთლიანად წინა წლის გამხმარი ეწრით იყო დაფარული. საქონლის გარეკვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე რამდენიმე დღით ადრე სააფუნოზე გამხმარ ეწერს წვავდნენ. მალე გადამ-
წვარი ნიადაგი ახლადამოსული ისლით იფარებოდა და თვალწარმტაცი საკენ-
რად იქცეოდა[34].

კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრებზე მეგრელი მეჯოგეები მე-
საქონლეობის გარდა მეურნეობის სხვა დარგებსაც მისდევდნენ. მთაში გამ-
გზავრებამდე ამუშავებდნენ ყანებს, რომლის შემდგომი მოვლა-პატრონობა
სოფლიდან ჩასულ მუშახელს, ანდა საზიაროდ ადგილობრივ მცხოვრებლებს
ეკისრებოდათ. მოსავალი იქვე აგებულ ჯიხურებში ინახებოდა და ზამთრობით
მწყემსებს ხმარდებოდა. ჩალის დამზადება ან სათიბების მოწყობა საზამთრო
და საგაზაფხულო ბაზებში არ იყო პრაქტიკაში. ისევე როგორც მთაში, კოლ-
ხეთის დაბლობის ტყეებშიც მესაქონლეები დასაქმებული იყვნენ გარეულ
ღორსა და შველზე ნადირობითაც, რომლებითაც მდიდარი იყო აქაური ტყეე-
ბი. საზოთოსა და სააფუნოებზე მეჯოგეები იჭერდნენ თეგზსაც, რომელიც
ბლომად იყო რიონსა და მის შენაკადებში, აგრეთვე პალიასტომის ტბის სა-
ნახებში. ყურადღებას იქცევს მესაქონლეთა მიერ გარეული თაფლის მოპოვე-
ბის ფორმებიც, რომელსაც ნანადირევსა და თევზთან ერთად ასევე ადგილზე
მოხმარების მნიშვნელობა გააჩნდა[35].

სამეგრელოს მთიანი ხეობებისათვის დამახასიათებელი პარალელური სა-
მეურნეო ბაზების მესამე კატეგორია — კარე||საკარე კოლხეთის დაბლო-
ბის საკარეებისაგან განსხვავებით შუამთის ზოლის სოფლის ახლომახლო
ტყეებში იყო გამართული. მისი სამეურნეო-ორგანიზაციული გაძღოლა ძირი-
თადი სამეურნეო ბაზების მეშვეობით ხორციელდებოდა. კარე||საკარეების
მთავარ ფუნქციას წვრილფეხა საქონლის, კერძოდ, თხის გამოკვება და გაზამ-
თრვა წარმოადგენდა, თუმცა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მეჯოგეს ჯალონა
||ლაკადას ტიპის ბაზები არ გააჩნდა, აქაურ საძოვრებზე მსხვილფეხა საქონე-
ლსაც მიერეკებოდა[36]. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს მთიანეთში კარე||სა-
კარეები ბუნებრივად დაცულ, დაბურულ ხეობებსა და ხევებში იყო გამართუ-
ლი. ხეობათა კალთებს არჩევდნენ მესაქონლეობისათვის აუცილებელი კომ-
პონენტების მიხედვით (სამხრეთის მზიანი ფერდები, ტყის ბალახეულის სიუხ-
ვე, ნეკერჩხლისა და ფიჩხის დასამზადებელი ცაცხვისა და სუროს მასივები, სას-
მელი და სამეურნეო წყალი და ა. შ.).

ხელსაყრელი სამეურნეო-ბუნებრივი პირობებისას კარე||საკარეებში მე-
საქონლეობის გარდა მეურნეობის სხვა დარგების ინტერესებიც იყო გათვა-
ლისწინებული. როგორც წესი, აქ მეჯოგეები პირველ რიგში აშენებდნენ
ფუტკარს. ტყის ვრცელი მასივები და ალპურ მდელოთა რთულყვავილოვანი
ბალახეულობა საამისოდ შესანიშნავ პირობებს ქმნიდა. იყო შემთხვევები, რო-
ცა კარე||საკარეებში ასობით ოჯახი ფუტკარი ჰყავდათ. მეფუტკრეობის გვერ-
დით საზამთრო ბაზებში ვხვდებით აგრეთვე სამიწათმოქმედო კულტურების
კერძოდ, ფეტვის, ღომისა და სიმინდის საყანეებს. აქვე ითესებოდა ლობიო
და კვახიც. ზოგჯერ კარე||საკარეში მეჯოგე-მესაქონლეებს მოშენებული ჰქონ-
დათ მაღალი ვენახიც. მაგ., სოფ. სალხინოელ მესაქონლეებს ნოჭადენისა და
ოსკალეს საკარეებში ბლომად ჰქონიათ ოჯალეშის, ჭვიტილურისა და მახვა-
ტულის ჯიშის ყურძენი[37].

საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრები — იაზდაგები ჩვეულებრივ
ცხვრის საზამთროებიდან საზაფხულო საძოვრებისაკენ გამავალ მარშრუტებ-
ზე იდო. აღმოსავლეთ საქართველოში იაზდაგებს იყენებდნენ არა მარტო
ტრანსჰუმანსეს, არამედ მომთაბარე მესაქონლეობის დროასაც. მიუხედავად

იმისა, რომ აღნიშნულ საძოვრებს არ გააჩნდათ პარალელური სამეურნეო ბაზების დამახასიათებელი კომპლექსური ნიშნები, მათ შორის რამდენადმე მეტად სამეურნეო ნაგებობანიც კი, ისინი მაინც გარკვეული კატეგორიის სამეურნეო ბაზებს წარმოადგენდნენ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ცხვრის შორეული გადარეკვის დროს. ამასთან ერთად აღნიშნული საძოვრების გამოყენება ტრანსჰუმანსესა და მომთაბარე მესაქონლეობისას არსებითად განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. თუ მომთაბარეობისას იაზდაგს ცხვრის გადასარეკ ტრასებზე დროებითი საძოვრის მნიშვნელობა გააჩნდა, ტრანსჰუმანსეს პირობებში ამ ბაზების კავშირი სოფელთან მეცხვარეობის სამეურნეო-ორგანიზაციული გაძღოლის აუცილებელ პირობად გამოდიოდა. ეს ხანმოკლე პერიოდი ერთადერთი იყო, რომლის დროსაც ცხვარში გასულ კაცს სოფელთან და ოჯახთან ახლო კავშირის დამყარება შეეძლო[38].

საკვლევ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს საგაზაფხულო საძოვრების უმნიშვნელოვანესი უბნები — ალვანის ველი და მომიჯნავე ზეგნები — დიდგვერდი, ბირკიანი, ხორაჯო და სხვ. წარმატებით იყო გამოყენებული თუში და პანკისელი მეცხვარეების მიერ, სადაც ხდებოდა ცხვრის საგაზაფხულო პარსვა, მატყლის დალაგება სოფლად, საკვები პროდუქტების მომარაგება, მონარეების ცხვრის ფარების დაკომპლექტება და ა. შ.[39]. ალვანის ველიდან მონარეების წევრები რიგრიგობით მიდიოდნენ სახლში, რომ თითო დღით მაინც მოესწროთ ცოლ-შვილისა და ახლობლების მონახულება, ტანსაცმლის მომარაგება და სხვ. ალვან-ბირკიანის ტიპის სადგომები აუცილებელი იყო ცხვრის აკლიმატიზაციისა და მომაგრების მიზნითაც, რომელსაც აქედან პირდაპირი გზა უნდა აეღო მთათუშეთის იალაღებისა თუ შირაქის საზამთროებისაკენ მიმავალ შორეულ გზებზე. ანალოგიური დანიშნულება გააჩნდა პანკისელი მეცხვარეებისათვის ხორაჯოს საგაზაფხულო საძოვრებს. დაახლოებით ასეთივე სამეურნეო ბაზებად იყო გამოყენებული სოფლისპირა საძოვრები, სახნავ-სათიბები და სხვა სავარგულები ერწო-თიანეთის, მთიულეთის, ხევისა და ქსნის ხეობის მეცხვარეთა მიერაც[40].

საქართველოს მესაქონლეობის პარალელური სამეურნეო ბაზებისა და მათი ვარიაციული ქვესახეობების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მრავალფეროვნების მიუხედავად მათი ექსპლოატაციის ფორმები ძირითადად საოჯახო-პატრონიმიული და საერთო-სასოფლო კუთვნილების სახით იყო წარმოდგენილი. ბარული, მთური, მთაბარული თუ მომთაბარე მესაქონლეობის კონკრეტულ გარემოში ექსპლოატაცია-მფლობელობის ეს ფორმები განპირობებული იყო აღნიშნულ სამეურნეო ბაზებში მეურნეობის ამ დარგის ორგანიზაციულ-ეკონომიკური გაძღოლის თავისებურებებით. მაგ., თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დაქირავებული მენახირეების ზედამხედველობით გაერთიანებული ჯოგის ადგილმონაცვლე საკარეო მეურნეობანი საერთო-სასოფლო საკუთრებას წარმოადგენდა, მაშინ კალო, ბერა, საკარე და საფარეხო ძირითადად საოჯახო-პატრონიმიული მფლობელობის სახით იყო წარმოდგენილი. ამ ფორმის ექსპლოატაცია-მფლობელობის კიდევ უფრო ნათელი მაგალითია საქართველოს მთიანეთის ლაბავი||საბოსლოს სამეურნეო ბაზები და მათი ვარიაციული ქვესახეობანი. ამ შემთხვევაშიც მთური მესაქონლეობისას ალპურ საძოვრებზე საქონელი გაერთიანებული იყო საერთო-სასოფლო ჯოგში და მისი მოვლა-პატრონობა ხორციელდებოდა სასოფლო მენახირეების მეშვეობით, მაშინ როდესაც გაზაფხულზე, შემოდგომაზე და ზამთრობით მენახირეობის ეს ორგანიზაცია იშლებოდა და ტერიტორიულად შეზღუდულ სამეურნეო ბაზებში

საქონელი ერთიანდებოდა მხოლოდ დიდი ოჯახის ან პატრონიმიის ჯოგის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესაქონლეობის შრომის ორგანიზაციის ფორმებთან ერთად საოჯახო-პატ-რონიმიულ საკუთრებას წარმოადგენდა აგრეთვე საცხოვრებელი და სამეურ-ნეო ნაგებობანი, სამეურნეო ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და, რაც მთავარია, აქაური სახნავი და სათიბი სავარგულები[41].

ქართველ მთიელთა საოჯახო-პატრონიმიული სამეურნეო ბაზები ათვისებული და დამუშავებული იყო ახოს აღების სისტემით. ეს რთული და მრავალწლიანი სამუშაო დიდი ოჯახის ან პატრონიმიული გაერთიანების მრავალსულიან მუშახელს მოითხოვდა. ბუნებრივია, სათემო მიწაზე დახარჯული ეს მძიმე შრომა შემდგომში ქმნიდა ამ ნაკვეთების დასაკუთრების გარანტიას. საკარმიდამო მამულების კარის პირისაგან განსხვავებით, სოფლის გარეთ პარალელურ სამეურნეო ბაზებში განლაგებული ეს ნაკვეთები ბოსლის პირის ან კიდევ მთის მამულების სახით თანდათანობით გადადიოდა დიდი ოჯახის მემკვიდრეობით მფლობელობაში. იგივე შეიძლება ითქვას მთა-ბარული მესაქონლეობის ჯალონა||ლაკადების, საკარეებისა და ზოგიერთი სახის სააფუნოების მიმართაც, მაშინ როდესაც იაზდაგები აქ ჩვეულებრივ საერთო-სასოფლო საკუთრების სახით იყო წარმოდგენილი[42].

ამრიგად, განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ზონებში გამოვლენილი პარალელური სამეურნეო ბაზები ხასიათდებოდნენ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით, რომელთაც საფუძვლად ედოთ მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმის სამეურნეო-გეოგრაფიული და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორები. კარავი, აგვარა, ლაბვი||საბოსლო, ჯალონა||ლაკადა და სხვ. ვარიაციულ ქვესახეობებთან ერთად, გამოირჩეოდნენ ზონალური განლაგებისა და ექსპლოატაციის დამახასიათებელი თავისებურებებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შუამთის სამეურნეო ბაზები, რომელთაც გააჩნდათ ხელსაყრელი პირობები მიწათმოქმედება-მესაქონლეობის სიმბიოზური განვითარებისათვის და გამოირჩეოდნენ ორმოსახლეობის რთული კომპლექსებით.

ბარული, მთური, მთაბარული და მომთაბარე მესაქონლეობის პარალელური სამეურნეო ბაზები ფუნქციონალური დანიშნულებისა და ექსპლოატაციის მიხედვით ძირითადად საოჯახო-პატრონიმიულ და საერთო-სასოფლო მფლობელობაში ერთიანდებოდნენ. საოჯახო-პატრონიმიული სამეურნეო ბაზების მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი განპირობებული იყო იმ რთული და მრავალწლიანი შრომით, რომელიც დაკავშირებული იყო ამ ბაზების სრულყოფილი კომპლექსების მოსაწყობად.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, V, 1953, გვ. 212—213; А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети, КСИЭ, XXIX, 1958, с. 58; რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 36—39; რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 14—15; ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში (მთიულური ორხელობა), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბ., 1971, გვ. 45—60; ი. კვიციანი. სვანთა განსახლების ძველი ფორმისა და ლაბავის სისტემის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 69, № 8, 1973, გვ. 753—755; ვ. შამილაძე, პარალელური სამეურნეო ბაზების საკითხისათვის საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის XII რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 1973, გვ. 15—20.

2. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, с. 222; ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15—16.

3. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 75; მისივე, ბარული მესაქონლეობის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ საქართველოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, VI, თბ., 1978, გვ. 50.

4. ს. მენთეშაშვილი, კალოობა ქიზიყში, საქ. სახ. მუზ. მოამბე, IX, 1935—1936, გვ. 59.

5. ა. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში, მსე, V, 1951, გვ. 14—16; მისივე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 96—98.

6. თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობა ქვემო ქართლში, საკანდ. დისერტ., თბ., 1975, გვ. 136.

7. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

8. А. А. Аргутинский, ЭБГК Телавского уезда Тифл., губ., МИЭБГКЗК, V, I, Тф., 1887, с. 70.

9. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63—64.

10. იქვე. გვ. 60.

11. В. М. Шамиладзе. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

12. იქვე. გვ. 79.

13. იქვე. გვ. 113—114.

14. ვ. შამილაძე, პარალელური სამეურნეო ბაზების საკითხისათვის საქართველოში, გვ. 15.

15. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

16. ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16; მისივე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 95—96.

17. გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 212—213; რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 37—39.

18. ე. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 96.

19. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, III, თბ., 1975, გვ. 26—29.

20. ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, IV, თბ., 1976, გვ. 46—47.

21. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, გვ. 37—38.

22. იქვე, გვ. 38.

23. ბ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50; მ. მაკალათია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, საკანდ. დისერტ., თბ., 1975, გვ. 15.

24. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

25. რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად გვ. 36; В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

26. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

27. იქვე, გვ. 117. ჭ. პლიანოლისა და რ. იალგინის მიერ ანალოგიური ბაზების საინტერესო ფორმები აღწერილია ანატოლიის მთიანეთშიც (X. de Planhol, La vie Pamphilienne aux lacs Pisidiens, Nomadizm et vie paysanne, Paris, 1958, p. 283; A. R. Yalgin, Haivancilik, „Turk ethnografia dergisi“, № 3, 1959, s. 90).

28 В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 117—118.

29. В. М. Шамиладзе, К вопросу о формах скотоводства Грузии, მაცნე, № 4, 1976, გვ. 5 —52.

30. მ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 32—33.

31. В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 167.

32. სამეგრელოში მთას, ანუ გვალას ზონალურ-მეურნეობრივი დანიშნულების მიხედვით 2 ნაწილად ყოფდნენ: პირველი — ტიტველა, ანუ ალპური საძოვრების ზოლი და მეორე — ჯალონა//ლაკადა, ანუ სუბალპური ტყიანი ზოლი საშემდგომო საძოვრებით.

33. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, II, თბ., 1974, გვ. 77—78.

34. იქვე, გვ. 86—88.

35. იქვე, გვ. 89.

36. ტყიური მეთხეობა-მესაქონლეობის ანალოგიური ფორმები ცნობილი იყო იმერეთის ზოგიერთ ხეობაშიც. რევოლუციამდე სოფ. ხანის მესაქონლეები თხისა და საქონლის მრავალრიცხოვან ჯოგებს პოლოკოურის, ნოღიწვერისა და დამწვარკლდის ტყეებში აზამთრებდნენ, სადაც მათ აშენებული ჰქონდათ გადასატანი მგზავრული კარვები და წნული გადახურული ქართები.

37. ნ. თოფურია, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები", თბ., 1970, გვ. 29; ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

38. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 170—171.

39. М. В. Мачабели, ЭБГК Тионетского уезда Тифл. губ., МИЭБГКЗК, V, Тф., 1887, с. 449, 412.

40. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

41. იქვე, გვ. 113.

42. В. М. Шамиладзе, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКИЙ АТЛАС ГРУЗИИ

МАТЕРИАЛЫ

Скотоводство в Грузии

Резюме

В материалах историко-этнографического атласа Грузии культура скотоводческого хозяйства представлена в двух частях. В первой части основное внимание уделяется хозяйственно-культурным аспектам скотоводства, которые исходя из специфики климато-географических и экологических признаков, рассмотрены в природно-исторических зонах равнины, предгорья и гор. Соответственно, уточняются ареалы распространения и масштабы отдельных элементов скотоводческой культуры, дана попытка их хронологии по двум основным периодам атласа — второй половины XIX — начала XX в.

В вступлении определены место и роль скотоводства в хозяйственно-культурной и экономической жизни грузинского народа, показаны цели и задачи, а также методологические принципы и состояние источниковедческой базы данной части атласа.

В соответствии со спецификой историко-этнографического атласа в работе особое место занимает характеристика основных принципов классификации форм скотоводства Грузии. Показана необходимость системного подхода к отдельным элементам и явлениям в процессе определения форм скотоводства, с целью выявления и установления существенных черт типологической классификации. По общим принципам генезиса и исторического развития хозяйства, которые со своей стороны определяются основными особенностями способа производства, в процессе классификации форм скотоводства особое внимание уделено дефинирующим, формообразующим критериям. С этой точки зрения привлекают внимание основные особенности ареалов распространения отдельных форм и подвидов скотоводства, его удельный вес и масштабы, природные ресурсы, основные и параллельные хозяйственные базы и их территориально-хозяйственная взаимозависимость, а также связанные с ведением скотоводства семейная и общественная жизнь. Все эти компоненты лежат в основе определяющих признаков структурно-типологической разновидности той или иной формы и их вариационных подвидов. В этой части работы на основе анализа полевых этнографических материалов и данных специальной литературы определены основные понятия равнинного, горного, перегонного и кочевого скотоводства.

В материалах атласа возникновению и дальнейшему развитию основных элементов скотоводческой культуры посвящен обширный исторический экскурс. И, хотя, историко-этнографический атлас в основном охватывает два периода — вторую половину XIX и начало XX в., исследования главнейших этапов исторического процесса

развития хозяйства показывает сложный и многогранный путь генезиса отдельных элементов скотоводческой культуры. С этой целью в данной части материалов атласа особое внимание уделено процессам возникновения и становления типологически разнообразных форм и систем скотоводства (равнинное, горное, перегонное и кочевое скотоводство и их подвиды), особенностям формирования материальных (сезонные постройки скотоводов, различные стоянки и загоны скота и т. д.), а также институтов социальных взаимоотношений (формы организации труда, товарищества и объединения скотоводов и т. д.).

Непосредственное картографирование элементов скотоводческой культуры в материалах атласа начинается с кормовой базы, в частности, с покосов и пастбищ. На основе классификации и типологического анализа приведенных в данной части работы материалов о размещении, владений и эксплуатации покосов в различных уголках и зонах Грузии выявлены две главнейшие категории указанных хозяйственных угодий: находящиеся в частной собственности сельские — сасопло-сакомло и горные — саэро — общесельские и частично, семейно-патронимические покосы. Из общесельских покосов определенные участки отводились церковно-святилищным — сахато-саэклесио, а также саманато, которые давались общиной для временного пользования людям, изгнанным из других общин.

Уход за покосами и их эксплуатация в Грузии включают множество ценных элементов эмпирических знаний и опыта народа. В этом отношении интересны процессы подбора, разграничения, очистки, полива, попеременного использования пахотных земель, охраны покосов, укоса, сбора сена и стогования, транспортировки и хранения сена и т. д. Эти данные, наряду со структурным обогащением материалов атласа, способствуют уточнению хронологии и периодизации, а соответственно и картографированию указанных угодий.

В материалах атласа обширные данные приводятся и о пастбищах, которые в соответствии с климато-экологическими условиями равнинного, горного, перегонного и кочевого скотоводства, подразделены на четыре основные категории: сельские, весенне-осенние, летние и зимние. Наряду с факторами зонального размещения и сезонной эксплуатации, указанные пастбища классифицированы и по формам их владения и пользования. По этим признакам в различных регионах и зонах Грузии фиксированы пастбища казенного (сахазино), общесельского (саэрто-сасопло) и частного (кердзо) владения.

Рядом с общесельскими пастбищами сохранились также церковно-святилищные (сахато-саэклесио) и характерные для ущельного объединения (сахсво) летние пастбища. Определенную часть общесельских пастбищ занимали отдельные патронимические участки. В работе приведены разнообразные данные о средствах и способах владения и эксплуатации указанных пастбищ, в частности данные об их подборе, очистке от различных сорняков, вертикально-зональном делении в зависимости от пород и назначений скота, определения питательности травяного покрова, экспозиции по отношению к солнцу, попеременного и перекрестного использования пастбищ, а также о формах аренды и найма, платежной системы и т. д. Все эти данные показаны на фоне изменений и эволюции происходивших в период крестьянской реформы и попытки последующего урегулирования крестьянского хозяйства Закавказского края. Усилившаяся тенденция утверждения на летние и зимние пастбища казенной и особенно частной собственности, бесспорно указывала на ускоренный процесс разложения натуральных форм хозяйства и появление новых социальных взаимоотношений в сельском хозяйстве Грузии.

В материалах историко-этнографического атласа отдельно представлены главнейшие формы скотоводства Грузии. Структурно-типологическим анализом хозяйственных комплексов, возникающих и сформировавшихся в экологической среде равнинного скотоводства, показано, что в условиях развитой земледельческой культуры сезонное перемещение скота на внутрисельские и близлежащие пастбища, пахотные и посевные участки и пары, в леса и другие угодья под наблюдением пастухов, в определенные зимние месяцы было обусловлено хозяйственным профилем и характером размещения и эксплуатации кормовой базы равнины. Эти специфические особенности равнинного скотоводства, предусматривающие также интересы земледелия и других отраслей хозяйства, проявлялись в организации различных стационарных и более или менее подвижных, экстенсивных баз в условиях оседлого скотоводства.

Вышеуказанными принципами типологической классификации были также определены горное скотоводство и его вариационные подвиды. Показано, что развившееся в условиях горной климато-экологической зоны горное скотоводство подразумевало хозяйственно-экономическое единство территориально обособленных основных поселений предгорной и высокогорных летних пастбищ; летом во время обработки земледельческих культур и сбора урожая — перемещения стад и обслуживающего персонала от поселений к альпийским пастбищам и обратно; вертикально-зональный характер альпийского скотоводства, его сезонность и организационную зависимость от основных поселений.

В работе особое внимание уделено классификации и типологическому анализу хозяйственных комплексов перегонного скотоводства и овцеводства. Показаны основные признаки, характерные для данной формы хозяйства — исключение основных хозяйственных баз из годичного цикла ухода за скотом и его содержания, использование сезонно-последовательной системы для перегона скота с летних пастбищ к весенне-осенним и зимним пастбищам и обратно; характерные особенности объединений и товариществ скотоводов и овцеводов и т. д., которые сложились и сформировались в условиях географического и хозяйственно-организационного единства равнин и гор Грузии.

Из указанных выше форм скотоводства существенно отличаются хозяйственно-культурные комплексы кочевничества. Классификация и структурно-типологический анализ кочевого скотоводства показывают, что исторически кочевничество в Грузии подразумевало кочевой образ жизни населения и исключало ведение других отраслей хозяйства возможных в условиях оседлости. Основная часть кочевников Грузии в конце XIX — начале XX в. уже перешла к полуоседлому образу жизни. И, несмотря на то, что их образ жизни и хозяйство характеризуется в основном признаками кочевничества и полукочевничества, новая хозяйственно-географическая среда в отличие от классического степного номадизма порождала множество новых особенностей. Именно эти характерные признаки легли в основу коренного преобразования хозяйственного быта и культуры кочевников после Октябрьской революции.

В настоящей части материалов атласа отдельно рассматриваются скотопрогонные маршруты. Показано, что артерии, пролегшие в различных уголках и зонах страны, а также проходившие через территории соседних стран и народов, сыграли большую роль в формировании и становлении сложных в структурно-типологическом отношении форм и систем равнинного, горного, перегонного и кочевого скотоводства. В этом отношении особенно важны скотопрогонные трассы горного и перегонного скотоводства, которые наряду с

укреплением хозяйственно-экономического единства Грузии имели большое значение для культурного взаимоотношения с соседними странами и народами.

В материалах атласа типологическим многообразием представлены параллельные хозяйственные базы, находящиеся в семейно-патронимическом и общесельском владении. В основу этих баз, фиксированных в различных регионах и зонах Грузии, лежали хозяйственно-географические и организационно-экономические факторы той или иной формы скотоводства. Каравн, агвара, лабави//сабосло, джалона//лакдаи др., со своими вариационными подвидами, отличались характерными особенностями зонального размещения и эксплуатации. С данной точки зрения важнейшими можно считать предгорные хозяйственные базы, которые имели благоприятные условия для симбиозного развития земледелия и скотоводства и отличались ведением хозяйства двойного типа — в основных поселениях и на хозяйственной базе. Это подтверждается и соответствующими терминами — орхеалаоба//органоба, обозначающими раздвоенный характер этой формы хозяйства.

Все схемы и карты выполнены на основе данных автора, картографом Э. К. Зауташвили. Архитектурные зарисовки и обмеры выполнены в полевых этнографических экспедициях архитекторами Д. Х. Микеладзе, В. В. Бахтадзе и Г. Т. Жвания, художником В. Г. Илюшиным. Цветные слайды и фотоснимки принадлежат автору.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოკლებათა ახსნა

ენიმკი — ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული
სსცია — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი
ВИ — Вопросы истории
ВЭК — Вопросы этнографии Кавказа
ЗКОИРГО — Записки Кавказского отдела императорского русского географического общества
ИКОИРГО — Известия Кавказского отдела императорского русского географического общества
КСИА — Краткие сообщения Института археологии АН СССР
КСИЭ — Краткие сообщения Института этнографии АН СССР
КСХ — Кавказское сельское хозяйство
КХ — Кавказское хозяйство
КЭС — Кавказский этнографический сборник
МИЭБГКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
МУКЛЗПИСК — Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе
СА — Советская археология
СМИЭБГКЗК — Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края
СОНИИ — Северо-осетинский научно-исследовательский институт АН ГССР
СЭ — Советская этнография
ТКОСХ — Труды Кавказского общества сельского хозяйства
УКН — Г. А. Меликишвили. Урартские клинообразные надписи, М., 1960.
Уч. зап. ИИЯЛ — Ученые записки Института истории, языка и литературы Дагестанского филиала АН СССР
ЭБГК — Экономический быт государственных крестьян
ЭО — Этнографическое обозрение
VHOES — Viehzucht und Hirtenleben in Ostmitteleuropa. Ethnographische Studien, Budapest, 1961.
ISSJ UNESCO — International Social Science Journal. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუსტრაციები ტექსტში

1. სოფ. დართლოს ხედი სასოფლო სათიბებითა და საძოვრებით. თუშეთი, 1974 წ.
2. სოფ. გირევის სასოფლო და საზაფხულო საძოვრები. თუშეთი, 1971 წ.
3. სოფ. შუბანის საერთო ხედი. აჭარა, 1958 წ.
4. სოფ. ჭვანა. კარმიდამო სათიბით. აჭარა, 1958 წ.
5. სოფ. როშკას ერთი უბანი სასოფლო საძოვრებით. ხევსურეთი, 1975 წ.
6. სოფ. გუდანის ერთი უბანი სასოფლო საძოვრებით. ხევსურეთი, 1965 წ.
7. სოფ. ჭეშოს ხედი სასოფლო საძოვრებით. თუშეთი, 1974 წ.
8. სოფ. ძეძეურთას ერთი უბანი სასოფლო სათიბებით. ხევსურეთი, 1965 წ.
9. სოფ. ბუჩუკურთა, საზაფხულო იალაღებისაკენ. ხევსურეთი, 1975 წ.
10. სოფ. დართლოს სასოფლო სათიბები და საძოვრები. თუშეთი, 1974 წ.
11. სოფ. გუდანის ერთი უბანი სასოფლო სათიბებითა და საძოვრებით. ხევსურეთი, 1965 წ.
12. ათენგენობა გუდანში. ხევსურეთი, 1975 წ.
13. სოფ. ჭალიასოფლის ერთი უბანი სასოფლო სათიბებითა და საძოვრებით. ხევსურეთი, 1975 წ.
14. სოფ. როშკას ერთი უბანი სასოფლო საძოვრებით. ხევსურეთი, 1975 წ.
15. სოფ. ღულის ხედი სასოფლო სათიბებითა და საზაფხულო საძოვრებით. ხევსურეთი, 1975 წ.
16. ლიქოკის ხეობის სათავეები საზაფხულო საძოვრებით. ხევსურეთი, 1975 წ.
17. სოფ. გუდანის ერთი უბანი ჭაუხის ხედით. ხევსურეთი, 1965 წ.
18. მეცხვარის ბინა ქოროღლის საზაფხულო საძოვრებზე. თრიალეთი, 1973 წ.
19. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრებზე. თუშეთი, 1974 წ.
20. ყველის ამოღება სოფ. ფარსმის საზაფხულო საძოვრებზე. თუშეთი, 1974 წ.
21. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრებზე. თუშეთი, 1974 წ.
22. სოფ. გირევის სასოფლო და საზაფხულო საძოვრები. თუშეთი, 1971 წ.
23. ცხენის რემა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრებზე. თუშეთი, 1974 წ.
24. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრებზე. თუშეთი, 1974 წ.
25. ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრები. თუშეთი, 1974 წ.
26. სოფ. ბუჩუკურთას სასოფლო სათიბები და საძოვრები. ხევსურეთი, 1975 წ.
27. სოფ. გველეთის სასოფლო სათიბები. ხევსურეთი, 1965 წ.
28. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრებზე. თუშეთი, 1974 წ.
29. ალაზნისთავის საზაფხულო საძოვრები. თუშეთი, 1974 წ.
30. სოფ. აჭეს სასოფლო საძოვრები. ხევსურეთი, 1975 წ.
31. სოფ. გირევის საზაფხულო საძოვრები. თუშეთი, 1971 წ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ილუსტრაციებში წარმოდგენილი სლაიდები გადაიღო 1965—1976 წწ. ავტორმა — ვ. შამილაძემ. ფერადი ჩანახატები შეასრულა მხატვარმა ვ. ილიუშინმა (№ 3—4) და მხატვარ-არქიტექტორმა ჯ. მიქელაძემ (№ 18).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИЛЛЮСТРАЦИИ В ТЕКСТЕ

1. Общий вид с. Дартло с покосами и пастбищами. Тушети, 1974 г.
2. Сельские и летние пастбища с. Гиреви. Тушети, 1971 г.
3. Общий вид с. Шубани. Аджария, 1958 г.
4. с. Чвана, Усадьба с покосом. Аджария, 1958 г.
5. Уголок с. Рошка с сельскими пастбищами. Хевсурети, 1975 г.
6. Уголок с. Гудани с сельскими пастбищами. Хевсурети, 1965 г.
7. Общий вид с. Чешо с сельскими пастбищами. Тушети, 1974 г.
8. Уголок с. Дзедзеурта с сельскими покосами. Хевсурети, 1965 г.
9. с. Бучукурта. К летним пастбищам. Хевсурети, 1975 г.
10. Сельские покосы и пастбища с. Дартло. Тушети, 1974 г.
11. Уголок с. Гудани с сельскими покосами и пастбищами. Хевсурети, 1965 г.
12. Атенгеноба в Гудани. Хевсурети, 1975 г.
13. Уголок с. Чалиасопели с сельскими покосами и пастбищами. Хевсурети, 1975 г.
14. Уголок с. Рошка с сельскими пастбищами. Хевсурети, 1975 г.
15. Общий вид с. Гули с сельскими покосами и летними пастбищами. Хевсурети, 1975 г.
16. Верховья Ликокского ущелья с летними пастбищами. Хевсурети, 1975 г.
17. Уголок с. Гудани с видом Чаухи. Хевсурети, 1965 г.
18. Хижина овцеводов на летних пастбищах Короглы. Триалети, 1973 г.
19. Хижина овцеводов на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
20. Переработка молочных продуктов на летних пастбищах с. Парсма. Тушети, 1974 г.
21. Хижина овцеводов на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
22. Сельские и летние пастбища с. Гиреви. Тушети, 1971 г.
23. Табун лошадей на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
24. Хижина овцеводов на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
25. Летние пастбища Алазнистави. Тушети, 1974 г.
26. Сельские покосы и пастбища с. Бучукурта. Хевсурети, 1975 г.
27. Сельские покосы с. Гвелети. Хевсурети, 1965 г.
28. Хижина овцеводов на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
29. Летние пастбища Алазнистави. Тушети, 1974 г.
30. Сельские пастбища с. Аче. Хевсурети, 1975 г.
31. Летние пастбища с. Гиреви, Тушети. 1971 г.

Примечание: Представленные в иллюстрациях слайды сняты в 1965—1976 гг. автором — В. М. Шамиладзе. Цветные рисунки выполнены художником В. Г. Илюшиным (№№ 3—4) и художником-архитектором Дж. Х. Микеладзе (№ 18).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუკებისა და სქემების ალფერილობა

რ უ კ ე ბ ი :

1. საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა XIX ს. ბოლოს.
2. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1930 წელს.
3. სათიბები (XIX ს. მეორე ნახევარი).
   1. სასოფლო-საკომლო. 2. მთის საოჯახო-პატრონიმიული. 3. მთის საერო. 4. სასოფლო ველები. 5. სახატო-საეკლესიო. 6. საამანათო.
4. სათიბები (XX ს. 20-იანი წლები).
   1. სასოფლო//საკომლო. 2. მთის საოჯახო-პატრონიმიული. 3. მთის საერო. 4. სასოფლო ველები. 5. სახატო-საეკლესიო. 6. საამანათო.
5. საძოვრები (XIX ს. მეორე ნახევარი).
   1. საზაფხულო. 2. საზამთრო. 3. სასოფლო. 4. საგაზაფხულო-საშემოდგომო.
6. საძოვრები (XX ს. 30-იანი წლები).
   1. საზაფხულო. 2. საზამთრო. 3. სასოფლო. 4. საგაზაფხულო-საშემოდგომო.
7. ბარული მესაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი).
   1. საკარვო მეურნეობა. 2. დამხმარე მესაქონლეობა.
8. ბარული მესაქონლეობა (XX ს. 30-იანი წლები).
   1. საკარვო მეურნეობა. 2. დამხმარე მესაქონლეობა.
9. მთური მესაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი).
   1. გადარეკვითი მესაქონლეობა. 2. შინაალპური მესაქონლეობა.
10. მთური მესაქონლეობა (XX ს. 30-იანი წლები).
    1. გადარეკვითი მესაქონლეობა. 2. შინაალპური მესაქონლეობა.
11. მთაბარული მესაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი).
    1. აღმავალი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 2. შუალედი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 3. დაღმავალი მეცხვარეობა.
12. მთაბარული მესაქონლეობა (XX ს. 30-იანი წლები).
    1. აღმავალი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 2. შუალედი მეცხვარეობა და მესაქონლეობა. 3. დაღმავალი მეცხვარეობა.
13. მომთაბარე მესაქონლეობა (XIX ს. მეორე ნახევარი).
    1. ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა.
14. მომთაბარე მესაქონლეობა (XX ს. 30-იანი წლები).
    1. ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა.
15. მესაქონლეობის მარშრუტები (XIX ს. მეორე ნახევარი).
    1. მთური მესაქონლეობის მარშრუტები. 2. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები. 3. მომთაბარე მესაქონლეობის მარშრუტები.
16. მესაქონლეობის მარშრუტები (XX ს. 30-იანი წლები).
    1. მთური მესაქონლეობის მარშრუტები. 2. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები. 3. მომთაბარე მესაქონლეობის მარშრუტები.
17. პარალელური სამეურნეო ბაზები (XIX ს. მეორე ნახევარი).
    1. საგაზაფხულო-საშემოდგომო ლაბავი//საბოსლო. 2. საზამთრო ლაბავი//საბოსლო. 3. კარავი. 4. აგვარა. 5. ჯალონა//ლაკადა. 6. საფარეხო. 7. კარე//საკარე. 8. სააფუნო. 9. კალო. 10. ბერა. 11. იაზდაგი.

18. პარალელური სამეურნეო ბაზები (XX ს. 30-იანი წლები).
1. საგაზაფხულო-საშემოდგომო ლაბავი//საბოსლო. 2. საზამთრო ლაბავი//საბოსლო. 3. კარავი. 4. აგვარა. 5. ჯალონა//ლაკადა. 6. საფარეხო. 7. კარე//საკარე. 8. [illegible] 9. კალო. 10. ბერა. 11. იაზდაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ქ ე მ ე ბ ი :

1. ბარული მესაქონლეობა.
სოფ. მატანის პარალელური სამეურნეო ბაზების, საძოვრებისა და სხვა გასადევარის განლაგება და საქონლის მოძრაობა. კახეთი, 1965 წ.
2. ბარული მესაქონლეობა.
სოფ. ნარაზენის პარალელური სამეურნეო ბაზების, საძოვრებისა და გასადევარის განლაგება და საქონლის მოძრაობა. სამეგრელო, 1969 წ.
3. მთური მესაქონლეობა.
სოფ. ლექსურას პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და საქონლის მოძრაობა. ქვემო სვანეთი, 1968 წ.
4. მთური მესაქონლეობა.
სოფ. დათვისის პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და საქონლის მოძრაობა. ხევსურეთი, 1975 წ.
5. მთაბარული მესაქონლეობა.
სოფ. დიდი ჭყონის პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და საქონლის მოძრაობა. სამეგრელო, 1969 წ.
6. მთაბარული მეცხვარეობა.
სოფ. ალვანის პარალელური სამეურნეო ბაზებისა და საძოვრების განლაგება და ცხვრის მოძრაობა. კახეთი, 1971 წ.
7. მომთაბარე მესაქონლეობა.
სოფ. ალგეთის სეზონური საძოვრების განლაგება და ნახევრად მომთაბარეთა მოძრაობა. ქვემო ქართლი, 1973 წ.
8. მთური მესაქონლეობის მარშრუტები.
ხახმატისა და ჭიქაურას საქონლისა და ცხვრის გადასარეკი გზები. ხევსურეთი, 1975 წ., პანკისის ხეობა, 1965 წ.
9. მთური მესაქონლეობის მარშრუტები.
სარწივისძირის, შუკაჭალისა და თაგინურის საქონლის გადასარეკი გზები. ზემო რაჭა, 1970 წ., აჭარა, 1965 წ.
10. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები.
მთათუშეთის ცხვრის გადასარეკი ტრასა ნაროვანისა და წოვათის განშტოებებით. თუშეთი, 1971—1974 წწ.
11. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები.
ანარიის საქონლის გადასარეკი გზა. სამეგრელო, 1969 წ.
12. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები.
ლებარდეს საქონლის გადასარეკი გზა. სამეგრელო, 1969 წ.
13. მთაბარული მესაქონლეობის მარშრუტები.
თრიალეთის ცხვრის გადასარეკი ტრასა ვარდისუბნის განშტოებით. თრიალეთი, 1973 წ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ატლასის მასალების ამ მონაკვეთში წარმოდგენილი რუკები და სქემები შეადგინა კარტოგრაფმა ე. ზაუტაშვილმა ავტორის ვ. შამილაძის მონაცემების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОПИСАНИЕ КАРТ И СХЕМ

Карты

1. Административное деление территории Грузии XIX в.
2. Административно-территориальное деление Грузинской ССР в 1930 г.
3. Покосы (вторая пол. XIX в.).
   4. Сельские семейные. 2. Горные семейно-патронимические. 3. Горные общесельские. 4. Сельские луга. 5. Церковно-святилищные. 6. Общесельские — сааманато.
4. Покосы (20-е гг. XX в.).
   1. Сельские семейные. 2. Горные семейно-патронимические. 3. Горные общесельские. 4. Сельские луга. 5. Церковно-святилищные. 6. Общесельские — сааманато.
5. Пастбища (вторая пол. XIX в.).
   1. Летние. 2. Зимние. 3. Сельские. 4. Весенне-осенние.
6. Пастбища (30-е гг. XX в.).
   1. Летние. 2. Зимние. 3. Сельские. 4. Весенне-осенние.
7. Равнинное скотоводство (вторая пол. XIX в.).
   1. Шалашное хозяйство. 2. Подсобное скотоводство.
8. Равнинное скотоводство (30-е гг. XX в.).
   1. Шалашное хозяйство. 2. Подсобное скотоводство.
9. Горное скотоводство (вторая пол. XIX в.).
   1. Отгонное скотоводство. 2. Внутриальпийское скотоводство.
10. Горное скотоводство (30-е гг. XX в.).
    1. Отгонное скотоводство. 2. Внутриальпийское скотоводство.
11. Перегонное скотоводство (вторая пол. XIX в.).
    1. Восходящее овцеводство и скотоводство. 2. Промежуточное овцеводство и скотоводство. 3. Нисходящее овцеводство.
12. Перегонное скотоводство (30-е гг. XX в.).
    1. Восходящее овцеводство и скотоводство. 2. Промежуточное овцеводство и скотоводство. 3. Нисходящее овцеводство.
13. Кочевое скотоводство (вторая пол. XIX в.).
    1. Полукочевое скотоводство.
14. Кочевое скотоводство (30-е гг. XX в.).
    1. Полукочевое скотоводство.
15. Скотопрогонные маршруты (вторая пол. XIX в.).
    1. Маршруты горного скотоводства. 2. Маршруты перегонного скотоводства. 3. Маршруты кочевого скотоводства.
16. Скотопрогонные маршруты (30-е гг. XX в.).
    1. Маршруты горного скотоводства. 2. Маршруты перегонного скотоводства. 3. Маршруты кочевого скотоводства.
17. Параллельные хозяйственные базы (вторая пол. XIX в.).
    1. Весенне-осенние лабави//сабосло. 2. Зимние лабави//сабосло. 3. Қарави. 4. Агвара. 5. Джалона//лакада. 6. Сапарехо. 7. Қаре//сакаре. 8. Саапуно. 5. Қало 10. Бера. 11. Яздаги.
18. Параллельные хозяйственные базы (30-е гг. XX в.).
    1. Весенне-осенние лабави//сабосло. 2. Зимние лабави//сабосло. 3. Қарави.

4. Агвара. 5. Джалона//лакада. 6. Сапарехо. 7. Каре//сакаре. 8. Саапуно. 9. Кало. 10. Бера. 11. Яздаги.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Схемы:

1. Равнинное скотоводство.

   Размещение параллельных хозяйственных баз и пастбищ и других выгонов и движение скота с. Матани. Кахети, 1965 г.

   1. Основное поселение. 2. Параллельные хозяйственные базы. 3. Отгон молочного скота. 4. Отгон рабочего скота. 5. Отгон недойного и гулевого скота. 6. Отгон овец. 7. Пахотные участки. 8. Покосы. 9. Сельские пастбища. 10. Присельские пастбища. 11. Лесные пастбища. 12. Сады и виноградники.

2. Равнинное скотоводство.

   Размещение параллельных хозяйственных баз и пастбищ и других выгонов и движение скота с. Наразени. Самегрело, 1969 г.

   1. Основное поселение. 2. Параллельные хозяйственные базы. 3. Отгон крупного рогатого скота. 4. Отгон мелкого рогатого скота. 5. Пахотные участки. 6. Сельские пастбища. 7. Лесные пастбища.

3. Горное скотоводство.

   Размещение параллельных хозяйственных баз и пастбищ и движение скота с. Датвиси. Хевсурети, 1975 г.

   1. Основное поселение. 2. Субальпийское и альпийское поселения. 3. Параллельные хозяйственные базы. 4. Отгон молочного скота. 5. Отгон рабочего скота. 6. Отгон недойного и гулевого скота. 7. Отгон овец и лошадей. 8. Отгон всех видов скота. 9. Пахотные участки. 10. Покосы. 11. Сельские пастбища. 12. Летние и зимние пастбища. 13. Лесные пастбища.

4. Горное скотоводство.

   Размещение параллельных хозяйственных баз и пастбищ и движение скота с. Лексура. Сванети, 1968 г.

   1. Основное поселение. 2. Субальпийские и альпийские поселения. 3. Параллельные хозяйственные базы. 4. Отгон молочного скота. 5. Отгон рабочего скота. 6. Отгон недойного и гулевого скота. 7. Отгон мелкого рогатого скота и лошадей. 8. Отгон всех видов скота. 9. Пахотные участки. 10. Покосы. 11. Сельские пастбища. 12. Летние и зимние пастбища. 13. Лесные пастбища.

5. Перегонное скотоводство.

   Размещение параллельных хозяйственных баз и пастбищ, и движение скота. с. Диди чкони. Самегрело, 1968 г.

   1. Основное поселение. 2. Летние и зимние поселения. 3. Параллельные хозяйственные базы. 4. Перегон крупного рогатого скота. 5. Летние пастбища. 6. Зимние пастбища. 7. Лесные пастбища. 8. Пахотные участки.

6. Перегонное овцеводство.

   Размещение параллельных хозяйственных баз и пастбищ и движение овец с. Алвани. Кахети, 1971 г.

   1. Основное поселение. 2. Летние и зимние поселения. 3. Параллельные хозяйственные базы. 4. Перегон всех видов овец. 5. Перегон недойных овец. 6. Перегон ягнят и лошадей. 7. Летние пастбища. 8. Зимние пастбища. 9. Весенне-осенние пастбища. 10. Лесные пастбища. 11. Пахотные участки. 12. Сады и виноградники.

7. Кочевое скотоводство.

   Размещение сезонных пастбищ и перемещение полукочевников с .Алгети. Нижняя Картли, 1973 г.

   1. Поселение полукочевников. 2. Сезонное перемещение полукочевников. 3. Кишлаги. 4. Яздаги. 5. Яз-юрта. 6. Яилаги.

8. Скотопрогонные маршруты горного скотоводства.

   Маршруты перегона овец и крупного рогатого скота к летним пастбищам Хахмати и Чикаура. Хевсурети, 1975 г., Панкисское ущелье, 1965 г.

9. Скотопрогонные маршруты горного скотоводства.
   Маршруты перегона овец и крупного рогатого скота к летним пастбищам Сар-цивисдзири, Шукачала и Тагинури. Верхняя Рача, 1970 г., Аджария, 1965 г.
10. Скотопрогонные маршруты перегонного скотоводства.
   Трасса перегона овец к летним пастбищам Горной Тушети разветлвениями Наровани и Цовата. Тушети 1971—1974 гг.
11. Скотопрогонные маршруты перегонного скотоводства.
   Маршрут перегона крупного рогатого скота к летним пастбищам Анария. Самегрело, 1969 г.
12. Скотопрогонные маршруты перегонного скотоводства.
   Маршрут перегона крупного рогатого скота к летним пастбищам Лебарде. Самегрело, 1969 г.
13. Скотопрогонные маршруты перегонного скотоводства.
   Трасса перегона овец к летним пастбищам Триалети разветвлением Вардисубани. Триалети, 1973 г.

Примечание: Представленные в данной части материалов атласа карты и схемы составлены картографом Е. К. Зауташвили по данным автора В. М. Шамиладзе.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბულების აღწერილობა

I. სოფ. ბისოს საერთო ხედი. ხევსურეთი, 1965 წ.
II. სოფ. მეკეიძეების ერთი უბანი. აჭარა, 1965 წ.
III. სოფ. ჭორას საერთო ხედი. ზემო რაჭა, 1970 წ.
IV. სოფ. ეცერის ერთი უბანი. ზემო სვანეთი, 1968 წ.
V. სოფ. მეკეიძეების ერთი უბანი სათიბებით. აჭარა, 1969 წ.
VI. სოფ. ქენქანიის ერთი უბანი სასოფლო საძოვრებით. ქართლი, 1966 წ.
VII. სოფ. ხელედულას ერთი უბანი. ქვემო სვანეთი, 1970 წ.
VIII. სოფ. ომალოს სასოფლო სათიბები. თუშეთი, 1974 წ.
IX. სარწივისძირის საზაფხულო საძოვრის დასახლების საერთო ხედი. ზემო რაჭა, 1970 წ.
X. სარწივისძირის საზაფხულო საძოვრის დასახლების ერთი უბანი. ზემო რაჭა, 1970 წ.
XI. შუკაჭალის საზაფხულო საძოვრის დასახლების ერთი უბანი. ზემო რაჭა, 1970 წ.
XII. ჩირუხის საზაფხულო საძოვრის დასახლების საერთო ხედი. აჭარა, 1965 წ.
XIII. სოფ. საგირთას ერთი კუთხე წოვათაში. თუშეთი, 1971 წ.
XIV. მეცხვარის ბინა და ბაკი სოფ. ფარსმის საზაფხულო საძოვარზე. თუშეთი, 1974 წ.
XV. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვარზე. თუშეთი, 1974 წ.
XVI. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვარზე. თუშეთი, 1974 წ.
XVII. საქონლის ჯოგი ჯვრის უღელტეხილის საზაფხულო საძოვარზე. მთიულეთი, 1965 წ.
XVIII. ქოხბოსელი შუკაჭალის საზაფხულო საძოვარზე. ზემო რაჭა, 1970 წ.
XIX. დადიაშის საზაფხულო საძოვრის დასახლების ერთი უბანი. ქვემო სვანეთი, 1970 წ.
XX. საქონლის ჯოგი შავშისწვერის საზაფხულო საძოვარზე. მესხეთი, 1972 წ.
XXI. შუკაჭალის საზაფხულო საძოვრის დასახლების ერთი უბანი. ზემო რაჭა, 1970 წ.
XXII. საქონლის ჯოგი შავშისწვერის საზაფხულო საძოვარზე. მესხეთი, 1972 წ.
XXIII. ცხვრის ფარების გადარეკვა წოვათის საზაფხულო საძოვარზე. თუშეთი, 1971 წ.
XXIV. წოვათის საზაფხულო საძოვრების საერთო ხედი. თუშეთი, 1971 წ.
XXV. მეცხვარის ბინა ალაზნისთავის საზაფხულო საძოვარზე. თუშეთი, 1974 წ.
XXVI. შავშისწვერის საზაფხულო საძოვრის დასახლების ერთი უბანი. მესხეთი, 1972 წ.
XXVII. სოფ. ლებაისკარის საზაფხულო საძოვრები. ხევსურეთი, 1965 წ.
XXVIII. სოფ. ღების სასოფლო საძოვრების ერთი უბანი. ზემო რაჭა. 1970 წ.
XXIX. ლაბავი სოფ. ნაკრის საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარზე. ზემო სვანეთი, 1975 წ.
XXX. ლაბავი სოფ. ლეხთაგის საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარზე. ზემო სვანეთი, 1975 წ.
XXXI. ზოფხითოს საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრის დასახლების საერთო ხედი. ზემო რაჭა, 1970 წ.
XXXII. ლაბავი სოფ. ხაიშის საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარზე. ზემო სვანეთი, 1968 წ.
XXXIII. სოფ. ლექსურას ლაბავის ტყიანი საძოვრები ლახაშირში. ქვემო სვანეთი, 1970 წ.
XXXIV. ლაბავი სოფ. ლახამულას საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარზე. ზემო სვანეთი, 1968 წ.
XXXV. კარე ეჭეხას საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარზე. სამეგრელო, 1969 წ.
XXXVI. თივის აღება სოფ. მლეთას სათიბებში ჯვრის უღელტეხილზე. მთიულეთი, 1965 წ.
XXXVII. სოფ. მეკეიძეების სათიბები ბულულებით. აჭარა, 1969 წ.
XXXVIII. თივის დაბულულება სოფ. მუაშში. ქვემო სვანეთი, 1970 წ.
XXXIX. თივის ბულული სოფ. მუაშის სათიბში. ქვემო სვანეთი, 1970 წ.
XL. სოფ. მეკეიძეების სათიბების ერთი უბანი. აჭარა, 1969 წ.
XLI. კარავი ჩეგოლას საზაფხულო საძოვარზე. სამეგრელო, 1969 წ.
XLII. მეჯოგე ჩოთო არქანია სოფ. შუქავიდან. სამეგრელო, 1969 წ.
XLIII. თივის გადატანა ზურგით ს. შუბანში. აჭარა, 1962 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XLIV. სოფ. დუისის სასოფლო სათიბები ხორაჯოში. პანკისის ხეობა, 1966 წ.
XLV. ცხვრის ფარა საღამოს ტბასთან. თრიალეთი, 1973 წ.
XLVI. მომთაბარეთა თაბუნი თბილისის სანახებში.
XLVII. ჰარვა — მომთაბარეთა ურემი თბილისის სანახებში.
XLVIII. მომთაბარეთა გადასვლა თრიალეთის საზაფხულო საძოვარზე.
XLIX. მომთაბარეთა აქლემის ქარავანი თბილისის სანახებში.
L. 1. ქოხი, საბძელი, გომი, ჩარდახი და ბაკი სოფ. მირზაანის კალოზე. საერთო ხედი. კახეთი, 1965 წ. 2. სოფ. მირზაანის კალოს, ჩარდახისა და ბაკის გეგმა. 3. სოფ. მირზაანის კალოს, ქოხის, საბძელისა და გომის გეგმა.
LI. 1. სოფ. დიდაჭარის ერთი უბანი. აჭარა, 1965 წ.
2. ფერდა სოფ. ჭვანის საგაზაფხულო-საშემოდგომი საძოვარზე პერანგაში. აჭარა, 1965 წ.
3. გოდერძის საზაფხულო საძოვრის დასახლების ერთი უბანი. აჭარა, 1965 წ.
LII. 1. ქოხი—ჯამგვალბინა, საცხვარე, სახბოვრე, ბაკი და საღორე სარწივისძირის საზაფხულო საძოვარზე. საერთო ხედი და გენგეგმა. ზემო რაჭა, 1970 წ. 2. სარწივისძირის ქოხის ინტერიერი. 3. სარწივისძირის ქოხის გეგმა. 4. სარწივიძირის ქოხის ჭრილი a=a.
LIII. 1. ქოხი—დარბაზი და საცხვარე ზანზობის საზაფხულო საძოვარზე. მესხეთი, 1972 წ.
2. ზანზობის ქოხის ინტერიერი. 3. ზანზობის ქოხის გეგმა და ჭრილი a=a.
LIV. 1. კარავი, აგვარა და ოგინე || ოქაბულე დვირას მთის საზაფხულო საძოვარზე. საერთო ხედი და გენგეგმა. სამეგრელო, 1969 წ. 2. დვირას კარავის გეგმა. 3. დვირას კარავის ჭრილი a=a. 4. დვირას კარავის ჭრილი b=b. 5. დვირას კარავის ფასადი.
LV. დვირას კარავის ინტერიერი.
LVI. 1. ბინა, ბაკი, ფარეხი და ფურნე შირაქის საზამთრო საძოვარზე. საერთო ხედი და გენგეგმა. კახეთი, 1966 წ. 2 შირაქის ბინის, ბაკისა და ფურნეს გეგმა და ჭრილი. a=a.
LVII. 1. ბინა, ბაკი, ჰაღილი და ფარეხი იაღლუჯას საზამთრო საძოვარზე. საერთო ხედი და გენგეგმა. ქვემო ქართლი, 1967 წ. 2. იაღლუჯას ბინის ჭრილი b=b, 3. იაღლუჯას ბინის ჭრილი a=a. 4. იაღლუჯას ბინისა და ბაკის გეგმა.
LVIII. 1. ბინა, საკოდე და ბაკი წოვათის საზაფხულო საძოვარზე. საერთო ხედი. თუშეთი, 1971 წ. 2. წოვათის საკოდეს გეგმა და ჭრილი a=a, 3. წოვათის ბინის, საკოდესა და ბაკის გენგეგმა, 4. წოვათის ბინის გეგმა და ჭრილი a=a.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ტაბულებში წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან XLVI—XLIX ამოღებულია ერმაკოვის ფოტოალბომიდან, XXIX—XXX ეკუთვნის შ. ჩართოლანს, ყველა დანარჩენი კი გადაღებულია ავტორის — ვ. შამილაძის მიერ. არქიტექტურული ჩანახატებისა და ჩანახაზებისაგან LIII 1—3, LIV 1—5 და LV ეკუთვნის მხატვარ არქიტექტორს გ. ჟვანიას, ხოლო LVIII 1—4 —არქიტექტორ ვ. პახტაძეს. ყველა დანარჩენი ჩანახატი და ჩანახაზი შესრულებულია მხატვარ-არქიტექტორის ჯ. მიქელაძის მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

I. Общий вид с. Бисо. Хевсурети, 1965 г.
II. Уголок с. Мекеидзееби. Аджария, 1965 г.
III. Общий вид с. Чиора. Верхняя Рача, 1970 г.
IV. Уголок с. Ецери. Верхняя Сванети, 1968 г.
V. Уголок с. Мекеидзееби с покосами. Аджария, 1969 г.
VI. Уголок с. Кенкаани с сельскими пастбищами. Картли, 1966 г.
VII. Уголок с. Хеледула. Нижняя Сванети, 1970 г.
VIII. Сельские покосы с. Омало. Тушети, 1974 г.
IX. Общий вид поселения на летних пастбищах Сарцивисдзири. Верхняя Рача, 1970 г.
X. Уголок сезонного поселения на летних пастбищах Сарцивисдзири. Верхняя Рача, 1970 г.
XI. Уголок сезонного поселения на летних пастбищах Шукачала. Верхняя Рача, 1970 г.
XII. Общий вид сезонного поселения на летних пастбищах Чирухи. Аджария, 1965 г.
XIII. Уголок с. Сагирта в Цовата. Тушети, 1971 г.
XIV. Хижина овцеводов-бина и загон для овец-баки на летних пастбищах с. Парсма. Тушети, 1974 г.
XV. Хижина овцеводов-бина на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
XVI. Хижина овцеводов-бина на летних пастбищах Алазнистави, Тушети, 1972 г.
XVII. Стадо крупного рогатого скота на летних пастбищах Крестового перевала. Мтиулети, 1965 г.
XVIII. Хижина скотоводов-кохбосели на летних пастбищах Шукачала. Верхняя Рача, 1970 г.
XIX. Уголок сезонного поселения на летних пастбищах Дадиаши. Нижняя Сванети, 1970 г.
XX. Стадо крупного рогатого скота на летних пастбищах Шавшисцвери. Месхети, 1972 г.
XXI. Уголок сезонного поселения на летних пастбищах Шукачала. Верхняя Рача, 1970 г.
XXII. Стадо крупного рогатого скота на летних пастбищах Шавшисцвери. Месхети, 1972 г.
XXIII. Перегон овец на летние пастбища Цовата. Тушети, 1971 г.
XXIV. Общий вид летних пастбищ Цовата. Тушети, 1971 г.
XXV. Хижина овцеводов-бина на летних пастбищах Алазнистави. Тушети, 1974 г.
XXVI. Уголок сезонного поселения на летних пастбищах Шавшисцвери. Месхети, 1972 г.
XXVII. Летние пастбища с. Лебанскари. Хевсурети, 1965 г.
XXVIII. Уголок сельских пастбищ с. Геби. Верхняя Рача, 1970 г.
XXIX. Параллельная хозяйственная база-Лабави на весенне-осенних пастбищах с. Накри. Верхняя Сванети, 1975 г.
XXX. Лабави на весенне-осенних пастбищах с. Лехтаги. Верхняя Сванети, 1975 г.
XXXI. Общий вид сезонного поселения на весенне-осенних пастбищах Зопхито. Верхняя Рача, 1970 г.
XXXII. Лабави на весенне-осенних пастбищах с. Хаиши. Верхняя Сванети, 1968 г.
XXXIII. Лесные пастбища Лабави с. Лексура в Лахашири. Нижняя Сванети, 1970 г.
XXXIV. Лабави на весенне-осенних пастбищах с. Лахамула. Верхняя Сванети, 1968 г.
XXXV. Параллельная хозяйственная база-каре на весенне-осенних пастбищах Ечеха. Самегрело, 1969 г.
XXXVI. Уборка сена в покосах с. Млета на Крестовом перевале. Мтиулети, 1965 г.

XXXVII. Покосы с. Мекендзееби с копнами сена. Аджария, 1969 г.
XXXVIII. Установка копны в с. Муаши. Нижняя Сванети, 1970 г.
XXXIV. Копна сена в покосе с Муаши. Нижняя Сванети, 1970 г.
XLI. Хижина скотоводов-карави на летних пастбищах Чегола. Самегрело, 1969 г.
XL. Уголок покосов с. Мекеидзееби. Аджария, 1969 г.
XLII. Пастух Чото Аркания из с. Мужава. Самегрело, 1969 г.
XLIII. Перенос сена в с. Шубани. Аджария, 1962 г.
XVIV. Сельские покосы с. Дуиси в Зопхито Панкисское ущелье, 1966 г.
XLV. Отары овец у озера Сагамо. Триалети, 1973 г.
XLVI. Табун кочевников в окрестностях Тифлиса.
XLVXX. Харва-арба кочевников в окрестностях Тифлиса.
XLVIII. Переход кочевников на летние пастбища Триалети.
XLIX. Караван верблюдов кочевников в окрестностях Тифлиса.
L. 1. Хижина пахарей-кохи, саманник-сабдзели, хлев-гоми, навес для хозяйственного инвентаря-чардахи и загон для скота-баки в комплексе тока-кало с. Мирзаани. Общий вид. Кахети, 1965 г.
2. План Кало, чардахи и баки с. Мирзаани.
3. План Кало, кохи, сабдзели и гоми с. Мирзаани.
LI. 1. Уголок с. Дидаджара. Аджария, 1965 г.
2. Параллельная хозяйственная база-перда на весенне-осенних пастбищах Перанга с. Чвана. Аджария, 1965 г.
3. Уголок сезонного поселения на летних пастбищах Годердзи. Аджария, 1965 г.
LII. 1. Хижина-джамгвалбина, овчарня-сацхвре, телятник-сахбовре, загон для скота-баки и свинарник-сагоре на летних пастбищах Сарцивисдзири. Общий вид и генплан. Верхняя Рача, 1970.
2. Интерьер джамгвалбина. Сарцивисдзири.
3. План джамгвалбина. Сарцивисдзири.
4. Разрез джамгвалбина. Сарцивисдзири.
LIII. 1. Хижина скотоводов-дарбази и овчарня на летних пастбищах Занзоби. Месхети, 1972 г.
2. Интерьер дарбази. Занзоби.
3. План и разрез дарбази. Занзоби.
LIV. 1. Хижина скотоводов — карави, загон для скота — агвара и телятник — огине//окабуле на летних пастбищах Двира. Общий вид и генплан. Самегрело, 1969 г.
2. План карави. Двира.
3. Разрез а-а карави. Двира.
4. Разрез в-в карави. Двира.
5. Фасад карави. Двира.
LV. Интерьер карави. Двира.
LVI. 1. Хижина овцеводов-бина, загон для овец-баки, пекарня-пурне и зимний загон для овец-парехи на зимних пастбищах Шираки. Общий вид и генплан. Кахети, 1966 г.
2. План и разрез бина, баки и пурне. Шираки.
LVII. 1. Хижина овцеводов-бина, загон для ягнят-баки, загон для скота-агили и загон для овец-парехи на зимних пастбищах Яглуджа. Общий вид и генплан. Нижняя Картли, 1967 г.
2. Разрез в-в бина. Яглуджа.
3. Разрез а-а бина. Яглуджа.
4. План бина и баки. Яглуджа.
LVIII. 1. Хижина овцеводов-бина, помещение для переработки и хранения сыра — сакоде и загон для овец-баки на летних пастбищах цовата. Общий вид. Тушети, 1971 г.
2. План и разрез а-а сакоде. Цовата.
3. Генплан бина, сакоде и баки. Цовата.
4. План и разрез а-а бина. Цовата.

I



II

III

IV



V



VI



VII



VIII

IX

X

XI



XII



XIII



XIV



ეროვნული ბიბლიოთეკა

XV



XVI



XVII

XVIII



ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIX



XX



XXI

XXII

XXIII

XXIV



XXV



XXVI

XXVII

XXVIII



XXIX



ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXX



XXXI



XXXII



XXXIII



XXXIV

XXXV

XXXVI



XXXVII



XXXVIII

XXXIX

XL

XLI

XLII



XLIII

XLIV

XLV

XLVI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XLVII

XLVIII



XLIX

ეროვნული
ბიბლიოთეკა












1
2
3
4
5
N
M 1: 400










0 1 2 3 4 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა













ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3
მესაქონლეობის ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპები 10
მესაქონლეობის ფორმათა ისტორიული განვითარების პროცესი 21
სათიბები 49
საძოვრები 62
ბარული მესაქონლეობა 90
მთური მესაქონლეობა 100
ათაბარული მესაქონლეობა—ტრანსჰუმანსე 109
მოთაბარე მესაქონლეობა 120
მესაქონლეობის მარშრუტები 128
პარალელური სამეურნეო ბაზები 144
Резюме 158
შემოკლებათა ახსნა 162
ილუსტრაციები ტექსტში 163
Иллюстрации в тексте 164
რუკებისა და სქემების აღწერილობა 165
Описание карт и схем 167
ცხრილების აღწერილობა 170
Описание таблиц 171
ცხრილები 175

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИСТОРИКО-ЭТНОГРАФИЧЕСКИЙ АТЛАС ГРУЗИИ

МАТЕРИАЛЫ

Вахтанг Мамиевич Шамиладзе

СКОТОВОДСТВО В ГРУЗИИ
(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები გ. ჩიქოვანი, ნ. კახიძე

სბ 2803

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
მხატვრული რედაქტორი ირ. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 13.5.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.3.86;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 19,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,4;

უე 01075; ტირაჟი 2500; შეკვეთა № 1607;

ფასი 3 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა